

1983/3

ISSN 0182-590 X



בניית תרבות



6

1983



ენათოკი

ბრუნდის
ბრუნდის

საბჭოთა კავშირის ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შუროსი

წიგნისა 59-0

№ 6

ივნისი, 1983 წ.

შინაარსი

პროზა, პოეზია

| | |
|--|-----|
| ირაკლი აბაშიძე — ახ დრე პერილსაც... ლექსი | 3 |
| ოტია იოსელიანი — ავტობიოგრაფიული ნოველები | 4 |
| ვახტანგ უკვახაძე — ლექსები | 30 |
| გილა ფალავანთი — ლექსები | 33 |
| აბაგი ბეჟაძე — ხმაფართობილი ზარი. მოთხრობა | 36 |
| გრიგოლ უკულუხიძე — ლექსები | 70 |
| მუკრან უკვახაძე — ორი თვალი. რომანი. | 72 |
| არჩილ სულაბაძე — შარხანდელი რეჟისორი. ლექსები | 102 |
| გივი ბიჭინაძე — როგორ ასწავლა ბინათვლა საგანგებო თვალ ბინათვლაბრის | 106 |
| პლატონი — მინიმალური. ქველი ბერძნულიდან თარგმნა ზინანა ბრეგვაძემ | 108 |

1783 — გიორგიმედიის ტრაქტატი — 1983

ბანო ფალავანი — მშვიდობის და წინსვლის საწინდარი 132

კრიტიკა, პუბლიცისტიკა

| | |
|---|-----|
| გურამ ასათიანი — ლიტერატურა და ახალი თოგა | 140 |
| ოტია პაპოკია — „დობარ“ | 143 |
| უზანტი თბილავა — „იანვანა რა კმნა?“ | 153 |

მეცნიერება

ზურაბ კიკნაძე — „აუცილებელი განმარტების“ განმარტება 159

საერთაშორისო თემაზე

ილიკო როსტომი — კონფოს ნაბიჯები. დასასრული 167

მთავარი რედაქტორი არჩილ სულაბაური

სარედაქციო კოლეგია:

ბრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ავაშუაძე (მთ. რედაქტორის მოადგილე),
მ. ბერძენიშვილი, ალ. გომიაშვილი, გ. დოჩანაშვილი, კ. პალაძე,
მ. ლასური, მ. ლეგანიძე, ე. მალაძე, ლ. მრალაშვილი, გ. ნატრო-
შვილი, რ. პატარიძე, თ. პაპოკრია (პ/მკ. მდივანი), ნ. წულეისკირი,
თ. შილაძე, გ. ხარანაული, რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე, ჯ. ჩარკვიანი.

ამ ერთ აპრილსაც...

გამოჩნდა ისევ ცა ამეთვისტის,
ჩაბარდა გამჩენს ეს სუფსარქისიც
და გაზაფხული
ჭერ ცამეტი წლის
მკერდის ზმორებით დადგა სარკის წინ.

წუთებო, რატომ არ გაქვადებით,
სიზმრებო, რატომ არ განივთლებით;
ფიჭრებო, რატომ არ აყვავდებით
იაგუნდებით, მარგალიტებით.
ეს სულ ერთია სად გათავდები,
სად დაიბადე —
საქმე ის არის;
წახვალ, დაუშვებს შენი ფარდებიც —
თქვა რუქამ კიდევ ერთი თიმსარიც.

მაგრამ ჭერ ისევ
შენც ხომ უცქერი
ზეცას, რომელიც
აგერ ღლეს არის...
ათას გასაძლისს ხომ გაუძელი,
ამ ერთ აპრილსაც ხომ დაესწარი.

17.7.17

პ. შაჩიანიანი ნ. შ. სსსრ
საბავშვო ბიბლიოთეკა - თბილისი
0 1 0 1 0 0 0 1 0

ოცნა იოსელიანი

ავტობიოგრაფიული ნოველები

პირველი შიში

ხელისგულივით სწორი, დაცემული ვაკეა ჩემი სოფლის მეზობელი სოფელი: მალაკი. ჩვენს ველ-მინდვრებში საშურადღულე კენჭს ვერ იპოვი და მალაკი ზღვის ახლახან დატოვებულ ნაპირს ჰგავს. დასავლეთით, ასი კილომეტრი ფეხით რომ გაიარო შავ ზღვამდე, ბორცვი და კორტოხიცი კი არ შეგხვდება და თუ კოლხეთის დაბლობზე ოდესმე ზღვა იდგა, როგორ მოხდა რიყე, ხრეში და სილა მხოლოდ მალაკში დატოვა და ახლომახლო სოფლებში არა?

ასეა თუ ისე, ამაზე ვინც ჭერ არს თავი იმან იმტერიოს, მაგრამ ეს უშველებელი სოფელი რომ დახაშხაშებულის, გარეცხილი რიყითაა დაფარული, ამას თვალხილულიც არ უნდა, ბრმაც ერთ ნაბიჯზე „დაინახავს“.

იქაური ვენახი და ხილი არ უქნია ღმერთს, მაგრამ საზამთროს და ნესვი იცოდა ისეთი, მაშინდელ ბალიშა კანფეტს დანატრებული ბალები კი არა, ახლანდელი, შოკოლადით გულმოსუყებული ბავშვებიც სულს დაღევდნენ.

ჩემს სოფელში სანაქებო სიმინდის საყანეები გვექონდა. ვითომ ვენახიც ხარობდა, ხეხილიც, მაგრამ ნესვი და საზამთრო — ნაკლებად.

ორ ბარისპირზე გადაბრუნებულ მიწაზე, ნაკელშერეულ ბუნებში მაინც ვთესავდით, მაგრამ რაღაც ორ-სამ მუჭის ტოლა ყვავს გამოისხამდა და არც ფერი უვარგოდა, არც გემო. ხელავდი რას ჭამდი, თორემ ვერც კი გაიგებდი რა იყო. ერთი სიტყვით, ტყუილი შრომა იყო და მეტი არაფერი.

მერე და მერე, მინერალურმა სასუქებმა მალაკურ ბაღეულისა და უყარგა გემო და, ამ ბოლოს დროს, მოსავლიანობასაც ემდურიან. ზაფხულის პაპანაქებაში, ჭაში ჩაყიებულ იქაურ საზამთროს, დაბალ ბოკონებზე შედგმულ ოდის უმოაჩირო აივანზე ჩამომჭდარი რომ გაჭრიდი (ოღას პირი ჩრდილოეთით ჰქონდა და გრილოდა), ახალმთვარესავით ნაჭერს ორივე ხელით აიტაცებდი და პირით დააფრინდებოდი, ყურებამდე „გაგზრდებოდა“ ტკბილი, წითელი „უღვაშები“ და ნიკაპზე ჩამოწეწული ინისფერი შარბათი ბაღდადის ხალიფად გაქცევდა. ნესვი იყო და, დანა რომ სულ არ დაგეკარებინა, სუნით დატკებოდი, გაძღებოდი და „დათვრებოდი“.

მალაკურ ნესვსა და საზამთროზე უკეთესს ზომ ვერაფერს ინატრებდი და იოცნებებდი, მაგრამ იქაური ჩემი მასპინძლები: ბაცია და ლადიკო ნიჭარაძეები (ბებიას და და სიძე) გაცილებით

სანუკვარი, აეთილი და ტყბილი მოხუცები იყვნენ, ვინემ მათი ხელით დათესილი, მოვლილი და გაზრდილი, შეუდარებელი ბაღეული. მათი მსგავსი, არამც თუ მინახავს, არც გამოიგონია და წამიკითხავს. ცოლი და ქმარი ფეხადგმული სიკეთე, სათნოება, თანაღმობა და მადღმოსილება იყვნენ. სიკეთისათვის მიიშვედ, უხმაუროდ და მოკრძალებულად დადიოდნენ. დარწმუნებული ვარ, წუთისოფელი ისე გალიეს, ჭიანჭველისათვის ფეხი არ დაუდგამთ.

არავისთან ისე არ მიმიხაროდა და მივილტვოდი, როგორც მათთან. მათთან ყოფნას ვნატრობდი, ვოცნებობდი და თუ ავიხდენდი, არ მწყინდებოდა. ბაცია ბებია, ლადიკო ბაბუა, მათი დაფეხილი, ორი თვალი ოდა, ეზო-გარემო, ნესვი და საზამთრო იყო და არის ჩემთვის ის უგულითადესი, მადლიანი, მირონცხებული, ამო, ნეტარი, ჩუმაღერსიანი, მომპყრობი... სტუმარი სად არ უყვართ და ისიც ბავშვი, მაგრამ საზღვარი ხომ ყველაფერსა აქვს, რაკი ხალხს ისიც უთქვამს: „დიღას ოქრო ხარ სტუმარო, შუადღეს ვერცხლად იქცევით“... არა და არა, მე იმათთვის (და უთუოდ არა მარტო მე) ყოველთვის ბაჯალო ოქრო ვიყავი, მათი უანგარო სიბოთი და უწყინარი აღერსით ყელამდე გარემოსილი.

ენით თითქოს, არც კი გამოხატავდნენ თავიანთ მოფერებას და მოსიყვარულებას, არც კოცნატლებკით. არიან ადამიანები, გული აქვთ, მაგრამ ხელისგულზე უდევთ. მით უმეტეს, ბავშვი ასეთ გულს უფრო ხედავს, უთქმელი, უაღერსო სიკეთის მაშინვე გასიგრძეგანება უჭირს. იმ მადლიანების დანახვა არც მაშინ წარმოადგენდა სიმწელეს, მათი გული, სადმე, მკერდის სიღრმეში, საძებარი კი არ იყო, რასაც ხედავდი, სათნოებას, გულისხმიერებას ხედავდი (მით უმეტეს, ბაცია ბებია, ნესვივით ჩაპრგვალებული ქალი იყო). ადამიანს როცა ჩვეულებრივი მუტის ტოლა გული აქვს და ისიც საღაღაც გადამალული და გადაკარგული, ასე თვალდა-

თვალ დანახვა არ ხერხდება, თორემ ბაცია ბებია და ლადიკო ბაბუა, რაც უხევენ, გულად ისიც ეკოტავებოდნენ. მათი ძველისძველი ოდა, გამჭვარტული, დაფაიცრებული სამზადი, ჭის დანგრეული ხის გვიმი, ოწინარი, კიშკარი და ლობე-ყორე, მათი გული იყო, ყველაფერი რომ გესალბუნებოდა, გეთბობოდა, გმზრუნველობდა. მათ ბარობაზე ჭვის კენჭი არ იყო (ქვა და რიყე თუ იყო, აბა, იქ იყო!), რომ ფეხში გამოგდებოდა და რაიმე ეტყინა კი არა, წაებობიკებიხე. ყველაფერი შენთვის და შენი იყო. პატრონიც იყავი და ბატონიც. ყველაფერი შენს საამებლად იყო მათი ხელით შექმნილი და რა გააჩნდათ, მაგრამ შენზე მდიდარი და ნებიერი იმ ქვეყანაზე არავინ დადიოდა.

სამი შვილი ჰყავდათ. შოთა ჯარში, ჯერ კიდევ ომამდე გაიწვიეს სავალდებულო სამსახურში, მერე იმ ელტვიან მოუსწრო და, რა თქმა უნდა, არ დაბრუნებულა, — ისეთი დედის და მამის შვილს, ტყვია საღაც უნდა მოხვედროდა, გულში მოხვედებოდა. რა დამავიწყებს, რომ მივიდოდიოქ მოცისფრო თვალები აუპარპალდებოდა სიხარულით და ჩემზე ათი წლით უფროსი ბიჭი ისე დაიბნეოდა, თავის ეზო-გარემოში ხელჩაკიდებული მე დამყავდა. უფროსმა ვაჟიშვილმა მოასწრო ჯარის მოვლა და ქუთაისში მუშაობდა „ენვედეს“ კაფეშირგაბმულობაში, სახლში იშვიათად მინახავს. ქალიშვილი — ტუტულიე, უეურნებელი სენით დაავადდა, ჩალილავებული, სევდით და ნალველით დაყურსული თვალები ჰქონდა, ბავშვებს არ გვეკარებოდა — არაფერი ვაწვო.

ბაციას და ლადიკოს რომ ჩვეულებრივი, თითო-თითო მუტის ტოლა, გული ჰქონოდათ, თავისი შვილების უკიდევანო დარდს და სატყვიარს ვერ გააწვდენდნენ. ჩვენთვის — მოკეთეთათვის რა უნდა მორჩენოდათ, მაგრამ, როგორც ზღვას კოვზით ვერ დააშრობ, ისე იმათ სიკეთეს და სათნოებას არ ავლდებოდა. იმოდენა სანათესაო-სამოყვრო-სამეზობლოსათვის მათი ერთად-

ერთი სიმდიდრე — გული არ დაუმაღლებიათ და ცალკე ჩვენ, დიდნი და პატარანი, ცალკე დარდი, ჭავრი და უბედურება ხელიდან ვაცლიდით, ვიტაცებდით, ვძარცვავდით და შინც, ღრმა მოხუცებულობამდე, გულსავსედ გაუძლეს ამდენ რბევას, წამებას, ჭოჭოხეთს (ტუტუღივც გარდაიცვალა). ბოლოს დასუსტდნენ, დალიენ და ბაცია ბებია სიკვდილის წინ ისე გამდნარიყო, სანახავად რომ მივედი, ლოგინი ჩვეულებრივ გაწყობილი მეგონა. საბნის ქვევით აღარაფერი დარჩენილიყო. მათი უშუალო გული მიწის შესაქმელად მართლა ცოდო იყო. აქ, ჩვენთვის დასატრევილად უნდოდათ, ასეც ჰქნეს და საიქიოს წასაღებად, თავისთვის, აღარაფერი დარჩათ. და რამდენად უცნაურადაც არ უნდა მოეჩვენოს ადამიანს (თუ პატივისცემა უნდა, მკვდარს უნდა), მე მათი საფლავი არც მინახავს. ყველა ყველა და მათ მიწაში არაფერი ჩაუტანიათ. სისხლით, ხორციით, ძვლით, რბილით და სულით აქ დაცვდნენ, აქ დანაწევრდნენ და დარბილდნენ თითო-თითო გულად ყველა ახლობელში თუ შორეულში, ვისზეც ხელი მიუწვდათ და ვინც ხელი მიუწვდინა: სიკეთედ, სიყვარულად, მოგონებად, მონატრებად, უშურველობად, დარდად, ნალევლად, სევდად, ტყვილად...

პატარა ჩაყვა მაქვს, დაკეცილი გოჭა-ნახევარია. ისეთი საიმედო ჩიბე ვინ მომცა, ამისთანა განძი ჩავიდო და გულმშვიდად ვიყო — არაფერი მოეწევა. გოჭა სიგანის და ორი გოჭა სიგრძის წითელი ქისა გამოგვერე, თავში ოთხვა დაგრეხილი ძაფი გავუყარე და კისერზე შეიღია ავგაროზივით. ჩაყვას ნიკელის პირი აქვს, ძვლის ტარი. ეს რომ დაეკარგო, რა მრჩება ამქვეყნად ამის ფასი.

ზაფხულთა, გვალვაა. მაგრამ მალაქაში რიონის ტოტი აქვთ გადმოგდებულ-სარწყავად და საზამთროს და ნესვის არ გაუჭირებდნენ, საზამთროს და ნესვის თუ წყალი და სიციხე არ აკლია,

ამაზე კარგს რას ინატრებს, ან შენ რა გინდა უკეთესი.

ბებიაჩემი წუხს, თავისიანების არაფერი გაუგია დიდი ხანია. უმცროსმა დამ — არეთამ ინახულა ამას წინათ, მაგრამ რვა დედამამიშვილი არიან. თვითონ, ამ ხნის ქალი ვერ აღოლდება და სოფლიდან სოფლამდე ფეხით ვერ ივლის. ჩემი ძმა დედაჩემს ჰყავს წაყვინილი, სახლში რომ იყოს, უმცროსია, მაგრამ შინც ორნი ვიქნებით, მარტოხელად ჩემი ამოდენა გზაზე გაშვება წარმოუდგენელია. მამიდა გუბისწყალზეა. მართალია არდადეგებია, მაგრამ იგი იმ ოთხელასიანი სკოლის გამგეცაა და ზაფხულშიც ხშირად აკითხავს: შეკეთება, შეღობვა, მოვლა-პატრონობა. კლუბიც ის ოთხოთახიანი ხის ოდაა და სოფლის სათავყრილობაც.

— წავალ, ბებია, მალაქაში. — ხმა-ათრთოლებულმა, ისე ყრუდ ვთქვი, ბებიას შეუძლია გაიგონოს და არც გაიგონოს. ასევე მეც, თუ ეს ჩემთვის ჭერ ყოველად შეუძლებელია, უნდა ვიუარო, მოგესმა-მეთქი.

ბებიას მარცხენა მხარი შეუტოკდა, თავიც მარცხნივ გადაუქანდა და ბარემ ჩემსკენ მოაბრუნა. გაოცებული მიყურებდა: მართლა თქვი მაგი, თუ მომიყურაო.

— წავალ, რა იქნება?.. — მალაქს აღარ ვამბობ, ზოგადად ვთხოვლობ წასვლის ნებართვას. წელან შევცდი, ბაცია ბებია უნდა მეთქვა და უფრო მოუულობდნი გულს.

— სად წახვალ, ბებია?..

— ბაცია ბებიასთან და ლადიკო ბაბუასთან.

— ნეტავი რაგაა, ი ძაბი...

— ჰოდა, გაგიგებ რაგაა და საზამთროს და ნესვის ქე წამოგიღებ!

ცდუნება დიდია: დის, სიძის, დისშვილების, იქვე მახლიშვილიც ჰყავს გათხოვილი და ბებიას დედაპითილი, ჩემი პეპერა — ციბურო მარჯანიშვილის ქალიც ხომ მალაქელი იყო. იქაურების ამბის გაგება და თან უკბილო მოხუცი-სათვის შარბათი ნესვი და საზამთრო...

მაგონამ ქრისტინა ავალიანის ქალი ცდუნების ამყოლო, დიხაც, არაა.

— სად წახვალ, შე დაფსხრეკილო, შენ!.. — შემომცინასავით...

ეს კარგის ნიშანია, „დიდუ, ეს რა თქვიო!“ — რომ არ შემომწყრა და ჩემს სიპატარავეს და „დაფსხრეკილობას“ „გაუჭავრდა“, თორემ ამისთანა საქმეს რა აჯობებდაო.

— ბებია, გზა არ ვიცი, თუ რაი!..

— ეჰ, შენ ჭერ არ გეცოდინება...

— რა არ ვიცი! შენ, ნინა ბებია — ლეცავას ქალს და სამსონა ბაბუას რომ გახლდით, თავის საზიარებლად რო იყავით მალაქის ეკლესიაში, დაგავიწყდა?

— კი, ქე გვახდი.

— მღვდელმა რომ სეფისკვერი მომცა და ფინჩხა არ დაგვიარდეს, ისე შეჰამეო, რაფა არ გემახსოვრება. მერე მაშიდას ვახლდი? და მერე, კილო, ბაცია ბებიას არ წაუყვივი?.. აქედან ბერბოგირის ზეით რკინიგზა რო ჩანს, გაყოფი, გაყოფი და იქით კილო ნაკეთები გზა რო გადაჭრის, იმას გაყოფი.

— კინიგზაზე იარ, გადერიე ბებია?!

— რკინიგზაზე რაფა ვიარ, კიდე-კიდე გავყოფი, მარა გზა არ შემეშლება.

— ნაკეთები გზიდან გადასახოვი როა?

— მერე, მაგი არ ვიცი მე?! პირველ მოსახლესთან უნდა შოუხვიო. იქ ხეა გადობილი წყალზე.

— ჰო, იგი რა წყალია... — თავს იმედიებს ბებია. სარწყავი არხია, მუხლზე არ მომწვდება, საშიში არაა.

— მერე, ერთ ხანზე, ყანებია, მარა ქე ჩანს ნიკიფორე ნიფარაძის სახლი, მერე უგულავას... და ბაციე ბებიე...

— ჰო, ქე გცოდნია, მარა ოთხი ვერსია, ბებია, იქამდე.

— ოთხია, თუ ხუთი... შარშან ვიყავი, შარშანწინ კილო და მას აქეთია...

— მეიცა, ბებია, ასე მარტო, მართლა, რაფერ წახვალ.

— წავალ, რაფა ვერ წავალ!..

— ბოგირში რო დომენტიეს ხარს ფეხი ჩავარდნია!

— ხარი ურემში იყო შემბულრ და მე დაუღლელი ვარ თუ?! (ვერს მოუყვარს) გვერდს? და, თუ გინდა, ოღონო რკინიგზის ხიდზეც არ გადავალ, ოღონო რა წყალი კია, ახლა თლათ დამშრალი იქნება, ზეთ გადავხტები.

— მასთე ჯობია.

— ჰოდა, მასე ვიზამ!..

ლურჯი ნარმის ჩანთა, ერთი კალთა „ბანოჯელი“ და კინწა მსხალი მიმაქვს ძღვნად ბაცია ბებიასთან და ლადიკო ბაბუასთან. ზურგზე მაქვს მოგდებული და მივიცინილომ. ადრეა ჭერ, სიცხე რომ არ იყოს და მართლა ასე პატარა არ ვიყო, კაცი მისვლასაც მოასწრებს და მოსვლასაც. ნე ამალამ იქ ვრჩები და ხვალ ნაშუადღევსაც რომ წამოვიდე, რა მეჩქარება.

კი მიჩენს ეს ზაფხულის ხვათი თავი-რას, მაგრამ რაც მე იქ მელოდება, მზე და აღმური რას დამაკლებს.

რკინიგზას რომ დავადექი, მივხტუნავ განძელებზე და მივდივარ. ბებიას კი ეშინია ლიანდაგზე მატარებელი არ წამომეპაროს, მაგრამ ორთქლმავლის ბაქაბუქი და ბრაგაბრუგი აქედან სახლში მესმის და ახლა რა ღმერთი გამიწყრება ორი-სამი კილომეტრიდან მაინც არ გავიგონო.

ბოგირზე რომ გამოვედი და ტყის ჩავუარე, იქ არ მიგრძენია შიში და აგერ, რკინიგზის ორივე მხარეზე, ჩაის დაბალი ბუჩქებით გადამწვანებულ პლანტაციებში გულმა რეჩხი რატომ მიყო? კაცის ქაჯანება რომ არაა? სოფელს, მარტოდმარტო, ასე შორს რომ პირველად დავცილდი? აქ, თურმე, ძველად რომ უღრანი ტყეები იყო და მგლები დათარეშობდნენ?

მგლის ყმული არა და, საღამოს, ტურები რომ აკვილდებიან, სადღაც აქედან ისმის, მაგრამ ბებია გამომიშვებდა მგლები ახლაც რომ იყოს და ტურები ბავშვებს იტაცებდნენ?

მალაკამდე ხელში მსხვილ ქვებს დავიჭერ და ვირბენ, მერე იქ ქვების მეტი რა ჰყრი, ან რა ჯანდაბად მინდა.

კი გავსავათდი, მაგრამ ჭერ კიდევ ადრე იყო, რომ მივედი.

გამოგვარგვალდა ბაცია ბებია კონდრიან ეზოში, შელანძლულ ხის ქიშკარს მიმდგარი რომ დამინახა.

გავუთენე და გამითენა აღდგომა.

ლადიკო ბაბუა პირველ მსოფლიო ომში იყო დასახიჩრებული, ცალთვალდაშრეტილს თავი უქანჯალუბდა. ამბობდნენ, ისე უღვთოდ ყოფილა ჩხუბში დაჩეხილი, ცხრა თვე გაუნძრევლად გულადმა წოლილა. თავის ეზო-გარემოს და სოფელს რომ არ ვაცილებოდა, ვიფიქრებდი, რა გულალალიც დაიბადა, იმ სიმართლით იცხოვრა და სიავისა და ბორბების არა გაუგია რა-მეთქი. რაც ის ათრიეს და რაც იმ ქლუტვაში თავს გადახდა, რა წაიღო ისე უზღვავე და უნაგარიშო, რომ ერთი კაცის თავზე დაუტევარი ამოდენა სიკეთე უქან ჩამოიტანა. იმ ცალ თვალზე, ჩემი დანახვით, სიხარულის კურცხალი მოაღდა, ამდენის მნახველ და ნატანჯ ბეიბარს. დაშაშრული ხელი ისე უხერხულად „მომიგდო“, ვითომ მისი ბრალი ყოფილიყოს, რომ მე — ისე პატარა, ჭერ ხელის ჩამოსართმევად არ ვვარგოდი. ცოლს, დის ამბის გამოკითხვა არ აცალა: მართა, ბოვშეს ეშეიბაო! (ბაცია ბებიას მართაც ერქვა).

როგორ არ მშოიდა, მაგრამ ნესვი და საზამთრო მშოიდა. ვადაბრეცილი, გამკვარტლული სამზადის უქან რომ დახორხოშებული რიყის ქვის ბალში მწვანე ბურთებოვით იყო მოყენილი.

— სანამდე რაცხას... ვადმოუტანე ნესვი და საზამთრო.

— თვითონ რავარც უჯობს...

იცის, ლადიკო ბაბუამ, რაც მირჩევნია. რალა თქმა უნდა, ეს ბაცია ბებია-მაც იცის, მაგრამ...

— დალაღულია ბალანე... აწი რა მოგვეკლავს, ლადიკო, რალაი ამას მოვესწარით, მარტო მევიდა...

ვადავედი ბალში, რას დანახავს ორი თვალი უკეთესს! რას ინატრებ სულა და გულა. რომელი გინდა, რამდენიც გინდა... ამ ჩემს უფლისწულის განუ-

საზღვრელ უფლებებს ისიც ემატება, საკუთარი, ძელისტარიანე, დეკორაციის-პირიანი ჭაყვა მაქვს. *შეზღოქოქიქიქი*

ვიცი, შორს გართხმულ მწვანე ყლორტებს ფეხი არ უნდა დავადგა. მაგრამ ეს უკეთესიცაა, ამოდენა სიხარულზე, ისიც ბავშვი, ტაბით როგორ ვივლი და კურდღლის ბოცვერივით დავხტუნავ. ჩემია ეს უშველებელი ბალი და ასი და ორასი საზამთრო. იქით კიდევ ნესვი და კიტრი. ამერჩა თვალი, ეს კარგია, მაგრამ ის სჯობია. ეგერაა უკეთესი, იმას იქით ვადასარევი.

რალა თქმა უნდა, საზამთროს ავ-კარგინახობას გარედან თვალის შევლებით და წვიპურტის დაკვრით ვერ ვარჩევ. შარშანდელი მახსოვს, რამდენი მე მოვკრიფე, იმდენი უმწიფარი გამოდგა. ამისთვის, არამც თუ უსაყვედურიათ, წარბიც არავის ვაპლუნვია, მაგრამ საქმელად რომ არ ივარგა, ხომ მივხვდი ტყუილად ვიზარალეთ.

დღეს, ჩემი ქკუთით, ამხელა „კაცს“, ამოდენა გზა რომ ფეხით მარტოდ-მარტომ გამოვიარე, არც შემშინებია და არც არაფერი, შარშანდელივით რომ არ დამემართოს და ისევ არ შევრცხვე, მოდი ასე ვიზამ: ჭაყვით, საზამთროს (მწიფე ნესვს ფერით და სუნით შარშან კი არა, შარშანწინაც ვცნობდი) პატარა, ნეკა თითის ტოლა ოთხკუთხედ საცობებს ამოვკრი, თუ გამოდგა, მოვკრეფე, თუ არადა, ისევ დაუცვამ. რავა მგონია, თუ ქვეყანას ვაქცევ. ვფიქრობ, ბებიას და ბაბუას ვავახარებ, რომ მოვესწარი და აღარაფერი მეშლება.

რასაც თვალი დაედგებოდა, ხომ მოვსპე და ვავაობრე (მეორე დღისთვის საჭმელი და წასაღებიც „შევიგულე“).

იმათი ღვთიური სული წამიწყდეს, თუ ბებიას და ბაბუას ჩემთვის ეგარძობინებინოთ, რომ მე ბალღური უფიცობით და პატივმოყვარეობით ისეთი ზიანი მივაყენე (ლადიკო, ზაფხულის ყოველ კვირა, „კაჭკაში“ ჭაგლაგ ცხენს შეაბამდა და წყალტუბოსა და ქუთაისში საზამთროს, ნესვსა და კიტრს ჰყიდდა. ლეკმაპურის საჭაურე უქირდათ). ეს

მერე, როცა მალაქიდან წამოსულმა ჯოჯობეთი გავიარე, დაგბრუნდი, სახლში მოვყვედი ასე „ქვეყიანად“ მოვიქეცი-მეთქი და ბებიაშვიდი — დაგიქცევია ოჯახიო! მაშინ გავიგე, გაჭრილი კი არა, ყლორტზე ფეხდადგმული საზამთროც ლებდა.

მეორე დღეს მოვდივარ. იულია მამიდას და ილია ბიძის ამბავიც გავიგე და დროა გზას დავადგე. მაგრამ ჯერ კიდევ იმისთანა სიცხეა, ტენის ამოგიღულეხს. მაინც მოადრევე ჯობია წამოსვლა. საშიში კი არაფერია, მაგრამ ბებიაშვიდი აქეთ ექნება და რაც აღრე და მალე გავახარებ, ის არ ჯობია?

ბაციას და ლადიკოს ასე ერთ დღეში გასაშვებად რავე ვემეტები, მაგრამ აწი ყოველ კვირაში აქ ვივლი-მეთქი, ვბირდები და ვაშოშვინებ. ამას გარდა მათ დაშლა და შენი სურვილის წინ აღდგომა რომ არ შეუძლიათ. თავისთვის იწუხებენ და იჯავრებენ, თორემ შენ ამასაც არ გაგრძნობინებენ.

მივდივარ და ჩემი „არჩეული“ ნესვი და საზამთრო მიმაქვს. ესენი ხომ აქ „ავაშენე“ (ერთი კალთა მსხალი მივუტანე), იქ ბებიაჩემი, დედაჩემი, მამიდაჩემი და ძმა მინდა სახარულით ცას ვწიო. იმოდენა ბალის გატილება არავის უსაყვედურია და წასაღებად რასაც თვალს დავადგამდი, ვინ დამიშლიდა.

იმისთანა ტვირთი მაქვს, სახედარს რომ აქეთ-იქიდან გადავიდო, საზიდავად ეყოფა.

საზამთრო როგორღაც ჩაეტია გვირისტით შეეკრიბა ნარმის ლურჯ ჩანთაში. ნესვი ვითომ მომცროს, მგონია გზადავა ილლიაში ამოვიჩრი და ხელს ხალათის კალთას მივუწვდენ. კი მოადგათ მასპინძლებს თვალზე ცრემლი, მაგრამ ეს ჩვენი განშორებისას ყოველთვის ხდებოდა და თუ ახლა იმისთვისაც სტირიან, ამოდენა ტვირთს გვიშვებამდე თითის სივრცე ბავშვი კი არა, მოწიფული ჭაბუკი ვერ ზიდავსო, ამისი რა ვიცი.

ლადიკო ბაბუას მეზობლის ბიჭმა — დოდოკიამ მოაძახა (მისმა დეებმა, შარ-

შანწინ, გოგლი-მოგლი მაჭამეს) ცხენს ბოკილი აუშვიაო, წავიდა და შუაგვიანდა. ბაცია ბებიაშვიდი ამომაცილეს. არც ნესვისთვის მომაცილნა ხელი და არც საზამთროსთვის, ნაკეთებ გზამდე გამომყვა. გასავათლა საწყალი, მაგრამ მსუქანი ქალი რომ იყო, საქნარი უჭირდა და თან პაპანაქება იდგა, მეცოდებოდა, არაფრით არ ვშვრებოდი: დაბრუნდი, დაბრუნდი-მეთქი და მივივრდა, რომ არ მიჭერებდა.

გამომშვიდობებისას მითხრა:

— ჯაყვა ქე გაქ, ბებია, ხოომ?

— კი, ამა არა-მეთქი? — და უბიდან ამოვაძვრინე.

მოვიგდე ზურგზე ჩანთა, მარცხენათი სახელურები მიჭირავს. მარჯვენა ილლიაში ნესვი ამოვიჩარე, თითებით ხალათის კალთას ჩავაფრინდი და ერთ მუქარაზე, სანამ შარავის კიდებზე ეკალ-მაყვლის და იელის ბურღებს მოვეფერებოდი და სანამ ბაცია ბებია თვალს მომაწვდენდა, მარჯვედ ვიარე.

კიდევ კარგი, ტვირთი ორივე მხარეზე მაქვს, თორემ ცალ ბეჭზე რომ მეკიდოს, წამიღებს. ორივემ ლამის მე ამიწონოს და ასეთი დასაბალნებული, ისიც ნესვით და საზამთროთი, თურმე, შენ ივლი?!

ასიოდე ნაბიჯზე გამწყვიტა წელში და ვიცი, შარას კიდე-კიდე უნდა გავყვე, მაგრამ ხან შუა გზაზე გამოიყვანს, ხან ამომშრალ, აბალახებულ წყალსაწერეტ არხისაკენ მიმაქანებს. უკან საზამთრომ ზურგი ჩამინვრია და ჩანთის სახელურებში გამოყრილი თითები გამილურჯდა. გვერდზე ნესვმა ფერდი შეიტანა და ზედ შემოშვრილი მკლავის უმწიფარი ძელები რკალად მომელუნა. ცხვირზე რომ ოფლი ჩამომდის, პირში რომ არ ჩამელვაროს, სულს ვუბერავ.

გადაექანდი დამაბუნებული, გზის კიდიდან გადავედი ნაპირებჩარღვეულ, შეფარებულ არხში. იქითა, ომბალომოდებულ ნაპირზე ჩავჯექი. ჩავექე კი არა, დავემძევე, რაკი ტვირთის მიწაზე დაყრის ნება არ მქონდა—დასკდებოდა.

მივიხედვე უკან, თავზარი დამეცა, ჯერ არაფერი გამომივლია და მეტი კი აღარ შემიძლია. აწი, ცარიელაც რომ გამიშვა, სახლამდე ვეღარ მივალწევ და ამ ტვირთით ხომ ფეხზეც ვერ წამოვდგები.

რა ექნა, თავი რა წყალს მივცე, აღარ ვიცი. ბებია ამ სალამოს, შუის ჩასვლამდე მიმელის... ასე მაინც არ მომეხარებინა, ცოტა იყო ასარჩევი და „არჩევა“ არ ვიცოდი თუ? იმოდენები მაინც წამომელო, ჩანთაში ორივე ჩატეულიყო. მხრიდან მხარზე გადავიტანდი და ხელსაც მოვიწაცვებდი. ამ მზესაც თუ ასეთი ცეცხლი ეკადა, რატომ არ მგონა?

შუისაგან რაღაცას ვისაშველებ, აგერ, გვიმრის და იელის, ან ეგერ, ეკლის ხის ფოთლებისაგან მწვანე „ქუდს“ „მოვიქსოვ“, მაგრამ ტვირთს ვერც ეს შემომისუბუქებს.

მოვირგე „ქუდი“, ჩავხობდი არხში და საზამთროიანი ჩანთა რომ ზევით დარჩა, სახელურში თითები ისე გავუყარე, მხარზე მოსაგდებად ზედმეტი ჯაფა არ დამდგომოდა. ნესვიც, წაწოლილმა, ილღიაში მოვიქციე და ხალათის კალთა თითებში ჩავბლუქე. წამოვიწიე და წამოვკექი, მაგრამ წამოდგომა ხომ გინდა? ვერაფრით მუხლი ვერ გავმართე. არხის პირის ჩაქანებაზე გადავიხრები უკან, ავიქნე ტანს, იქნებ წამოვიწიო და წამოვბოროდიდე. მაგრამ დევის ტვირთს ნაცარქექია ზიდავს? კარგი, ნესვს დადებ აგერ ებოდზე და ზურგზე მოდებელი საზამთროიანი ჩანთით, როგორღაც წამოიშართები, მაგრამ ამოდენა ნესვს ცალი ხელით აიღებ, ილღიაში ამოიღებ და ისევ წელში გასწორდები?

გზაზე ვილაყა მოდის. ჩანჩურა კაცია, ქუსლჩათელი წულებს მოაჩლატუნებს, ცალ ხელში წალდი და მეორეში თავჯღიანი ქაცვის გასხებილი ტოტები უჭირავს, უღლის სატაბიკედ თუ მოჭრა. მეჩაივ ქალების ფართოარიანი კილის ქუდი აქვს თავზე ჩამოფხატული, ალაგ-ალაგ ციდაზე გარღვეული.

ზურგს უკან მოგდებულ საზამთროიანი ჩანთას ვეფარები, გვერდზე უმოდებულ ნესვს ვაჩენ, რომ ზემოთ სიხარბე გავანახებრო, და თუ დამინახა, სირცხვილმა არ დამწვას.

გზის იქითა კიდეზე მიჩლახუნობდა, თან არეჩამოვლამული ქუდი გადმოფერდებულადაც ეხურა და არ დაუნახივარ. რაკი გადავრჩი, სულს რაღა დავებრავდი და, მით უმეტეს, შემწეობას როგორ შევებდავდი, რომ არ ეთქვა: „ბებია, რასაც ვერ შეწვდები, რატომ ეპოტინებო“.

გადავრჩი ამჯერად სირცხვილს და ქვეყანაში გამოქენებას. უნდა მოვინდომო, როგორმე, რამეფრად, რამენაირად რკინიგზამდე მივალწიო. იქიდან ქვევით დაეუყვები. ჩაის პლანტაციებში, თუ მაინცდამაინც დღეს მკრეფავი ქალები არ არიან, კაცის ჭაჭანება არ იქნება.

ტვირთავიდებულმა, როგორც იქნა, წამოვიჩოქე, მერე ჩოქელა არხის კიდეს ავყევი, ფერდობზე მუხლი სანახევროდ გავიმართე და სახსრებმა მართლა დაიჭრიალა, თუ მე მომესმა, წამოვდექი. წამოვდექი, მაგრამ არხის ფკერზე თუ ვივლი, თორემ კიდის შემალღებაზე ასეღა არ შემიძლია. გავყევი ასე ერთხანს ბარბაკით და ნაურმალს წავაწყდი. შარავზიდან ბუჩქნარში გადაუხვევიათ, ალბათ, პლანტაციებში სამუშაოდ. და ხარს და ბორბალს, წვიმიანში, არხის კიდეები ჩამოუზღვევიათ, გზაზე მკვეთრი ასასვლელი მოუშლიათ.

გამოვბოროდიედი ისევ შარაზე და ახლა სული რომ ამომხდეს, რკინიგზამდე უნდა მივალწიო. იქამდე მილწევა რას ნიშნავს არ ვიცი. ვითომ იქ საკუთარი მატარებელი მელიდეს, ან ჩვენი სახლი იქვე იდგას.

მადლობა ღმერთს, არავინ ჩანს და სანამ გზა და კვალი ჩემია, უნდა გავწყდე წელში და ვიარო და ვიარო. რკინიგზაზე შარავზის გადაყვითასაც იმდენზე უნდა ჩავშორდე, ასე ტვირთმხარბებელი თვალში არავის შევეჩხხო. ამისთვის უკეთესია, როგორმე აღრე

ჩაუხვები, ჩირგენარში საქონლის ნაკ-
ვალეუს გავყვე და გზა მოვკრა, მაგრამ
საცალფეხო ბილიკზე რომ პირდაპირ
არ ვიარო და ზიგზაგები ვხაზო, ეკალ-
მაყვლის ბურღებში ჩემი ტვირთიანად
გადავვარდები...

ლიანდაგის რელსები გაპარპარებუ-
ლია, ხელს ვერ დააკარებ და ახალი
განძელებიდან მახუთი მოდულს. რკი-
ნიგზის შეგორავენებულ ხრეშის კიდე-კი-
დე არც აქეთობას მივლია, კეფხზეც
თვალეები მესხა, თორემ განძელებზე
მოვხტუნავდი და მოვდიოდე. ახლა,
ჩემმა მტერმა იხტუნაოს ისე — ხტომის
და კუნტრუშის თავი მქონდეს, მაგრამ
ამ განძელებსაც რომ ნაბიჯს ვერ ვუწ-
ვდენ. მათ შორის მანძილი კაცისთვისაა
მოკლე, თორემ მე, ცარიელ-ტარიელ-
საც, მიჭირს ფეხის გადგმა. არადა, რკი-
ნიგზის იმედი მქონდა, თითქოს ტვირთს
შემიმსუბუქებდა, თუ რალაცნაირად მი-
საშველებდა.

ხრეშის ჩაქანებაზე ჩავშავდი, ზურ-
გით მივწეკი და ნესვი და საზამთრო
განძელების თავებში ჩამოვაწყვე.

მორჩა, ამ ტვირთით მუხლის გამმარ-
თველი აღარა ვარ. თუ დიდხანს დავის-
ვენებ (თუმცა, არა მგონია დასვენებაც
კი ოდესმე რაიმე ძალას დამიბრუნებს)
და ამ ხრეშთან ფერდობიდან ისევ
ტვირთმოკიდებული წამოვდგები, ლიან-
დაგამდე ჯერ აღმართი არ ამიშვებს და
მერეც ხრეში ჩამომეშლება.

გზის გადაკვეთას კი ჩამოვცდი, მაგ-
რამ იქვე, რკინიგზელების მკვიდრად
ნაგები სახლია, უთუოდ ვინმე ცხოვრობს
და ამას გარდა, შარაზე არავინ გაიაროს
არ იქნება.

ერთადერთი გამოსავალია ცალ-ცალ-
კე ვათრიო ნესვი და საზამთრო. წავა-
ჩანალო ერთი, რამდენხეც შევძლებ,
დავდო რომელიმე ძველ, მახუთგამომშ-
რალ განძელზე, რომ აღუღებული კუპ-
რით არ გავთხვარო, მივბრუნდე, უკან
მიმავალი ცარიელა შევიტყვენებ, და მე-
რე მეორე წავაბორძიკო.

მივდივარ, მივცოდვილობ. მივართვე
ჯერ ჩანთით ზურგზე მოგდებულ საზამ-

თროს და მერე მუცელზე დადებულ,
ერთმანეთში თითებშეცობელ ხელე-
ბში მოქცეულ ნესვს.

პატარა ნიავემა წამოუბერა და გავარ-
ვარებულ რელსებზე და განძელებზე
აღუღებელი მახუთის მყარალი ორათ
წაიღო, წაიღო რომ სული მომეთქვა,
თორემ ოფლად ისე ვარ გაღვრილი, ნიამ-
ვი კი არა, ზამთრის ზენა ქარი ვერ შე-
მაშრობს.

მზემ კარგად გადაითავდაღმართა და
ვითომ დაცხრასავით, მაგრამ გახურებულ
ხრეშზე, მყარლ განძელებზე და გავარ-
ვარებულ რელსებზე მე ჩემი მიინც
მჭირს და თანაც მალე დაღამდება. ვი-
თომ რა დამაჯენს, ან აქ ჯდომა საკირე-
ში ჯდომას უდრის და მივჯახირობ,
ვბრუნდები უკან, ისევ მივლოდავ და
სამამად მიხდება გზის გავლა. ჩემთვის
ერთი რა იყო, სამგზობა რალა იქნებო-
და?

ვერაფერი ვუხერხე. გადავწყდი, გავ-
სავთდი, გავსკდი ნალველაზე, მეცლე-
ბა დღე ხელიდან და გზას ბარაქა ვერ
დავაყარე. საცაა საღამოსის მატარებე-
ლიც ჩამოივლის და ცალი თვალი უკან
უნდა მეჭიროს, არ წამომეპაროს და სა-
ზამთროსა და ნესვის გადათრევა რომ
ვერ მოვასწრო, ჩამეყარა წყალში ამ-
დენი კუპრში ხარშვა და ჯოჯოხეთის
გზაზე ბოგინი.

ჩაიგრილა არხინად მატარებელმა,
კაპიკად არ ჩაუგდია ჩემი, ხრეშის მი-
წაყრილის ძირში ჩავორებული ნესვი
და საზამთრო. მე მოშორებით ვიყავი,
ორთქლმავლის ჭამრავ ბორბლებთან
ახლოს ჯდომა ვერ გავებდე. ის კი არა-
და, ზოგჯერ ცხელი წყლის გამომშვება
რომ იცის, იმის შიშაც მქონდა, მიინც-
დამაინც მაშინ არ მოინდომოს ჩემს
ტვირთს რომ ჩაუვლის და არ დამიმ-
დულროს-მეთქი.

რკინიგზაც გათავდა (უფრო სწორად,
მე გადაუხვებე). მზეც ჩავიდა, ნიავეც
გაძლიერდა და ღრუბლებიც ამოყარა.

ერიპა! აქედან ნახევარი არა, მაგრამ
ერთ მესამედზე მეტი გზა და მე სულ
აღარა ვარ.

ბერბოგირზე დღისუღით უნდა გადავალწიო, მართლა იმოდენაზეა ჩატეხილი, ნესვი კი არა, საზამთროც ჩატევა, და ღამით წყლიდან ეშმაკმა რომ მოინდომოს ამოტომა, ბეწვს არ წამოდებს, ისე ამოძვრება.

წამომებურძგლა თავზე ბალანი. რაღა დასვენება მიშველის, მაგრამ მაინც ხომ მინდა და ამის მერეც თუ აქეთ-იქით ვიარე, ისიც ამისთანა დაღმართში და უკან — აღმართში, მომხედა ღმერთმა, დაღამებას ბოგირზეც ვერ გადავასწრებ და არც წყლის გაღმაა ჩვენი სახლი. ზურჯინი რომ მომცა, მხარზე გადავიდებელი თუ ვერ წამოვდგებოდი, დავიხლებდი, ზურგზე გადავიდებდი და ანელ-ნელა, სახედარივით ვივლიდი. ან ტომარი მქონდეს, გავრწყავდი და აქეთ-იქით მოვიქცევდი. ახლა რა გამოდის? საზამთრო უკან მქაჩავს, წინ ცალი ხელით ნესვის სიმძიმით ვეჭაჩებ, მხარიც გადამაღლიტა და ნესვიც ცალკეა სათრევი.

ჩაყვა მაჭვს, გადავალ ავერ, რკინიგზის კიდზე, არის ტყის ნარჩენები და ეკალ-მაყვლები. ჭაშკეტაც იქნება (ლიანებს ვეძახით) მოვჭრი, რაც შეიძლება გრძელს, და ხრამის პირზე იქნებ ნესვს ისე შემოვაბანდო, საზამთროიანი ჩანთის სახელურს გადავაბა. მერე ჩავდგები ხრამში, კბოდედან დავითრევ მხარზე და იმ ორწოხებში როგორმე ისე წავგახირობდი, უკან დასაბრუნებელი არ გავხდე.

ჭაშკეტამ ჭრელი ლუჯუხოს ხეზე იცის აყოლა. არც სხვას წუნობს, მაგრამ ლუჯუხო ურჩევნია.

გამოვგლიჯე ეკალ-მაყვალს ორი ღერი ნეკა თითზე წვრილი ჭაშკეტა, უფრო მომსხობები ღრმად იყო, ბურღებში, მაგრამ შიშით ცხვირი ვერ შევყავი. შემოვადე ნესვს, ვითომ გადავხლართე, ჭვარდინად შემოვატარე, ვსაკვენი და ვაბოკნი. მივაბი ჩანთასაც, ხრამის პირას მივაჩოჩე და რაღაცნაირად მოვიდევით მხარზე, მაგრამ ჭერ მაშინვე წამილო და ციკაბოზე მიმაწვინა. მივაშველე ხელი კედელს და ორი-ორზე

ბინდღაწოლილ ორწოხს ჩაუყუცი. ღამდება. მოაქვს ქვენა ქარსა და ნაგავლოვი მიწის მტვერი, მაყრის ცხვირ-პირში და მოერეება, მთელი თვეა ცას წვეთი რომ არ ჩამოუგდია, წყლით გარუმბულ შავ ღრუბლებს.

რამდენი ჩავივაცე, ხრამი დადაბლდა და მდინარის პირა მინდორზე ცხრაფეხა კიბოსავით გვერდზე-გვერდზე წავედი. თან ამ წვრილ ლიანებში უვერგილოდ გახლართული ნესვი აპირებს თავის დაღწევას და ორივე ხელით მიჭირავს.

ჩამოაკუნაბეტა ცა ლეგა ღრუბლებმა. მდინარეზე გადავასწრო იქნება, ვიდრე გზას კიდევ ვარჩევ, რომ არ ჩავიჩეხო, ან ბოგირის ქვეშ, ბნელში თავშეფარებული ეშმაკები და ჭინკები სანამ აიშლებიან. დამაყარა ტანზე ხორკლი და თავზე თმა ამეზღარბა. ჩატეხილი მორებიდან, ჩავლისას, ბანჯვკლიანი ხელი რომ მომიწვდინონ და ჩამითრიონ...

წინაწინ იცინიან და ხითხითებენ, თუ წყალი ჩხრიალებს და ლიკლიკებს, მდინარის ხმაური გუშინ, იქითობას, რომ არ გამოიგონია, ახლა რა გადარევედა, ჭერ არ გაავდრებულა.

ისევ გრუხუნებს და დევბია, თუ ნაგავლეჯზე რომ იცის, ისეთ ჭეჭა-ჭუხილს და დელგმას აპირებს, ჩემი ტვირთის პატრონს, გაფიცრებულ-გარკინებულ მიწა ვერ მიძლებს და ესეც რომ ალაფდეს, ქვესკნელში ჩამიტანს. მხარი რომ გადამეღლიტა ამას ვინ დაეძებს, მაწვება ზურგში საზამთრო, მკერდში — ნესვი და ერთმანეთს ისე უნდათ მიეტყუბონ, შუაში რომ მე ვარ და ნეკნი, ძვალი, ხორცი და ფილტვი მაჭვს, ამის გაგება არაფრით არ უნდათ. ჰაერი აგრილდა, მაგრამ ამათ გადამაკიდეს სუნთქვა მაინც არ მიხერხდება. ძალისძალით თუ ჩავითქვამ, ამოთქმა არ მჭირდება, თვითონ ამომიორეკავენ.

წაწალი ქვენა ისევ და ისევ ფეხმარდად მოერეება შავ ღრუბლებს, მგონი საღლაც დაიგრუხუნა, თუ დევები დაიძრნენ ვაითუ, ისინიც ამ ბოგირზე გა-

დიან და მათმა სიმძიმემ ჩატეხა? კი, დევის ფეხი ჩაეტევა, იზოდენაზეა ჩანგრეული.

ბოგირის ბურჯებზე გადებული ვეება, შავი, მუხის ძელების ქვეშიდან, სადაც დღისითაც ბნელა, ლუსკუმი წყვდიადი მოქშუა და ქვეყანას ეუფლება.

ვაიმე! აყრილა ავი სული, ქაჯი, მავნე, მაცდური და არული გაუმართავთ... ხორხოცობენ ხიდქვეშ, ყიპყიპებენ, ჩიფჩიფებენ, კორკოცობენ, პირში თითებჩაჩრილი დასტვენას ცდილობენ, სიცილი უსწრებთ და ვერც ახერხებენ.

შევედქი ბოგირზე, მაგრამ სადღაა ბოგირი. ქვევიდან ასწიეს და საცერით აცეკვებენ. მაინცდამაინც უნდათ იმ ხერგლს მიმაგდონ და ჩემი საზამთროიან-ნესვიანად შიგ ჩამცრან. აქეთ მოვიწვევ, უმოაჯირო ბოგირზე რა დამაგარებს. გავაბაჯაჯინებ ფეხებს, იქით დამაქანებენ, იმ მხარეზე უნდათ გადამიძახონ. აქეთა ნაურმალში ჩატეხილია. იქით უნდა გავყვე, მაგრამ როგორ გავყვები, როცა ჩახეულ საცერზე ფეხილში ამოსვრილი ჭიანჭველასავით მარილებენ.

მიმაგდეს, მიმაგდეს ხერგლთან, მოვიწვევ, ვექაჩები, ვაწვები აქეთ, როგორმე, რამეფრად ფეხი არ ჩამაცდენინონ. მოაქვთ ჩემსკენ მთელი ამოდენა ბოგირი, ანჯღრევენ, აძანძალებენ, აქანავებენ. მე, თავზარდაცემული, ჩემსას არ ვიშლი, ისინი, — სიხარულით აფუთფუთებულნი, თავისას და არ ვიცი, მათ შორის იყო ვინმე გულსაწყალი და ხელი მკრა, თუ განწირულმა მე თვითონ, შიგნიდან ვუბიძგე საკუთარ თავს, ვაღმა კი აღმოვჩნდი!..

ქვევით ჩამითრევენდენ ეგონათ და ახლა, ვაწვილებულები, ამოცვივდებიან, რაღა დაამაგრებთ. ვიცი, კისერზე შემაჯდებიან და მარბენინებენ, მაგრამ უკან ცოცხალი თავით არ წავყვები, მდინარეში რომ ჩამითრიონ. რაკი მიწაზე ვარ, თუ წავიქცევი, ბრჭყალებიანი ხელი თუ არ წამიჭირეს და გამგუდეს, წყალში მაინც არ ჩავიხრჩობი.

ბოგირის შემალლებიდან რომ ჩამოვ-

ბორძიკდი, აშრიალდნენ, აქუშქუშდნენ, აწუწუდნენ, ამოიწყანენ, გზის ცდევებზე ეკალ-ბარდებში შესუნსულდნენ, გადარბიან, გადმობრიან, ფეხის ბრჭყალებით ფხოჭნიან გამოგვალულ ნაურმალს, ჩაულვაშებულ სიმინდის ყანებში გაშლეგებული დაჯირითობენ, უკრავენ ტაშს, ცეკვავენ კუდაკაბიწებულნი, უსტვენენ, აგლეჯენ ფოთლებს სიმინდს და სოია ლობიოს. აფენენ, ბღღვნიან, წეწვენენ, ძირიანად თხრიან: მესვრიან, ყრიან გზაზე, დააფრიალებენ...

გამოვრბივარ, მგონია, მაგრამ ვისი ან რისი გამსწრები ვარ, ერთი ფეხის დაკვრით დაწინაურდნენ, გზაზე კორიანტელი დააყენეს და ცხენიანი კაცის სიმაღლე ყანებში დიდი რბევა-თარეში აიტეხეს.

ამოვაძვრინე, ცალი ხელით, უბიდან ჯავვა. კბილით გავშალე და მუჭში მოქცეული მოვიმარჯვე. თან ამ მუჭს, ლიანებში გახლართული ნესვი რომ არ დამისხლტეს, მეორე ხელს ვახმარ.

შუა ყანებში ვარ, რომ წამოუშხივლა და წამოაგორგორა, თუ დევები წამოვიდნენ, აალიანცეს და აარიალეს მთელი ქვეყანა. ნაურმალი გზის პირზე ჩარიგებული ქაჩეკალას ვეება ხეები გზაზე უნდათ წამოაქციონ და თავში დამცენ. ქაჩეკალას (გლედიჩია) ციდა ეკლები აქვს. მე ისე გამაბრტყელა ნესვმა და საზამთრომ, სადაც არ უნდა მკრან ეს ხანჯალივით ეკალი, მეორე მხარეზე გამიწვეს.

ჩამოვიდა მიწაზე ღრუბლები, თუ დევებმა შავი მთები მოზიდეს, ჩემ თავზე დააჯახეს ერთმანეთს და შეაზანზარეს დედამიწა. ამასობაში ჭინკა წამომეპარა და წალუნულ კისერში ცივი ბრჭყალი ჩამისო, თუ ასე ტყვიასავით ცივი წვეთი დამეცა, კოჭებამდე კი გაიარა და გინდა მგელს შეუტამივარ და გინდა მგლისფერ ძალღს.

ჩამცხო და ჩამცხო, ჩამცხო და ჩამცხო, მაყრის კოხივით.

მინდვრამდე, როგორმე მინდვრამდე თუ არ მივალწიე, აქაურნი წებზე ტალახი რომ დამედება, მხარზე მთები მკილია.

ზედ, ბრწყალეზიანი ჩლიქების ტკაპატკუპით, ეშმაკები ცეკვავენ და ფეხებზეც თუ დოლაბები დამეკიდა, მშვიდობით ოქროს ზოდების საფასურო ქარვის ნესვო და ზურმუხტის საზამთროვ. მშვიდობით ბებიას სიხარულო და მოსწრებავ, მშვიდობით გამწარებულო დედაჩემო და უცნობო მამაჩემო, მშვიდობით ლურჯო ცავ, თეთრო ღრუბელო და წითელო მზევ...

გაანათა ეს ლუსკუში ბნელი, მაგრამ იმისთანა გაანათა, თვალები დამთხარა, მაშინვე გასკდა თავზე მეხი და დამაყრუა. ველარც ვიხედები, აღარც არაფერი მესმის, გული აქამდე მიფართხალებდა, ამოდიოდა ყელში და კბილს კბილზე ვაჭერდი, არ ამომხტომოდა, თორემ ახლა გასკდა და რაღასი უნდა მეშინოდეს, ან რითი უნდა მეშინოდეს.

ახლა ესლა მკლავს, ვიცი, მეხი ეშმაკს დასდევს. ეს ურჯულო მე კისერში მაზის, დაარტყამს და ზედ მიმაყოლებს. წელან საღლაც, აქვე კი დაპქრა, მაგრამ მაინც დააცილა. ისევ გაანათა, და ისევ დააქცია, უკვე დაქცეული ქვეყანა. ტორტმანებს ფეხქვეშ მიწა, ირყევა. ვერ ზიდულობს ზედ დანარცხებულ, წყლად გახეთქილ ცისიერს. თუ ამქერადაც გადავჩი, სულ ერთია,

ბოლოს და ბოლოს, ხომ მაგის წერა ვარ და ბარემ დაერთვა. ქეჩოში მოქცეული ვეშმაკურთმ მემეცილებინა, იქნებ გამრიდებოდა. ვიცი ეს და ვაფურთხებ:

— თფუი, ეშმაკს! თფუი, ეშმაკს! — მაგრამ კისერში მაზის და თავჩარგულს საღ შემიძლია ჯაყვა მივუწვდინო, ან პირი მოვებარუნო და იმ დაპყანულ სიფათში მივაფურთხო.

აღბათ ისევ მოვდიოდი, მაგრამ გონებადამნელებულს ამაზე მეფიქრა, საზამთროზე და ნესვზე, თუ უკუნ წყვდიადში რომ ელვის მათრახები თავში მცემდა და მეხი ყურის ძირებში მისკდებოდა. მთელადნენ, მასარტალებდნენ დევები, მასხამდა კოკისპირული, მივქონდი წყალს, მეწყერს, ქაქს, ჰინკას, ეშმაკს, სატანას...

შიშმა დაღლა, ტვირთი, ტკივილი და წელისწყვეტა კი არა, თვით შიში დამავიწყა და დამითრგუნა.

სახლში მივედი კი არა, ეზოს ბოლოში კბოდზე ასატოტინებელ ალაგზე როგორ გადავედი და გადავართიე ორი, დედამიწის ტოლა ნესვი და საზამთრო, მას აქეთია ვიხსენებ, ვიხსენებ, ვიხსენებ და ვერაფრით გამიხსენებია.

გათხროვდა...

ბებია დამხობილა იატაკზე, თავსაფარი მოუგლეჯია და მოთქვამს:

— ამდენ ხანს რა გიჭირდა, შვილოოო... ამდენ ხანს ცოცხალი მყავდი, შევილოოო!.. ამდენ ხანს მკვდარი არ გეთქმოდა, დედააა!..

ბებიას მაშინ ოთხი შვილი აკლდა. მოთქმა და გოდება ჩვენ ოჯახში ვის უკვირდა. ყველაზე ბოლოს მამაჩემია გარდაცვლილი და მას აქეთაც ცხრა წელიწადია გასული. რაც მახსოვს, ბებიას თვალზე ცრემლი არ შეშრობია, მაგრამ დაჩოქილი, ხმით მოთქმა და დატირე-

ბა, მაინც რაღაც ახალი უბედურება უნდა იყოს.

ბებია მისეთი გულის გამგმირავი მოთქმა იცის, იმდენად დიდია მისი სევდა და ვარამი, მისი თვალის უბებში შესეული ღრმა ნაოჭები და უჭრედებად დაყოფილი დამჭკნარი ლაწვები ცრემლს ისე იტაცებს და ინაწილებს, მთელ სახეს ულუმბავს და კურცხალი მარტონიკატან კი არ ენასკვება, დაკმუჭული ლოყებიდან, ბებიას ფართო სევდასავით, მთელ გულისპირზე შრავალ ნაკადად მოღვარღვარებს...

ამ დროს მოხუცის გლოვა იუდას აატრებს. მე კი გულს, ფილტვებს, ღვიძლს და ნაღველს ერთად ამომბღღუნის, ამოაქვს, აწვება ქვევიდან და რაკი ყველაფრის ერთად ამოგლეჯა და ამონთხევა მომინდომა, ყელში ვერ ატეხვს, მკუდავს, მახრჩობს, მაშთობს.

— ვაი, შენ დედას, უბედურს და ბედდამწვარს, შვილოოო! ვაი და ვუი, შენ შავდლიანს და შავ ვარსკვლავზე გაჩენილ დედას, შვილოო! შალიკო, შვილოო, შვილო, დედააა!

მამაჩემს მოთქვამს.

ნინა ბებია გადმოვა (ბებიას მახლის-ცოლია) — ქორჭაშვილის ქალი. ყურს აკლდა, მაგრამ ალბათ გრიგოლ ბაბუამ გაიგონა ბებიაჩემის გოდება და უყვირა: ვადადი, გაიგე რა მოხდაო!

— აჰ, ბოშო!.. — ხელებს აფენს ნინა ბებია, ავსა და ბოროტს, ჭირსა და სნეზას არ იკარებს. — აჰ, ქრისტიანა... — თვითონაც ცრემლი ერევა, მაგრამ იკავებს, სატირლად და სათავცემოდ ღმერთმა ნუ ჰქნას საქმე — აჰ, ბოშო, უბედურობა შორს, ქარს და ნიავს... — ისევ ხელებს ასავსავენ, ავს არ იბედებს, უნდა შენც გაშოროს... — აჰ, ხო ყველაფერი კია...

— აჰ, რა დროს კია, რას ამბობს ეს ოჯახქორი!.. — მესმის აივანზე სვეტს მიყუდებულს ზურგს უკან. ნინა ლევა-ვას ქალი მოვარდნილა (ბებიას უფროსი მახლისცოლია). სახე აფორაჭებია, ტალეზად აყრია სიწითლე. გზიდან მოუვლია, გრიგოლ ბაბუას ეზოზე ვერ გადმოვივლიდა. მისივე სახელმოზარე რძალთან უმძრახადა. ახლაც იცის ის ვერ გაიგონებს და მის ბოდისებებს და ავისა და ბოროტის განდევნას ატრიზავებს: ვითომ, რა დროს ესაა, რა ჭირს ამ შავდლიანს ის იკითხეო.

სამსაფეხურიან ხის კიბესთან შეჩქვიფებულ ქორჭაშვილის ქალს წინ უბრად, ჭიქურ გაუვლის და ფარდალა აივანის იატაკზე რაღაცა ჩამოსაჯდომი უნდა იპოვოს. თუ ვერაფერი მოიძია, იმის ქალი როდია იატაკზე, ბებიაჩემივით, ფეხი მოირთხას.

— რა ამბავია, ქრისტიანა, დეიქა/ქვეყანა?

— დეიქა, ნინა! დეიმბაქი ნინა! დეიქა ილუპააა!..

— რა მოხდა, ოტოია?! — მე მომიბრუნდა, დიდ ოთახში რომ ფეხაკრეფით ვაპირებდი შეძრომას, სელის სკამის უმაჟუროდ გამოსატანად.

მხრებში ჩავძვერი.

— აჰ, ბოშო, ყოლიფერი კია, ყოლიფერი ბედნიერი... ავი და ბოროტი შორს, შორს... ქარს და ნიავს... — ქოთქოთებს კიბესთან მეორე ნინა.

— გადაგრეეს ეს ადამიანს! — კილავს უმძრახ რძალს ლევა-ვას ქალი და ჩემ გამოთრეულ, იქვე კარის წირთხლთან მიდგმულ სკამზე მუხლებმოსავებული ეშვება.

ჩამხობილი ბებია ხელბაპყრობილი წამოიწია და მე მომამოთქმა.

— დედამისი... ბედდამწვარი და ბედდათუთქული...

— ა, ცუცას რა მოუვიდა, ქალო, არ შემშალო! — სკამიდან გადმოიწია ლევა-ვას ქალი, მოსაკიდებლად გაკრული ასანთის ღერი ცალ ხელში შერჩა, მეორეში ტარიანი პაპიროსი.

— აჰ, ბოშო, კია ამბავია ხომ? — იკითხა მეორე ნინამაც და მომაჩერდა, მისი გუშანით, მე მაინც უნდა მქონოდა თავი, მისთვის ამეხსნა რა მოხდა.

— დედამისი... ცუცა, უბედური... ცუცა ხანდამწვარი და ბედდათუთქული... — გა-თხო-ულა!.. — ხელახლად ამოიმოთქმა ბოლოს და ბოლოს.

— აუჰ, რა გვიგონა ეს ჩემმა ყურებმა! — შემოირტყა ცალი ხელი ლოყაში ნინამ.

მე რაღაცამ მეხივით რომ თავში დამკრა, კოჭებამდე გამიარა. ერთი კი დავბურბურესალდი, მაგრამ მაშინვე, კიბისკენ არც მიმიხედავს, დავკარი ფეხი, აივნიდან გადმოვხტი და ჩემსკენ ხელბემოშველებული მეორე ნინა რომ ძალდალ არ ჩავაგდე, მიხვდა, ჩვენ თავს რაღაც დიდი ღვთისწყყრომა დატრიალებულაო და ატირდა:

— აჰ, გლახა ამბავია ხომ...

მაშინაც გავიქეცი. ჯერ ახლოს ნა-
ლიის ქვეშ შევევარდი. იქ ოთხი ქვის
ბარჯვის მეტი არაფერია, რომ თავი მივ-
მალო. მერე ჭის გვიმის იქითა მხარეზე
ჩავიჩოქე, მაგრამ იქვე გზაა, თუ ისევ
ბებები მიშლიან ხელს, იციან სადაც
ვარ ჩამოხბილი. არადა, ასე შემოვას-
დები გულს, ამდენს ვერაფრით ვერ
ავიტან. წამოგვარდი ისევ, მთლად გუ-
ლად გადაქცეული და ერთიანად გასას-
კდომად გაბერილი. გავიქეცი, გადა-
ვახტი ეზოს ბოლოში, აკაციის ძირთან
ალაგეს. შუკის იქით ტყემლის ძირში

მოძიგველი ღობე გადავთელე და ნავე-
ნახარში, სადაც მამას გაშენებულნი ნამ-
ყენი მწვანე და ცოლიკაჟღერავეჭერით,
მომვლელი კაცი რომ აღარ იყო, მისი
დარგული თხილები კი ამ თავიდან ბო-
ლომდე ჩასდევდა გრიგოლ ბაბუას ვე-
ნახის საზღვარს, იმ თხილებში შევძე-
ვი. დავემხე ნაჩრდილავე ეკალ-მაცვლიან
მიწაზე და ცრემლად გახეთქილი ვსა-
სავებ ფეხებს და ფრჩხილით, კბილით,
ცხვირით ვთხრი მიწას და მივძვრები
შიგ.

სახეღარი

ეზოს და ნავენახარს შუკა ჩაუდიო-
და. ნავენახარის ქვევით, გლედიჩიების
(ჩვენ ქაჯ-ეკალას ვეძახით) მწყრივამდე,
საყანე იყო. იმას იქით კი ვრცელი მინ-
დორი — ბეკნარა.

ბეკნარა თავიდან დამრეცია მხოლოდ
და არა დაღმართი. ქვევით და ქვევით,
ჭყუტა მსხლის მიღმა, ლაშისპირებთან
გაივაკებს. მინდორს შევაკებამდე ვეება
პირლია ხრამი ჩასდევს. არ ვიცი, რო-
დის მოედინებოდა შიგ იმდენი წყალი,
ან საიდან, კაცის სიმაღლე და ზოგან
ათი ნაბიჯის სიგანე ხრამი რომ გათხა-
რა. რაც მახსოვს, ბალახიანი იყო.
ფსკერზე, ალბათ, უფრო ნოტიო რომ
იყო, უკეთესი ბალახი იზრდებოდა. რაც
არ უნდა დიდი წვიმები წამდგარიყო,
ნიაღვარი კოჭებს ძლივს გვიფარავდა.

ვერ გეტყვით, როდის და რამ გათხა-
რა, მაგრამ ეს ვეება ხრამი კი იყო და.

ბეკნარა თეთრმიწიანია. ადრე ფაც-
ხებს ლესავდნენ ამ მიწით. იგივე ფაც-
ხებში, ძელურებში და ფიცრულ სამ-
ზადებში სოხანედ ტყეპნიდნენ. ომამდე
სააგურეც კი ააშენეს, მაგრამ თიხას
შიგადაშიგ რუხი, შავი პილპილის მარც-
ვლებივით, ქვაგუნდა ურევია, გამოწ-
ვას ვერ ეგუება. გახურებისას ეს ქვა-
გუნდები სკდება, თუ იშლება და აგუ-

რი უხარისხოა. გამოუწვავ აგურს კი
დასავლეთ საქართველოში წვიმა და ნე-
სტი დაშლის (და ეს, რატომღაც, მერე
შეიგნეს, როცა ქარხანა ააშენეს).

სააგურე რომ მიატოვეს, კარგახანს
იდგა გადახურული საშრობი თაროე-
ბით გრძელი ფარდული და გამოსაწვა-
ვი ლუმელი, სადაც წვიმაში და სიცხე-
ში, არა მარტო მწყემსი ბავშვები,
ცხვარ-ძროხაც კი თავს აფარებდა.

ჭყუტა მსხლის ძირიდან, იმ წლებში,
სააგურის ფარდულეებში გადმოვინაც-
ვლეთ. რა თქმა უნდა, კუჭუმალულო-
ბიას თამაშისას მარტო მოფარებულს
კი არა, შესაძრომსაც და ასაძრომსაც
იშოვიდა ცქვიტი ბავშვი.

იყო, როგორ არ იყო, წამოჩინებული
ბიჭისთვის, ისეთი რამ, თუ მარტო არ
იყო, რაც ერთხანს შეიქცევდა, გაარ-
თობდა და ბავშვობის მოგონებად დარ-
ჩებოდა. თუნდაც ბებერი, გულგამო-
რუებულნი ჭყუტა მსხალი რად ღირდა.
სააგურის აშენებამდე სიცხისაგან, წვი-
მისაგან და ავი თვალისაგან რომ გვიფა-
რავდა. ან მინდვრის ბოლოში ლაშე და
ლაშისპირის ბაყაყები.

ფერხდრეტივებიან ანკესებს ვინ
მოგვაშავებდა, მაგრამ მკვდარ ბაყაყს
რომ გავატყავებდით, თეთრ თუნთულა

ბარკლებში რომ ქილოფის ღერს ჩავაბამდით და წელამდე ლაშის წყალში ჩავეკიდებოდით, მარჯვე, ნებისყოფიანი ბიჭი ხუთიოდე ფეხმაკრატელა შავ კიბოს მაინც დაიჭერდა.

ლაშის წყალი მომწვანო-მოყვითალო შემღვრეული ფერისა იყო და ბაყაყჩაბმულ ქილოფის ღერს რომ ღრმად ჩაუშვებდი, აღარაფერი ჩანდა. ალბათ, კიბო ამიტომაც ეტანებოდა, რომ ჩვენ ვერ გვხედავდა.

დიდი სიფრთხილე გვმართებდა. ნაპირიდან, რომელიც წყლიდან ერთი ან ორი მტკაველით თუ იყო მაღალი, ცალი თვალით უნდა გადაგვეჭირება და ქილოფის ღერი ისე შეუმჩნევლად ამოგეწია, ბაყაყჩა ხორცს ჩაფრენილ კიბორჩხალას არაფერი გაეგო. მაგრამ ბოლომდე სიფრთხილეც არ გიშვებოდა, წყალს ზევით რომ ამოგეტრია, ველარ გაიგებდა? აი, ამ შემთხვევებზე წყალში რომ დალანდავდი, თვალით თუ დალანდავდი, თორემ მოკიდებულნი რომ იყო, ამას თავიდანვე სიმძიმით გრძნობდი, დალანდავდი კიბოს შავ უღვაშებს, წვრილ, დაკარკულ მუქლურჯ თვალებს, შუბივით წაწვეტებულ რქოვანა ცხვირს აქეთ-იქით გადმოცვენის და ახლა გვირდებოდა საზრიანობა, გულადობა და სიმარჯვე. თავიდან თვითონაც უყვირდა, თუ ცნობისმოყვარეობა სჭირდა, მისატყუარს მაშინვე როდი მიატოვებდა. სანამ დაცეცებული გრძელი თვალებით შენზე იყო მოჩერებული, მარცხენა ხელით რომ მწვანე ქილოფის ღერი გეჭირა, გვერდიდან წყალში მარჯვენა უნდა ჩაგვეპარებინა, ბალახიან ნაპირზე გადამხოზობის, და ხელი გეტაცა. ვიმეორებ, მარჯვენა ხელი წყალში გვერდიდან ისე, რომ კიბოს ზურგი მუჭში მოგეჭკია, არც რქოვანა წამახულ ცხვირზე წაგეხია თითი და არც მაკრატელებში მოჭკეულ თითში სისხლს რომ გაგადენდა, თავს ვერც მერე დაიხსნიდი.

იყო, როგორ არ იყო...

რცხილნარაში წისკვილისკენ მიმავალი

2. „მნათობი“, № 6.

საურმე გზა რომ ჩადიოდა, ზოგჯერ თითო-ოროლა მჭადა სოკოსაც წააწყდებოდი და თუ ამინდები გააძარცვებოდა, დილაუთენია, აღმასის ცრემლებით დანამულ მინდორზე მტრედის და ქათმის კვერცხისტოლა მარგალიტბევით ეყარა ობოლი რძისფერი ქამა სოკოები, სანამ არ გადმოაბრუნებდი, არ დავანახებდა აბრეშუმით ნაქსოვ კაკაოსფერ გულს.

პირველ-მეორე კლასელი ბავშვი რომ სკოლიდან ბრუნდებოდა, ჯერ კიდევ დილა ეთქმის. გაზაფხულის და, მით უმეტეს, ზაფხულის დღე წინაა. არადღეგები იყო და დილიდან საღამომდე მინდორში უნდა დაგელამებინა, მაგრამ ახლა უკვე სხვა იყო: ტყე შავი და საშიში კი არა, სამითხე ვახდა: სიგრილე, წიამპლო (ველური, წვრილი მარწყვი), მყუვალი, შაშვის ბუდე და ჩხართვის ოინები; ლაშეში: ბაყაყი, კუ და კიბორჩხალა; ხრამში და ხრამის პირზე — ბეკზე (ალბათ ბეკნარაც ამიტომ ჰქვია მინდორს, თორემ მეტნაირი ბეკები და ბეკობები იქ არაა), ავდრიანში ენგვიანი უტარო დანით გამოჭრილი მტკაველიანი ბუხრები, შიგ დალუმპული წვრილი ფიჩხი და ლოცვა:

კიბო — კიბონობლა,
 დანა — სამართობლა,
 შენ დაანთე ცუხლი,
 შენ გაათბე მწვემსო.

ამ ბოლო დროს კიდევ მიტოვებულნი საავურე...

უკვე, შვიდი-რვა წლის ბიჭს, ასე ვაგლახად შავი ძროხაც ველარ გიბედავს ჩრქოლას...

ნამდვილად შეიძლებოდა ცხოვრება... მაგრამ თურმე ეს რაა! ბედს ჩვენი განებვივრება მოუსურვებია და ბაიბურში არა ვართ.

ჩვენს მეზობლად (კოტა მოშორებით) ცხოვრობდა მამას მობიძაშვილი, უღარესად მართალი, კეთილი და საწყალი კაცი — ენუქი. ენუქი მეურნე იყო, თავის და კოლეტივის საქმეს ვერ წვდებოდა და მუდამ გამოლალული და

ს. კარგაძის ნაწ. ნაწ. სსრკ
 სსრკ-საქართველო

დაძებუნებული მახსოვს. ამ კაცს ჰყავდა ძმა ქუთაისში, რომელსაც სამედიცინო ინსტიტუტი ხარკოვში ჰქონდა დამთავრებული წარჩინებით. ალბათ თავის საქმესაც კარგად ფლობდა, მაგრამ, მგონია, უფრო კარგი ფსიქოლოგი იყო, ზედმიწევნით იცოდა ყოველნაირი ავადმყოფობის კირვეული ხასიათი და უფრო ენთ არჩენდა, ვინემ წამლით და დასტაქარი იზიტომ ვახსენე, რომ თუ ვინმეს რამე წამოტყვივდებოდა, მასთან გარბოდა და არ გამოიგონია კიციკოს ეთქვას, ამ ავადმყოფობას ვერ ვუმკურნალე, ჩემი ხელობა არააო. ქალაქისა და სხვა სოფლებისა არ ვიცი და, მარტო ჩვენი სოფლიდან კი არა, ჩვენი სათემოდან (თემში სამი სოფელი შემოდიოდა) გასამრჯელოდ კაპიკი არ აუღია, თურმე არც ქუთაისის თეატრის მსახიობებიდან. ეტყობა, მაინც დიდი პრაქტიკა ჰქონდა. აქაც — სოფელში კარგი ხის ოდა წამოკიმა და ქალაქშიც ეზოიანი, მრავალთახიანი ბინა შეიძინა.

სამი ვაჟი ჰყავდა იმ ჩვენს ნათესავ ექიმს, სამივე ჩემზე უფროსები. მაშინ სათამაშო ავტომანქანები კი არა, მგონი, ველოსიპედებიც კი არ იყო. მამა რომ ავადმყოფებთან ეტლით და ცხენით დაჰყავდათ, შეილებსაც ეტლი და ცხენი მოესურვებინათ. როცა სურვილთან ერთად შესაძლებლობაცაა, წინ რაღა დაუდგება.

ეტლი ისე პატარა კი არ იყო, შიგ ბავშვს ჩაჯდომა ვერ მოეხერხებინა, მაგრამ თუ ერთი ძმა ჩაჯდა, მეორე და მესამე შეემა და არბენინა, ეს რა სიამოვნება? ეტლს, მოგეხსენებათ, ცხენი სჭირდება. ცხენი დილია, კვიცი კია პატარა. მაგრამ კვიცს დედა უნდა და არც ეტლში შემბული გაგიჩერდება. იფიქრეს რა ექნათ, რა ექნათ და სახედარი გაახსენდათ. ვინმე იკითხავს ამდენი ფიქრი რატომ დასჭირდათო, მაგრამ ქვემო იმერეთში სახედარი მხოლოდ დახატული თუ უნახავთ, ან ზემო იმერეთში და ქართლ-კახეთში გავლით თვალს თუ მოუყრავთ. კირი მაინც ვი-

რია და ახლად ძუძუმეიტოვებული ჩოჩორი ეყიდათ (სად და როგორ ჩამოეყვანათ, არ ვიცი).

ჩოჩორს მოვლა და პატივისცემა არ აკლდა და არც დიდი ჯაფა ადგა. ქალაქში, პატარა ეზოში, სათამაშო ეტლს დააგორებდა და პატარა ბიჭებს დაასეირნებდა. ბავშვები ნელა, მაგრამ ჩოჩორი ჩქარა იზრდებოდა და მალე ვირი გახდა; ატება ყოოყინი და ერთი დავიღარაბა. ქალაქი მაშინ წყნარი იყო და იქაურები სახედრის „გალობას“ მიუღწევდნენ; თვით პატრონსაც ვერაფრად ეუბნებოდა...

ერთხანს ბავშვები მაინც ვერ შეეღიენ, თავლა დაუგმანეს და სარკმელზე სქელი ჯვალო ჩამოუფარეს, მაგრამ სახედარს თავისი საქმე ბნელშიაც არ შეშლია...

არ იქნება, კი იქნება, დატუქსვა, მოფერება, შეგონება, წახალისება... არაფერმა გაჭრა, თავის დრო უტყუარად იცის და პირზე ქერით საესე თოფრაც რომ ჰქონდეს აცმული, „ამღერდება“. რა ჯანი იყო და გადაწყდა, რა თქმა უნდა, გაყიდვა და გადაკარგვა არც უფიქრიათ, სოფელში წამოეყვანათ ბავშვების ბიძასთან, შაბათ-კვირას ივლიდნენ და მინდორში ნაბალახები და ნაპატიები სახედარიც იქ ეყოლებოდათ.

მაშინდელ დედაენაში დახატული იყო ვირზე ამხედრებული ბიჭი, რომელსაც წინ გამოწვდილ ჯოხზე თოკით დაეკიდებინა მუტა ბალახი. რაკი მხედარს სხვა მხრივ ვერ მოეხერხებინა ჯიუტი „ბედღურის“ გაქვება, ასეთი ხერხისთვის მიემართა...

ჩვენ არც ზემო იმერეთში ვიყავით ნამყოფი და. მით უმეტეს, ქართლ-კახეთში.

ასე რომ, სახედართან ჩვენი ნაცნობობა, სულ ეს იყო.

და ამ დროს, აგერ!.. ჩვენ მინდორზე, ჩვენ თვალწინ!.. დღისით, მზისით... არც გვეჩვენება და არც გველანდება... ციდან ჩამოეშვა, მიწიდან ამოძვრა, მოვიდა. მოფრინდა (ჩვენ ხომ მანამდე არ

ვიცოდით საქმე რაში იყო). აგერ, ა, ცოცხალი, ნამდვილი, მოლურჯო-მოთეთრო, მშვენიერი, ნანატრი სახედარი არ დაბაკუნობს!

არა მგონია, მაშინდელ რომელიმე ჩემს თანატოლს ამაზე ოცნება გაებედა, ამაზე დიდი სიხარული თვალით დაენახა და გულით განეცადა!

ა... აგერ, ა... ხრამის პირზე ზევიდან, თვალნათლივ, თვალხილულად, ჩანს რა ჩანს!.. მოციხტრო, მოთეთრო მოლურჯობლისფრო... რა ვიცი, ფერიც კარგი აქვს, ფეხებიც, თავიც, კუდიც და ყურები ხომ აქვს და აქვს! რას დაინახავს უკეთესს თვალი და კი ხედავ, მაგრამ დაჭერება ხომ გინდა?!

აგერ, ამ სააგურეს ფარდულეებიდან უცქერი, მართალია, ბარჩხალა მზეა და ჰაერი ისეთი სუფთაა და კამკამა, მინდორზე კი არა, ღრუბლებზე, ჩვენთვის რომ მოიცალა, იმ ღმერთს დაინახავ, მაგრამ ახლოს რომ მიხვიდე და აღარაფერი დაგხვდეს! მართლა დღისით და მზისით არაოდეს, მაგრამ ღამით, შებინდებისას, უმთვარო და მთვარიანშიც, დაკარგულ ძროხას რომ ეძებ, რამდენი რამ მოგჩვენებია და მოგლანდებია. კარგი, მე ღრუბლებზე მაინც ვხედავდი ფრთიან სახედრებს და რაშეხს, მაგრამ ჩემი ძმა? სხვა ჩემი მეზობლები და თანატოლები!

— ბიჭოია, ხომ მართლა სახედარია?

— ბიჭოია ჩვენზე უფროსია, ჩვენზე მეტი ჰქუა უნდა ეკითხებოდეს.

— ინდიკო, მაგ სიმალლე რომ აყლან-წულხარ, კარგად დააკვირდი!

— ბუღუ, შოთაია, ვიტალი, გამოიხედეთ თვალში!

— რეზო, ზალიკო! იორამა, შე მაკვარანცხო!..

— კუკურია, რომ დაგილია პირი, რაა ბეჭე რომ დგას და დაუცქვეტია გაღასარევი ყურები!

— გოგოებო, ამ სიცხეში რომ ერთმანეთს მიჰუქვინხართ, თქვენც ხედავთ?..

იორამი მაინც უტეხია და უშიშარი, გაუფრთხილებლად დაადგა გზას. იხუე-

ლა, გოგოების გარდა, დიდმა და პატარამ, გავცვივდით, მაგრამ — მოიცათ! იო, მოიცა, ჩვენს აყევი? გაჩერდი, ზალიკო, შენ! ასე რომ მივჯლოვინდეთ, რომ გადაიკარგოს?! მთლად რომ გაფრინდეს?!.

— გაფრინდეს რა, ჩიტია? — უკვირს იორამს.

— იო, იო! მოიცა, გაიქცევა ეს უპატრონო!

— ამ მინდვრის იქით. სად წავა?! — არ ჩერდება იორამი, ქაჯს დაიჭერს, ჰგონია და სახედარი გაუფრინდება?

— ძაან იცი შენ!

— რა არ ვიცი, ბიჭო, ვირია!

— მამაშენს, ბიკიას, თორმეტი ჰყავს და იცი...

— რომ არ გყავს, ვირი არ ვიცი, ბიჭო, მე?

— მოიცა, იო, გაჩერდი! ბუღუია, უკან დეიწი; შარვანი, უთხარი შენ ძმას რაცხა. ბიჭოია და ინდიკო, რომ აყუდებულხართ, მოილუნეთ წელში! ხრამს გავეყვით ასე, ნელა, ნელა, ფრთხილად...

— ზევიდან დოუვლი თავს! — გვამცნო იორამმა.

— არ უნდა მაგას თავის დავლა...

— ენუქისაა, ქუთაისიდან ჩამოუყვანეს, ნუ ურევ!

— ქუთაისში სად ჰყავდათ თუ იცი?

— მაგის ძმას ჰყავდა.

— მისი ძმა ვირის მწყემსია?

— ეჭიმია.

— შერე, სად ეჭიმი და სად ვირი. გაჩემდი შენ!

მივიპარებით ხრამის კიდეზე, მაგრამ ხრამი ქვევით ჭერ კიდე დაბალია და გაშლილი. ბიჭოიე და ინდიკო კი არა, ჩვენც წელში წახრილები მივილალებით. თანდათან სიღრმეში შევდივართ და უფრო ხრამის იმ კედელს ვეკვრით, საითაც ეს მშვენიერი არსება დგას. დგას, აპარტყუნებს ყურებს და კუდს ზურგზე და ფერდებზე ირტყამს. მივიწვეთ წინ, მაგრამ ამოვარდნაზე მაქვს გული, ახლოს რომ მივალთ და დაგვიანახავს, რას იზამს, იშვერს ფეხს და

გადაიკარგება? თუ დაკრიჭავს კბილებს და ჩვენკენ წამოვა, თუ პირიქით, შებრუნდება და წიხლებს ტყუპ-ტყუპად მოგვაყრის?

რაც უნდა ის ქნას, ოღონდ არ გაპქრეს. იყოს აქ, შორიდან დაგვენახოს და უბატონოდ ხმის გამცემი არა ვართ. არა, კაცმა რომ თქვას, რამდენი ვუახლოვდებით, იორამიც კი ფრთხილობს, რა იცი, მართლა ასე, ძროხა და ცხვარი კი არაა, ან თუ გინდა ცხენიც...

ჩვენ რომ შიშით და ძრწოლით გული გვიფანცქალებს, ვუახლოვდებით, ვუახლოვდებით და ეს დალოცვილი ისე დგას, მგონი კიტრადაც არ გვაგდებს, ჩვენსკენაც არ იხედება. მართალია, ბეკს ზევით ცალი თვალით თუ ავიხედავთ, მაგრამ თვით ხრამის კედელიც არაა შევეული, რომ საიმედოდ მოეფარო, მთლად რომ ზედ გაეკრა, თუ მოიხედა დაგინახავს და ვაი თუ იშვირა ფეხი და მოგვამა ჰირი, შენ მერე იცი-თხე.

იმ ბეკის ძირში მიეხურხლეთ, რომელზეც დგას... და ვითომ არაფერი, არადა ოთხ-ხუთ ნაბიჯზეა ჩვენგან.

მართლა ხარ, შე დალოცვილი? ასე პატარა, ასეთი კობტა, მუჭისტოლა ფლოქვებზე შემდგარი?!. შენ ბელტა შაურიანის ტოლა ნალი გეყოფა. ასეთი წვრილი წვივები როგორ გიმაგრებს? მოთეთრო-მოჩალისფრო მუცელი, ცობტა ქვევით დაშვებული კი გაქვს, ვინემ კვიცებს, მაგრამ ახლა შენ რომ გიყურებთ, გვგონია, კვიცია კოჭმალალი და მუცელგამწლელი, თორემ შენ ვინ გაკადრებს რაიმე უშნო და ულაზათო გაქვსო. მოშავო ქვიჭვირიც ცხენივით ფუმფულა და ნაზი უნდა გქონდეს. თვალისფერი ჯერ არ ჩანს, იქით იხედები, მაგრამ, ბუზი რომ გესევა და ყურით იგერიებ, პირდაპირ გადასარე-ვია! მთელ ქვეყნად ღირს. დედამიწის ზურგზე შენისთანა ყურები არაფერსა აქვს. შეიძლება გიყუროს ადამიანმა თვალმოუცილებლად ყურებზე და იცინოს და იცინოს...

ზურგი? ზურგი ხელის გაწვდენაზეა.

არც მალლა, არც დაბლა. ჩაბლობში დაყენება არც დაგვირდებოდა, ბალღი ისე გადაგაჯდება. დაუკიდე! ცხვირწინა ჯიხზე, ერთი მუჭა ბალახი და მოუსობს! ისიც ბედნიერებაა, რომ ბევრი ჭკუა არა აქვს, რომ იცოდეს ბალახს ვერ დაეწევა, თუ მართლა ისე ჯიუტია, ნაბიჯს ვერავინ გადაადგმევინებს...

ღმერთო ჩემო, ვის რა ჯანდაბად უნდა მავის სირბილი! სარბენად, საქენებლად და ოთხამოსალებად ცოდვაცაა, მართო საცქერად არა ღირს? ზურგზე რომ ხელი გადაგასმევინოს და შენი მობღღენილი ბალახი, შენი ხელიდან ჰამოს, ცას ხელი არ მიგიწვდება?..

შოთა მიძვრება მალლა დაოთხილი, დაუოკებელ ქინს აყოლილი, შეშინებული და აფოლორცებული უკან იხედება და იქყანება. იცინის, წინდაწინ რომ იცინის, წამწარდება, თუ სიცილი ჰქვია ამ სიცილს!

— შოთაია, არ გადაიროო!..

— უკან, ბიჭო, უკან დაიხიე!

— შოთაია-თქვა!

მოიხედა... სახედარმა მოიხედა და დაინახა!..

ისეთი, ვარის კვერცხისტოლა, თვალები აქვს... ქლიავი და ტყემალი ჩვენთვის უცხო ხილი არ იყო, რომ მისი ლურჯი თვალებისთვის შეგვედარებინა. უკეთესი რომ არ გვინახავს, ის იყო. თვითონ ის იყო შესადარებელი და მშვენიერების საზომი. ბედაური რომ ბედაურია, ახლა ისიც უშნო მოგვეჩვენებოდა, ბლაგვფლოქვებიანი, ყურმოკლე, აყლაყულა, ძუაგაცოცხილი და, მით უმეტეს, შემოდგომაზე რომ ბირკა ბალახის თესლი დაედებოდა და კუდის ძირამდე გაბელთილი კვეყასავით უხეშად ეკიდა. ვირის კუდი კი ტყავის წმინდად ნაწნავი მათრახივით მოქნილი ყოფილა და წვერში ქუჩიჩივით ერთი მუჭა ძუა აქვს.

შოთა რომ დაინახა და ბუზად არ ჩაუგდია, ვიშვირეთ ფეხი და ხრამიდან ამოგვივდით, შურით გულზე გასიებულინი, რომ მან გაბედა ეს და არა ჩვენ. იორამი ფეხზეც კი წამოღდა და

მართალია მოიარებთ, მაგრამ წინაც კი დაუდგა.

მინდოდა მეყვირა: რას შობი, არ დაგელუპო-მეთქი! მაგრამ სახედარი არ წუხს, არსად გაქცევას არ აპირებს და შენ ვინა ხარ, რომ წინასწარ თვალებს იხბრი?!.

გოგოებიც კი მოცივდნენ და კარგა მოზრდილა წრე შეეკაოთ, სახედარი შუაში მოვიქციეთ, მაგრამ შენც არ მომიკვდე, ამდენი ბავშვი რომ დაგვი-ნახა, მგონი ეამა კიდევ, რაკი ბალახიც კი წაწიწნა და მიბრუნდ-მობრუნდა კი-დეც. მართალია, წრე ოვალური იყო, თავისკენ და განსაკუთრებით კუდისა-კენ დაგრძელებული, რაკი წინ კბილები ჰქონდა და უკან წიხლები, მაგრამ მალე დავრწმუნდით, რომ ესეც ამოი შიში და წინდახედულება გამოდგა.

ეს დალოცვილი, დაბადებული და გაზენილი იყო ჩვენთვის. თუ ოცნებას ახდენა უწყრია, ის იყო. თუ ადამიანს ბედნიერების წუთები აქვს, ალბათ, იმ წუთებს დაერქმევა.

ღვას შუაში, რა თქმა უნდა, უცხო-დაა, მაგრამ ნაბაი რომ იყო და უცებ თავი იალაღზე ამოყო, სირბილი და მალაყების ყრა კი არ დაიწყო, სიხარულ-მა, ცოტა არ იყოს, დააბნია. ეტყობა, პატარებიც უყვარდა, რაკი თავლას რომ თავს დააღწევდა, ბავშვებთან იყო და მზე და ქვეყანა ბავშვებთან განუყო-ფელი ვგულებოდა. ასე რომ, თითქოს ჩვენ გველოდა და, მართალია, სამ ბიჭ-ზე ბევრად მეტნი ვიყავით, მაგრამ მე-ცნიერებით და, მით უმეტეს, ისეთი მშრალი მეცნიერებით, როგორც მათემატიკა, თავს დიდად არ იტყვიებდა.

თუ თავლა და დილეგი სულს გბდის, მინდორი, მზე და ბავშვები გენატრება, და ერთ დღეს ეს ყველაფერი თავსაყრელად გაქვს. ახლა იმიტომაც ხომ არ უნდა ითავებო. ამდენ ბედნიერებას ვერ ავიტანო? იქნება ეს მართლაც ასეა. მაგრამ ის დალოცვილი ვორივით ატანი გამოდგა და ჩვენ გაგვიკრდა გვერ-წმუნა, რომ ის ჩვენთან იყო. თვითონ ამა დასახლებულ ჯილდოდ თვლიდა

და რომ იტყვიან: „უნახავმა რა ნახათ...“ ასეთი არაფერი დამართნია. ყველა ჩვენთაგანმა, დაწმუნებულმა ვარ, არ იცოდა, თუ ვირი ყროყინებდა. ვინც ვიცოდით, ის არ ვიცოდით რას წარმოადგენდა, ნანახი და მოსმენილი კი არ გვექონდა.

ის-ისაა ზღაპრული ფასკუნჯივით, მაინც გოჯი-გოჯ ვუახლოვდებით და მაინც რომ გვეგონია, ფრთა ფრთას არ შემოკრას და არ გაფრინდეს, მოულოდ-ნელად, არაფერზე რომ ოდნავი წყენა და უგუნებობა სახეზე არ დატყობია, მოწყვეტით აიღო თავი, წაყარა ყურე-ბი, მოწყურა თვალები, დაალო პირი, დაჯღანა კბილები, ხროტინით ჩაითქვა სული და მორთო მარა რა მორთო... ჩვენ ხომ დაგვზაფრა და გული გაგვი-ხეთქა, თვითონ თუ არ იხრჩობოდა, ან მაშინვე ორად მაინც არ გასკდებოდა, ვის ეგონა. მერე ხომ აღარ მოათავა და აღარ მოათავა. უკან გაქცევა რომ იმ-წამსვე მოვიწოდებთ, ამაზე აღარ გვი-ფიქრია, მაგრამ შიშზე ისე როგორ და-ვიბორკეთ, რომ გოგოები და ბიჭები, ყველა წაიქეციეთ. წამოდგომა რომ ვერ მოვახერხებთ, ფორთხვით გავცვალებთ და უმცროსებმა ყურებზე ხელებიც კი აიფარეს.

დავიღუპეთ!

ამისთანა გასაკირში ჩავარდნილს და ასე განწირულად აყვირებულ-ახროტი-ნებულს თუ რაიმე გადაარჩენდა, რაეა გვეგონა.

ბოლოს, ისე ერთბაშად ჩაწყნარდა, როგორც მოულოდნელად წამოიწყო ეს დავიდარაბა და ბალახიც კი წაწიწნა, ვითომ ქვეყანა დაექციოს კი არა, ბუ-ზიც არ აეფრინოს.

ავგიტყდა სიცილი, მაგრამ რა სიცი-ლი!.. მიწაზე ვეყარეთ და ადგომის თავი გვექონდა კი არა, ფეხზე რომ ვყოფი-ლიყავით, წაიქეცოდით. ვიკისკისეთ და ვიხიხით. არ ვიცი, ასეთი სასა-ცილო მანამდე არაფერი გენახავს. თუ ასე ხმამაღალი იმისგანაც გადაგვედო, იმდენი ვიხიხით და ვიკოტრიხით. თვალებზე დასაღუპით ჩამოგვედო.

ცრემლები და სახედრის ირგვლივ ბალახი ერთიანად მოვასარგალებ.

ბოლოს და ბოლოს ვიცინებდით, ვიცინებდით, დავიღლებოდით და გავჩერდებოდით, მაგრამ თვითონ რომ ყურს არ იბერტყავდა, ვითომც რა მოხდა უცნაური და საკვირველიო, ამაზე ვიჭაპებოდით და ეაწყებოდით მიწას, ერთმანეთს და მუჭით ბალახს ვბღღვნიდით.

არაფერი მინახავს იმაზე მშვენიერი, გულუბრყვილო და ასე გულის შეღონებამდე სასაცილო.

იმ დღეს დაიქცა ყანა, იჭირითა საქონელმა ტყეში და აფხანა კისერი რცხილას და მუხას. გადაგვირჩა შეუქმელი ცივი მჰადი და ნატეხი ყველი, იმ დღეს არ გავვიგია, როდის დაღამდა, იმ ღამეს გავვიტყდა ძილი და არ დაადგასაშველი გათენებას.

მეორე დღეს, თუ ჩვენ ახლო-მახლო, იმდენი ბავშვი იყო, ვის ეგონა! უნდა გენახათ ჩვენ — გუშინდელნი, სახედრის „ძველი ნაცნობები“ რა დღეში ვიყავით და დღევანდელ „უვიცებს“. ზევიდან რა სიამაყით დაეცქეროდით. და არც ერთი მათგანი ამას არ თაქილობდა და ყველა პირში გვივარდებოდა...

ბედნიერება კარზეც რომ მოგადგეს, თუ მისი ფასი არ იცი და კარები ფართოდ არ გაუღე, რად გინდა. ჩვენ არაფერი შეგვეშლია. თვითონაც გულუხვად და გულღიად მოვიდა, მაგრამ ჩვენც გულით და სულით ხელგაშლილი დავხედდით და არც ის დაგვმართია, ბებია რომ იტყოდა, ხატს რომ თვალს შეაჩვევენ, ნაფოტად მოეჩვენებათო. ყოველთვის, ზედმიწევნით ვიცოდით მისი ოქროს ფასი და ვიცით ახლაც.

თქვენ მერე და მერე უნდა გენახათ, სახედარზე ჯდომა რომ დავიწყეთ. თუ გგონიათ ეს იუკადრისა და ტლინკები გვაყარა. არც ის უქნია, რომ გვეგონა, ფეხს მიასობს და ჯოხზე ბალახი თუ არ დავუციდეთ, არ დაიძვრებაო. თავიდან წკნელს და სახრეს ვინ აკადრებდა, მაგრამ „აჩუ, აჩუ, ცხენო, უნდა გაგაქუნო“... „უნაგირი ვერ გიმოვე“... „ჩემი

ცხენი თოხარიკი“... და მისთანაწიე ჰყოფნიდა საქმეს.

სირბილისა და ოთხამოლებულ კენებისათვის მართლაც არ იყო გაჩენილი, მაგრამ არც ჩვენ ვიყავით უმადურები და საჭლიგინოდ და ნალველის ჩასაქცევად არ გვემეტებოდა. ასე ულაგმოდ და უუნაგიროდ სეებედნიერად დაგვასეირნებდა და ღმერთს რავა შევცოდავდით!

დრო გადიოდა-თქო, ვერ ვიტყვი, მგონი გაჩერდა, მაგრამ ადამიანის გული ხომ... ახლა მთლად ისე ვერ ვიტყვი, „ზარბი“ და „გაუმჟღარია“-მეთქი, მაგრამ ცოტას კი არა, ბევრსაც რომ არ ჯერდებოდა, იმ დღეებიდან ვიცი.

ღმერთმანი, ერთი სახედრისათვის, ნამეტანი ბევრი ვიყავით. იმ დალოცვილს კი-ქჟონდა იობის მოთმინება, მაგრამ ჩვენ ვერ ვაჯობეთ ჩვენ ბავშვობას და სულმოკლეობას.

მთელი დღე ორჯერ, დიდი-დიდი სამჯერ არ მოგვიწევდა ასე ნანატრი ამხედრება. ადამიანი, თურმე, მაინც ადამიანია, შიგა და შიგ ძალმომრეობამაც იჩინა თავი და უსამართლობამაც. უფროსმა და ღონიერმა კაცობაშიც არ იცის სუსტის და ალალ-მართლის დაზოგვა და ბავშვი და ისიც სახედარზე სულწასული, რომელსაც ჰგონია, ჯიბიდან კი არაფერს გიღებს, ვირზე ჯდება, შენ დაგზოგავს? არადა, ჯიბეები მთლად რომ დაექრა, იმაზე სახარბიელოს ვის რას წაართმევდი. ვერ ვიტყვი, რიგი და წესი: ასე უჩაღურად დარბეულიყოს. მაგრამ, მგონი, იორამი იყო, რომ რომელიღაც ჩვენზე უმცროს ბიჭს, სახედარზე რომ შევსვით და სახედარს ჩაღისღერად მოეჩვენა... ჰო, იორამი იყო, უკან შემოუჭდა, ვითომ სუსტს რიგი არ წაართვა, მაგრამ ვირივც ასეთი უმწიშველო ტვირთისათვის არ „გასარჯა“.

აღმოგვხდა სიმწრის ოხვრა და შევიცხადეთ. ასეთ პატარა და ასეთ წვრილწვივა არსებზე ორი მუტრუკის შეჯდომა, გვეგონა ბედნიერებას ხელიდან გამოგვაცლიდა და ცა თავზე დაგვეცემოდა, მაგრამ ეს ჩვენ შემოვარტყით თავ-

ზე ხელი, თორემ სახედარი ისე წაბა-
უნდა, როგორც ამას თითო მხედრის
პატრონი აკეთებდა.

ა, ახლა ჩიომხლებს და დაეცემა! აი,
ახლა გაუტყდება წერილი წვივის ძვალი
და დაემშვიდობე! ააა, ახლა ჩაედრე-
ბა წელი და ჩაუტყდება!..

აბა, მიდის და მიბაკუნებს, უტყლა-
შუნებს კუდს წვივებზე მხედრებს. მი-
იარ-მოიარა და გაჩერდა. იორამი ჩამო-
ხტა, აღტაცებულია — ეს რა აღმოაჩი-
ნა! ორ ბიჭს შეუძლია, თურმე, ამხედ-
რება და ჩვენ, უგზურები, ვაცდენდით
და ვცდებოდით.

თავიდან მაინც ვერ გავბედეთ და
ორ პატარას — უმცროსს, ან ტანჩიას
ვარჩევდით და ვაწყვილებდით. მოზრ-
დილები კვლავ თითო-თითო დავსეირ-
ნობდით. საქმე გაიჩარბა, უმრწემსნიც
არ იჩაგრებოდნენ და ერთ ხარჭშიაც
გამოვდიოდით.

მერე ერთი დიდი ბიჭი, ერთ წრიბას
ზურგზე მოისვამდა და ისე დაართი-
ნებდნენ. მერე და მერე შეეჩვიეთ,
რომ ორი მხედარი, მოზრდილც რომ
ყოფილიყო, ქვეყანა არ დაიქცეოდა და
ბოლოს ორ დიდ ბიჭსა და სამ პატარას
შორის არაფერი განსხვავება უნდა ყო-
ფილიყო.

სამი პატარა ან ორი დიდი. მთლად
საათივით აეწყო საქმე. უკეთესს რომ
ვერ ვინატრებდით. გოგონებს: შავტუხა
სუსტ ფულიეტას, ოქროსთმიან ფაცუ-
ნიას, ან ჩემ ბიძაშვილ—ნაზიკოს, ვირ-
ზე შესმას როგორ „ვაკადრებდით“,
მაგრამ ამისთანა სანახაობის მასურებ-
ლებს ბედის სამდურავი რა ეთქმოდით.

მაგრამ ეს შესაშური მოთხინების პა-
ტრონი სახედარი, ვერაფრით ოთხ მხე-
დარს ვერ შეეგუა. ერთი, უთუოდ იმი-
ტომ, რომ როგორც სიმალლე არ ჰქონ-
და, ისე სიგრძე-სიგანე არ გააჩნდა,
ასეთი გაუთვალისწინებელი ტვირთისა-
თვია. მეორეც, ვირი კი იყო, მაგრამ
მის შესაძლებლობასაც ჰქონდა საზღ-
ვარი. ურჩობით არც ეს უტურჩებია, მაგ-
რამ ამ ზურგზე დაუტევარი ტვირთით
აუცილებლად ხრამისკენ გასწევდა,

კბოლედან წინა ფეხებს ჩადგამდა, და-
ხრიდა თავს და წინა, ქეჩოზე წამოს-
კებულს, ფაფარზე ჩაფრენილს, ხრამში
წელა ჩააცურებდა.

ეს გადმოგდება პირველად იყო ცოტა
უჩვეულო და მოულოდნელი, თორემ
„დამარცხებული“ მხედარი რომ მაშინ-
ვე გახარებული წამოხტა, რომ არაფერი
სტყენია და თანაც ასეთი „გმირობა“
ჩაიდინა, მერე ამას რაღა ჯობდა. იყო,
არ იყო ადგილი, მეოთხე ეტმასნებოდა
და ებლაუჭებოდა „მხედრობის“, რომ
წინა „გაეწირა“ და სახედარიც ხრამის
პირისკენ მიბაკუნებდა ამ უსაშველო
ტვირთის შესამსუბუჭებლად.

სახედარი უსათუოდ ღამით ბალახო-
ბდა, თორემ დღე ვინ მოაცლევინებდა.
მართალია, გახდა, დაიკლო და ზურგის
ძვალი ამოეზარდა, განსაკუთრებით წი-
ნა მხედარს გადავარდნამდე ჯდომა
უჭირდა, თორემ მეორეს, მესამეს და,
მით უმეტეს, მეოთხეს რა უშავდა.

ჩვენ კი ვიზრდებოდით მისგან მო-
ნიჭებული ბედნიერებით, მაგრამ თვი-
თონ ყოველთვის იყო ის, რაც იყო;
ისეთი თვინიერი, ერთგული, თავდაუ-
ზოგველი...

სხვათაშორის, ჩვენთან სახედარი რომ
არ ჰყავთ, არც ის იციან, რაში უნდა
ცამოიყენონ, ზოგჯერ წისკვილში თუ
წაიყვანდნენ, თორემ იყო მინდორში და
იყო. არც პატრონი ჰყავდა ისეთი, ბავ-
შევებს სახრით და გინებით გამონთებო-
და. თუ თვალს მოეკრავდით, მძიმე-
მძიმედ მოხანხალე ენუქის, ვირს ჩვენ
თვითონ მივატოვებდით და სააგურის
ფარდულეებში, ჰყუტა მსხლის ფულუ-
როში და ტყეში ვიმალებოდით, თორემ
ვინ მოგვსკვევდა.

მესამე კლასში ვიყავი, მე და ჩემი
ძმა მეზობელ სოფელში გადავედით მა-
მიდასთან სასწავლებლად. შაბათ-კვირას
და ზაფხულის არდადეგების დროს
გვქონდა ბედნიერება „მხედრობისა“.
სხვა თანასოფლელებიც რომ წამოიზა-
რდნენ, მათი უმცროსი და-ძმები გახ-
დნენ მწყემსები და „მხედრები“.

ომი დაიწყო, დაიქცა ქვეყანა და

იზოდენა ცრემლსა და ვაებას ვერც სახედარმა უწამლა. ზოგიერთები რაიონში გადავედით სასწავლებლად, ზოგმა ხელობა, ბევრმა ყანა, ვენახი და წისქვილი მოიკიდა მხრებზე, ამოდენა ტვირთით ვირის ზურგზე ვერ დაეტეოდა, ჩოკინა ოთხ ბავშვსაც კი არ იჯენდა.

მივიფანტ-მოვიფანტეთ და, ჩვენდა საბედნიეროდ, სახედარი ზსე გაქრა ჩვენი მხედველობის არედან, ვერ შევაძინეთ. ალბათ, არც გულით მოგვინდომებია, მისი არყოფნა დაწვრილებით გავგეგო, რაკი უმისობა არ შეგვეძლო.

ასე რომ, როგორც დაინახეთ, მისი ჩვენთან მოსვლა როგორც მახსოვს და წასვლა კი არა. ახლაც მგონია, რომ მოვიინდომო და დავძებნო, ჩემი სოფლის სანახებში გადავეყრები ზურგზე ამხედრებული ოთხი ბავშვით, წინა ხრამში გადმოსაგდებდა რომ მიჰყავს.

ხშირად, გაძლღებულს რომ წამომცდებია: რაა ჩემი სიცოცხლე, ნამცეცი სიხარული რაა, არ ვიცი-მეთქი! ხომ თვითონ დაინახეთ, რომ არა ვარ მართალი.

ამასწინათ ჩემს მეგობართან ვიყავი კახეთში სტუმრად (ალბათ ეს ამბავიც იმან დამაწერინა), მამა ავადმყოფობდა იმ ჩემი მეგობრისა და არ მენახა. გვიან მივედით, მასპინძელი ფეხზე დაგვხვდა და მოგვხსენებდათ, ქართველობისთვის არ გვიღალატნია. იმ ღამეს რაღა და... დავრჩით. დილით ვერ გახლდით გუნებაზე. ლეინის ხელყოფა, საუბედუროდ, იქაც იციან, ამინდიც წაწყმედილი იყო. იმ დილით, მადლობა ღმერთს, უფროსებს ჩემთვის არ ეცალათ. ბავშვმა, იქნება ასე ხუთი-ექვსი წლის, შემატყო გასაჭირი და ეცადა „ეთანაგრძნო“... იციან პატარებმა, რაღაცას საქციელობენ, რომ აღარაფრის თავი გაქვს და მისთვის მოიცალე, შემთხვევას არ უშვებენ და ცდილობენ გუნება გამოგიკეთონ, რაკი ვაგიტოლეს, ბარემ კაცსაც დაგამგვანონ — კრიჭა ვაგიხსნან.

რალაც-რალაც სათამაშოები გამოათორია. ერთი, მათ შორის, ბრტყელი სწორი ხმალი იყო, რა თქმა უნდა, პლასტ-

მასის; მუზარადი, მაგრამ მუზარადი ნამდვილი იყო, მოტოციკლისტები რომ იხურავენ. ის უფრო მთსწონდა, რომ სათამაშო არ იყო და მას სათამაშოდ ჰქონდა. რა თქმა უნდა, მოვეუწონე არა მთლად მშრალად და უგულოდ, ის მუზარადიც თავზე წამოვიცივი, რაკი ერთი, დახურვა რომ შეიძლებოდა და მეორეც, „საქმიანად“ მოვიქციე.

ამის მერე იყო, რომ მუყაოს ცხენზე ამხედრებული გამოვიდა; ბორბლებზე შემდგარი, შინდისფერი ცხენი იყო, ფეხებს ძირს ძლივს უწვდენდა. მუზარადი (უკვე თვითონ ეხურა), ცხენი და ხმალი. საკმარისი იყო რაიმე უსამართლობა, რომ მჩაგვრელს თავს მეხად დავეყდომოდით.

ამ დროს მეზობლის ეზოში სახედარი აყროყინდა და მე რომ ერთბაშად გუნება გამომიკეთდა, გამეცინა და გარეთ დავიწყე ყურება, ბიჭს გაუყვირდა, ეგონა ეს ეფექტი მან მოახდინა და ფანჯარაში კი ვიხედები.

სახედრის ხმა ბავშვს სრულებით არ გაუგონია და გაოცებულმა მკითხა.

— მანდეთ რას უყურებ, ბიძია?

— ე, შეხედე!

ბიჭი ფანჯარას მიასკდა, კინალამ ჩაფხუტით გაამსხვრია მინა.

— რაა, რო?

თვითონ აქ იყო და მე, ამ ჩამოსულმა ბიძიამ, ისიც ასე უგუნებომ, ეზოში რა აღმოვაჩინე ამისთანა საოცარი, რომ ამ ნამდვილ ჩაფხუტიანს, ბრტყელი სწორი ხმლისა და თითქმის „ცოცხალი“ ცხენის პატრონს ყურადღება აღარ მივაქციე, როცა ის „კაკი“ ჩემთვის „რაინდობდა“ და უსამართლობასთან სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლას აპირებდა.

— აი, შეხედე!

— რასა, რო?! — ბიჭმა იმდენად ვერაფერი გაიგო, გარეთ ცქერაც კი არ ინდომა.

— შეხედე, რა ლამაზია, რა მშვენიერი, რა ხმა აქვს, როგორი ყურები აქვს... და შეგვერემანია, მაგრამ...

— იიი, ეგ ხომ ვირია!

ეწყინა, სახედარი თუ ჩემს მოშხა-

მულ გუნებას უწამლებდა, არ დაიჭე-
რა და თუ ჩემი თვალის ასახვევად თავს
ისულელებ, მე არც ისე პატარა ვარ
ასეთი რამეები ვირწმუნო.

თუ ამქვეყნად ვინმეს საქმე ჩემს შე-

საცოდებლად აქვს, არა მგონია, მაგ-
რამ ის ბავშვი ნამდვილად მგებულად
იქვე, ეზოში, ლობის ძირს ჰყავდნენ. ეს
ცოცხალი, ოთხფეხი არსება, იმოდენა
ოქროს რომ აიწონიდა და მისი ფასი არ
იყო, კაპიკად არ უღირდა.

პატრიოტიზმი და მშენებლობა

ვერ ვიტყვი, ბიძაჩემის — იასას
(დედის ძმა. რაიონში მუდამ რალაც თა-
ნამდებობა ექირა) დახმარებით, თუ
გუბისწყლის სკოლიდან ერთი მოსწავ-
ლე მაინც უნდა ყოფილიყო, პიონერთა
ბანაკში მაგზავნიან, ქობულეთში. ერთი
ჩემი სოფლიდან — გვერდებიდანაცაა,
ბონდო შვანგირაძე. ბუნდრუშას ეძახ-
დნენ, ავადმყოფი ბიჭი იყო — ფილტ-
ვების სისუსტით, ჩემზე სამი წლით უფ-
როსი, არცთუ კარის მეზობელი და მა-
ინც ვმეგობრობდით, წიგნების კითხვა
უყვარდა. მის უფროს ძმას ჰქონდა პა-
ტარა ბიბლიოთეკა. ბუნდრუშამ წამი-
კითხა „ზელიმხანი“.

ახლა ასეთი ვითარებაა, მე და ბონ-
დო უნდა ჩავიდეთ რაიონში, იქედან
სხვადასხვა სკოლებიდან მოკრებილ
მოსწავლეებთან ერთად წაგვიყვანენ
ქობულეთში, მაგრამ რალაცა უნდა გვე-
ცვას და გვეხუროს და ქვეშაგებიც ჩვე-
ნი უნდა ვიქონიოთ. რაიმე თხელი შა-
ლის ან ბამბის საბანი ჩვენ არა გვაქვს.
გვაქვს ჩვეულებრივი ჩითგადაკრული,
ხელისდადება ბამბადადებული, ბეზის
დალიანდაგებული საბანი, ზამთარშიც
რომ გვყოფნიდა, და ორი საბნის სის-
ქის ლეიბი. ამას ერთ-ერთს თუ ძლივს
ვზიდავ და მეტი არა ვარ. ეტყობა ეს
გაითვალისწინეს მაშიდაჩემმა და ბონ-
დოს მშობლებმა და შეთანხმდნენ: მე
წავიღებდი საბანს, ბონდო ლეიბს და
ბანაკში ერთად დავწებობდით.

ბონდო ავადმყოფობით თუ ნაკითხო-
ბით, ძალზე ფაქიზი სულის ყმაწვილი
იყო და სამი წლით უფროს ასეთ ბიჭ-

თან სიახლოვე — ერთ ქვეშაგებში ძი-
ლი და სამი კვირის მანძილზე მთელი
დღეები ერთად ყოფნა კიდევ მახარებ-
და — რამდენ რაიმეს მომიყვება-მეთქი.

გადებული გვაქვს მხარზე, მე დახვე-
ული საბანი და ბონდოს ლეიბი და მივ-
დივართ. კიდევ კარგი, სხვა რაიმე ბარ-
გი არა გვაქვს. სწორედ იმ დილით და-
უეუმარე ჩემს მარჯვენა ფეხსაცმელს.
მავთულით, ლანჩაზე ავარდნილი ქვინ-
ტი, ცოფიანი ძალივით რომ ჰქონდა
ენა წაგდებული. (ომის წლები იყო)...

წყალტუბოში, მაშინდელ „ზისების“
ძარაზე, სხვა საბანაკო ავლადიდებას-
თან ერთად ჩვენი ქვეშაგებიც დაგვაყ-
რევენეს, პირთამდე აავსეს და ზევით
ჩვენ მოგვათავსეს (ახლა რომ ეს ავტო-
ნისპექციამ დაინახოს...). ჩვენი მანქანის
მძღოლი, ჩემი თანასოფელი პავლე
ჯანგაგაძეა. პავლემ მაშინ სულ არ იყო-
და მე ვინ ვიყავი, მაგრამ მე ხომ ვიცო-
დი ის ვინ იყო.

დაიძრნენ მანქანები და ამ ლეიბებ-
ზე, საბნებზე, ტომარებზე და ბარდანე-
ზე წამოსკუბებულები და ზედ ორივე
ხელით ჩაფრენილები მივდივართ. თუნ-
დაც ასეთ პირობებში ამოდენა გზაზე
მანქანით მგზავრობა მოგებსხენებთ რას
ნიშნავდა, მაგრამ მზე და ქარი არაფე-
რი, ყოველ მოსახვევში, ან დამუხრუ-
ჭებისას შიშმა და ზაფრამ ისე დაგვეჩ-
ცა, როცა შუალამისას ვილაც ქობულე-
თელ მოსახლის კიშკარს მხარნაცვალი
მივადექით, ჩემს საბანს და ბანაკის
ბარდანას ჩაფრენილი ხელები ვერაფ-
რით გამაშვებინეს. მხარნაცვალი კი ის

სამი კვირა ბოლომდე დაერჩი და როგორ მაწუხებდა, რომ ზღვა აღმოსავლეთით აღმოჩნდა და მზე სულ დასავლეთიდან ამოდიოდა.

ერთი კი არა, ბარე ორი მოსახლის სახლი და ეზო-გარემო მთლიანად დაექირავებინათ, რაკი იქ პატრონი თვალთ არ დაგვინახავს და შეგვეყვანეს მოზრდილ ოთახში. მე ბანაკის ბარდანზე ძლივს გამაშვებინეს ხელი და საკუთარ საბანს რას გავუშვებდი. ბონდო კიდეც თავის ლეხსა ჩაფრენილი და ველოდებით რომელ საწოლს მიგვიჩენენ. შიშით გული გვისკდება, ერთმანეთს არ დაგვაშორონ, თორემ წასულია ჩვენი საქმე, მე ლეიბი არა მაქვს, ბონდოს — საბანი. იმ ღამეს გაგვიმართლა, თვითონაც საბარგო მანქანებზე ნაჭაყაყვე ხელმძღვანელობას რაიმე წესის და რიგის თავი სად ჰქონდა და ჩვენ პიონერებს, ვის როგორც უნდოდა, ისე შეეძლო თავისი ღამის თვის საქმე მოეწყო. ოთახში საწოლები ერთმანეთზე ისე მჭიდროდ იყო მიწყობილი, მათ შორის ცხრაფეხა კიბოსავით გვერდულად თუ შეხვიდოდი და ისიც დიდი სიფრთხილედ გმართებდა დედისერთა შარვალი მუხლის სიმძლევზე არ გადაგეფხრიწა.

მე და ბონდოსაც გვერგო ერთი მათგანი და ზედ ჩვენი საგემ-სახურაკი დავჯარეთ. დავჯარეთ, მაგრამ ამ საწოლებს ვანზე სულ ხუთი ლერი ორი თითის სიფართე თამასა აქვს დამაგრებული და სიგრძეზე — ორი ლერი. მთელი ეს დასაწოლი ფართობი იმოდენა უჯრედებადაა დაყოფილი, ეს დახვეული ამოდენა ბამბის ლეიბი და ჩემი საბანი საწოლიდან გავარდა და იატაკზე დაცვივდა. ფიცრის თაობაზე ჩვენთვის არავია არაფერი უთქვამს და ახლა რა გინდა რომ ჰქნა. ამოვიღეთ ლეიბი და გავშალეთ, მაგრამ ამ უჯრედებზე, თითოეულში ლიმონათის ყუთი რომ მაინც ჩაეტევა, როგორი სისქის ლეიბიც არ უნდა იყოს, როგორ გინდა რომ დაწვევინ მოგვემს ნებას ან ადგილი სადაა, თორემ იატაკზე რომ გაგვაშლევინა და

დაგვაწვინა, ჩვენ ბედს ძალი არ დასყუფეს. არადა, პიონერები წამოგვიყვანეს დასასვენებლად, არა იატაკზე დასაყრელად და დასავლებად. ჰო, მართლა, მე ბალიშიც მაქვს (ამანაც გაბერა ჩემი ტვირთი საბანში რომ შევახვიეთ), ბონდოს — ლურჯი მუთაქა. მოვიწყვეთ სასთუმალი თავშექცევით. გავშალეთ ჩემი ჩითის საბანი, ტანაცმელი მე ბალიშქვეშ დავიწყვე. ბონდომ — მუთაქის და შევძვერით მოსასვენებლად. გამიგონია, მოსიყვარულე ცოლ-ქმარი წალდის ტარზე დაიძინებსო. წალდის ტარი (საყუეს გააჩნია) ოთხი თითის და ზოგჯერ ხელის დადების სიფართეცაა. ეს ჩვენი ლეიბის ქვეშა თამასები თუ ლარტყები ორი თითის სიფართეა. გვეწყვეთ ზედ, ბონდო კიდეც ჰო, მაგრამ მე პატარა ვარ, მთელი საწოლის განზე გადაჭიმულ ხუთი თამასიდან სამს ქვედები. ერთზე ბალიში და ბალიშზე თავი მიდევს, ერთი წელში მაქვს ამოდებული და ერთიც ფეხებში — კოჭებთან. ორიდან ერთი სიგრძივი ლარტყაც ჩემია. და ამ სამ წერტილზე გადებული რომ დილაშდ სამად არ გავტყდე. მთელ სიგრძეზე წელს მიმაგრებს და ექვსად დანაწევრების საშიშროებას მიქმნის. ასე იყო თუ ისე, რომ არ გავაგრძელოთ, დილით ბონდოს რვა ნაწილად დაყოფილს გაეღვიდა (იგი სუსტი, მალალი ბიჭი იყო, მეოთხე თამასას სწვდებოდა), მე — ექვსად.

დილით აბა საყვირი და დოლი და მთელი აურზაური. მერე მეზობლის სახლში ცხელი, ბაცი, დაშაქრული ჩაი და პურის ნაჭერზე შაურიანის ტოლა, მაგრამ ოთხკუთხედი კარაკი. მერე ხეების ჩრდილში ხაზზე მოწყობა „პატაკი“ და „შხად ყოფნა“. მერე ორ-ორ მწკრივად დაწყობა და მარში. კიშკართან გაქიმული „ყარაულები“ და ჰაიდა, ჯერ ქუჩაში და მერე ზღვაზე სიმღერით.

დღეს ზღვაზე, ხვალ ზღვაზე.

დღეს ზღვაზე, ხვალ სხვაზე.

ზღვაზე, ზღვაზე, ზღვაზე, ზღვაზე.

ზღვაზე...

პიონერო წინ მტერზე!

რაკი არც ხმა გამაჩნდა და არც სმენა, არც მით უმეტეს, ბავშვობაში სინდისიდან გარეცხილიც არ ვყოფილვარ, არასოდეს კრინტი არ დამიძრავს, მაგრამ აქ ასე შენს ნებაზე კი არაა. არადა ჩემი ხმის მისაწვდენზე მტერი არსადაა და ამ მოყვარე, მეგობარ პიონერებს რას ვემართლები, ის შაურციანის ტოლა კარაქი და დაშაქრული ჩაი რომ წავამწარე..

პიონერხელმძღვანელ გოგოებთან ერთად (მე მაშინ ისინი ქალები მეგონა) ფიზკულტურის მასწავლებელიც გვყავს. ზღვასთან მისვლისთანავე, ამ ხრეშზე, ყირა ვაჭიმა და მე რომ პირველად ამოვდენა, უკიდევანო, მღელვარე ლურჯი წყლის დანახვამ დამზაფრა, იმან იმდენ ხანს თავდაღმა გადმოხრუნებულს როგორ უცქირა. უთუოდ ეს მომეხმარა, ის კაცი თავდაღმა ამოხრუნებულს უყურებს და უძლებს, მე ჩვეულებრივ როგორ ვერ უნდა გავუძლო-მეთქი და ასე გადამარჩინა ამოვდენა სასწაულის პირველი ხილვის ზაფხისაგან.

ხანმოკლე გამოდგა ჩემი და ბონდოს სიხარული. ზღვიდან დაბრუნებისთანავე, როგორც კი კაქათი და ფუნთუშით გაგვიმასპინძლდნენ, „მკვდარი საათიც“ დაიწყო და საღადაო შენი ბონდო. თავისი ლეიბით სხვაგან გადაუყვანიათ. ეტყობა ასაკის მიხედვით დაგვეყვას და დავრჩი მე ჩემი საბნის ამარა. მე კიდევ რა მიშავდა, გავკეცე ეს ჩემი საბანი ორად, მე შენ გეტყვი, სიგრძე მჭონდა თუ სიგანე, ნახევარი ქვეშ მოვიქციე და ნახევარი ზევით, მაგრამ იმის ჯავრი იმ თამასებზე მეტად არ მაძინებს, ბონდოს რა ეშველება, ლეიბი საბანზე უგანა, ბონდო კი ჩემზე მალალი, იმანაც შუაზე რომ გაკეცოს, ეს აუადმყოფი ბიჭი ნახევარი გარეთ დარჩება. საგებ-სახურავის გარეთ დარჩენა, ზაფხულია, იმდენი უბედურება არაა, როგორ გინდა იმ ცივ, ორი თითის სიფართე რკინის ლარტყავზე გადო ფეხები, თუ ლეიბი მაინც არ გიცავს, ხომ ლახტის ნათამაშებივით ლურჯ ზოლებად აგვირგლებს წვივებს და მუხლისთავეებს.

როგორც კი წყლში ფეხს ჩავდებდი, მაშინვე ციებ-ცხელება შემეყრებოდა და ცურვას მათეს და ერმილეს მსხველქმნე ზე ხომ ვერ ვისწავლიდი. არადა, ამ ზღვას ნაპირი მაინც უჩანდეს. ამოდენა უკიდევანო წყალია აგერ უპატრონოდ და მე ცხელ ქვიშაზე ამოგდებული თევზით სულს ვღაფავ. ბონდო ზღვაზეც არ დადიოდა, ალბათ გაციებისა ეშინოდა. მაგრამ იყვნენ ჩემზე ოდნავ მოზრდილა წყალტუბოელი ბიჭები, კარგად ცურავდნენ, შევეცოდე, ალბათ, ასე ნაპირზე შავი ღორჯოსავით რომ ვიხრაკებოდი და შემავლუიანეს, დამიიმედეს, ჩამოდი, ჩვენ აგერა ვართ, შენს თავს წყალს რავე გავატანთო და მართლაც ასე ჰქნეს, როცა საქმეზე მივდგა.

ასე შიშველი ხელით ამოვდენა სტიქიასთან შებმა მაინც ვერ გავბედე. თეთრი ჩითის პერანგი მეცვა, ღია ვარდისფრად დაწინწკლული. სახელოები გამოვინასკვე, საყელოში და ბოლოში ყაითნები გავუჭირე, დავასველე და გავბედე. დავიჭირე მარცხენა ხელში ფარად და წყნარ ზღვაში მუხლამდე შევედი. თავიდან, რალა თქმა უნდა, იქვე გავწექი, რაკი ტანი დავისველე (პირველ დღეს თავიც არ დამიბანია), მალე ამოვივდი, რომ, სანამ რაზმები სიმღერით და მარშით უკან გავსწევდით, პერანგის გაშრობა მომესწრო. გასაკვირია, რატომ იმ დღესვე არ გამოცივა. გავთამამდი და მეორე დღეს წელამდე შევედი. გაბერილ პერანგს ცალი ხელით დავკეიდე და მარჯვენა ხელის მოსმით და ფეხების ბათქუნით ნაპირისკენ წამოვივდი. მეორე დღესაც გადავრჩი, მესამე დღეს არა და მეოთხე დღეს, ამ ჩემს გაბერილ პერანგს დაკიდებულმა, ეტყობა, იმდენზე შევეტოვე, ფეხები რომ წყალმა ჩამითრია და უკან ველარ ვბრუნდები, ვერც ფსკერს ვუწვდინე და გულადმა ამოვტრიალდი. პერანგს ხელს არ ვუშვებ, მაგრამ ქვევითა ვარ და ზედიზედ რომ ვყლაპე და ვყლაპე ეს მარილიანი მლაშე წყალი, ვილაცამ მიბიძგა, მიბიძგა და მიბიძგა და ნაპირზე

გამომადგეს. თუმცა იქვე ახლოს არ ვიყავი? მაზიდა გულს და მომიშხამა გუნება. ამის შემდეგ ზღვას ახლოს როგორ გავეკარებოდი, მაგრამ არც დამჭირებია. ბანაკში მისვლისთანავე გამაცოცხლა და გამაცხელა. ვაკედები ამ თამასებზე გადებული, ვაკეცილ საბანში გახვეული, ლოგინს. ჩვენ, თურმე, ხელმძღვანელი ვოგოების (ოთახში რომ არც იხედებოდნენ) და თავდაყირა მდგარი ფიზკულტურის მასწავლებლის გარდა ექიმიც გვეყოლია. მშვენიერი, სათნო, ძიძიგურის ქალი. ექიმი იმითომ არ არსებობს, რომ მაინცდამაინც ავადმყოფობას უწამლოს, მაგრამ ამ რკინის თამასებზე გადებული, აძიგძიგებული სნეული რომ მნახა, ეს კი ჰქნა, თავის „კაბინეტში“ გადამიყვანა და იმისთანა დახუჭუჭებული ზამბარებიანი საწოლი მომიჩინა თავის გვერდით, ასეთ ყოფაში ციებ-ცხელება კი არა, სულთამხუთავიც ვერაფერს დამაკლებდა მეგონა, მაგრამ ეს ჩახუჭუჭებული ზამბარებიანი საწოლი ჩემს მალარიასაც ჩემსავით მოეწონა და მომიწვა გვერდით. კაცმა რომ თქვას, იმ თამასებზე გადებული არ ვემეტებოდი და აქ შეფესავით მოეწყო და შენ მოგეშვებოდა? ექიმმა ლოგინი კარგი მიშოვა და სიცხეს დილა-საღამოს კი მისინჯავდა, მეტი რა ექნა, ამ ჩემი ცოდვით სავსე მალარიამ თვითონ არაფერი ისინდისა და ძიძიგურის ქალს რა გავწყო. ამიღეს და, სიცხით ვათარანებული, საავადმყოფოში გამაწესეს. ეტყობა საბავშვო საავადმყოფო იმ არემარეზე არ იყო, სამი კარგი მოწიფული მამაკაცის გვერდით მეოთხედ მომათავსეს. მამაკაცის მხოლოდ პერანგი მომიცეს, რომელიც ჩონასავით მუხლამდე მწვდებოდა თუ ვავლას შევძლებდი, თუ არადა ვიწეკი გულადმა და შევჩერებოდი მოთარეშე ბუზებით ალიანცებულ ჰერს. იმდროინდელ საავადმყოფოში, როცა არც რადიო იყო და, მით უმეტეს, ტელევიზორი, ბუზები მგონი შეგნებულად იყო ჰერზე აშვებული, რომ ავადმყოფებს და განსაკუთრებით ბავშვებს თავი გაერთოთ და ამ, ადამი-

ანი სათვის ასე ახლობელი, მწერების ცხოვრება, ზნე და ხასიათი შევსწავლათ. ამას უნდა ვუმაღლოდო? რომ მე მგონია ერთ ჩემს ვრცელ საბავშვო მოთხრობაში („უთაური ბიჭის თავგადასავალი“) ზედმიწევნით საქმის ცოდნით აღწერე ჰერზე მორიალე ბუზების სამყარო. რაღაცა აბები გადამაყლაპეს, მამიდაჩემიც ჩამოვიდა და სანდლები ჩამომიტანა. რა იცოდა, რომ ჩემი ფეხსაცმელების ლანჩამ მარშის დროს „დღეს ზღვაზე და ხვალ ზღვაზე“ რომ დავდიოდი, მავთულებიდან თავი დაიხსნა და „წინ მტერზე“ ნიშნის გებით წააგდო ენა. სანდლები თეთრი იყო (ვითომ ცხრა სხვა ფერისა მქონდა), თანაც ორი ნომრით დიდი. ლორის ტყავი საბირედ და ლოსის ტყავი ჰქონდა საბირედ, რომ დასველდებოდა კიდევ უფრო იწელებოდა. სამაგვიროდ რომ გახმებოდა იკლებდა და უამინდობის დროს თუ არა, დარში ფეხშიშველობა არ მეთქმოდა. მამიდა იმ დღესვე გაბრუნდა და დავრჩი ამ საავადმყოფოში ავადმყოფ მამაკაცების გვერდით, რომელთაც ჩემთან სამუსაიდოდ არც თავი ჰქონდათ და არც სათქმელი. ბუზებმაც თვალები გამომიღამეს და ყველას ისე კარგად ვცნობდი, საით გაუხვევდნენ, როდის გაიწმენდნენ ხორთუმებს, რომელი როდის დააფრინდებოდა ელექტრონის სადენს, შავად რამდენჯერ დაწინწკლავდა, წინდაწინ ვიციოდი. რაც წინდაწინ იცი ალარც მიშზიდველია. ადამიანს და ისიც ბავშვს მოულოდნელობა ხიბლავს. ჰო, მართლა, ეს საავადმყოფო ზედ რკინიგზის სადგურის გვერდით იყო და ამდენი მატარებლის წივილ-კივილი, სტვენა და ვაგონების რახა-რუხი რომ არა, ოცდაოთხი საათი გაძლება ბავშვს კი არა, დიდს არ უნდოდა?

ჰოდა, როგორც ცოტა მოვიკეთე, ყოველ შემთხვევაში, მეორე-მეორე დღეს ხომ არ მაციებდა, ავდგებოდი, ჰქვდა საცვალი და შარვალი სად იყო, მაგრამ იქვე არ მქონდა ზეწარი? სიგარტზე გავკეცავდი ორად, დავიხვევდი

წელზე და „იუბკასავით“ მოვირგებდი. პერანგის სახელოებს ავიკაპიწებდი. გავძვრებოდი საავადმყოფოს ლობეში, დაეჭდებოდი რკინიგზის პირზე და გიყვარდეს თვალის სერი: ქშინავდნენ და ბაჭიბუქობდნენ ორთქლმავლები. ალაწუნებდნენ თეფშებს ვაგონები. დაძვრებოდნენ პირში სასტვენ გაჩრილი გადამბელები, დაიშტიმებოდნენ დეზებიანი მამალივით წითელქუდა სადგურის მორიგეები. ჩამოვლოჯინდებოდა საბალზოები და ერთხელ ერთმა ფანჯარაში თავგამოყოფილმა წითელკაბიანმა გოგონამ ხელიც კი დამიჭნია. მე მეორე, მესამე დღეს გაფაციცებული ვე-

ლოდი, იქნებ უკან დაბრუნდეს და ხელი დამიჭნიოს-მეთქი, მაგრამ, ~~მეც ვეცდებოდი~~ მომხდარა. მართალია, მერე ცოცხალად დავრჩე, იმ წითელკაბიან გოგონაზე, მემანქანე ბიჭს რომ ყოველ ავლა-ჩამოვლაზე ელოდა და ხელს უქნევდა, მაგრამ ეს უფრო ფანტაზიის ნაყოფი იყო, ვინემ სინამდვილე.

მაგრამ ბანაკები, საავადმყოფოები, ბუზები და ექიმები, ორთქლმავლები, ვაგონები და რკინიგზელები იმ სამი კვირის მანძილზე ისე კარგად ვისწავლე და ისე ზედმიწევნით ვიცი, არათრის გამოგონება და ჰულის ჰულებია არ მჭირდება.

მანბანზე დაწერილი

დავით აღმაშენებელს

საფლავის სისადავით
 ვინ შეგედრება,
 დავით!
 სიბევრე-სიციოტავით,
 სიბრძნით და სიკოხტავით —

სიკვდილსაც შევედავეთ,
 წარსულსაც შევედავეთ,
 და არ დავუთმეთ
 შენი
 თავი —
 ცოცხალი თავით!

ცაცხლი

შეთქმულებივით წაესივნენ მებანძრეები,
 წყლის შათრახები ულაწუნეს ცხვირში და პირში...
 არ ნებდებოდა,
 ფანჯრებიდან უყოფდა ენას,
 სკამიდან სკამზე გადაბოდა,
 ქალიდან — ქერზე...
 ცისარტყელები დაუშინეს,
 ჩასცხეს და ჩასცხეს,
 თან შადრევნებიც დააძგერეს...
 ტახტის ქვეშ შეძვრა,
 იქაც შესდიეს,
 ამოსუნთქვა არ დააცალეს...
 სხვენში ავარდა,
 სხვენშიც აპყვნენ,
 ჩექმებით შედგნენ,
 დაბეგვეს,
 დაასიხლიანეს,
 მისიკვიდეს,
 გასრისეს,
 თავი გაუშეშყეს
 და როგორც იქნა,
 მოგუდეს,
 მოსპეს,
 გაანადგურეს...

გალერინა



დაავიწყდა თავი, სივრცე, დრო და ვადა,
თითქოს ჩამოაგდო საუკუნო ზავი,
დილის ნიაფივით მიენიავა და
კი არ ეამბორა: ეამბორასავით.

* * *

სტრიქონების გალიაში შევიტყუე კატა,
ითაკილა მელოდის ვიწრო ესტაკადა.
აქეთ-იქით აწყდებოდა არწივების ჭებირს,
ხტოდა,
ლამის აიწყვიტა რითმის მუხრუჭები.
მაინც ქორე ვამჯობინე სახელოვან დაქტილს,
თანაც დროზე დავადევნე წერტილების ტაქტი.
კითხვის ნიშანს დაემსგავსა,
გადაახტა დეფიზს,
აიცილა მძიმეების მოკლე ქამანდებიც.
მაგრამ მაინც ვერ გაეჭვა მახვილების მახეს,
ცეზურამ და დისონანსმა საქმე გაუჩმახეს.
მარცვალ-მარცვალ იწრიალა,
კლანჭი გაპკრა ქარგონს,
დაიქანცა,

თავი შეჩხერ თანხმოვნებში ჩარგო.
შეურიგდა ხმოვნებს ჩემი ჩემი აგრესიორო,
შავმა კატამ გაირბინა ფერად კატებს შორის.



ვერ მოვახერხე

ვერ მოვახერხე ჩემს თავთან ზავი,
ვერ შევეუფერე ფერი,
მოაქამომდე საკუთარ თავის
გარდა არა მყავს მტერი.
შეიძლებოდა მჭონოდა ყოფა —
წყნარი, სიამის მგვრელი...
ჩემმავე თავმა დამტოვა ობლად,

არკი შემიწყო ხელი.
ხელის შეწყობას აღარც კი ვჩივი, —
ნიადაგ ჯიბრში მიდგას...
მის ხშირ განდგომას, ბრძანება —
ცივილს
აღარ დაედო მიჯნა.

მე აქ ვარ

მე აქ ვარ, მაგრამ არ მიფიქრია, —
საჭირო თუ ვარ აქ,
არ მიფიქრია, მაგრამ იქნება
ყოფნის მიზეზი მაქვს...
სხვები, არ ვიცი, როგორ ფიქრობენ,
დაფიქრება კი ხაზს, —
ახლა რომ აქ ხარ, იქ რომ იქნები,
საჭიროდ გრძნობ კი თავს?

ვით უნდათ, ისე მოიქცნენ სხვები
და როცა ვინმე ბუობს,
აქ, მიფიქრია, ფუტია შებმა, —
დუმილი ბევრად სჯობს.
მე აქ ვარ ახლა და მეფიქრება,
ვარ კი საჭირო აქ...
აქ ყოფნისათვის, მცირეა, იქნებ,
მე რომ მიზეზი მაქვს.

რას არ იგონებს ადამიანი

ოღონდაც ყოფა გაიშინანოს,
ოღონდ იმედი დაჰქონდეს ზვალის,
რას არ იგონებს ადამიანი,
რას არ მიაპყრო გონების თვალი;
წილხედრილ ვარსკვლავს დაეძებს ცაზე,
მასზე ბეჭითად კითხულობს იღბალს...
და ხელისგულის უწყრილეს ხაზებს



შიფრავს და... გადის სამყაროს მიღმა.
რომ დაიჭეროს — არ ცვდება კაცი,
გარდასულების იმახებს სულებს,
და თავს, სამყაროს უმცირეს ნაწილს,
გზას მთელი თავის შეგნებით ურევს.
ოღონდაც ყოფა გაიმზიანოს,
ოღონდაც ტკბილით შეცვალოს შწარე,
ყურსაც იყრუებს ადამიანი
და ძალზე ზშირად იბრმავეებს თვალებს.

ის კი...

მილიონიანი ქალაქი —
მილიონი საიდუმლო კენძული,
მილიონი ცხადი და არაკი,
მილიონი ძლიერი და უძლური,
მილიონი რამ ნათქვამი
და ათი ამდენი — უთქმელი,
ცოტა — ჩუქურთმისებრ ნათალი
და გაურანდავი — უთვლელი,
ცოტა — მოლულუნე აკვანი,
ბევრი — ცალადმყოფი უღელი.

აი, მწუხარების საგანი,
აი, ვებერთელა წუხილი.
მილიონიანი ქალაქი —
მილიონი იდუმალი მღვიმე...
მილიონი გატანა-ღალატი,
მილიონი სათუთი სიმი,
კითხვა-პასუხები მარადი,
დღე-ღამ შოფუსფუსე ტვინი...
ის კი, ვინც ყველაფერს ალაგებს,
გადმოიყურება ღიმიით.

ამაყად ვიდგე

მიჯნური ჩემი სამასი წლის
წინათ ცხოვრობდა,
ცოცხალი არი სამასი წლის
მიჯნური ჩემი.
იგი ბობოქრობს, მოტწოდებს
სიკვის გმობას,
სავესა იგი მშვენიერის
გაგება-კდემით.
მიჯნური ჩემი
ლაქვარდებში დაიარება,
სამასი წლისაც არ დაღალა
ოცნებით ყოფამ,
იგი, ნიადაგ ნაბრძოლი და



ნაიარევი,
 ახალ ბრძოლისთვის შემართულა,
 იღვრება ოფლად.
 ბედი არი თუ უბედობა,
 მე წილად მერგო —
 მისი ტრფიალი მერგო წილად
 და ვიშვნევ კიდევ,
 ის ლომ-ვეფხვებს და
 ქარის წისქვილს უნდა
 ებრძოლოს,
 მე — ზღვარსგადასულ
 მის ლოდინში
 ამაყად ვიდგე!

შურისძიება

შურისძიება ჩემი თქვენდამი, —
 მებრალებით და ეს არის მხოლოდ,
 ასე ჩემი და გაუბედავი
 ტრფიალის, ჩანს, რომ ეს იყო ბოლო.
 შურისძიება ჩემი თქვენდამი —
 გულგრილობაა, რომელიც ზენამ

მიძღვნა და... აღრე გაუბედავი,
 ახლა მახვილად ვიყენებ ენას.
 გულგრილობაა ყველაზე დიდი
 შურისძიება, რომელიც არსად
 არ იშოვება. ვიყიდე იგი
 ათასი წყენის და თმენის ფასად.

რა ქნას სამოთხემ

სად შეგვიძლია დღმილი კაცებს,
 ჩვენ მხოლოდ გრძელი ლაქლაქი ვიციით,
 სად შეგვიძლია ან ალტაცება,
 ან არგატეხვა ნათქვამი ფიცის.
 სად შეგვიძლია მიუდგომლობა,
 დაფიქრება და თავის წინ ხალვა...
 სადა გვაქვს თვალი — შემოდგომობით,
 ვიხილოთ როგორ მატულობს ქარვა.
 სადა გვაქვს ძალა — ცრემლი დავლვარბთ
 მარტობაში, მოწმის გარეშე...
 სად იშოვება იაე მაღალი, —
 არ ეტყობოდეს ბიწი თვალეში...
 რა ერთნაირად ცოდვილობს კაცი
 ცხრა ზღვის და ცხრა მთის გამოღმა-გალმა,
 ჩენი ცოდვების გამო დაცლილმა
 რა ქნას სამოთხემ და მისმა ბაღმა.

ხმაფართივეული ზარი

მოთხრობა

— გულთამხილავო, ღმერთი გქვია, უფალი, მამაზეციერი თუ სხვა რამ, თუ სადმეა შენი ჭაჭანება, გვედრები, გეხვეწები, გამარკვეე ბოლოს და ბოლოს, ცოდვილი ვარ თუ არა ვარ ცოდვილი? თუ მართლაც ჩემისთანა ადამიანის მოგონილი ხარ და არსად გიდგას საუფლო ტახტი, თვითონ ადამიანი ხომ დადის ჭეშმარიტად დედამიწაზე? მაშინ ადამიანმა მიინც გამკეს ხმა და რიგიან-პირიანად ამიხსნას, ვარ ცოდვილი თუ არა ვარ? გულთამხილავო!..

— მე მეუბნები, კაცო, რამეს? — ჰკითხა ბუხართან მოფუსფუსე, ნაოჭებით პირისახედდარტულმა დედაბერმა ლოგინში მწოლარე, საბანზე ხელგდება-წყობილ ბერიკაცს. ერთხანს უცადა და პასუხს რომ ვეღარ ეღიროსა, ღიმილიანი საყვედურით ჩაილაპარაკა: — სულ გამოჩურჩულდი, ჩემო კაცო, სულ ისევ შენს თავს ეჩურჩულები? ხმა გამეცი, ადამიანო!

ბერიკაცმა არც ახლა-გაიღო კრინტი, დედაბერს არც კი გამოხედა. ქალმა ხელი ჩაიჭინა და გარეთ გაფრატუნდა.

• • •

ხის ძველებური ტახტი ზედ ფანჯარასთან უდგას ბერიკაცს. მღინარის გაღმა ქვალორღიანი, გაბრიოკებული შიშველი ფერდობი და თხემზე მარტო-

სული ბერივით დაყუდებული ჭვარმოცილი ეკლესია ჩანს ფანჯრის ჭვარში ჩასმული. მიგრებილ-მოგრებილი ქედის მიღმა ჩადის დაღლილი დიდი წითელი მზე. ახლა ეს მზე ჰგავს იმ კალოსს, დღეს უნიათოდ მწოლარე კაცი წინათ რომ გაღეწავდა ხოლმე და გასანიავებლად შეხვეტამდე თვალს შეავლებდა.

ბერიკაცს აწინებს ხრიოკი ციკაბო ფერდობი, ობლად მდგარი უჭვრო ეკლესია და თვალს ხუტავს. ეს კიდეც უარესი. ეჩვენება, რომ იმ გაბრიოკებული ფერდობის თხემს ორი გამხმარი მუხალა შერჩენია და იმ მუხებს შუა გაჭედოდა ერთიანად გამწვანებული სპილენძის ზარი. უხილავი ხელი არხვეს დიდი ზარის ენაზე დაკონწიალებულ გრძელ თოკს... უხილავი ხელი თუ ქარი? ეს სულ ერთია. ირზევა თოკი, ზარი კი სდუმს. ხეები მოცელივით აქეთ-იქით იქცევა და ზარი კისრისტებით, მაგრამ უხმოდ მოგორავს დაბრეცილ ფერდობზე, მოგორავს და მწოლარე ბერიკაცს ზედ გულზე დასაცემად ემიზნება. შიშით გამსჭვალული და დაფეთებული ბერიკაცი სწრაფად ახელს თვალებს და... ხედავს: უცნაურად ირწყევა სახლის ჭერი, თითქოს ეს-ესაა უნდა ჩამოიქცეს, მწოლარეს დაემხოს და ტახტიდან მიწაში ჩაიტანოსო. ამისიც ეშინია და ისევ ხუტავს თვალებს.

კვლავ მოგორავს ორი გამხმარი ბერმუხის მარწუხისაგან თვედაღწეული დიდი ხარი გახრიოკებულ, შიშველ ფრიალოზე, მოგორავს ისევე ხმაამოთლებლად, როგორც ეკიდა, აქაოდა, თუ მაევანმა ფხიზლად არ მითვალთვალა, გულზე ქურდულად დავეცემიო.

ნეტავ რამ გახდა ეს ხარი უხმო? ენა ხომ წინანდებურად აბია და თუ თოკი უძღურია, დაგორებისას მაინც რატომ არ ირეკება ადრინდელი ელრიალით? რამ დააყრუა, რამ დაამუნჯა? ვინ წაართვა თუ დაუყარა ხმა? ვინ დაუღუმა ენა? ვინ მოკლა ხარი? წინათ ერთს რომ შემოჰკრავენდენ, მთა-ბარს აგუგუნებდა, ქედის ოღროზოღრო ზურგზე გადაირბენდა მისი ხმა და ცარგვალში აიჭრებოდა. ხარი ხალხს უხმობდა ხან სალოცვად, ხანაც... სოფელს ჭირსა და ლხინს რა გამოუღუეს. ზოგსაც ეს ხარი შიშის ხარსა სცემდა. ახლა თითქოს ბამბის გამხდარაო, ხმა ჩასწყვეტია, დადუმებულა, დაყრუებულა, დამუნჯებულა, ენა აბია და მაინც ენაწართმეულივითაა. ეგება მაშინ გამოსცეს ხმა წინანდებურად და აგუგუნდეს კიდევ, ამ ბერიკაცს რომ დავეცემა გულზე, მაგრამ ვერ ასწრებს ხარი განზრახვის შესრულებას, ბერიკაცი თვალის გახელით იგერებებს. მერმე ჭერის ჩამოქცევით შეშინებულ-დამფრთხალი უსაშველოდ ბორგავს ძველებურ ტახტზე. წამისწამ ეცვლება გარემო. თითქოს ხან ედემ-სამოთხეში ნებეირობს, ხან ჯოჯოხეთში მიიხრუტება, ზოგჯერაც ერთდროულად რალაც სიამოვნებს და რალაც სტივია, ჯვარცმულივითაა, მის ერთ მაჯას სამოთხის მოციქული ჩასკიდებია, მეორეს — ჯოჯოხეთის მაცნე-აქეთ-იქით ექანებთან, ლამის შუაზე გახლიჩონ ადამიანი.

— გულთამხილაყო, ღმერთი გკვია, უფალი, მამაზეციერი თუ სხვა რამ, თუ სადმეა შენი საუფლო, გემუდარები, გამარკვიე: ცოდვილი ვარ, თუ არა ვარ ცოდვილი? თუ შენ ჰართლაც ჩემისთანა ადამიანის მოგონილი ხარ და არსად გიდგას ტახტი, თვითონ ადამიანი ხომ

დადის დედამიწაზე? მაშინ ადამიანი მაინც გამცეს ხმა და ამიხსნას, ვარც კოდვილი, თუ არა ვარ? გულთამხილაყო, და ბერიკაცი მოგონებთაა შავ-თეთრ ღრუბლებში მიცურავს, ერთხანს ტივტივებს, მერმე კი მთელი სხეული უმიმიმდება და იმ ღრუბლებში იძირება წყალში ჩაგდებული ნაჯახივით.

* * *

გორმაღალს ქედი გალავანივით გასდევს სოფელ ხვამლეთს. ოღრო-ჩოღრო ქედი ერთგან ჩაზნექილია არცთუ ისე დიდ ვაკედ, იმ მინდორზე დგას ხვამლეთის ქულალრუბლისფერი ეკლესია, იქვეა სოფლის ძველისძველი სასაფლაოც, ეკლესიაც, მისი ეზოც და სასაფლაოც დაბალყორულ გალავანშია მოქცეული. გორმაღალს ქედს ციცაბო ფერდობი ჰკიდია. ზედ შეფენილია ხატის ტყე — მითაყამინდელი მუხნარი. ხატის ტყის ფერხთით ერთგან ფერდობი სივანგებოდაა გამოჭრილი და გაეკებულა. აქ დგას ქვიტყირის მკვიდრად ნაგები ოთხთვალაიანი, რიკულეებით დამშვენებული ფართოაივანიანი სახლი, აგრეთვე ქვიტყირის ქობ-ბოსელი, ხის დიდკარიანი მარანი და თხილის წნელით დაწნული, მუხის ბოძებზე დაყრდნობილი ნალია. ამ შრამელის გვერდივთეა პატარა მრგვალი კალო. კალოს ფერხთით დგას ორსართულიანი საბძელი, რომლის ქვედა სართული ქვიტყირისაა, ყრუ კედლით ფერდობში შეჭრილი, მეორე სართული კი ხისაა, ღია კარი კალოსთვის რომ მიუშვერია. კალოდან არცთუ ისე შორსაა კარის ყანა და შვილივით მოვლილ-ნაზარდი, საკმაოდ მოზრდილი კარის ვენახი. მეორე მხრიდან სახლსა და ეზოს გასდევს ასევე მოვლილი მუშა ხეხილი: დიდი კაკლის ხე, ბეოლა, ვაშლი, ბროწეული, მსხალი, ბალი, ქლიავი და ლეღვი. ცოტა მოშორებით მსხვილ თელაზე მალღარი ვახია შეშვებული. ვაზი წვერომდე ასულა და თითქმის ყველა ტოტზე გადაკიდებულა. ყველგან რომ მოირთვ-

ლიანებენ, ამ ვაზს ისევ ასხია და სოფ-
ლის ბიჭები პირს იტკბარუნებენ.

ბერდიასია ეს კარ-მიდამო, მამაკაპი-
სეული სახლიც, შრამელიცა და კარის
ყანა-ვენახიც. სიცოცხლესავით უყვარს
ეს ყველაფერი მუყაით გლებს, ყველა
საქმეს ღლინით რომ აკეთებს. აი, ახ-
ლაც კალოს დასტრიალებს ღლინით.
კევრში შებმული სატუჩურჩამოკიდებუ-
ლი ხარები ტაატით ევლიან კალოს, შე-
უსვენებლად მიჰყვებიან ერთსა და იმა-
ვე წრიულ გზას. ამ გზას თითქოს არც
დასაწყისი აქვს, არც დასასრული, ვიდრე
კალოზე ჩაშლილი მზისფერი ძნები
მთლიანად არ გაილეწება და კევრიდან
ხარებს არ გამოუშვებენ.

ხორბლისფრად ტანაბზინებულმა,
შარვლისამაზა დარჩენილმა ფეხშიშვე-
ლა ბეჭდამ კალოს მესამედ უნახბა,
რამდენჯერმე ცვლავ დაარტყმევინა ბაე-
შვებით დატვირთულ კევრს წრე და
კმაყოფილებით შეუძახა — ეყოფათ.

გალეწილი კალო, ვიდრე არნადით
შეხვეტავენ ერთ ადგილას, მზესა
ჰგავს. ორი მზე უნთია ამ დროს მოკა-
ლოვე გლებს — ერთი ცაზე, მეორეც
ეს. ოღონდ კალოს მზე უფრო დიდია
ამ დროს, ვიდრე ცაზე შეუქმნეულად
მიშავალი მზე. ბერდიამ კალოს მზეს
ერთხელაც გადახედა სასოებით, ხა-
რები უღლიდან გამოუშვა, სატუჩურე-
ბი მოხსნა და დასარწყულბლად მდი-
ნარე გიჟურასკენ გაიჩქარა.

დინჯი ნიკორა და ცეტი ცქიფურა ისე
ხარბად დაეწაფენ მდინარის ლიკლიკ-
ტოტს, კაცი იფიქრებდა დააშრობენო.

მარდი გიჟურა ტალღებს მოაბურთა-
ვებდა და გაღმით კლდოვან ნაპირს თავ-
გამეტებით ეხლებოდა.

ბერდიამ ის-ის იყო არწყლის ხახრე
აუქნია ხარებს: თქვე მოუპირავებო,
გეყოფათ, ფაშვი ხომ არ უნდა გაიხეთ-
ქოთო, რიყეზე ბიჭების სასოწარკვე-
თილი ყვირილი რომ გაისმა: არიქათ,
უშველეთ, იხრობათ.

წელზევით ტანგახდილმა, ფეხშიშვე-
ლა კაცმა გიჟურას გახედა და თვალი
მოჰკრა მარბოლავ ტალღებში მოყვინ-

თავე ადამიანს. არც აცვია, არც აცხე-
ლა, რიყე ჭლაგა-ჭლუგეჭოქი დაფრთხინა,
შარვალგაუხდელად შეგნარდა წყალმსადა
ცურვით დაედევნა ზვირთებს, კლდის-
უნბელი ზალიკოს ბიჭს, იროდიონს რომ
მატივტივებდა. მალე დაეწია, მარცხე-
ნა ხელი ჭოჩორში სტაცა, და ცალი ხე-
ლით სცადა ცურვა. მთლად ფერდაკარ-
გული, თვალბადაქცეული ბიჭი ორივე
ხელით წამოეპოტინა ბერდიას კისერს
და ზედ შემოსკვნა დააპირა.

— ხელი გამიშვი, ხელი გამიშვი,
თვარა ორივე დავიხრჩობით!

იროდიონმა არ გაუშვა ხელი და მა-
რთლაც ორივე ჩაიძირა წყალში. არ
დაიბნა ბერდია, ფეხი ქვიშას დაჰკრა და
ამოყვინთა მარტოკამ. მერმე ისევ მო-
ძებნა ბიჭი, ისევ ჭოჩორში ჩაავლო ხე-
ლი და წინანდებურად მიამურა რიყეს
ცურვით. როცა ფეხით დასაყოდნი
იპოვა, შეუძახა ბიჭს: ახლა შეგიძლია
ხელები კისერზეც მომხვიო და ზურგზეც
ამეკიდოთ. იროდიონს ამის თავიც აღარ
ჰქონდა. მაშინ ბერდიამ თვითონ მოხვია
ხელები...

ნაპირთან შემოგებებული სამი ბიჭი
ერთდროულად აუყვირდა იროდიონს:
— ცურვა რომ არ იცი, წყალში ღრმად
რატომ შეხვედი, არ იცოდი, რომ შე-
გიტყუებდა და წაგიღებდაო!

— რა დროს საყვედურებია, აბა, და-
კირწით ჩქარა! — დაღლილმა ბერდიამ
ატატებელი იროდიონი ბიჭებს მიაწოდა.

თანატოლებმა უმაღვე კანჭებზე სტა-
ცეს ხელი იროდიონს და ღონემიხდი-
ლი, მწიფე ქლიავივით გალურჯებული
ბიჭი ყირიმალა ასწიეს. რიყის მშრალი
ქვიშა საკმაოდ დასველა ბიჭის მუც-
ლიდან გადმოლღვრილმა ბლომად ნაყლა-
კმა წყალმა. მერმე იქვე დააწვინეს და
კარგა ხანს ფრთხილვით აქნევიანს მკლა-
ვები, სანამ ბიჭს ადამიანის ფერი არ
დაუბრუნდა და თვალბში არ გამოიხე-
და.

კლდისუნბელმა ზალიკომ შვილის გა-
დამრჩენელს ფეხკავში ცხენი მიჰგვარა.
— ზალიკო ბატონო, ეს რა მაკადრე?
ამგვარი საქმისთვის ჩვენში გასამოჩე-



ლოს ალება ვის გაუგონია?! — იუბრა ძღვენი ბერდიამ. — ეს ხომ ლეთიური სიკეთით ვაჭრობა გამოგვივა მაშინ. სიკეთით ვაჭრობისაგან კი ლმერთმა ყველა დაგვიფაროს! ალბათ, ესეც ცოდვად მოგვეციოთხება იქ, გვიწყენს უფალი, გვიწყენს! ეგება დაგავიწყდა, ჩემო ბატონო, მე ხატის ტყის კაციც რომ მქვია? უგასამრჯელო ლეთიური სამსახური ჩვენს ოჯახს მამა-პაპიდან მოსდგამს და სულს ვერ წავიწყებდ, მამა-პაპის რჯულსა და ანდერძს ვერ ვუღალატებ, ვერ ავიმღვრევ წმინდა სისხლს, ვერც სულს.

— მაშინ, ლმერთმა ყოველგვარი ხიფათი და სიკვეთე გაშორეთ და... ისე არ მოგვეცდები, ეს ერთი დიდი სიკეთე ასად არ გადაგიხადო. თუ მე მალე მიმიღებს უფალი, თვითონ ჩემს შვილს გადაეხადოს ეს დიდი სიკეთე, სიკეთითვე მთლიანად შენი ოჯახისთვის! — დალოცა ზალიკომ შვილის გადამრჩენელი. — ბედი მქონია, ბედი! შენ რომ კალო დროულად არ გაველეწა და ხარები დასარწყულლებლად გიუტრაზე არ ჩაგედენა, ეშმაკმა უწყის, რა გაუბედურებული ვიქნებოდი დღეს. ამიერიდან შენზე ვილოცებ, შენა ხარ ჩემი ლმერთი!..

— ჭეშმარიტ ლმერთზე ილოცე, ზალიკო, ჭეშმარიტ ლმერთზე, ცაში რომ ზის. ყველაფერი მისი ნება-სურვილით ხდება ქვეყანაზე.

— ციურ ლმერთზეც ვილოცებ და შენზეც, ჩემს მიწიერ ლმერთზე. ციური ლმერთი სადღაც შორსაა, ადამიანს ადამიანი უფრო მალე ეხმარება. კი, ასეა, დასტურ.

— თუ ადამიანი ადამიანს არ დაეხმარა, ერთმანეთს სხვა რაში ვარგვივართ, ჩვენი ხორცი არ იქმნევა და არც ტყავი ვარგა რამედ. ცამ და მიწამ ნურც ადამიანის დახმარება მოგიშალოს, ნურც ლმერთის! — ბერდიამ ნიჩაბივით ფართო ხელი სასოებით დაჰკრა ზალიკოს მხარზე.

ფეხკავმა რაში კლდისუბნისაყენ გააბრუნა ზალიკომ.

• • •
 რძისფერი ნისლიდან გიუტრას ტიყვე ამოტივტივდა.

რუხ ქვიშაზე მწოლარე ტიტლიკანა იროდიონი ბიჭებმა სალ-სალამათი წამოაყენეს. იროდიონი თუ... ლოგინში მწოლარე ბერიკაცს ველარ გაუტრკვევია; მის წინ წყალს გადაჩენილი იროდიონი დგას, თუ ეს თვითონაა, მაშინდელი ბერდია? აი, ის, ფეხშიშველას, წელზევით ტიტველი სხეული ხორბლისფრად რომ უღალაპაპებს, მარტო შარვალი რომ აცვია და ისიც სველი, რიყზე გაოგნებულოვით რომ დგას და მდინარესთან ბრძოლით დაღლილი მძიმედ რომ სუნთქავს. ახალა რომ მიხვდა, რა უბედურებაც შეიძლება მომხდარიყო, ის რომ გიუტრაზე არ ჩამოსულიყო.

— ნანობ, რომ გადამარჩინე? — გამოცდელად ეკითხება ყმაწვილი იროდიონი ბერიკაცს, ოღონდ იმ იროდიონს რატომღაც ბერდიას ხმა აქვს.

— არც ვნანობ, არც მიხარია. მეჩვენება, რომ ცოდვა-მადლის სასწორზე ვდგავარ და ვქანაობ... ჩემთან ერთად ირწევა ჩემი სახლის ჭერი, სახლთან ერთად — ცა და მიწაც. იმ დღეს კი შარვალი ტანზევე შემოვიწურე და ჭეშმარიტად ბედნიერმა ლიღინით მივაშურე კალოს: დღევანდელი მადლი ჩემი წუთისოფლის მთლიან კალოსაც სიკეთედ წაადგება და შეეზიარება-მეთქი. ჰო, აუციყო. ადამიანი სიკვდილს რომ გადადვიჩინე, ყველაფერი სხვანაირად დადვინაზე, რალაცნაირად თვითონაც უცებ შევიცვალე, თითქოს ახალი სული ჩამიდგა ვილაცამ, მერმე იმავე უხილავ-იდუმალმა ხელი დამავლო და ცაში ამიტაცა, ღრუბლების ზემოთ ამაშაღლა. მაშინ ასე ჩავითქვი გულში: ქმნა სიკეთისა ალბათ ორივეს უნათებს სულს — ვინც გასცემა და ვინც მიიღებს, ორივეს უხილავ მადლად შეეზიარება და მთელი სიცოცხლის განმავლობაში აემგზავრება-მეთქი. მაგრამ ხალხს ტყუილად როდი უთქვამს: კაცი ბჭობდა, ლმერთი იცინოდაო. მადლად კი არა, ის

ყველაფერი ბედისწერად ამემგზავრა.

— შენ მაინც ნანობ, რომ გადამარჩინე. — შეახსენა იროდიონმა.

— თუ ვნანობ, მარტო მაგას არ ვნანობ...

— ის მეორე ამბავი უფრო გაწუხებს?

ბერდიას ესეც ვერ გაუტყვევია, ამას იროდიონი ეკითხება, თუ თავისივე ორეული.

— დამანებე თავი, თუ ღმერთი გწამს, რას გადამეციღე? მართლაც ბედისწერასავით ამემგზავრე! ვაიმე, ვაიმე! — ამოიკვნესა ბერიკაცმა.

— რა გტკივა, კაცო, აღარ იტყვი? — ჰკითხა ცოლმა არიადნამ.

— აღარაფერიც არ მტკივა!.. ეს ისე...

— აბა, ვის ებრძვი დღე და ღამე?

— აღარავისაც არ ვებრძვი! — ჭიუტად მიუტოა ქმარმა და ხელები საბანში შემალა.

— გაამხილე, გაამხილე, უბედურო, რა გაწუხებს თვარა, მოგკლავს ეგ გულში შენახული ვარამი. ჰე, შე მაინც გამიმიხილე, რა გაბორგებს?

დუმილი, ხანგრძლივი დუმილი. პასუხმიუღებელი დედაბერი ბუხართან ფუსფუსებს.

— შე არ მომიკლავს, არა! — ფიქრი ჩურჩულად წამოსცდა ბერიკაცს. დედაბერს კარგა ხანია ყურს აკლია, ქმრის ნაჩურჩულევი მაინც გაიგონა.

— ვინ არ მოგიკლავს, კაცო?

— ის. — თითქოს ცოლს კი არა, ვილაკ სხვას გაეპასუხა ბერიკაცი.

— ვინ ის?! — გაიკვირვა დედაბერმა.

— ეჰ! — ბერიკაცი კვლავ ფანჯრის ჭვარში ჩასმულ შიშველ ფერდობს და თხემის ზურგზე ოხლად მდგარ ჭვარწართმეულ თუ ჭვარდაკარგულ ეკლესიას გაჰყურებს და... ხრიოკ ფერდობზე უხმოდ მოგორავს ორი ხმელი ბერმუხის მარწუხებს თავდალწეული ზარი, მოგორავს, რომ ზედ გულზე დაეცეს მწოლარეს. თუ მოასწრო დაცემა, ეგება (ასწინ მაინც გამოსცეს ხმა.

— ჰე, ამოღერლე, კაცო, რა გაწუხებს?

— დამანებე თავი!.. ^{წველი} ^{დამანებე} ^{ბეთ თავი!} ცაშიც, მიწაზეც!..

— აბა, იყავი აგრე და იხენეშე!

— აღარ მინდა აქეთ ყურება, იქითა ფანჯრისკენ გადამიღვით ტახტი!

— მაგის ჭავრი გაქ, შე კაცო! თუ გინდა, სულაც ეზოში დაგაწვენთ, აქეთ იქით რომ იყურო წამდაუწუმ! ამას ვიფიქრებდი, კაჟივით კაცს თუ შე გაჯობებდი?... მოისვენე, მოისვენე!..

ფერდობზე შეფენილ მუხნარს ოდითგანვე „ხატის ტყეს“ ეძახდა ხალხი. ამ ტყის ფერხითი ედგა ჭვიტყირის სახლი და შრამელი ბერდიას მამა-პაპას. იქნებ ამიტომაც, ბერდიას ბაბუა, ისიც ბერდია, ხომლეთის ეკლესიის მნათე, ხატის ტყესაც მეთვალყურეობდა. როცა მნათე ბერდიამ უფალს სული მიაბარა, ხატის ტყე სამეთვალყურეოდ ექვთიმემ ჩაიბარა, პატარა ბერდიას მამამ.

ყმაწვილკაცობისას ბერდია ეკლესიაშიც და ხატის ტყეშიც ჯერ ბაბუას დაჰყვებოდა, მერმე მამას.

აქ ეკლესია როდის აშენდა, სოფელში აღარავის ახსოვდა, ჰოლად, ბერდიაც არასდროს ჩასიებია ამ დავიწყებულ ამბავს. ბაბუისაგან კი მხოლოდ ის გაიგო, ამ ჭვრიანი ეკლესიის ადგილას ოდესღაც სხვა სალოცავი ყოფილა, ხალხი საელიოს ეძახდა და ქრისტეღმერთს კი არ ადიდებდა, სალოცავის მეზობლად, პატარა მინდორზე მდგარ ტოტებგაბარჯლნილ, ტანმსხვილ, ფესვებამოკუზულ ბერმუხას ეთაყვანებოდაო. ის ბერმუხა როდის წაიქცა თუ წააქციეს, აღარც ეს ახსოვდა სოფელქვეყანას, ეკლესიის ეზო-გალავანში მხოლოდ მომწვანო-მოყვითალო ხავსით გვერდებდაფარული საფლავის ლოდები ელაგა ბლომად. იმ ქვა-ლოდთა უმრავლესობა ნაირნაირად იყო მოხატულ-მოჩუქურთმებული. რა აღარ ამოეტვიფრათ ხელოსნებს — გუთანი, ნაჭახი, ხელეჩო, კომბალი, ნაბდიანი მხედარი,

დაუღლული ხარები, ქვევრი, საწნახელი, ვახი. ერთ პატარა ლოდზე ანგელოზს ისე გაეშალა ფრთები, გეგონებოდათ, ხელი რომ ავუქნო, აფრინდებო. ბერდია ყველაზე ხშირად იმ ფრთავაშლილი ანგელოზით მოხატულ პატარა ლოდთან ჩერდებოდა. გვიან ვაიგო, რომ იქ ბერდია ბაბუას შვიდი წლის ძმა იყო დამარხული. ამ სასაფლაოს ქვალოდებზე ასწავლა ბაბუამ კითხვა. აქ წაკითხულმა კი იღუპალ ქვეყანაზე დააფიქრა ბიჭი. შემდეგ ბავშვისთვის არა მარტო ეს სასაფლაო, ხატის ტყეც იღუპალეებით იყო საესე. შიგ ჩახედვა თითქოს მხესაც ეშინოდა, მუხის ფოთლებზე ემსხვრეოდა სხივები და ნეშომპალიან მიწამდე მზის ნამსხვრევებოდა აღწევდა ციმციმა მტვერივით.

ეკლესიის გაღვენდინან არცთუ ისე მოშორებით, ტყეში, ორი ყველაზე მსხვილი მუხა ერთმანეთთან ისე ახლო იდგა, რომ მათ შუა ბერდია ყმაწვილკაცობისასაც ვერ ახერხებდა გაძრომას. ამ ორ მუხას ტოტებიც და ფესვებიც ისე ჰქონდა ჩახლართულ-ჩამოხლართული, თუ კარგად არ დაუკვირდებოდი, ვერც მიხვდებოდი, რომელი რომლისა იყო. ამკამად იმ ორი მუხის შუა გაჭედილი დიდი ზარი, ეტყობა, ოდესღაც მხოლოდ ერთი მუხის ტოტს ეკადა, ის ტოტი თანდათან მეორე მუხის ტოტს გადაეჭდო და შეესისხლბორცა, მერმე, როცა ორივე მუხა დროთა განმავლობაში დამსხვილდა, შუაში მოქცეული ზარის გაჭყლეტა მოინდომა, მაგრამ ვერაფერი დააკლო, ზარმა თვითონ მუხებს შეუტყლიყა გვერდები, ხეებს ჭერქსა და ტანში შეუძვრა და შიგ ჩაიბუდა, ასე ვთქვათ, არა მარტო თვითონ შეესისხლბორცა ორ მუხას, თავისებურად ისინიც გააერთიანა და შეისისხლბორცა. იმ ხეთა შორის გაჭედდო ზარი ენაზე თოკი ისევე ება და როცა შემოჰკარავდნენ, ზართან ერთად თითქოს მუხებიც იწყებდნენ რეკვას. იყო დრო, ამ ზარის და მასთან ერთად იმ ორი მუხის გუგუნის სოფელ-ქვეყანას ესმოდა ცის იღუპალ სიმღერად, ღმერ-

თისა და ანგელოზების შეხმატებილებულ გალობად. მავანი ამ ზარსა და მუხებს უფრო ეთავყვანებოდა მარწიხულსა ლოცვა-ვედრებით, ვიდრე ეკლესიის ხატებს. ყველა უშვილო ქალი სწორედ აქ მოდიოდა, მუხებზე რალაც-რალაცებს ჰკიდებდა და იმ ზარსა თუ ზარის შემსისხლბორცებელ მუხებს ევედრებოდა — შეილი მაჩუქეო. ორსული ქალი ბედნიერად მოლოგინებას შესთხოვდა, ზოგი რას ემუდარებოდა და ზოგი რას. ამ მუხებში ღვთის პირველი სული და ძალა ჩაბუდებული, ამიტომაც ეთავყვანებიანო, ამბობდა ბერდიას მამა. იქნებ ამიტომაც, ყმაწვილკაცობისას და მერმეც, ბერდიას ხატის ტყეში ეს ორი, ზარშესისხლბორცებული მუხა ზეციერის მიწიერ ხატებად ეჩვენებოდა. იქ ისე არ აივლ-ჩაივლიდა, არ დაეჩოქა და პირჯვარი არ გადაეწერა.

პატარაობისას ბერდია ხატის ტყეს კალოდან რომ მიჩაჩრდებოდა, თხემზე აშენებული ქულარუბლისფერი ეკლესიის ტანს ვერც ხედავდა, უსიერი მუხნარის მიღმა მარტოოდენ მტრედისფერ ცარგვალში აშვერილი შავი ჯვარი ჩანდა ისე, თითქოს იგი ეკლესიის გუმბათში კი არ არის ჩარუბილი, ხელში ხატის ტყეს უჭირავსო.

ხატის ტყე მთელ სოფელს უწმინდეს აღვილად მიჩანდა. აქ მუხის მოჭრა ყველას ეკრძალებოდა, ტოტსა თუ წკირსაც არავინ შეატეხავდა ხეს. ზოგი ხელის ხლებასაც ერიდებოდა.

— ამ ტყეში ყველა ხე ღმერთის დარგულია, რამდენი მუხაცაა, იმდენი წმინდა სალოცავია, ყველა ხეს ღვთაების სული უდგას და ადამიანის ცოდვილი ხელი არ უნდა შეეხოსო, ეს ტყე მთლიანად ხატისთვისაა შეწირული და ღმერთის გარდა თითოც არავინ უნდა მიაკაროსო, ვინც აქ თუნდაც ერთ მუხას მოჭრის, ცოლ-შვილი ამოუწყდებო.

— ასე ქადაგებდა ბაბუა, დიდი ბერდია, იმ ბერდიას კი ეს ქადაგება თავისი ბაბუისაგან ჰქონდა ნაანდერძევი. რა თქმა უნდა, ამ ტყის მფარველი, უპირველეს ყოვლისა, ღმერთი გახლდათ, მაგრამ...

ყოველ შემთხვევისათვის, კაცის მეთვალყურეობაც სჭირდებოდა, მავანსა და მავანს რომ ცოდვა არ ჩადინა. ეს სამსახური ოდესღაც ბერდიას მამა-პაპას ეკისრა და ოჯახი ანდერძით ასრულებდა ამ სამსახურს ისე, რომ ღმერთისათვის კაცისგან გარჯა-სამსახურისთვის არაფერს მოითხოვდა.

ხარ-ურმით ან ცხენით აქ გავლას არავინ ბედავდა. თუ ხატის ტყეს მხედარი მოადგებოდა, ცხენს უმჯველად ახლომახლო დატოვებდა და ფეხით აუყვებოდა დაჩრდილულ ბილიც. თუ ღრუგაჩენილ ბებერ მუხას ამ წმინდა ტყეში ქარი გადატეხავდა, იქვე უნდა დამპალიყო: შინ შეშად რომ წავილეთ, უფალს ეწყინება და გაგვირისხნდება. გარდა იმისა, რომ ამ ტყეს ღვთის სული ებარა — შეეძლო ცოდვილის პატივება, სანუკვარი სათხოვრის შესრულება, ავადმყოფის სხეულიდან სენის განდევნა, უშვილოსათვის შვილის ჩუქება, ნუგეშად და რწმენად შრიალეზება, ამავე დროს თითქოს ყველა ადამიანური თვისებაც ჰქონდა მონიჭებული: ადამიანით იცოდა ფიქრი, წუხილი და სიხარული, სიცილი და ტირილი, მოთქმა და აღტაცება.

ხატის ტყეს თუნდაც მისი სახელი ანიჭებდა იღუმალებას და ხალხს იგი სულ სხვანაირ, არაჩვეულებრივ ტყედ ეჩვენებოდა, თითქოს აქ გაზრდილ ხეებს სხვაგვარი ფესვები და რტოები ჰქონდა, სხვაგვარი სული ედგა და მისი ფოთლებიც სხვაგვარად შრიალეზდნენ. ხალხი ამ ტყისადმი თვინიერ კრძალვასაც იჩენდა, როგორც ღვთაებისადმი, და მისი შიშითაც იმსჯელებოდა.

ექვთიმე სულს რომ ლევდა, ხატის ტყე სიტყვიერი ანდერძით შვილს გადააბარ-გადაულოცა: მისი მეთვალყურეობა უზენაესის განჩინებით გვავალია და ამ სიკეთეს, ზენაარსის სამსახურს ოჯახს ნუ დაუკარგავო.

ბერდიას ხატის ტყის სიყვარული, კრძალვა და შიშიც სიყრმიდანვე ძვალბრილში გაუქდა, მისი სული ხატის ტყის სულს აკვირიდანვე შეეზიარა და

ანდერძს ზედმეტი გულმოდგინებითაც ასრულებდა. ხატის ტყესკენ მიმავალი ყველა გზა-ბილიკი ცოცხალი ღობით ჩახერგა, შიგ პირუტყვი არ შევიდეს ხოლმე და არ წაბილწოსო. მუხნარი რკოს რომ დაყრიდა, ღორები მაშინვე სუნს იკრავდნენ და ტყისაკენ მიღრუჩუნობდნენ, ამ დროს ბერდია ას თვალყურს გამოისხამდა, არც ერთ ღრუჩუნას ტყეში არ აჭაჭანებდა. ახლომახლო მოსახლე ყველა კომლს აფრთხილებდა: ვისაც რკო სწადია, კეთილ ინებოს, ტყეში თვითონ აკრიფოს და ღორებს შინ წაუღოსო. ხშირად რკოს ამკრეფს თვითონაც ეხმარებოდა.

ბუნებით მშვიდი კაცი იყო ბერდია და მხოლოდ მაშინ ცეცხლდებოდა, ხატის ტყის არემარეში მიმავალ უცნობ თუ ნაცნობ მგზავრს ცეცხლმოკიდებულ თამბაქოს თუ დაუნახავდა, მაშინვე მგლური ძუნძულით მივიარდებოდა და აგანგაშდებოდა:

— სად მიგაქვს ეგ ოხერი ცეცხლი, ხომ იცი, ტყე საესეა ხმელი ფოთლებით და წყირებით, ნამწვავს ჰაიპარად მოისერი, წაეკიდება ცეცხლი ფოთლებს, ფოთლებიდან ფიჩხზე გადახტება და, ღმერთმა გვაშოროს, ტყეში უსასველო ხანძარი აგურგურდება. მთელი სოფლის დაღუპვა გწადია?

თუ ვინმე სიტყვას ბანზე აუგდებდა, ურჩსა და შეუპოვარს ფეხდაფეხ მიჰყვებოდა, სანამ მგზავრი ხატის ტყის შემოგარენს არ გაშორდებოდა.

ორად ორ რამეს არ უშლიდა ბერდია ხალხს: ხატის ტყეში სოკოს კრეფას და აქაური წყაროს წყლის სასმელად წაღებას. სულ სხვა გემო ჰქონდა ხატის ტყის სოკოსაც და წყალსაც. ასე ეჩვენებოდა ხალხს და ამ სიკეთეს ბერდია სოფელს როგორ აუკრძალავდა, როცა ეს ამბავი თვითონ სხვებზე მეტადაც სწამდა, მთელი სულითა და გულით: აქაურ სოკოსა და წყაროში ღვთის მადლი ურევიაო.

ხატის ტყეში უსაფრთხოდ ბინადრობდა მრავალნაირი ფრინველი. ხეები დახუნძლული იყო ბუდეებით. აქაუ-

რობას არწივიც ესტუმრებოდა ხოლმე, მაგრამ მისი გამოჩენა არავის აფრთხობდა. დილ-დილობით ჩიტები რომ აელურტულ-აჰიკვიდებოდნენ, გეგონებოდათ, ყველა ციურ ანგელოზს აქ მოუყრია თავი და ღმერთს სასოებრივი ლოცვით უგალობსო.

ერთხელ პატარა ბერდია ბაბუამ წისქვილში წაიყვანა, იქ შეაგვიანდათ და შინ ღამით გამობრუნდნენ. მთვარიანი ღამე იყო, მყუდრო. ხატის ტყეს რომ მიუახლოვდნენ, ბავშვმა უცნაური გადაძახილ-გადმოძახილი გაიგონა და შემცბარი გახევედა.

— ვერ ნახე? — ეკითხებოდა ერთი

— ვერ, ვერ, ვერ! — ეპასუხებოდა მეორე.

— ბიჭო, რატომ შეჩერდი? — ჰკითხა გახევებულ ბერდიას ბაბუამ.

— ხატის ტყეში ვილაყვები დადიან, რალაცას ეძებენ, ბაბუ? ავი სულები ხომ არ იქნებიან?

— ხატის ტყეში ავი სულები? — ბაბუამ მხრებზე მოკიდებული ფქვილიანი გულა შეისწორა და ტყეს მიაყურა. — ეგ, ბიჭო, ოლოლების ძახილია.

— ვინ ოლოლების? — ვერ გაიგო ბერდიამ.

— ოლოლი ფრინველია, ბაბუ.

— რა ფრინველი?!

— ბუს ჰგავს. ზოგი ბუსაც ოლოლი ეძახის, ერთნაირი თვალები აქვთ, მრგვალი და ყვრიალა.

— მერე ეგ ოლოლები ღამით დაფრინავენ?

— მხოლოდ ღამით.

— და ასე ადამიანებივით გასძახიან ერთმანეთს?

— კი, ადამიანებს უგავთ ხმა.

— რას ეძებენ?

— რას ეძებენ და... გრძელი ამბავია. კაი, მოკლედ გეტყვი. ოდესღაც ოლოლებიც ადამიანები ყოფილან, რალაც დაჰკარგვიათ, საძებრად წასულან, ტყეში დაღამებიათ, შიშის თუ სხვა რალაცის გამო ღამის ფრინველებად ქცეულან—ოლოლებად, იმ დღიდან ყოველ ღამეს სულ ეძებენ და ეძებენ იმ რალაც

დაკარგულს, ეძებენ და დღემდე უპოვიათ, გაიგე?

დაჰკატეხებულ ბერდიას ხმას რომ გაიგონებდა, უძალვე ის ღამე აგონდებოდა და ფიქრობდა, ნეტავი ისეთი რა დაეკარგათ იმ ადამიანებს: რომ ოლოლებად ქცეულნი აქამდე ეძებენ და ვერ უპოვიათო? იქნებ დიდი განძი დაკარგეს? იქნებ სულაც ბედნიერება? ან... ჰო, ესეც შეიძლება — რაკი ხატის ტყეში დაფრინავენ, რალაცნაირად დაკარგულ ღმერთს ეძებენ? ჰო, ესეც შეიძლება...

და გულის გულში ეცოდებოდა ბერდიას ფრინველებად ქცეული ადამიანები, ოდესღაც რალაცნაირად ღმერთი რომ დაკარგეს და მერმე ველარ იპოვეს.

ოლოლები ოლოლები იყვნენ და იმ კაჟაჩია ღამის შემდეგ ბერდიას მარტოდენ ოლოლები კი არა, ყველა ფრინველი ეცოდებოდა რალაცნაირად. ბავშვობისას ერთხელაც არ დაუმიზნებია ჩიტისთვის შურდული. ხოლო ხატის ტყეში არა მარტო ჩიტის მოკვლას, დაფრთხობასაც კი ერიდებოდა. არც თვითონ ერჩოდა მათ, არც სხვებს აკვლევინებდა. ბაბუამ ბერდიას სიყრმიდანვე ჩაუნერგა გულში: ცოდვა, დიდი თუ პატარა, კაცს არ მოასვენებსო. აქაურ ფრინველსაც თითქოს ღვთიური სული ედგა და მისთვის თოფისა თუ ქვის სროლა ისევე ცოდვად მიაჩნდა ხატის ტყის თვალს, როგორც კაცის მოკვლა.

— კაცის მოკვლა, კაცის მოკვლა... მე, მე... მე არ მომიკლავს კაცი. — თავის თავს ეჩურჩულებდა ბერდია, წინათ ნიჩაბივით ფართო, ახლა კი დახრუკულ-დაჩაივებული, ძარღვებდაბერილი ნაჯაფარი ხელები ჰრელ საბანზე უმწყოდ რომ უწყვია. — ეჰ, რა სხვანაირად დატრიალდა მერმე წუთისოფლის ბორბალი! ქვეყანა თითქოს თავდაყირა დადგაო, ბევრი რამ ერთბაშად შეიცვალა, გადასხვაფერდა.

ბერდიას დიხაც უყვარდა მამა-პაპის ნაანდერძევი ღმერთი, მაგრამ მარტოდენ ღმერთის მოწყალებას იმედად არასდროს დარჩენილა, ხელმარჯვე და

მუყაით კაცს მიწაც ღმერთივით უყვარდა და ღღუნიადაც ყანა-ვენახში ტრიალებდა, სახლ-კარს, მამაპაპეულ ფუძეს და ოჯახის კერას უვლიდა, ცოლიც ღვთისნიერი ქალი შეხვდა, გამარჯე და უწყინარი, ქმრის უკითხავად წყალს არ გადაღვრიდა, ჭირსა და ღონისში სანაქებო მეთუღლებას უწევდა, ყანა-ვენახშიც ეხმარებოდა და ოთხ შვილსაც უზრდიდა — ორ ვაჟსა და ორ ქალს, ასე რომ, სამღურავი არასდროს წამოსცდენია ბერდიას. არც ახალი დროების მოწყვლას შეხვედრია წარბშეკრული — სადაც სხვა, იქაც მე, თუ კაცს ჯან-ღონე მოგდევს და შრომა-გარჯაც არ გეზარება, ცხოვრება ვერასდროს დაგზაგრავსო, იმედოვნებდა.

მაგრამ როცა ვიღაც-ვიღაცების ყოვლად მოურიდებელი საჯარო ქადაგება გაიგონა: ღმერთი სიცრუეა, წირვა-ლოცვა უნდა მოვსპოთ და ეკლესიები დავანგრიოთო, ეს კი შხაშში ამოვლებული ლახვარივით მოხვდა გულზე, ხუთივე თითზე სანთლები აინთო და ისე ეახლა ზვამლეთის ეკლესიაში ხატებს: მამაზეციერო, შეუდღე მკრებელთ და ფარისეველთ, რამეთუ არა იციან, რას სჩადიანო. ვიდრე სანთლები თითებზე არ დააღნა, ცთომილი და გზააბნეული ხალხის საწალმართო გზაზე შემობრუნებას ევედრებოდა უფალს. თითქოს სანთლების ნაღვენთი სულშიც ესხმებოდა, მაგრამ როდი სწვავდა, საამოდ ათბობდა. ეჰ! მისი ვედრება იმ სანთლებთან ერთად დაიწვა და კვამლივით უკვალოდ გაქრა.

გიყურას გაღმა-გამოღმა სოფლებში ნაწიმიარზე ამოსულ სოკოსავით გამზრავლდა ღვთისმგმობელი ხალხი. ურწმუნო ხალხს ზოგი ისეთიც აჰყვა, წინათ წირვა-ლოცვას უსიყვდილოდ რომ არ აცდენდა. ისინი აშკარად და თავხედურად მოითხოვდნენ: ყველა მღვდელი გავეკრიპოთ, ანაფორა გავხადოთ და ეკლესიაშივე დავეუწყათ, სალოცავ-ეკლესიები კი ერთიანად დავანგრიოთ და მათ მაგივრად ქოხ-სამკითხველოები და კლუბები ავაშენოთო. ამის განსახორ-

ციელებლად აჭა-იქ გრძელტარიანი მუხურის ტრიალსაც არ ეჩინებოდნენ, მავანთა დასაშინებლად ეკლესიებშიც ასტეხდნენ ხოლმე ბათქა-ბუთქს — ხატებს ცხრილავდნენ, თვალებს სთხრიდნენ ტყვიებით.

ერთ ღღესაც ბერდიამ საშინელი ამბავი გაიგო. თურმე საცივარაში შვეთხას ანაფორა ჩააცვეს, ზურგზე კანაფით დააკრეს სახარების წიგნი, ვარაყიანი ყდა მზეზე თვალისმოშვრელად რომ უბრწყინავდა; ცალ რაჭაზე მღვდლის ქუდი დაახურეს, კისერზე კი ოლარით ჯვარი ჩამოჰკიდეს. მღვდლადქცეულ თხას ხელმძღვანელი ათანასე მღვდელი წაუშლვარეს და სოფლის სადალაქოსკენ წააფრატუნ-წააჩინდრიკეს.

— ვინ არის საცივარას მღვდელი? — თხას წამდაუწყემ ეკითხებოდა მათხერიანი ყოყლოჩინა ბიჭი.

— მეეე! — კიკინებდა მხიარულად თხა.

სეირის მოყვარულმა ხალხმა გზა სიცილ-ხარხარით აავსო. სადალაქოსაც კინალამ სიცილით ახადეს ჰერი. უშნოდ წვერგაკრეპილი ათანასე შინ როდი გაუშვეს, მღვდლად მორთულ-მოკაზმული თხა წაუშლვარეს წინ და სოფლის ყველა უბანში წინანდებური სიცილ-ხარხარით აატარა-ჩამოატარეს: საკუთარი თვალით იხილეთ, თქვენნი ღმერთის მოციქული რა ღღეშიაო. სამ ღღეს ასე წყვილად ატარეს მღვდელი და თხა შუკა-შუკა, ბოლოს სახარება და მღვდლის ქუდი ანაფორაში გაახვიეს და საგანგებოდ დანთებულ ჭიკოკონაში შეუძახეს. ჯვარი გიჟურაში მოისროლეს, ეკლესიიდან ხატებიც გამოიტანეს და დაწვეს, თხა ზედაშეთი დაათვრეს — ღვინო ბარძიმ-ფეშხუმით ეკლესიაშივე ძალით ასხეს და ასხეს პირში, სანამ გაღვმილი არ წაიქცა, იქვე გამოსურეს ყელი, ოთხში ამოიღეს, გამოშიგნეს, გრძელ შამფურზე წამოაცვეს, მუხის ნაყვერცხლეთის ზემოთ დაატრიალეს... სანადიმო სუფრა ეკლესიაშივე გაშალეს. ღვინოს ზიარების ფიალებით სვამდნენ და თან

ღეთის საგმობ უწმაწურ ლექსებს მღეროდნენ.

ათანასე მღვდელმა სათადარიგო ერთი ჭვარი ფარულად გადაირჩინა, მაგრამ ამით რა, თურმე ახლა იმ ჭვარს ჩაქუჩად ხმარობს, მორყეულ ჭიშკარზე ლურსმნებს აქედებს.

ამ ამბავმა ბერდიას სული აუფორი-აქა. კიდევ უფრო დიდად დასცა თავ-ზარი იმან, როცა გაიგო, საკვიარელი ღეთისმგომბლების საქციელს კლდისუბნელი ზალოკოს ვაჟაკი იროდიონიც დასწრებია და დაუქადნია, ჩემს სოფელში ხალხს თვალს მე ავუხელ, დავანახებ, ღმერთი რომ არაარაობააო. ამ ამბით შეძრწუნებულმა ბერდიამ რატომღაც ხარის ქედვიით მაგარ კისერზე წავივლო ხელი და ისე ძალოვნად მიისრ-მოისრისა, თითქოს შეამოწმა, წუთისოფლის ამ ახალ მძიმე უღელში რომ შევება, თუ გავუძლებო. მერმე ცას ახედა, გორმალას ქედზე ამოგორებული ქულა ღრუბლები დაინახა, წამისწამ რომ იცვლიდნენ იერს, და მოეჩვენა, იმ ღრუბლებიდან ქვეყნიერებას თმაწვერ-აშლილი, წარბშეკრული ღმერთი მრისხანედ გადმოჰყურებსო.

გავიდა ცხრა დღე. ხვამღეთის მრევლი ჩვეულებრივ მივიდა ეკლესიაში და მღვდელმა ფილიპემაც ჩვეულებრივ-წინანდებური მოგალობე ხმით დაიწყო წირვა-ლოცვა.

— ჩვენი ხორცი მიწისაა და სული — ცისა, ორივე კი ღმერთისაა, შვილნო ჩემნო.

მღვდელმა ეს რომ თქვა წამღერებით, იროდიონმა ჩაილაპარაკა:

— უყურეთ ამ წვერცანცარას! გესმით, რას ბურღლუნებს, შევარცხვინე მე შენი შვილი, დედაჩემსაც რომ გადმოსწვდა!

იროდიონის ამ ვითომდა ხუმრობაზე არავის გასცინებია, არც არავინ გამოლაპარაკებია.

— ეკრძაღენით ცრუ-წინასწარმეტყველთაგან, რომელნი მოვიდოდეს თქვენდა სამოსითა ცხოვართათა, ზოლო შიგან იყვნენ მგელ მტაცებელს..

ეს რომ წარმოსთქვა ფილიპე მღვდელმა, იროდიონის ბუხუნა ხმე უკვე მშვექარედ გაისმა:

— რას აჩახებხა ჩვენი წვერცანცარათხა! ეტყობა, ეკლესიის ჭვარზე მოუნდა ჩამოხრჩობა.

ფილიპე მღვდელი ყურალესილი გაინაბა: მომესმა ეს უხიაგი რამ, თუ მავანმა მართლა წამოროშაო და გაკვირვებით გადახედა მრევლს.

— ამხელა ოცლაყი გაზრდილხარ, სადაცაა ეკლესიის ჭვარს გაუტოლდები, ნამცევი ჭეუა კი არ გირიხინებს თავში. რას ბედავ შენ აქ, რას? — შეუძახა სპეტაკწვერიანმა წარმოსადადგმა ბერიაკმა პარმენამ იროდიონს.

— არ მომწონს მე მღვდლის ბურღლუნი და არ ვთქვა? — მშვიდად მიუგო ხაკის შარვალ-ხალათში გამოწყობილმა იროდიონმა.

— მღვდლის შეურაცხყოფა, იგივე ღმრთის შეურაცხყოფაა, შვილო, — წყრომა შეარბილა პარმენამ. — ღმერთთან მოლაპარაკე დიდზე დიდრ კაცია მღვდელი, სულის კაცი, ცისა და მიწის შუამავალი. მღვდელს აბარია არა მარტო ეკლესიის, ცის იღუმალი გასაღებიც, ღმერთის პატიოსანი მოციქულია მღვდელი, შენ კი მის გალობა-ქადაგებას მკრეხელურად ნათლაგ—ბურტყუნიო.

— მღვდელი ღმერთის სახელს ამოფარებულო, შავ ანაფორაში გახვეული ეშმაკია, სხვა არაფერი! — ეს უკვე მკვახედ მიახალა იროდიონმა სპეტაკწვერიან ბერიაკს.

— გონს მოდი, ვაჟაკო! იცოდე, ღმერთი არ გაპატიებს ამ მკრეხელურ ცოდვას! ღმერთთან აგებ პასუხს, ღმერთთან! დამიჯერე, შვილო!

— ხალხის თვალის ასახვევად და მოსატყუებლადაა მოგონილი ის თქვენი ღმერთი, ბაბუა! — ცვლავ სიმშვიდეს დაუბრუნდა იროდიონი. — ღმერთი თუ სადმეა, მხოლოდ მღვდლებს ეხმარება. ბოგანო ხალხს სულიან-ზორციანად რომ ფტკვნის, აქამდეს ვერ გაიგეთ? გაღმა სოფელში ღმერთის ცხედარი უპოვიათ,

ციდან ჩამოვარდნილა მკვდარი.

— ღმერთო, შეუნდე! ღმერთოო, შეუნდე! ღმერთოო, შეუნდე! — ხმაყანკალბით გაჰიმა ფილიპე მღვდელმა ვედრება და საამეველი ისე გაიქნია, კინალამ ხელიდან გაუვარდა.

ეკლესიამ გაიმერა:

— ღმერთოო შეუნდე!

წირვა-ლოცვა შეწყდა.

მრევლი ეზოში რომ გამოეფინა, ფილიპე მღვდელი ეკლესიის კარში ჩამოდა და ხელაპყრობილმა შელადაც ცას:

— არათა გამგებელო, მოხედე წარწყმედის გზაზე მიმავალ ადამიანს! ქვეყნიერებას სატანა ეპატრონება! მოდის ურწმუნობის დიდი ღამე და ეს ღამე ეშმაკის ჩრდილია, სათვალხილეთი ეშმაკის ჩრდილად გადაქცევას აპირებს. დედამიწას როკავი დაჰყურებს, როგორც ქალაქი თავმოსაპრელ მსხვერპლს. არათა გამგებელო, მოხედე ცოდვის გზაზე დამდგარ ცთომილთ! უშველე, უშველე ქვეყანას და ადამიანს! — მღვდელმა ანაფორიანი მკლავები ისე გაშალა, ყვავს დაემგვანა.

მრევლი გაიყო. მავანი ფილიპეს უსმენდა, მავანიც ძველ ხავსმოდებულ უწარწერო საფლავის ლოდზე მდგარ იროდიონს:

— ხალხო, დროა თვალი გაახილოთ! თქვენ გეშინიათ ჭოჯობეთის კვარჩხალა კუპრის ქვაბში მოხარშვის და ამ შიშის გასაქარწყლებლად რას არ სწირავთ ეკლესიას, რა ძღვენი და მოსაკითხი არ მიგაქვთ მღვდელთან. არ არსებობს საიქიო, არც ჭოჯობეთი. ჰოდა, ნურც საიქიოს სასჯელი გაშინებთ. ამოდ მიგაქვთ მღვდელთან შესაწირავი, მღვდლები თვითონ მიირთმევენ საღმრთო ძღვენა. ღმერთი არც არაფერს ჰამს, არც არაფერს სვამს, ცრუბენტელ მღვდლების მოგონილია ყველაფერი ეს. მღვდელი, ასე ვთქვათ, მამაზეციერსა წველის, არ არის არსად მამაზეციერი და მაინც წველის.

ხალკომ პირგამეხებული ბერდია დაინახა და თვალი მოაჩიდა, მერმე დაბნეული ორ მრევლს შუა ჩაღვა, ეტყო-

ბა, ვერ გადაეწყვიტა, შეილა კიბზრობოდა თუ მღვდელს.

— შენ ქვეყნის გამჩენს ნუ ეშობაქები, ზენაარს კრიჭაში ნუ ჩაუდექი, დროცამივით ძლიერია ღმერთი, ხვალ თუ არა ზეგ მაინც წაგაქცევს, გმირთა გმირო! — მიადახა პარმენამ და სპეტაკი წვერი თითებით ჩამოივარცხნა. — ძღმუნთვარა ღლაპებო, ხალხს სამოთხის რწმენას ნუ უჯარგავთ და მხოლოდ ამქვეყნიურ ჭოჯობეთს ნუ უტოვებთ! მრევლს ღმერთს რომ ართმევთ, სამაგიეროს რას აძლევთ, რას, ცოდვილნო? იცოდეთ, თვალისჩინის დაშრეტა გერჩიოთ უფლის რწმენის დაკარგვას. ვერ ქვის ეკლესიაში დალუწავთ ხატებს, მერმე სულის ეკლესიიდანაც ჩამოხსნით ზნეობის ხატებს და უკულმართად დაგიტრიალდებთ წუთისოფლის ბორბალი, გადაგვარდებით და გადაშენდებით. ნუ მოუჟლავთ ადამიანს ღმერთს, უღმერთოდ დაცარიელდება ადამიანი და თვითონაც მოკვდება!

— ჩვენ ვკლავთ ღმერთს, რომ გავაღმერთოთ ადამიანი! — მტკიცე თავდაჯერებით მოუჭრა სიტყვა იროდიონმა.

— ნუ განარისხებთ უფალს! — პარმენას შეეშველა ყავარჩნიანი იონა. — შეგრისხავთ ზეცა, არათა გამრიგე ამ თავხედურ მკრეხელობას არ გაპატრებთ, არა! თქვენი თავი თუ არ გებრალემათ, სოფელ-ქვეყანა მაინც შეიბრალეთ, ოჯახი მაინც შეიბრალეთ! ურწმუნობისთვის ცარგვალი რისხვასა და სისხლის წარღვნას მოგივლენთ! რა გაციუნებს, თავხედო, რა? ჭაუხზე მოსაყვანად ერთი რიგიან-პირიანი გაროზგვა მოგიხდება, მარა, ვინლაა გამროზგავი. უპატრონო ხარ, უპატრონო! — იონამ ყავარჩენი შეათამაშა მალა. — ღმერთი არ ურევია შენს გაჩენაში, უღმერთო ხარ, უღმერთო, შე უბედურო!

— მერედა, ჩემი ბრალია, უღმერთო რომ ვარ? შე რომ დავიბადე, ეტყობა, იმ თქვენს ღმერთს გმირილად ეძინა რომელიმე ფხსუსტ ანგელოზთან და ჩემი გაჩენა ვერ გაიგო. ჰოდა, ცხვობრობ უღმერთოდ, მამაზეციერის კანონ-

გარეშე. ნეტავ სადაა ის თქვენი ღმერთი? გორმალას კლდეზე რომ შევდგე, წვერებში ვერ ჩავაღლებ ხელს?

— ჭოჯოხეთში წაგათრევს შენ სატანა, ჭოჯოხეთში!

პირგაბადრულმა იროდიონმა ამის გაგონებაზე მხოლოდ გაღიზარხარა და მერმე, აქაოდა, ძალიან შემაშინეო, უცნაურად აკანკალ-აცაცხაბდა:

— ვაიმე, ვაიმე! რა მეშველება, მეორედ რომ ველარ მოვალ ამქვეყნად! ვაიმე, ვაიმე! რატომ აქამდე არ ვიცოდრი, თუ ასეთი საშინელება მელოდა? რა უცებ შემარყია და ამაცახცახა ღვთის შიშის ქარმა! მიშველეთ, მიშველეთ! — შავ უღვაშებში დამცინავი ღიმილი გამოსცრა იროდიონმა.

— დაგგრიხოს ღვთისშობლის ხატმა, რას იგრძობი ქამბაზივით, შე ოხერო! იცინე, ჰო, იცინე! ნახავ, საიქოში რაც მოგივია! შენი თავი თუ არ გეცოდება, ცოლ-შვილი და დედ-მამა მაინც შეიბრალებ, შე ხატილეწია! ოჯახს რაღას ერჩი? ოჯახს მაინც ნუ აგდებ ჭოჯოხეთის კუპრში! ამქვეყნად მეორედ მოსვლას ვერ ეღირსებით ვერცერთი!

ჰო, იროდიონი მაშინ უკვე ცოლ-შვილიანი იყო, დედ-მამაც ცოცხალი ჰყავდა და ყვარჩინანმა იონამ ამ შეშინებითაც სცადა ღვთისმგმობელის, ასე ეთქვათ, მოთვინიერება და მორჯულება.

— თქვენთვის დამითია იმქვეყნიური სამოთხეც და ამქვეყნად მეორედ მოსვლაც! — ახლა უფრო მკვეპარედ გადაიზარხარა იროდიონმა.

მიტკალივით გაფითრებულ ბერდიას, წამდაუწუმ უღვაშს რომ იწიწკინდა, ხაკისხალათიანი კაცის ხარხარი ისე მოესმა, მეხი მუხას რომ დაეცემა და მისი ეჭო კლდეებში ავრუხუნდება.

კარგა ხანს იდავა და იყაყანა ხალხმა ეკლესიის ეზოში, ერთმანეთს პირიდან აკლიდნენ სიტყვას, თავთავიანთ ჭეშმარიტებას ჭიუტად ამტკიცებდნენ, თითქმის ყველას საკუთარი თავი ეგონა მართალი. შუადღისას კი ერთბაშად დაცარიელდა ეკლესიის ეზო. რამდენიმე კაცი ხატის ტყის ბილიკით დაეშვა სო-

ფლისკენ, უმრავლესობა კი გორმალასკენ მიმავალ საურმე ვხანქ დანდგა ახალგაზრდების ჭგუფი, შიშითავე წაიხრეს „ღმერთოთა კავშირად“ რომ ნათლავდა, ცალკე მოიძღვროდა:

ფოფოლიას უყვარს ჭადა.

მღვდელს კი განატეხიო.

ღმერთი ციდან ჩამოვარდა,

მოიტეხა ფეხიო.

ბერდია რატომღაც საურმე გზით წამოსულ ხალხს აემგზავრა. კრიჭაშეკრული, უენო ზარივით დადუმებული, ყურალესილი უსმენდა, ვინ რას ამბობდა. ეკლესიის ეზოში დაწვეებული დავა გზაზეც გაგრძელდა.

— ღმერთმა ნუ ქნას ღმერთის სიკვდილი! — ბჭობდა ისევ პარმენა. — ვერა, ეკლესიას ვერ შეეღევა ადამიანი ცოცხალი თავით! ეკლესია ღმერთის სახლია. სოფელი, სადაც ღმერთს სახლი არ უდგას, სოფელი არც ეთქმის. ზოგ სოფელში ორი და სამი სახლიც კი უდგას უფალს, დაილოცოს მისი სახელი! სამყაროში ჭეშმარიტი მხოლოდ ღმერთია, ყველაფერი დანარჩენი მისი მოგონილია. ჭეშმარიტი დავივიწყოთ და მოგონილს ვცეთ პატივი?

— ტყუილია ეგ! — შეეკამათა ხომალეტში მასწავლებლად ჩამოსული საკივარელი ელიზბარი, იროდიონს დედულეთიდან ნათესავად რომ ეკუთვნოდა. — ვინაიდან პირველყოფილმა ადამიანმა ბუნების და სამყაროს მრავალი საიდუმლოება სხვა ვერაფრით ახსნა, ყველაფერი ზებუნებრივ ძალას მიაწერა, გამოიგონა ღმერთი. დიახ, ღმერთია გამოგონილი, ჩვენისთანა ადამიანმა გამოიგონა. ღმერთმა კი არ შექმნა კაცი, კაცმა შექმნა ღმერთი. ჩვენს დროში ამის უცოდინარობა უკვე სირცხვილია.

— რას ამბობ, კაცო? ჩემს ჭომავად ერთადერთი ცაში ღმერთი მგვულებოდა და თუ ისიც არსად ჭაქანებს, სულ უჭომავოდ დავრჩენილვარ და ეგ არის! — თავი სინანულით გადააქნია კლდისუბნელმა თადეოზამ. — ნეტავი ისე მოგმკვდარიყავი, არ გამეგო, ღმერთი და

საიქო რომ არ არის. მაშინ, კაცის სი-
ცოცხლე ხომ ამ წუთისოფელში მთავ-
რდება და... არა, შენი ჭირიმე, ადამი-
ანს ღვთის იმედიც უნდა ჰქონდეს და
შიშიც, ისე ვერ იცხოვრებს წესიერად,
ღმერთი იმედია, იმედი! მიზანიც!..

— ეპ, ღმერთი თუ არსადაა, ეს ჩვე-
ნი მართლაც თხასავით წვერცანცარა
მღვდელი მარტო ალაპის გადასახდელად
გინდა გვეყოლია და გინდა არა. ეპ, ეპ,
ეპ! — რამდენჯერმე ზედღებულ ამოი-
ოხრა თადეოხას გვერდით მიმავალმა
დიდშებლა, ცალთვალა ლუკამ.

— მე, შენ ხარ ჩემი ბატონი, ყველა
საქმეს ლოცვით ვიწყებ. გუთანს გავი-
ტან სახნავად მინდორში, ვლოცულობ,
ყანას ვმკი, ვლოცულობ, ვახსა ვსხლავ,
ვლოცულობ, ვთვლიანობ, ვლოცულობ...
შინ ვლოცულობ, გაჩეთ ვლოცულობ,
ეკლესიაში ვლოცულობ, გზას დავად-
გები, ვლოცულობ... პირჯვარსაც ვიწერ.
ღმერთი მისმენს თუ არა, რა ბედენაა.
მე ჩემი ლოცვით სულს ვიოხებ და ვიმ-
შვიდებ, სიკეთეს ვვედრებ ვველას-
თვის და მგონია, ეს ლოცვა მოყვასს
წადგება და მეც სიკეთედ შემომიბრუნ-
დება, მადლად შემეწყება. ნუგეშია ეს.
ჰოდა, რატომ შეველიო მანუგეშებელ
ღმერთსა თუ ლოცვას? ღმერთმა ნუ
ქნას, ღმერთი მოკვდეს! ღმერთმა ნუ
ქნას, ღმერთი მოკვდეს! დე, სანუგე-
შოდ ყველას თავისი სალოცავი ეკლესია
ედგას გულში, ზოგს ჭვრიანი, ზოგს
უჭვრო! — ღმერთისა და ხალხის თავი-
სებური მორიგება სცადა ცხვირკებიან-
მა კაფანდარა დომენტომ.

უენო ზარივით დადუმებულ ბერდიას
ისე აემღვრა სული, აღარავის დანახვა
არ უნდოდა, შინ მისვლისთანავე ღია
აივანზე წამოსასვენებლად დადგმულ,
ჭრელ ფარდაგადაფარებულ ტახტზე
წამოწვა, დაკოყრილი ნიჩაბა ხელები
თავქვეშ ამოიდვა და თვალები დახუჭა.
დაძინება არც უფიქრია, მხოლოდ გაი-
რინდა.

მუდამ ყურადღებებიანმა ცოლმა ქმარს
მალე შეამჩნია უგუნებობა:

— რა მოყამული დამიბრუნდი, კა-

ცო, ავად ხვარა ხარ?

ბერდიამ ხმა არ გასცა. ერქონულნი
გულნიოთქსა
— არ გეყურება, კაცო? ავად ხვარა
ხარ, შენი ჭირიმე?

— ავად კი არა, — ძლივს ამოღერლა
მწოლარემ და თვალები უნიათოდ გაა-
ხილა.

— აბა, ეკლესიიდან შენ სხვიმის ცულ
გუნებაზე როდის მოსულხარ?! რა მოხ-
და დღეს იქ ან გზაზე გაწყენია ვინმემ,
ან...

ბერდიამ უხმოდ გადააქნია თავი.

— მტრისას და ავისას, ავი ამბავი
გაიგე რამე?

— ავზე ავი. — ღმერთს უბირებენ
მოკვლას.

— უცნაურს იტყვი ხოლმე, შე კაცო
ვინაა ღმერთის მომრევი?! ღმერთს
თვითონ ღმერთის მეტი ვერავინ მოკ-
ლავს. მაგან შეგაწუხა ამხელა კაცი?
ყველაფერს რო თავი დაანებო, იმ და-
ლოცვილ მამახეციერს თუ თავისი თა-
ვის მოვლა-პატრონობა აღარ შეუძლია,
მარტოკა შენ რას უშველი? თუ მოკლა-
ვენ, მარტოკა შენთვის ხვარ მოკლავენ,
კაცო? ადე, ადე, შენი ჭირიმე. დილის
მერე ნამცეცი არ ჩაგიდევს პირში, ჭამე
რამე. ასე გაშეშებულად ტახტზე გა-
შოლტილს რო გეყურებ. მეშინია, ღმე-
რთმანი. ლორში ჩახრახელი პარკი ლო-
ბიო გაგეყეთ, შენ რო გეყვარს, იმის-
თანა. შვილები არ მომიკვდება, არც მე
მიჭამია, გელოდებოდი. ნუ მომკლავ შიმ-
შილით, ადე, ადე!

ცოლია აღერსიანმა ტკბილმა სიტყ-
ვამაც ვერ დაუწმინდა ამღვრეული სუ-
ლი, ვერ გამოუკეთა გუნება. გემრიელი
სადილი უგემურად შედლოლნა, შინიდან
მუთაქა გაიტანა, ისევ აივნის ტახტზე
მიეგდო და გაირინდა. ახლა იგი იმ ჭი-
რისუფალს ჰგავდა, სადღაც შორს მყო-
ფი უსაყვარლესი თავისიანის დაღუბ-
ვა რომ შეატყობინეს, მაგრამ ვინაიდან
თავისი თვალთ არ უნახავა ცხედარი,
ჭერ მისი გარდაცვალება ვერ დაუჭერე-
ბია, ჰგონია, ყველაფერი ეს სიზმარში
მოხდაო. გაღვიძებისთანავე საშინელი
ამბავი სიზმარშივე დაჩრებო.

არიადნამ ქმარს ფუმფულა ლოგინი დაღამებისთანავე გაუშალა შინ, მაგ ხმელ ტახტზე როდემდე უნდა იმტვრიო გვერდები, რბილად დაიძინეო. არ შეპყვია; აქ მიჩვევნიაო, თანაც ასე, ულოგინოდო. ქმრის ნებას დაპყვა ცოლი, უსაყვედუროდ და უბუზღუნოდ გაშორდა, კარგა ხანს განგებ იფუსფუსა აქეთიქით, ეგება რამენაირად მოიგუნებოს კაცმა და დასაძინებლად შინ შემოვიდესო. გვიან ღამემდე უცადა უხმოდ, ბოლოს ლოდინმა დაქანცა, ბუხრის ფეხთან მიყუდებულ ასტამს დაავლო ხელი, ცისფერალიანი დიდი ნაკვერცხალი ღადარში შეახვია — ცეცხლის დედა საიმედოდ შეინახა დილისათვის, მეორე ოთახში მძინარე შვილებს ერთხელაც დახედა, ლამაზა ჩააჭრო და საზიარო სარეცელზე კენტად დაწვა. ეს იყო პირველი ღამე, ერთ სახლში მყოფ ცოლქმარს ცალ-ცალკე რომ უნდა გაეთია ღამე. ამ ზაფხულის ღამეს ერთობ ცივი ეჩვენა ლოგინი არიადნას და რაღაც ჩასწყდა გულში. თითქოს ეკლებზე დაწვიაო, ძილგატეხილმა კარგა ხანს იბორგა.

ბერდიამ დიდხანს უყურა მოკიადე ვარსკვლავებს და ღრუბლებში მყვინთავ მთვარეს. მისი ფიქრებიც თითქოს ვარსკვლავებივით კიაფობდნენ და იმ ღრუბლებივით ირეოდნენ, მთვარეს ხან მგლურად რომ ყლაპავდნენ, ხანაც მუცლიდან ისროდნენ.

„ვილუპებით, მგონი, ვილუპებით. იმ ურწმუნო შიშტიბუქა ხალხმა სოფელი მთლიანად რომ აიყოლიოს, უსაშველო უბედურება დატრიალდება ხომლეთში. თუმცა. მარტო ხომლეთში რატომ? ეს პირი მარტო ხომლეთს რომ შეპყროდა, კაცი რაღაცას იღონებდა. მაგრამ როცა ირგვლივ... ნუთუ მეორედ მოსვლის წინამორბედი წარლენა იწყება უკვე და ქვეყნიერება სიგიჟით უნდა დაილუპოს?... ნუთუ, ნუთუ... რაკი ცთომილნი უგუნურად ღმერთს მოკვლით ემუქრებოან. ვაითუ მამაზეციერი ყველას გაგვირისხდეს და... ცოდვილი და უცოდველი ერთ ქვაბში ჩაგვეყაროს? ღმერთ-

მა ნუ ქნას ღმერთის განრისხება. ღმერთმა ნუ ქნას ღმერთის განრისხება. ყველა რატომ უნდა დაილუპოს? ყველა რატომ უნდა დაილუპოს? თუ სამართალია, დაე, დაილუპოს მხოლოდ ის, ვისაც ეშმაკი არ ასვენებს! პო, ახლა ყველა ურწმუნო ადამიანის დაღუპვა მოუჩვენდა ქვეყანას პირს!..“

ბერდიამ ისევ ცას დაუწყო ყურება. „ამბობენ, ცარგვალში იმდენი ვარსკვლავია, რამდენი ადამიანიც დედამიწაზე დადისო. ნეტავ რომელია ჩემი ბედის ვარსკვლავი? იქნებ, აი, ის, ყველაზე თვალშუქიანი რომ არის? ეპ, მე იმ ვარსკვლავს ვინ დამანებებს! ალბათ, ყველას კაშკაშა ვარსკვლავი უნდა, განსაკუთრებული, გამორჩეული, სხვებზე თვალბრღღვიალა... მაგრამ ვინ უნაწილებს ადამიანებს ბედის ვარსკვლავს? იქნებ რაღაცნაირად თავიდანვე ყველა თვითონ ირჩევს თავისი ბედის ვარსკვლავს? იქნებ მეც უფრო ადრე უნდა ამომერჩია, მაშინ, პირველად რომ დავინახე ვარსკვლავები?“

ბედის ვარსკვლავზე ფიქრით უნდოდა ბერდიას ეკლესიაში იმ დღეს მომხდარი ამბის დავიწყება. ამოდ, წამდაუწყემ იროდიონის გაბადრულ პირისახესა ხედავდა და მისი ხარხარი ესმოდა, მეხის ტეხასავით მოგრუხუნე ხარხარი.

— ყი, ყლო, ყოუუუ!

ბერდიამ იცნო გადაბერებული მამლის ხმა. ძლივსღა ყიოდა ის საცოდავი. მერმე ბებერი მამლის დაღლილ ყივილს აპყვენენ ჰაბუკი მამლებიც და ხრინწიანი ყივილი მათ ომახიან ყივილში დაიკარგა. თითქოს ამ აყივლებას ელოდაო, ბერდიას ჩაეძინა.

• • •

ზაფხულის მიწურულს, მარიამობას, როცა ხომლეთის ეკლესიის ეზოში შორეული სოფლებიდან მოსული ხალხიც იყრის თავს და ბევრი ღამესაც იქვე ათევს, იროდიონმა სამრეკლოს ზარების მოხსნა და გუმბათიდან ჭვრის ჩამოგდება გადაწყვიტა. განზრახვა არც და-

მალა: ყველას დაგიმტკიცებთ, რომ იმ თქვენს ღმერთს არავითარი გრძნეულება არ გაქვს, არც ხატსა და ჭვარს შეუძლია სასწაულის მოხდენა, ხატის ტყვეც შეშაა უბრალო, სხვა არაფერიო.

ეს ამბავი უმაღლეს გაქენ-გამოქენდა და მოედო სოფელ-ქვეყანას.

მარიამობის წინაღამეს ბერდიას ძილო გაუტყდა, ჩუმიად წამოდგა ლოგინიდან. ცოლი არ გავალვიძოო, შარვალი ჩაიკვა, წულეებში ფეხები ჩაყარა და ლურჯკობლეზიანი მიტკლის პერანგისამარა გავიდა ეზოში და ბოლთის ცემა დაიწყო. წამდაუწუმ ეკლესიისკენ იყურებოდა. მაგრამ იქ მხოლოდ ვარსკვლავებით მოქედილ, სავსე მთვარიან ცაში ვედრებასავით გარინდებულ ჭვარს ხედავდა. საერთოდაც ირგვლივ ამ ჭვრის გარდა ვერაფერს ამჩნევდა — ვერც ხატის ტყეს. ვერც გორმალას ქედს, არც გიჟურას შხვილ-ღუღუნე ესმოდა. თითქოს ეძინა ხატის ტყეს და გიჟურასაც ეძინა. არ ეძინა მხოლოდ ბერდიას. ერთხელ მოეჩვენა, ჭვარზე ჭამოსაჭედომად ცის დასალიერიდან ანგელოზები მოფრინდნენო. მალე დარწმუნდა, ცაზე თეთრი ღრუბლები მოტიატობდნენ.

აი, ჭვარს მოეახლა თეთრი ღრუბელი. მერმე იმ ღრუბელს მიეფარა მთვარე და მთვარის ვერცხლისფერი შექიფი განათებული ღრუბელი ჭვრის გვირგვინ-შარავანდებს დაემსგავსა.

„ღმერთო, გვიშველე!“

ეკლესიას ზარი და ჭვარი თუ მოხსნეს, მერმე თვითონ ეკლესიასაც მიადგებიან და მიანგრ-მოანგრევენ. ეკლესია თუ დაანგრიეს, ხალხის უმრავლესობა დაექვედება: მგონი; ღმერთი მართლაც არ არსებულაო, ბევრი წირვა-ლოცვაზე გულს აიყრის, გულსაცრუებული და რწმენდაკარგული ადამიანი კი ყოველნაირი ხატისა და სალოცავის პატივისცემას დაკარგავს. ის კრძალვა, მორიდება თუ შიში, ადრე ხალხს რომ ჰქონდა ეკლესიისადმი და სალოცავთა შემოგარენისადმი, ცაში წასული კვამლი-

ვით უველოდ გაქრება! ჰოდა, მაშინ ხატის ტყეს ვინლა დაიხდობს თუ იპატიებს? ვინლა შეინახავს ნელხუნულ მუხნარს? ნაჯახმუხებელ მუხნარს მავანმა და მავანმა თუ ერთხელვე შებედა და შეაპარა ცული, ნაჯახი ან წალდი, თუ ერთი ხე მაინც მოჭრა ვინმემ, გათავდა, მერმე მიდი შვიდი! თავს აიშვებს ყველა, მთელი ტყე გაიჩეხება და გაჩანადდება, ჭირებდად იქცევა, ჭირებდაც ძირფესვიანად მოთხრიან მალე და თითოვით გაშიშვლდება ფერდობი, ხოლო ციკაბო ფერდობი თუ ერთხელე უტყეოდ დარჩა, მიწა დროდადრო ჩამორეცხება, გახრიოკდება და ბევრგან შიშველ-ტიტველი, ფრიალო კლდეებია დარჩება, ტყეს იქ ხელახლა კელარ მოაკიდებინებ ფეხს, ყოველდღე ოფლითაც რომ მორწყა. ღვარებით დაილარება და დაიხრამება ფერდობი, კლდეებიდან მომწყდარი ქვალოდი უსაშველოდ დაიწყებს ცვენას, მე შენ გეტყვი, გზაზე რამე შეაჩერებს, უპირველესად ფერდობის ძირას მოსახლე ოჯახს დაუპირებს ჩაქოლვას. იქნებ რომელიმე კლდე ზევადაც მოწყდეს, ან მეწყერიც გაჩნდეს. ჰოდა, თუ კაცი ხარ, აიცილე ამდენი ფათერაკი. ან ზევა-მეწყერი ჩაგიტანს გიჟურაში შენი სახლ-კარ-ვენახიანად, ან ღვარ-ცოფი მოგტაცებს ყველაფერს, დაგახრჩობს პირუტყვსაც და ადამიანებსაც, მოგისპობს კერასა და ოჯახს. თუ ამ უბედურებებს გადაურჩი, შიშველ-ტიტველი კლდეები ქვალოდით ჩაქოლავენ. ხატის ტყე ინახავს ფერდობსაც და ფერდობის ფერხთით მდგარ სახლ-კარსაც, იქვე გაშენებულ კარის ვენახსაც და ხეხილსაც. ხატის ტყის მუხნარი თუ გაჩანავდა, ან მეწყერ-ნიღვარი წალკავს სახლ-კარსაც და ყანა-ვენახსაც, ან მახევრპლის თავიდან ასაცილებლად ოჯახმა აქედან უსიკვდილოდ უნდა აიყრას გულა-ნაბადი, სხვაგან გადაბარგდეს. მერმე და, განა ასე ადვილია აყრა და მამაპაპეული კერა-ფუძის გამოცვლა? ასე იოლია ადგილის დედის შე-

ლევა და ახალი ფუძის ანგელოზის გაჩენა?

აქ ბერდიას მამა-პაპას ხის ოდა-სახლი რომ სდგომოდა, შრამელიც ხის რომ აეშენებინა, კაცი დაანგრევდა და გაღმა უბანში, ვაკეზე, საიმიედოდ დე-სახლებოდა, მკვიდრად ნაგებ ქვიტიკრის სახლს, ბოსელსა და მარანს კი რას უზამ? ყველაფერი ჰაიპარად უნდა მი-ატოვოს. ძნელია, ერთობ ძნელია, ახალი სახლ-კარისა და კარ-მიდამოს გა-მართვა, ხელახლა ცხოვრების დაწყება. წუთისოფელი ისე მოკლეა...

ეს რომ არ მოხდეს, ზარი და ჯვარი როგორმე ჩამოგდებას უნდა გადაურჩეს! გადაურჩეს, გადაურჩეს!.. მაგრამ ვინ უნდა გადაარჩინოს? ან — რანაირად უნდა გადაარჩინოს?.. ო, რა ძნელია!.. უსაშველოდ ძნელი!... ჯერ, ალბათ, კაცმა უნდა გადაარჩინოს ღმერთი, მერმე ღმერთმა რომ გადაარჩინოს კაციცა და ყველაფერიც... კაცმა უნდა გადაარჩინოს ღმერთი თუნდაც თავისთვის... ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად!

— ეჰ, ბერდია, ბერდია, საით წაგეგრიხა ფიჭვი? რას მოასწავებს ეს? შენ ეკლესიის ჯვარსა და ხატის ტყეს ღმერთისთვის უფრთხილდები, თუ... თუ აქედან აყრა და ფუძის მიტოვება-გამოცვლა რომ არ დაჯჭირდეს, მხოლოდ იმიტომ ებლაუჭები ყველაფერს? — ჰკითხა იდუმალმა მსაჯულმა.

— ხატის ტყე ჩემი სულის სახლია, — გაეპასუხა მსაჯულს ბერდია.

ჰო, ზუსტად ასე უთხრა, ჩემი სულის სახლიაო.

ჩემი რწმენის სახლიაო, აჲ არ უთქვამს.

— ხატის ტყე ჩემი სულის სახლია, ჩემი სულის სახლი! — კიდევ გაიმეორა. — მე მარტო ტყეს კი არა, ჩემი სულის სახლსაც ვიცავ, გაიგე?.. და ასე ვემსახურები ღმერთსაც. მე ხომ ამ სამსახურისთვის არც უფლიააგან და არც კაცისგან არავითარ გასამრჯელოს არ ვითხოვ. ღმერთო, დიდებულო, ყოვლისშემძლევ და ყოვლისმზილველო, ნუ

წააბილწვინებ ძე-შეცთომილთ შენს სახატეს! გვიშველე, უფალო, ნუ გაგმწერავ! ნუ დალუბავ შენს შემქმნელს მინას, გზა გაუნათე ზეციურ სასუფეველისკენ! გვასწავლე, როგორ გადავარჩინოთ შენი ხატიცა და სხვა რამეც!..

აქ უკვე ბერდიას ფიჭვი მთვარიანი ციდან მიწაზე დაეშვა:

«ამალამ რომ გაწვიმდებოდეს, ეგება სველ სახურავზე აპორტყება ხეალ ვერ გაბედოს იმ ურწმუნო რეგვენმა და უგუნურების გზას შოეშვას. ერთხელავე თუ ვერ გაბედა, ეგება გადაიფიჭროს. ასეა თუ ისე, ზარი და ჯვარი როგორმე უნდა გადაურჩეს ჩამოგდებას, მაშინ ეკლესიაც გადარჩება დანგრევას, ხატის ტყე კი გაჩანაგებას!»!

— ღმერთო, გვიშველე! — მკლავებ-ატოტებული ეგვდრება ბერდია ცას, სადაც ვარინდებულ ჯვარს, ანგელოზივით პირშვენიერ სამიოდე თეთრ ღრუბელსა და გაბადრულ მთვარეს ხედავს.

ხატის ტყის შეთვალყურეს ჯვარსაც არ დაუკარგავს ღმერთის იმედი. ამ იმედით შევიდა შინ შუალამისას და დაწოლისთანავე დაიძინა.

* * *

ხომლეთის ეკლესიის ეზო დილიდანვე არუზრუზდა. ვინ აღარ მოვიდა აქ. ხატის ტყის მესვეურმა თვალის შევლებითანავე იგუმანა: მავანი და მავანი სეირის საყურებლად მოსულიყო, მავანსაც, ეტყობა, ბერდიასავით სჯეროდა: ყოვლისშემძლე და სამართლიანი მამაზეციური ღვთისმგმობელს არ შეარჩენს თავხედობას; მკრებელური შეურაცხყოფისთვის სასტიკად დასჯის, გუმბათზე ხელსაც არ მოაკიდებინებს, ეკლესიის კედლებში სახურავიდანვე ყირამალა გადმოუშვება ძირს და ახიც იქნებაო.

მშემ მალე დააჭირა და ხალხმა სიცხის გულიდან გადაინაცვლა, ზოგმა ეკლესიის ჩრდილს შეაფარა თავი, ზოგმაც ეზოში მღვარ სამ მუხას.

მერმე ცაზე ქულა ღრუბლები ამოგორდნენ და გორმალას ქედზე ჩრდი-

ლმა დაიწყო თამაში, ეს ჩრდილი ეკლესიის ეზოსაც გადმოსწვდებოდა ხოლმე. მაშინ გრილი ნიავეი შემოუბერავდა.

იროდიონმა დაკეცილი თოკი მხარიღლივ გადაიკიდა, ეკლესიის კედელს გადაბმული კიბე მიადგა და საფეხურებს თამამად აუყვა. შუა კიბეზე შეჩერდა, ხალხით სავსე ეზოს გადმოხედა ამჟამად და ნიშნისმოგებასავით გადმოსძახა:

— აგერ მიწაზე თქვენ, აგერ ცაში თქვენი ყოვლისშემძლე მაღალი ღმერთი, ვნახოთ, ვინ რას დამაკლებს!

იროდიონმა შუაწელში კიბე ერთხელაც შემოაოწმა, გადაბმული ხომ არ მიღალატებსო და სწრაფად აუყვა აღმა.

წყლისაგან დაშინებულმა ბიჭმა სამაგიეროდ ხეებასა და კლდეებზე ფხოწიალით გაიმამაცა თავი, ისე გაიწვრთნა, ერთი ხის ტოტიდან მეორე ხის ტოტზე ჭამბაზივით ხტებოდა ხოლმე, ფრიალო კლდეებზე ხელიკივით დარბოდა. ეს სიმარჯვე აქაც გამოადგა. თუნუქს ორივე ხელით მოეჭიდა, ტანი აიქნია და უმაღვე ზედ მოექცა.

იროდიონი მარჯვედ დადგა გუმბათისძირა ბაქანზე, თოკის ქამანდი შესტყორცნა ჭვარს, ზუსტად გადააცვა და მოჭაჩა ერთხელ, ორჯერ, სამჯერ, ჭვარი არ წამოაყვა თოკს, ოდნავადაც არ შეირყა. რაკი ასე ვერ მოაძრო ჭვარი, იროდიონი ხელის მონაცვლეობით აპყვა თოკს გუმბათზე.

კაცი და ჭვარი ერთად გამოჩნდნენ ცაში, თითქოს ორივე ღრუბლებში შეცურდაო.

გუმბათის სახურავზე ფეხის მოკიდება გაუჭირდა კაცს, თოკი კარგა ხანს ეჭირა ორივე ხელით და მარჯვე დასადგომს ეძებდა ხან ერთი, ხან მეორე ფეხით.

ვილაც ხატზე გადაცემით ემუქრებოდა იროდიონს, გვერდით მდგომი კი იცინოდა: ვისაც ხატი არა სწამს, ხატზე გადაცემით ვერ შეაშინებო.

— ხალხო, ღმერთს უშველეთ, ღმერთს! — დაიძახა სალიეთელმა ბერიკაცმა იორდანემ.

— ჰაი, დედასა, როგორ წახდა საქმე, ღმერთს ადამიანისგან დასწვრდა შველა! — ამრიობრა მისმა მწუხრებულმა ალფეზამ. — აქამდე ყველას გვეგონა, ღმერთი გვიშველისო... ეპ, რა დღეში ვართ!

— მართლაც, მართლაც. წინათ ჩვენ ვევედრებოდით: ღმერთო, შეგვეწიე, ღმერთო, გვიშველეო, ახლა ისე შეგვიტრიალდა დრო-ჟამის ჩარხი, თვითონ ღმერთი გვეხვეწება უხმოდ: ადამიანებო, მიშველეთო. თუ ღმერთი არ გვიშველის ადამიანებს, ჩვენ რაფრათ ვუშველოთ ღმერთს, თუ კაცი ხარ?!

სალიეთელი იორდანე კი კვლავ ყვიროდა:

— ადამიანებო, უშველეთ ღმერთს! თუ ღმერთი მოკვდა, ადამიანიც მოკვდება!

— მამაზეციერს შეავდრე ცოდვილი სული და მოეშვი მაგ ჭვარს! — შეუძახა იონამ. — ვინც წმინდა ჭვარს მკრეხელურად ხელს ახლებს, მკლავი მოჭრილი ტოტივით შეახმება.

— იონა ბაბუა, შენ ჩემი ჭვარი ნუ გაქვს, ეს ჭვარი კი არა, ღმერთის ხელია ცაში სამოწყალოდ აშვერილი და დროა, ღმერთს სამოწყალოდ აშვერილი ხელი მოვტეხოთ! — არხეინად ჩამოსძახა იროდიონმა.

„გაგიწყრეს ხატიც და ჭვარიც, თუ მაგ ჭვარს მოსაძრობად ხელი ახლო! გაგიწყრეს ჭვარიც და ხატიც!“ — გულში დასწყევლა ჭვართან და ჭულა ღრუბლებთან მოჭანავე ადამიანი ბერდიამ.

სწორედ ამ დროს იროდიონმა მარჯვე დასაყრდენი იპოვა ფეხით, ჭვარს მაგრად მოეჭიდა და დაეჭაჭურა:

— ე, ჰე, ჰეი, იონა ბაბუა! როგორაა საქმეები მანდ, მიწაზე? წელან შენ მაფრთხილებდი, არა, ვინც ჭვარს ხელს ახლებს, მკლავი შეახმებო? — ჭვართან ერთად იროდიონმა ხელები ისე შეათამაშა, თითქოს ცას და მიწას ახარბებდნო, — აი, მე კი უფრო გამიმავრდა და გამილონიერდა მკლავები!

ბერდოს უცებ ნატვრამ გაუელვა:

„ნეტავ ახლა გადმოვარდეს, ნეტავ

ახლა გადმოვარდეს! ჯვარი კი წინანდებურად გუმბათზე დარჩეს. მაშინ აქ სეირის საყურებლად აღარავინ დადგება, ყველა მხოლოდ სალოცავად მოვა და... ხატის ტყეც გადაჩნდება. ნეტავ ახლა გადმოვარდეს!"

არ გადმოვარდა კაცი, ჯვარმა კი უფრო მაგრად დაიწყო ყანყალი. იმ ჯვართან ერთად კი ახლა ხალხის ღვთიური რწმენაც ძალუძვად ირყეოდა. ეს იგრძნო ბერდიამ და ნატვრა გააგრძელა:

„ნეტავ ახლა გადმოვარდეს თუნდაც ჯვართან ერთად. რა უშავს, მერმე ხალხი ჯვარს ისევ აიტანს გუმბათზე და უფროც იწამებს. ღმერთო, ღმერთო, რაღას უყურებ? გადმოვარდეს, გადმოვარდეს, გადმოვარდეს! თუ ახლა მოსხლტება თუნდაც ჯვრიანად, გადარჩება ღმერთი!.. მერმე ყველა შეშინდება და ველარავინ გაბედავს ვერც ზარების ჩამოსხანას, ვერც ჯვრის გადმოგდებას გუმბათიდან... ველარც ეკლესიას დაანგრევენ, ველარც ხატის ტყეს შებედავენ ცულის შემოკვრას... ახლა იმ ერთი კაცის გადმოვარდნა გადაარჩენს ღმერთსაც და ხატსაც. გადმოვარდეს, გადმოვარდეს, გადმოვარდეს!.. არა, ეს მზავრული ნატვრა არ არის, არც ბოროტი ფიქრია. წმინდა ჯვარს მოსახსენლად უწმინდური, გულბოროტი კაცი არყევს, ბოროტი კაცის სიკვდილი კი არაა ბოროტება, პირიქით, სიკეთეა, ყველასთვის სიკეთეა... მე ამ სიკეთეს ვნატვრობ. თეთრია ჩემი ფიქრი, როგორც ეს ეკლესია მიწაზე და ქულა ღრუბელი ცაზე. ღვთისმგმობელის მიწაზე, დანარცხება დღეს საჭიროა მრევლის სულის გადასარჩენად, რომ ხალხს რწმენა არ მოუკვდეს, ხოლო ვინც უკვე დაკარგა, დაუბრუნდეს. გადმოვარდეს, გადმოვარდეს!"

თვალგაშტერებული ბერდია მხოლოდ ცას, ჯვარს და იმ კაცს ხედავს. ჯვარს თოკის ქამანდი პირველ სარკლისთანავე რომ გადააცვა, რამდენჯერმე მოქაჩა, ძვრა ვერ უყო. მერმე თოკს გუმბათზე ჩამბაზივით აჰყვა და ჯვარს თვითონ არყევს მოსაძრობად. ახლა ცა-

ში გამოკიდებულ იმ ჯვართან შექცეული კაციც ცაშია. ბერდიამ სასთვალხილეთიდან დაიკარგა ეკლესია. დაიკარგა მიწა, გორმალალს ქედიც კი დაიკარგა, გაქრა ხალხიც. ჰეშმარითად მორწმუნე და ისინიც, აქ სეირის საყურებლად რომ მოებეტნენ. სად გაქრნენ, როგორ, ბერდიამ ვერ გაიგო — ის ველარ ხედავს. ჯვარი ცაშია გამოკიდებული და იმ ჯვარს კაცი გულში იკრავს, მაგრამ... სასოებით კი არა, მისი ფეხი რომ ამოაძროს გუმბათის ბუდიდან და მიწისკენ მსახვერელად ისროლოს, ჯვრით დალახვროს მიწა და კიდევ უფრო სხვა რამ... რაღას სხვა რამ — აქ შეკრებილი ხალხის დაფრთხობა სწადია. თუ ეს ჯვარი ვინმეს ლახვარივით თავზე დაეცემა, ალბათ ამით უფრო გაიზარებს და ცას აიკლუბს სიცილ-ხარხარით, რომ მიწაზე დარჩენილ ხალხს დააცინოს ასე. ამ ურწმუნოს სწადია, ჯვრის გადმოგდებით ხალხის გულში ღმერთი მოკლას, ხალხის გულში, ხალხის გულში... ერთი თავხეხელადებული უთაფრი კაცი მთელ წყნარ სოფელ-ქვეყანას აშლის ხოლმე, გადაარევს და გააბოროტებს. ერთი კაცი ააშენებს და ერთი კაცი დაანგრევს ქვეყანას, თუ ხალხის აყოლიება მოახერხა... იროდის ხალხის გულში ღმერთის მოკვლა სწადია ახლა, ხალხის გულში ღმერთის სიკვდილს კი მაგ ერთი ურჯულო კაცის სიკვდილი ჯობია. ღმერთო, დასაჯე ეგ შენი სიკვდილის მოწადინე კაცი! ღმერთო, დასაჯე! თუნდაც ჯვართან ერთად გადმოვარდე, ღმერთო!..“

ეკლესიის გუმბათიდან მხოლოდ ჯვარი გადმოვარდა... გადმოვარდა კი არა, უცნაურად ფრთავაშლილი ფრინველივით გადმოფრინდა, ხალხის წინ შხუილით დაენარცხა და ბალახიანი მიწა ისე ჩატყლიყა, კინაღამ სამებარი გახდა. თითქოს აქაურ საფლავებს, ეკლესიის ჯვრის საფლავიც მიემატაო.

გაოგნებულ-თავზარდაცემული ხალხი დაფრთხა და გაიფანტ-გამოიფანტა.

ერთხანს სამარისებური ღუმილი სუფევდა.

მერმე იროდიონმა სამრეკლოდან დე-

დო-ზარიც ჩამოხსნა და დგაფუნით და-
არისხა ეკლესიის ეზოს. თვითონ კი
გულარხეინი სიცილით დახტა მიწაზე,
მხრები უცნაურად შეათამაშა და კვებ-
ნით წამოიძახა:

— მალე ამ თქვენს ეკლესიასაც გა-
მოვუყვანთ საბოლოო წირვას!

— ცრუჟაცი ხარ შენ, ცრუჟაცი! —
ყელში გულმობჯენილმა ბერდიამ ამის
ამოხაველებლა მოახერხა.

— ვინ შეძახის მე ცრუ ჯაცს? ხატის
ტყის მსახური? — იროდიონს, ეტყობა,
უშვერი გინება მოადგა ენაზე, — შენი
ხატის ტყეც და შენცო, მაგრამ თავის
გადამრჩენელს ამდენიც ველარ გაუბე-
და, ესლა მიაძახა: — ცოტაც გვადროვე
და შენი ხატის ტყესაც ეტირება დედა!
გამოუფონიანთ რალაც ხატის ტყე! ან
შენ რისი მაქნისი ხარ? ხატის ტყეს და-
რაჯი რა კირად უნდა, თუ ღმერთი და-
რაჯობს?... რაო, იქ წმინდა მუხებიო?
წმინდისა რა მოგახსენოთ და, კარგი სა-
მასალე მუხა კი ხარობს და ტყუილ-უბ-
რალოდ სცდება. იმ მუხის ხისგან მალე
შენს ხატს გამოვარუქურთმებ და ეზოში
დავიკიდებ სახსოვრად.

— ღმერთო ჩემო, ეს რა უმადღურო-
ბაა! ასე რამ გაათახსირა ადამიანი? ეშ-
მაკი გიზის სულში, ეშმაკი გიზის სულ-
ში და ის არ გასვენებს, შე უბედურო!

— მე ეშმაკი მიზის სულში და შენ —
ანგელოზი? ვნახოთ, ვნახოთ!

— ურჯულოებო, ღმერთს მიწაზე იქ-
ნებ ბევრგან დაუნგრიოთ ეკლესია-
ტაძრები, იქნებ ხატის ტყეებიც მოუს-
პოთ, მაგრამ ცაში რას დააკლებთ? დე-
დას გიტირებთ ყველას, დედას! ყო-
ვლისშემძლე უფალს ვერ აჯობებ, ვე-
რა, რამდენი ჭვარი და ზარიც არ უნდა
ჩამოაგდოთ ეკლესიიდან! ცარგვალში
ვერ მოკლავთ მამაზეციერს, ვერც ადა-
მიანის გულში მოკლავთ ღმერთს!.. უმა-
დურო და უღმერთო, უმადურო და უღ-
მერთო! ფუი, შენს კაცობას! ამიერიდან
ხმა აღარ გამცე, ხმა აღარ გამცე, შენ...
შენ... — ბერდიას კიდევ უნდოდა რა-
ღაცის თქმა, მაგრამ ახლალა შეამჩნია,
დამფრთხალი ხალხი უკანმოუხედავად

რომ გარბოდა ეკლესიის ეზოდან, ირო-
დიონის პირისპირ მარტოდმჭირტუ ტრემ
იყო დარჩენილი, საფლავებს ლოდებს
გარდა ყურის დამგდები რომ აღარავინ
ჰყავდა და თვითონაც საფლავის ლო-
ღივით დადუმდა.

ვიდრე ბინდი არ გახშორდა, კაკლად
მარტო იჯდა ეკლესიის ეზოში, იჯდა კი
არა, ჩაფეხვილი იყო, მერმე უცებ წა-
მოხტა, დაჰკრა ფეხი და ხატის ტყის
ციცაბო ბილიკით შინ ისე გაიქცა, თი-
თქოს ვილაც მოსაკლავად მისდევსო.
რალა ვილაც, იროდიონის არხეინი სი-
ცილ-ხარხარი აედევნა სიკვდილივით,
ეწეოდა და წამლაუწუმ ისე ეხლებოდა
გულზე, როგორც ეკლესიის გუმბათი-
დან გადმოვდებული ჭვარი დაენარცხა მი-
წას, ეხლებოდა და წაქცევას უპირებდა.
ვერ მოერია, გაუძლო ამ მოჩვენებით
დარტყემებს.

ეზოს ჭიშკარი რომ შეალო, ჩვეულე-
ბისამებრ იქით გაიხედა, ეკლესია რომ
ეგულეზბოდა. რატომღაც ჭერჭერობით
ვერ დაინამდვილა, რაც იმ დღეს იქ
მოხდა, ეგონა, ლამელ ცაში აღრინდე-
ლივით დაინახავდა ჭვარს, ხატის ტყის
მიღმა ცაში სასოებით აღმართულს, და
რომ ველარ დალანდა, მოეჩვენა, ცა და
მიწა ერთდროულად დაცარიელდა, ყვე-
ლაფერი გაქრა და დარჩა მხოლოდ სი-
ცარიელე, უკიდევანო სიცარიელეო. ეს
იყო ჭვრის დანატოვარი დაყრუებულ
სიცარიელე... და ამ სიცარიელემ საშინ-
ლად შეამჩრუნა.

• • •

კარგა ხანს ბერდიას თითი თითზე არ
დაუჯარებია, სიზარმაცის მტერმა მუყა-
ითმა კაცმა, უსაქმოდ ერთ დღესაც რომ
ვერ ძლებდა, ანაზღად ყველაფერზე გუ-
ლი აიყარა, ადრე მუდამ აღერსიანი და
ოჯახის უზომოდ მოყვარული, ცოლ-
შვილისაც კი უღრენდა ხოლმე, თუ რო-
მელიმე რამეს ჰკითხავდა. ყოვლად
უდანაშაულო პირუტყვის უდიერად ეჭყე-
ოდა, ხან სახრეს გადაუქერდა უმიზე-
ზოდ, ხან ჯოხსაც ადრუზავდა. ღამით
გვიან წვებოდა და მაშინაც მოუსვენ-

რად იძინებდა, ფიქრით თუ სიზმრით ვილაც-ვილაცებებს ებრძოდა, ალიონიდან შებინდებამდე ეზოში ან კალოზე თავჩაქინდრული დაბორილობდა, ხოლო როცა თავს ასწევდა, თვალი ხატის ტყისკენ გაუბრუნდა და მის მიღმა, ცაში, ჭვარს რომ ვეღარ პოულობდა, გულჩამწყდარი თავის კარ-მიდამოს გახედ-გამოხედავდა, მტკიცედ ნაგებ მამა-პაპურ ქვეტიკირის ოთხთვალთან დიდხანს სახლს, ქვეტიკირის ბოსელს და ქვეტიკირისავე მარანს შეათვალაიერებდა და გაოგნებული შტერდებოდა.

მიუხედავად ცოლი ხეაშიადას და ნათესავ-მოყვრებში გავლა-გამოვლა ურჩია — გულს გადააყოლებო. დაუჭერა. სალიეთელი დეიდაშვილების მოსანახულებლად გასწია, იქ ორ დღეს დარჩა, გული მართლაც ოდნავ გაიხალავათა და სამშაბათს, შებინდებისას შინ გამოეშურა. შემოაღამდა. გზა ხეორის წყლის ნაპირს მოჰყვებოდა და აქა-იქ მდინარისპირა კბოდეებზეც გადადიოდა. ბერდია ღამით სიარულს ნაჩვევი იყო და ბავშვობიდანვე ნაცნობ გზას თამამად მისდევდა. ხეორის წყალი გამუდმებით შხუოდა და კლდეებში გამრავლებული მისი ექო გუგუნით მიაცილებდა მართოხელა ღამეულ მგზავრს.

აი, თითქმის ნახევარი გზა უკან მოიტოვა და როცა გასცდა იმ ხევს, ხომლეთისავე მიმავალ ხეორისპირა გზას საკვიარას მთებიდან მომავალი საურმე გზა რომ უერთდებოდა, ღრუბლიან ღამეში შუქს მოჰკრა თვალი. შუქი ისე მიიჩხეოდა, თითქოს დიდი ციციანათლა ღამეს ციმციმით ღამბავსო.

მართოხელა მგზავრმა მაშინვე იგუშინა, ვილაც სანათიანი მიდისო. ფეხს აუჩქარა — ხმის გამცემს ავემგზავრები და გზას მუსაიფით ისე გავივლით, ვერც გავიგებთო. მიუახლოვდა, დააკვირდა და... თითქოს თავზე გრძნეულის კვერთხი დაჰკრესო... იცნო, პირზე შეუხედავად იცნო ხელფარნიანი მგზავრი — მის წინ იროდიონი მიბარბაცებდა, მთვრალი, რა თქმა უნდა, მთვრალი, ეგება გაღვიწილ-გაღვიწილ მთვრალიც.

ბერდიას გულში ერთდროულად ჩაუსახლდა შიში და სიხარული. ერთმანეთს გრძნობა უმაღლე შეეჭახა ერთმანეთს და ამ შეჭახებამ ისიც მთვრალივით შეაბარბაცა.

„უღმერთო, უღმერთო ცოდვის შვილი! ეშმაკეული!.. თითქოს განგებ ამეზანჯიხა გზაზე. არც ავემგზავრები და არც. წინაც არ გაუღსწრებ. იმ დღეს აქი მივხალე, გემღური-მეთქი. მე სიტყვის კაცი მქვია, მოვკვდები და არ გავტებ სიტყვას. რომ დავეწიო, რალაც ხომ უნდა ვუთხრა, კარგი ან ავი. არ დავეწივი. არადა, ისე ვერ გაუღსწრებ, რომ არ დამინახოს. დამინახავს და... გინა არ იცის, რომ მძულს. მთვრალია, ეგება უზომოდ მთვრალიც, ბევრ მთვრალ კაცს კი წყენა მალე ახსენდება და ბოლოს გადმონთხევა სჩვევია. ვითუ ამეშაროს და ჩხუბიც დამიწყოს, როგორც ამას წინათ კლდისუბნელი ერმილესთვის შემოუტარავს მუშტი. სულ ტყუილ-უბრალოდ“.

ბერდიას უმაღლე გაახსენდა ის საჩოთირო ამბავი. თურმე გულწყნარი ერმილეს ასე წამოეწია გზაზე მთვრალი იროდიონს, იფიქრა, შევეშველები, არსად გადაიჩხოსო, მკლავზე მოჰკიდა ხელი, იროდიონმა კი ისე გამეტებით სთხოშა მუშტი ყბაში, თვალებიდან ნაპერწკლები წამოაყრევინა: შენი დახმარება ვის სჭირდება, შე კირიანოო. არ გინდა და კისერიც გიტეხიო, — შეუძახებია ერმილეს, სისხლი გადაუფურთხებია და წასულა თავის გზით.

„ჰოდა, რა მრჯის, მე რომ ახლა ამ უღმერთოს დავეწიო?.. თუმცა, თუმცა, ეგება... აი, რომელიმე შვეულ კბოდესთან ჩუმად რომ მივუახლოვდე, გაუღსწროდ და ვითომ შემთხვევით ოდნავ გავკრა მხარი, ღმერთმანი, მთვრალს მეტიც არ უნდა, ხეორში მოაღენს დგვეფას. მიწაზე დიხაბა მამაცია, თავხედურად, ზედმეტად მამაციც კი, მაგრამ წყლით ერთხელავე დაშინებულმა ცურვა ვერ ისწავლა და... ხეორში თუ ჩავარდა, უეჭველად დაიხრჩობა. ხეორი არცთუ ისე დიდი, მაგრამ მუხლმარდი

მდინარეა, ბრაზიანი, თანაც ახლა შემღვრეული მოღის, იმისთვისაც კი საშიშია, ვინც ცურვა იცის, მით უმეტეს, ღამით... უეჭველად დაახრჩობს, გიჟურაში შეატყვივებს და ეძებონ მერმე... ღმერთმა უწყის, ოდესმე კი იპოვნიან? კიდევ რომ იპოვონ, ვინ რას გაიგებს მისი დაღუპვის ამბავს? კაცის ჭაჭანება არსადაა. მარტოდმარტო ჩვენ ვართ, ორი მგზავრი, მე და ის, ერთი ხატის ტყის მეპატრონე, მეორე ხატილეწია, ორი მგზავრი — როგორც სიკვდილსიკოცხლე. ჰო, ჩვენ ორნი ვართ და კიდევ ღამე... უცნაურად უნდა მოკვდეს ცოდეილი, უცნაურად, ძეხორციელმა ვერ გაიგოს. ვერც გაიგებს. მე ხომ არ ვიტყვი და... ვერც ღამე.

თუ ამალამ არ დაიხრჩო, ხეალ, ალბათ, გვიან იქნება. ეკლესიიდან ჭვრისა და ზარის ჩამომგდები, დაქადილს აისრულებს, ეკლესიასაც გამოუყვანს წირვაა. მერმე ხატის ტყეც გაიჩეხება და ფერდობი გახრიოყდება, შიშველ-ტიტველ კლდეებს ლოდები მოსწყდება და დაუშენა ფერდობის ძირას მოსახლე კაცს. თუ ლოდებს არ შეეპუა, ხრიოკს ზვაგ-მეწყერი მოედება და მის ყანა-ვენხსაც და სახლ-კარსაც გიჟურაში ჩაიტანს. ჰოდა, ბერდიამ უნდა უშველოს ამ მოსალოდნელ უბედურებას. ტყე ინახავს მიწას ფერდობზე, მხოლოდ ტყე. უღმერთო კაცის სიკვდილი გადაარჩენს ხატის ტყეს.

ბერდიას ჩიტისთვისაც არასდროს უსროლია ქვა, კაცს კი სასიკვდილოდ როგორ გაიმეტებდა, მაგრამ ეს სხვა ამბავია, საჭიროა იროდიონის დახრჩობა, ყველათვისაა საჭირო. ხალხი მაშინვე ირწმუნებს, ცოდვამ უწიო, წმინდა ჭვრის ხელყოფისათვის უფალმა დასაჯაო და... დანგრევას გადაურჩება ეკლესია, ხატის ტყეც გადაურჩება გაჩანაგებას. ჭვარს კვლავ აღმართავენ გუმბათზე და მრევლს ღმერთის რწმენა წინანდებურად დაუბრუნდება. ამას უნდა ემსხვერპლოს კაცი, ყველას და ყველაფერს აბუჩად რომ იგდებს, თავხედურად რომ დასცინოს.

მერმედა, რალს უცდი, ბერდიას? ცოდვის გეშინია? თვითონ უღმერთო გეგინდობს ამ უღმერთო კაცის სიკვდილს, თვითონ უფალის ღმერთის გადასარჩენად რომ კაცი ვინმემ მოკლას, დავიჯერო, ღმერთი ამას არ აპატიებს? ეს ხომ კაციც არ არის! ვინც ღმერთს არ ეთაყვანება, ყველა უწმინდურია, არაკაცია. ვინც ღმერთს არ ებუება, ის არც ადამიანს დაინდობს, საშიშზე საშიშია ყოველნაირად, ჰოდა, ასეთის დაღუპვაც არ არის ცოდვა, არ არის ცოდვა, არ არის ცოდვა.

„შენ ღმერთის წართმევა დამიპირე, ხატილეწია. მეც და სხვებსაც... ვერა, ამას ვერ გაპატიებ! მერე რა, ჩემი ნაჩუქარი სიციოცხლით რომ დადიხარ დედამიწაზე, მაინც ვერ გაპატიებ, იმიტომ რომ... შენ უმადური ხარ, მეც დამცინი“.

ბერდიას ახლა მოეჩვენა, რომ მდინარე კი არ შხუოდა, მშვიერი მგელივით ეშუოდა. დაქრა ფეხი და იჭით გაეშურა, ფარანი ციციანთელასავით რომ მიციმიძებდა.

ხუთშაბათს, მზე რომ იწურებოდა, კლდისუბანში ქალების წივილ-კივილი ატყდა:

— უი, უი, უი! დავიღუპეთ, დავიღუპეთ!

შუა ეზოში ლოყებს ფრჩხილებით იკაწრავდა იროდიონის თმაგაშლილი ცოლი თეკლე. ხავილით მოსთქვამდა იროდიონის დედა ფოტინე. ბლაოდა ზალიკო. ლობიოთი პირმოზუზუნული, ფეხშიშველა ორი ბიჭუნა ნალიის ქვეშ ჩოჩილა ურემზე იჭდა და გაოცებულნი იყურებოდა — რა მოხდაო.

მაღე მთელმა კლდისუბანმა აქ მოიყარა თავი, მოვარდნენ სხვა უბნელეებიც.

ყველამ მაღე გაიგო, რაც მოხდა.

იმ დღით ფოტინეს ძმისწულმა, საკივარელმა სოგრატიამ მთიდან ჩამოიარა ბარის ვენახების დასახედად და ვინაიდან გზა აქეთ ეჭირა, ბარემ მამიდასთანაც შეუხია.

— სადა იროდიონი? — იკითხა სტუ-
მარმა.

— ვაიმე, ბეჩა?! — თვალები უზო-
მოდ გაუფართოვდა შემცბარ ფოტინეს,
— იროდი გუშინწინ დილაადრიან
თქვენიკენ არ წამოვიდა? რაეა, საკვირა-
რაში არ ამოსულა?

— კი, ამოვიდა. მე შენ გეტყვი, მუხლი
ელლება. ამოვიდა კიდეც და საღამომდე
ვარხალაოც გვაძახებდა. დაღამებისას
უცებ აიჩემა, ახლა კი შინ უნდა წავი-
დეთო. არ უშვებდა ბიძამისი: რა დროს
წასვლაა, ბიჭო, რამ გადაგრაი, ამ უმ-
თვარო ღამეში სად უნდა წახვიდე,
მთვრალი ხარ, ფათერაკს თვალი არ
უჩანს, მტრის ოჯახში ხომ არა ხარ,
მოისვენე აგერ, დედულეთს, გემრიე-
ლად გამოიძინე და დილით ფხიზელი წა-
დითო. თუ გინდა, ჩემს ცხენსაც გაგაბი-
ნო. ქვა ააგდო და თავი შეუშვირა: ამ-
ღამ უსიკვდილოდ შინ უნდა მივიდე,
არც ცხენი მინდა და არაფერიო. რაკი
შენსას არ იშლი, მაშინ ეს მაინც იგუ-
ლეთო, მოკიდებული ფარანი ძალით და-
აჭვრინა ხელში. სოფლის ბოლომდე გა-
მოვაცილეთ. რამ გაგაფითრა, მაშიდა?

— ვაი ჩემს მოსწრებას! მერმე ამ-
დენხანს მოდის გზაზე?

— რა, სულ არ გამოჩენილა?!

— ვაიმე! რალაც უბედურებაა ჩვენს
თავს!

მაშიდამ და ძმისშვილმა ერთად და-
უწყეს იროდიონს ძებნა. ხეორზე უმოა-
ჭირო წანწალა ზიდი რომ არის, კლდო-
ვან რიყესთან იპოვეს იროდიონის სა-
ჩიხიანი ქუდი, ცალი ჩექმა და დამსხ-
ვრეული ფარანი.

— დავიღუპეთ! წყალშია გადავარდ-
ნილი! სადაც ჩემი იროდი, მეც იქ! —
რიყიდან ხეორში შევარდნა დააპირა
ფოტინემ. ამისწულმა იმარჯვა, წამში
გააკავა: ჭერჭერობით იმედს ნუ გადაი-
წყვეტო, რის ვაკვაგლახით წამოიყვანა
შინ.

მერმე ზალიკომ და მისმა ძმამ, სევა-
რომ, ხეორის წყალს რიყე-რიყე ჩას-
დიეს გიჟურას შესართავამდე, კარგა
დიდ მანძილზე გიჟურას ნაპირებიც და-

ათვალიერეს და, რომ ვერაფერი იპოვეს,
მზის ჩასვენებისას ოჯახმა იროდიონის
დაღუპვა შეიცხადა.

იქვე გაჩნდა ეჭვი: იქნება თვითონ
სულაც არ გადავარდნილა, ვინმემ გან-
გებ გადაუძახა, ვანა ცოტა მტერი ჰყავ-
დაო?

ხეორის ბოლოს შორიდან მოსული
უცხო ხალხი ტივებს კრავდა. არც თუ
იაც დიდი ხნის წინათ, იმ მეტივეებს და
იროდიონს სამიკიტნოში ჩხუბი მოუვი-
დათ, მთვრალები ლმერთის არსებობა-
აზარსებობაზე ედავენ ერთმანეთს. ირო-
დიონმა ერთს თავება დაუსისხლიანა.
იხ კი დაემტკრა: დედას გიტირებო.
ეგება სწორედ ის მეტივე გადაეყარა
იროდიონს იმ ღამით გზაზე და რაკი
მთვრალი მოიხელთა, ხეორში გადაუძა-
ხაო. მეორე დღესვე მიაშურეს სამიკიტ-
ნოს, სადაც მეტივეები ღამეს ათევდნენ.
იქ კი უთხრეს: ვისაც თქვენ ენებთ, სწო-
რედ გუშინ სამი ტივი შეკრეს, გიჟურაში
შეაქუტრეს და ორთაყვირები მოუსვესო.
სევარომ ახლა ისიც ივარაუდა: ვაითუ,
მთვრალ იროდისა და იმ მეტივეებს კი-
დედ მოუვიდათ იმ ღამეს ჩხუბს, შე-
მოაკვდათ, მისი ქუდი, ცალი წულა და
ფარანი განგებ გადაეყარეს რიყეზე,
ცხედარი კი ტივით გააპარეს და სადმე
შორს წყალში გადააგდესო.

იმ მეტივეთა მიგნება და საქმის ავან-
ჩავანის თავგზიანად გარკვევა ახლა ერ-
თობ ძნელი იყო. ვარაუდს დამტკიცება
უნდოდა, ამბის თვითმხილველი კი არა-
ვინ ჩანდა.

მთელი თვე, სანამ არ აცივდა, გიჟუ-
რას ორივე ნაპირს ჩხრეკდნენ ცხედ-
რის შაიბებლნი. ვერ იპოვეს.

ოჯახმა იროდიონის ტანსაცმელი ცხე-
დარივით დაიტირა.

ფოტინე შეილის ტანსაცმელს დააკე-
და. დედას საიჭიოში გაატანეს ის ტან-
საცმელი.

რა მეტივეები, რის მეტივეები, უდ-
მერთოსა და სულწაწყმედილს ცოდვამ
გზაზე უწია და ისე მოაშთო, საფლავიც
არ აღირსაო, — აღაპარაკდა პარმენა,
— ვუმბათიდან ქვარი პირდაპირ მრეველს

რომ ესროლა, ეკლესიის დედოფარი საიქიოში წასულებს საფლავებზე რომ დაანარცხა, აბა, რა სიკეთე ეწეოდაო, მაშინ გაუჩუმდა მამაზეციერი, ადროვა, ეგება გონს მოეგოსო და რაკი პირშავმა ურწმუნობით წაბილწული გული ვერ დაიწმინდა მონანიებით, ღმერთმა სულიან-ხორციანად გააქროს.

პარმენას სხეებმაც თამამად დაუტრეს კვერი: ჰეშმარიტად ასეაო.

სოფელ-ქვეყანას უთვალავი თვალი და ყური ასხია, მთაბარს მოედო იროდიონის უკვალოდ გაქრობის ამბავი. წინათ ღმერთი რომ არ სწამდა, ის ხალხიც კი შეფიქრიანდა: ეგება მართლაც არისო. ეკლესიას, მის ხატებს და ხატის ტყესაც შიშნარევი კრძალვით დაუწყეს ყურება. ერთი სიტყვით, ხომალეთში კვლავ გაცოცხლდა ღმერთის შიშიც და სიყვარულიც.

ახლალა ირწმუნა ბერდიამ: ორივეჯერ მართალი ვიყავი, როცა ეკლესიის გუმბათიდან ღვთისმგობელის გადმოვარდნას ვნატობდი და მერმეც, იმ ცოდვილს გზაზე რომ წამოვეწვიო.

„ღიახ, ღიახ, — ფიქრობდა იგი, — ერთი უღმერთო კაცის სიკვდილი იყო საჭირო, ღმერთი სიკვდილს რომ გადაარჩენოდა. თოფ-ზარბაზნით თუ სხვა ამგვარი რამით, ღმერთს ცაში, თუ ხალხის გულში, ვერ გადაარჩენ, ცეცხლის იარაღით ვერც ეკლესიას და ხატის ტყეს დაიცავ. სხვა შიშია საჭირო, აი, თუნდაც საიქიოში განკითხვის შიში, ცოდვის ჩადენის შიში“.

ბერდიას გული საგულეში დაუბრუნდა: ხატის ტყე გაჩანაგებას გადაურჩა და ჩემი ოჯახი — მამაპაპეული ფუძიდან აყრასო, კვლავ გამოუვაითდა, ისევ ალერსიანი და ყველას მოსიყვარულე გახდა კაცი.

• • •

ზალიკომ თავისი ოჯახის დიდი ცრემლი სოფელს რომ გახიარებინა, ამით შეილის გვამის დაკარგვას როდი შეუტრიადა: მდინარეს ასე სჩვევია, დამხრჩვალს ხან სად მალავს და ხან სად, მე-

რმე უეჭველად გამოირიყავსო. ერთი ძროხა გაყიდა, მოზვერიც მიაყოლა და გვამის ძებნის საქმეში ნაცდრეხმეუკაცი დაიჭირავა. თვითონაც ცხედრის ძებნა ყველა სოფელი შემოიარა და ხალხს ხვამიადი გაანდო: ვინძლო ცხედარი სადმე თქვენს მიწა-წყალზე გამოირიყოს, მაშინვე მაცნობეთო.

ექვსი თვის თავზე, გაზაფხულის დამდეგს, გიყურა რომ აიძღვრა, დაჭირავებულმა კაცებმა გვამი იპოვეს. მდინარეს იგი თითქმის ას კილომეტრზე წაეტოტევიებია თუ ეთრია, ალბათ სვენებს სვენებით, და ჭილეში შეეჩურთა. მთლიანად იყო გალურჯებული და გასიებული. ყოვლად შეუძლებელი გახდა იმის გაგება, მოკლული იყო თუ თავისით დამხრჩვალნი. მეტიც — იქნებ ასე დასახიჩრებული იროდიონად ვერც ეცნოთ თავისიანებს, გვამისთვის მდინარეს ხაკის შარვალი და დიდბალთიანი ფართო ქაბარი რომ არ შეერჩინა. ცხედარმა წყლიდან ამოღებისთანავე დაშლა დაიწყო, ამიტომ კუბო იქვე სახელდახელოდ გაუქეთეს, ჩააწვინეს, თავი მაგრად დაახურეს, ხომალეთში ავტომატებით გააქანეს, თავია ეზოში ორიოდ საათს გააჩერეს და სასაფლაოზე წაიღეს. თითქოს განგებო, მესაფლავეებს მიწა ფოტიწეს სამარესთან კი არ გაეჭრათ, არამედ, ზუსტად იმ ადგილას, იროდიონის გადმოგდებულნი ჯვარი რომ დაენარცხა. იმ ჯვრის ნავეალევის ნაცვლად უჯვრო სამარის ბორცი გაჩნდა.

ხალხი ახლა იმასლა ლაპარაკობდა: კიდევ კარგი, დედამ საიქიოში დროულად გაასწრო და შეილის ასე გაუბედურებულ-დასახიჩრებული გვამი ცოცხალმა ვერ ნახა, სულ ერთია, ამის დანახვა მოკლავდაო.

ზოგმა აქვე ისიც დასძინა: ეგ ურჯულთა და ცოდვილი წესით ეკლესიის გულავანში დამარხვია ღირსიც არ იყოო. ადამიანს ნაკურთხი მიწა დაამადლეს საძვალედ.

იროდიონის დასახიჩრებული გვამის პოვნამ ბევრს უფრო გაუცხოველარწმუნა: უფალი ყველა უღმერთოსა და

ცოდვილს ასე უმოწყალოდ სჯის — ადამიანის სახესაც კი ართმევს.

გულჩათბობილი ბერდია მიცვალებულზე არც კარგს ამბობდა, არც — ცუდს. მავანი და მავანი კი თითქოს მის მაგივრადაც ლაპარაკობდა: ლეთისნიერმა ბერდიამ ერთხელ კი გადაარჩინა ის ბედღაწყევლილი დაბრჩობას, მაგრამ კაცი თავის ბედისწერას ვერ გაექცევა, ეტყობა, წყლის წერა იყო და ბედმდევარი გზაზე მაინც წამოეწიაო.

ასე იყო თუ ისე, ერთი რამ დასჩემდა ბერდიას: იროდიონის ჭირისუფლებს სათოფზე არ ექარებოდა, იცოდა, თვალს ვერ გაუსწორებდა.

მერმე აქა-იქ კვლავ გაჩნდა ვარაუდი, იროდიონი, ბრალიანად თუ უბრალოდ, მეტივეებმა იმსხვერპლეს და სისხლიანი კვლის დასაფარავად გვამი ტივით გააპარეს და განგებ გახირეს ისეთ ჭილეში, დიდხანს ვერავის მიეგნო. ზალიკო მთელი წელიწადი ამ ვარაუდის დამტკიცებასაც შვილის გვამივით ეძებდა, ბოლოს დარწმუნდა, ამოდ ვეწვალობო და გამწარებული მამა ბედს შეუთრგდა. ცუღდამძიმებულმა სამიოდე თველა იარა მიწაზე და შვილს მიუწვა გვერდით.

იროდიონის სიკვდილის საიდუმლო ჭეშმარიტად მხოლოდ ორმა იცოდა, ბერდიამ და ყოვლისმხილველმა ღმერთმა, თუკი იგი ნამდვილად იყო სადმე, ცაში ან მიწაზე.

— ღმერთმანი, მე არ მომიკლავს იროდიონი, მე არ მომიკლავს! მამაზეციერო, თუ სადმე შეუფობ, ეს შენც ხომ იცი? — თავის თავს ერთრჩულებოდა ლოგინში გაბვეული ბერდია.

სალიეთიდან მომავალი მგზავრი დამის ციციანთელასავით მლამბავ ფარნის შუქისაკენ გაეშურა, მიუახლოვდა ბარბაცით მიმავალ მოლიღინე კაცს, ხელში დაჭერილი ფარანიც რომ უბარბაცებდა და... თითქოს ანაზღად უყნიდან

ვილაცამ ხელი ჩანგალივით მოსდოო, ხუნდდადებულებით გახევდნენ...

„რატომ? მე რატომ გავგვარა? განგებ მხარი? ვაითუ ცოდვილი ადამიანის მოკვლასაც ცოდვად გვიწონის ღმერთი თუ საიჭიოს გამგებელი? ჩემი გადარჩენილი ადამიანი, ვინც არ უნდა იყოს, მაინცდამაინც მე რატომ გამოვასალმო წუთისოფელს. მევე რატომ გავწირო? ეგება საიჭიოში მართლაც გველოდება სამოთხე-ჭოჯოხეთი და კაცის მკვლელად რატომ გავემგზავრო იქ? წისვლამდეც ხომ მინდა მშვიდი სიცოცხლე ისე, რომ სულზე კაცის სისხლი არ მეცხოს? სულწაწყმედლისთვის რატომ წავიწყმილო სული? არა, მე ჩემით ფეხს არ ჩავიდგამ ცოდვაში. უფალი ჩემზე ათიათასჯერ და მეტჯერ ძლიერია, ყოვლისშემძლეა, ჰოდა, თვითონ იძიოს შური, დაე, ცოდვილს დანაშაული, სააქოსაც და საიჭიოსაც მამაზეციერმა მოჰკითხოს, დასაჯოს საკადრისად. ჰო, ცისა და მიწის გამგებელს თუ სწადია, ჩემი მხარის გაუტყრელადაც ჭირკვივით გადაადგებს კბოდებზე. ჰო, ჯობია, უჩემოდ გადავარდეს, თავისით. მაშინაც გადაჩება ეკლესია დანგრევას, შენი ადგილის დედის მფარველი — ხატის ტყვეც აღარ გაჩანავდება და სხვა რამეც გადაჩება... შენც გადაურჩები ცოდვას, ბერდია. ჭეშმარიტად ასე აჯობებს, ასე! წინ ისეთი ფათერაკიანი გზაა გასავლელი — ჯერ ჩაწყვეტილი კბოდებები, მერმე ხეორზე უმოაჭირო წანწალა ხიდი... ჰო, ახლა ის ხიდი წამალივითაა...“

სწორედ ამ პატარა ხიდმა გაუჩინა დიდი იმედი ბერდიას. იქ სამიოდე თვის წინათ მშვენიერო მოაჭირიანი ხიდი იყო, წყალდიდობისას დაინგრა. დროებით ორი მორი გადეს ხიდად, ეს არის და ეს. ამ ხატილეწიას ახლა ალბათ აღარც ახსოვს, აქ კარგი ხიდი რომ აღარ ხიდობს, ზოგჯერ ფხიზელსაც ავიწყდება ბევრი რამ, ეს კი გაფრთხილებულ-გალეშილი მთვრალია, ეტყობა: გზაზე ღვინო უფრო მოეკადა, წამისწამ ფეხები ებლანდება, ნაბიჯი ეღვლეჩება, აქეთ-იქით საქანელასავით ირწევს

ორმორიან უმოაჯირო ხიდზე უხიფათოდ ვერაფრით ვერ გადავიღოს, ვერა! ჰოდა, მე რატომღა ვიტვირთო კაცი? ცოდვა, როცა...

წანწალა ხიდისქვეშ მუხლმარდი მღინარე ამოშვერილ ლოდებს ახტება, გლმა-გამოდმა კბოდეებთან კი მორევებად ტრიალებს. იქ გადავარდნილი კაცი ყოველად შეუძლებელია დახრჩობას გადაურჩეს. ლოდებზე თუ დაეცა, სულს იქვე დაღვავს, თუ რამენაირად სული შერჩა, ვინებას მაინც დაკარგავს, მსრბოლავი წყალი წატივტივებს, ძაბრა მორევში შეითრევს და... თუ ვაჟკაცია, საიქიოში შეეჭიდოს ღმერთს, საიქიოში!

მიბარბაცებს იროდიონი და მოშორებით მიჰყვება ბერდია. ასე წელი სიარული არ სჩვევია, უჭირს, ასე ვთქვათ, მთვრალისთვის ფეხის აწყობა, მეტი რა გზაა, ნება-ნება უნდა მიჰყვეს, არც დაეწიოს, არც გაუსწროს.

ისე მიბარბაცებს მთვრალი, გადავარდება, უმოაჯირო წანწალა ხიდზე უმკველად გადავარდება და... მშვიდობით, წუთისოფელს!

და ამის წარმოდგენაზე გული ორად გაეყო ბერდიას:

„გაეწირო ვითომ? ეგება არა, ჰა?“

ერთი გული სთხოვს: ხიდზე გასვლისას მიეშველეო, მეორე — უარს ეუბნება.

„რისთვის გადავარჩინო, რისთვის? ერთი ურწმუნო ხშირად ათასს უკარგავს რწმენას, ამით არის ბოროტი და ყველასთვის საშიში. ურწმუნობა კი ისეთი ვერაგია, რასაც შიადგება, ყველაფერს ანადგურებს. ტყე კი არა, ბაღებიც აღარ ხარობს მის ნაკვალევზე. ჰმ, ერთი იმ ურწმუნოს დამიხედეთ, არ ხეინადაც რომ ღლინებს! მე ხელს არა გრავ, ცოდვილო, მაგრამ არც მოგეშველები. თუ სიკვდილს შენით გადაეყრები, არ მოგეშველები, არ მოგეშველები. მებრალეები და მაინც არ მოგეშველები. არა ხარ მოშველების ღირსი. ყველა და ყველაფერს დასცინი, უმაღურიც ხარ, თავხედიც. მე მართალი

ვარ, ცამდე მართალი. მამაბეციერის წინაშეც ვაგებ პასუხს, რომ მართალი ვარ. იბარბაცე ასე, იბარბაცე ცოტაც და უმოაჯირო ხიდს მივადგებით. უფალო, დასაჯე შენი მგმობელი და ხალხისთვის შენი მადლის წართმევის მსურველი! ვიდრე უარეს ცოდვას ჩაიდენს, მოაშორე ქვეყნიერებას! ხატილწიას სიკვდილი მთელ სოფელს წამალივით წაადგება, ურწმუნობას დათრგუნავს, ბოროტებას გზას შეუკრავს, მამაბეციერო, სამაგალითოდ დასაჯე ცოდვილი, სხვებმა რომ ვეღარ გაბედონ ცოდვის ჩადენა! მამაბეციერო!..“

აი, სასწაული!? ღმერთმა, მგონი, მართლაც გაიგონა ხატის ტყის მესვეურის ჩუმი ვედრება, ანდა, ფარნის ჩრდილმა მოატყუა მთვრალი, სადღაც აქ მოელანდა ხიდი, ანაზღად გადაუხვია გზიდან, გადაბარბაცდა, დაბრეცილ ფერდობზე დაგორდა და მალა კბოდეზე გადაეშვა. ეს ყველაფერი წამისწამ მოხდა. ფარანი ჩაქრა და დარჩა მხოლოდ ღამე და ხეობის ხვილი.

ბერდიას არ გაუგონია კაცის შეყვირება ან კვნესა, ვერც ის დაინახა, იროდიონი წყალში ჩავარდა თუ რიყზე დაენარცხა. ეგებ ფრიალო ფერდობზე დაგორებისას სული კბოდემდეც არ ჩაპყლია. ვერაფერი გაიგო იმ ღამეს, ვერაფერი. ანაზღად ისე შეშინდა, გულიც ისე აუგანგაშდა, თითქოს იროდიონისთვის ხელი უნებლიეთ თვითონ ეკრას. იმ წუთას ალბათ იმანაც შეაშინა, სიბნელეში მარტო რომ დარჩა.

აქამდე, თუნდაც ასე ღრუბლიან ღამეშიც, უმოაჯირო საცალფეხო ხიდზე თამამად გადადიოდა, იმ ღამეს კი ფეხაუღდგმელი ბაეშვივით გაფორთხდა.

ნათესაეებში გულის გასახალვათებლად წასული კაცი შინ კიდევ უფრო გულაგანგაშებული დაბრუნდა. ფიქრით წამისწამ ერთსა და იმავეს უმტკიცებდა ვილაცას:

„ვიდრე ღმერთს აუჯანყდებოდა, ხომ გადავარჩინე გიეურაში დახრჩობას? გადავარჩინე. ამისთვის რაიმე გასამრჯელო ხომ არ ამიღია? არ ამიღია. იმი-

ტომ, რომ ეს ღვთიურ საქმედ მივიჩნიე. ხეორთანაც მე ზომ არ მიკრავს ხელი? ყოველნაირად ჰირვეული ურწმუნო კაცი თვითონ გადაბარბაცდა მთვრალი და... წაიღო წყალმა. აქ უწია ცოდვამ, აქ! ეს ყველაფერი ღმერთისთვის მოხდა. მე არა ვარ ცოდვილი, არა ვარ ცოდვილი, არა ვარ ცოდვილი!"

* * *

ჩვეულებრივი ბალახი ამოვიდა იროდიონის საფლავზე. ჩვეულებრივი ბალახი ამოვიდა ზალიკოს და ფოტინეს საფლავებზეც. წინანდებურად ამოდიოდა და ჩადიოდა მზე, ილეოდა და ივსებოდა მთვარე. მიმოდიოდნენ ღრუბლები. შხიოდნენ და ხივოდნენ ხეორი და გიკურა. უჭვროდ, უზაროდ და უმღვდლოდ იდგა ხომლეთის ეკლესია. ხალხი კი კვლავინდებურად დადიოდა იქ სალოცავად. ხატის ტყეც წინანდებურად შრიალებდა, ფრინველებიც იქ წინანდებურად გალობდნენ, ბერდიაც აღრინდელივით უვლიდა და მეთვალყურეობდა ხატის ტყეს.

ერთ ჩვეულებრივ დილით, გაზაფხული, ჰა და ჰა, რომ დაიძახებს მიწიდან, ბერდიამ დედო-ზარის ნაცნობი ხმა გაიგონა და ცას ეწია სიხარულით, მისმა გულმაც დედო-ზარივით დარეკა, ეგონა, ეკლესიის ძველი სამრეკლო უხმობდა მრევლს. ეზოში დადგა და მიაყურა. სამრეკლო სდუმდა. მიხვდა: იქიდან ჩამოგდებულ ზარს ახლადდაარსებული არტელის კანტორის ეზოში რეკავდნენ და უმაღლვე ცივი წყალი გადაეხსა მის სიხარულს. ერთობ ხანმოკლე გამოდგა მისი იმედი. თვალები დახუჭა, აჭაოდა, ეს ნამდვილად კი არ მოხდა, დამესიზმრაო. მაგრამ ზარი დაყინებით რეკავდა და ახლა უკვე ყურს სჭრიდა ბერდიას. მალე კი საბოლოოდ დარწმუნდა: ზარი, რომელიც წინათ სალოცავად ებატოებოდა სოფელს, ხალხს, მრევლს, ახლა მხოლოდ კრებაზე იწვევდა.

ძველი სამრეკლოდან გადმოგდებულ ზარის კანტორის ეზოში, ორ ბოძს შუა ჩამოკიდების ბრალი იყო თუ იმის, ეკლე-

სია უჭვროდ, უზაროდ და უმღვდლოდ რომ დარჩა, ხატებს თანდათან მოკვდა სანთლების გამჩალებლებიც და მღვდლებიც. საეკლესიო და მთავრობის წინააღმდეგობა ზობელ სხვა სოფლებშიც ყველა სალოცავთა დანგრევას და ხატების დაწვეას ვინღა ჩივის, ეკლესიების ეზოებში სასაფლაოებიც კი მოშალეს, რკინის გალავნები მიღწე-მოღწევეს, ლოდები, წარწერიანიც და უწარწეროც, ერთიანად აპყარეს და სხვაგან წაიღეს.

— მიცვალებულებს მაინც ნუ ძარცვავთო! — ყვიროდა მორწმუნე ხალხი. ვინღა იყო ყურის დამგდები. საიქიოში წასულნი თავთავიანთ საფლავებში დარჩნენ, ადრე მათ გულებზე დაწყობილი ლოდებით კი ვინ სკოლა ააშენა, ვინ კოთპერატივი, ვინ კანტორა, ზოგი ლოდი ახლად აგებული კლუბის კედელში მოექცა, ზოგი სოფლის საბჭოს კიბედ იქცა, ზოგიც „წითელი ბელაების“ საყრდენ სვეტად. ლოდთა წარწერების უმრავლესობა გარეთ მოექცა და სულ სხვანაირად აღაღადდნენ საფლავის ქვები.

იმ სოფლებში ეკლესიათა ლალუმებით ამფეთქებელი, ხატების დამწველი თუ საფლავის ქვათა ამყრელი ერთი კაციც არ „დაუსჯია ღმერთს“. არც უცნაური სიკვდილით მომკვდარა ვინმე, არც გაგიყვებულა, ხელ-ფეხიც არ შეზომბია მავანსა და მავანს. ჰოდა, მხოლოდ ერთ სოფელში, კაკლად ერთი ღვთისმკვამლის „მამაზეციურისაგან დასჯა“ რამდენ ხანს ეყოფოდა ღმერთის რწმენადაბრუნებულ ხომლეთის ხალხს?

მართალია, ხატის ტყის თავით მდგარი ეკლესია არავის დაუნგრევია, არც იქაური საფლავის ქვებისთვის უხლია ვინმეს ხელი, მაგრამ მლოცველით ერთობ გაღარიბებულ, უჭვრო, უზარო და უმღვდლო ეკლესიაში კი სწორედ იმ ხერელიდან, წინათ ჯვარი რომ იყო ჩასობილი, წვიმა თავისუფლად იღვოვება და... აი, კარგა ხანია ხატები კედლების ჩამონარეცხითაა შელანძღულ-მოსერილი. ქრისტე-ღმერთს ცალი თვალი აღარ უჩანს, ნახევარი წვერ-ულვაში კი გა-

ბინძურებია. ღვთისმშობელს თითქოს ხელები გაუშვია ღრმა იესოსთვის, გეგონებათ, ეს-ესაა ქვაფენილ იატაკზე დაენარცხებაო. თითქოს ტირიან ხატები. ერთობ ცუდ დღეშია ღმერთი. მაგრამ ვინღაა მშველელ-პატრონი! ეტყობა, ადამიანის რწმენას, მის სულს, მარტოოდენ ღმერთის სალოცავი ტამარის ლალუმებით აფეთქება და დაშლა არ ანგრევს. წუთისოფელი თავისი არჩეული გზით მიდის, ცხრვრებას თავისი ახალი ეინი ამოძრავებს. ამან დააცარიელა თანდათან ეკლესია. ზოგს ჰქუდი რომ შეუგდო. გამოსწატანად არ შევაცარიელი ეკლესია ვბ გინდა ყოფილა და გინდა არა. თუ ჰქმნაპრიტად მორწმუნე და მლოცველი არ ეყოლება, რილასი მაქნისია ეკლესია! დაცარიელდა ზომღეთის ეკლესია, თითქმის დაცარიელდა.

ერთ ზაფხულს კი, ეკლესიის გალავანში, ძველ, შემორღობავ საფლავებზე ბალახიც მოთიბეს და ზვინები საფლავებზევე დადგეს მტვლებივით. ჰო, ძეგლებივით.

როცა ბერდია აღნიჭ, ერთობ ცოტა ხალხი ხვდება, მხოლოდ დედაბრები და ბერიკაცები, სააქაოდან გამგზავრებას ეს-ესაა რომ ელოდებიან და ჯერჯერობით ვერც ღმერთს ელევან, ვერც იმქვეყნიური ცხოვრების რწმენას. არავის სწადია სიცოცხლე ამქვეყნიდან წასვლისთანვე დაუშთავრდეს, ყველას უნდა, უკვდავი იყოს, თუნდაც იმქვეყნიური ცხოვრებით. ეს რწმენაჩაუშქრალი მლოცველებიც შინ მალე მიდიან და ბერდია მარტოდმარტო რჩება.

აი, ახლაც, ამ შემოდგომის დღესაც ბერდია მარტოკა ზინ ეკლესიის ახლოს, გორმალალას გორაკზე, წამოყუნტულ შავ ლოდზე და ორი მდინარის, ხეორისა და გიეტრას თავშესაყართან, გაღმა-გამოღმა დასახლებულ სოფელს გადაჰყურება. ნიკაპი ორკაბა შინდის მსხვილ ჯოხზე ჩამოუდევს, თითქოს ხარივით უღელში გაბმულა, ოღონდ ტაბიკები და ანუერი უჩანს, უღელი კი არა, უღლად უზარმაზარი ცა ადგასო.

მიწაში ჩასობილ ორკაბა ჯოხზე ნიკაპჩამოყრდნობილი ბერდევითფელესს ხუტავს ხოლმე და ირინდებდავინმე რომ შეხედოს, იფიქრებს, შემოდგომის მზეზე მიფიცებული ჭარმაგი კაცი თვლემსო. ლოგინშიც კი ძლივს იძინებს ბერდია და აქ რა დააძინებს. თვალბდახუტული ოხრავს და თავს გადააქნევს ხოლმე. ეტყობა, ფიქრობს, რალაცაა იგონებს. კაცის თავის გადაქნევასთან ერთად ჯოხიც ირყევა. მიწაში ჩასობილი ჯოხი.

ბერდიას დიახაც სწყინდა, წუთისოფლის ბორბალი ასე რომ დატრიალდა, სოფელ-ქვეყანამ ეკლესიასა და წირვალოცვაზე გული რომ აიყარა, ღმერთს რომ შეეღია, მაგრამ ეს წყენა კიდევ უფრო იმით უმრავლდებოდა, ამან რალაცნაირად თვითონაც რომ დააქვევეგება ღმერთი მართლაც არაად არის და ლოცვით ტყუილ-უბრალოდ ველიჭინებო. ასე იყო თუ ისე, ღმერთს მაინც ვერ ელეოდა, რადგან კარგად იცოდა. ღმერთის სახელი რომ იცავდა ხატის ტყეა და ახლა მამაზეციერის სამახუერი თუნდაც ამისთვის სჯირდებოდა, ხატის ტყე მაინც გადაერჩინა, ის ხატის ტყე, რომელსაც არა მარტო მისი სული, მამაპაეული კარ-მიდამოს და ყინა-ვენახის ბედ-იღბალიც ებარა. თავისი ადგილის დედის და ფუბის ანგელოზის მფარველი ხატის ტყის დარაჯად იქცა ბერდია, ღამითაც კი ფხიზლად უთვალთვალებდა ხოლმე, ვითუ ვინმე ურწმუნო ნაჯახით შემეპაროს და თუნდაც ერთი მუხა მომიჭრასო. სწორედ ის ერთი ხე არ უნდა მოეჭრა მავანს, იმ ერთ ხეა დარაჯობდა მალღური სიფხიზლით ბერდია.

ამო, გამოდგა ასე თავგადაკლული სიფხიზლაც კი. ვინაიდან სოფელ-ქვეყანამ ღვთიური ძალის შიში დაკარგა, ხატის ტყის ხელშეუხებლობის რწმენას ხალხი როდემდე შეინახავდა. ჰერდულად მოუჭოეს ბერდიას ჯერ ერთი მუხა, მერმე მეორე, მესამე, მეოთხე და... დაიკარგა ყოველგვარი მორიდება, დღისით-მზისით შედიოდნენ ნაჯახოსნები

ხატის ტყეში და აშკარად, მოურიდებლად, სიცილ-ხარხართაც კი, კრიდნენ საშეშე თუ სამასალე მუხას.

ხატის ტყიდან ჭახა-ჭუხი რომ ესმოდა, თითქოს ნაჯახს გულზე ურტყამენო, წამდაუწუმ ირყეოდა ბერდია, მაგრამ ვის რას გაუბედავდა. ამ ტყის მეთვალყურედ ის ხომ, ასე ვთქვათ, ღმერთისგან იყო ნაკურთხი, ხოლო ამ საბაბით რომ დაემუნათებია ტყისმკრელი, მავანსა და მავანს სასაცილოდაც არ ეყოფოდა.

თითქოს ბერდიას ჭიბრზეო, ვითომ ხომლეთსა და მის შემოგარენში სხვა ტყე არსად ყოფილიყო, მთელი სოფელი აქლა იქნევედა ნაჯახს.

ორ ბერმუხას, რომელთა შუაც შესისხლხორცებული იყო ძველისძველი ზარი, ირგვლივ შემოაკაფეს ტყე. ზარისმპყრობელი მუხები არავის მოუჭრია, ობლად დარჩენილი თვითონვე გახმა მალე.

ტყვიასავით გულდამძიმებულ ბერდიას ფერდობისკენ გახედვაც აღარ უნდოდა, მაინც გაურბოდა ხოლმე თვალს. ამ ორი გამხმარი ბერმუხის წყალობით შებინდებისას ფერდობი ემსგავსებოდა დაჩოქილ მლოცველს, მკლავები ვედრებით ცაში რომ ატოტებია. ტყის გაკაფვამ გამოაჩინა ქედის ზურგზე ობლად მდგარი ჭვარწართმეული ეკლესიაც. ეს ეკლესია კი შებინდებისას თავწაჭრილ, მაგრამ გრძელკისერ-შერჩენილ, ფართომხარბეკიან დეკაცად ეჩვენებოდა ბერდიას. სდუმდა ეს დეკაცო. ხოლო მამახეციერაა თუ ცარიელ ცას რას ევედრებოდა ხელებ-ატოტებული დაჩოქილი მლოცველის მსგავსი ფერდობი, ესეც უსმენელი იყო. ეგებ იმას — ეს ორი ბერმუხა მაინც გადამირჩინეო? თუ ასე იყო, გამხმარი მუხები რალად უნდოდა, ძირფესვიანად გამხმარი ხე ხომ ხე აღარც არის, მხოლოდ შეშაა. ძველისძველი ზარის დამკერად სჭირდებოდა ეს მუხები? მერედა, როდემდე, როდემდე?

იმ დღემაც არ დააყოვნა მოსვლა. ბერდიამ ეზოდან თავისი თვალთ დაინა-

ხა, ორივე ბერმუხა ერთდროულად ერთში როგორ გადატყდა და ლაწალუწით დაენარცხა ძირს. პირველმა მუხებმა, მუხებმა მეხი დაეცაო. მანამდე კარმა ერთი საადრო ღრუბელიც რომ ვერ დაინახა, მიხვდა, კარმა წააქცაო.

გათავისუფლებული ზარი ხტუნვა-ხტუნვით დაგორდა უტყეო ფერდობზე, საშინელი ელრიალ-გუგუნით ჩაუარა გვერდით ბერდიას. ეზოს, ხატის ტყის მესვეურყოფილს ვაების ამოხველებსავეთ დაუტოვა უქანასქნელი ძახილი: დუუმ, დუუმ, დუუმ, დუუმ! და გიჟურაში ჩავარდნილი სამუდამოდ დადუმდა. იმ წუთას ბერდიას მოეჩვენა, რომ ფერდობიდან დაგორებული ზარის ხმაში იდუმლად იროდიონის სიცილ-ხარხარიც ერია და ისიც... ზართან ერთად ჩავარდა მდინარეში, ჩავარდა და ზართან ერთად ისიც დაურყვდა.

მხოლოდ წუთით მოეჩვენა ეს, მხოლოდ წუთით. მერმე კი თითქმის მთელ წელიწადს უტყეო ფერდობზე კისრისტებით დაგორებული ზარი მის გულში იმდღევანდლური განწირული განგაშით რეკავდა: დუუმ, დუუმ, დუუმ, დუუმ! ამ განწირულ განგაშს ამგზავრებული სიცილ-ხარხარიც ეკლავ ხმაურობდა ბერდიას გულში, ბოლოს კი, თითქოს ბერდიას არაებაში დარჩენილი ზარის ხმაც და მასთან ამგზავრებული სიცილ-ხარხარიც მდინარეში ჩავარდაო, სამუდამოდ დადუმდა.

ფერდობი უხეოდ რომ დარჩა, ხალხი ჩირგვემსაც მიადგა. სამიოდე წელიწადში მთლიანად გამოშვლდა. გაბროკდა და ღვარკოფებით დაიღარა მიწისე, რომ ზედ ძურწა ბალახმაც ვერ მოიკიდა ფეხი. წინათ ტყეში გემრიელი სამი წყარო რომ მოჩუხჩუხებდა, სამივე დაშრა და ბერდიას ოჯახს, მუზობელი უბნის ხალხსაც ერთობ შორიდან გაუხდა წყალი სახიდავი. შორიდან წყლის მოტანას არ შეუშინდებოდა ბერდიას ოჯახი, წვიმიანში ფერდობზე დაქანებულ ნიაღვარს ბერდიას კარმოდამოში ცოფიანივით შევარდნა რომ არ მოეხშირებინა. ნიაღვარმა წაართვა სი-

მინდის ყანა და მალე კარის ვენახიც მიადევნა. შიშველ-ტიტველმა კლდეებმა მსხვილ-მსხვილი ლოდები წამოუშინეს ბერდიას სახლს, შრამელს, ოჯახს ჩაქოლვა დაუპირეს დაა... კაცი იძულებული გახდა, მამაპაპეული ფუძე მიეტოვებინა, გიჟურას ვალმა გადასახლებულიყო.

კინაიდან ფერდობს წამლად ერთი ხეც ალარ შერჩა, ჩიტო როგორღა გაუჩერდებოდა. მათი ბუდეები რა ხანია ქარს ვაჰყვა მტვრად. ხატის ტყის ფრინველთა საამო, ანგვლოსური ვალობა სიზმრისეულ ნეტარებად დარჩა ბერდიას. აი, მაშინდელ ოლოლთა გადაძახილ-გადმომძახილი კი წინანდებურად ესმოდა. კარგად იცოდა, იქ არც ბუდე ჰქონდათ ოლოლებს, არც ცაში დაფრინავდნენ, მათი ხმა კი მაინც ესმოდა მკაფიოდ, წინანდელზე ხშირადაც:

— ვერ ნახე?

— ვერ, ვერ, ვერ!...

ადრინდელი ფიქრიც ახლა უფრო უფორიაქდება სულს: „რას ეძებენ ოლოლებადქცეული ადამიანები, რას, რას, რას?! იქნებ ეს სულ ერთია? მთავარია, რომ ეძებენ, მთავარია, რომ ეძებენ, ალბათ სწორედ ეს ძიებაა მთავარი, დანარჩენი მოგონილია... ამ ძიებითაა ყველა ბედნიერი... ოლოლადქცეული ადამიანიც ალბათ ამგვარი ძიებით პოულობს ბედნიერებას... თვითონ ეს ძიებაა ბედნიერება, ალბათ... მაგრამ მე მაინც შენიაზრება: რას ეძებენ, რას, რას? გადამალულ განძს, მოუხელთებელ მარადიულ ბედნიერებას, ადამიანურ ნუგეშს, სულიერ სიმშვიდეს, თუ... თუ რალაცნაირად დაკარგულ ღმერთს? თუ დაკარგულ ღმერთს ეძებენ, სადღა ეძებენ, როცა ხატის ტყე აღარსად ეგულეებათ? ცარგვალში ეძებენ? იქ კი იზოგნოან? რას ეძებენ ოლოლები, რას, რას, რას? ღმერთო, ისე ნუ მომკლავ, ეს არ გამაგებინო! ღმერთო!...“

• • •

— ეპ, რა ზნე გქირს, წუთისოფელო?
— ოხრავს ბერდია და ფანჯრის ჭვარ-

ში ჩასმულ უხეო და უბეღახო, გახრი-
ოკებულ ფერდობს გაჰყურება.

„ეგება მართლაც ხატის ტყე გიჟი, ჩემი სულის სახლი, იმ მუნებში ებარა ჩემი სული და მენ ხატის ტყის სული მედგა? მერმე, ტყის გაჩანაგებამ და დაბრეცილი ფერდობის გახრიოკება-დაცარიელებამ ჩემი სულიც დააცარიელ-გაახრიოკა? იმ მიწისათვის ძალ-ლონის წართმევამ მეც დამაუძლორა? არა, არა, არა! საშინელებამ ადამიანის სულის დაცარიელება! დამლუპველია გახრიოკებული სული! არ მინდა, არ მინდა, არ მინდა! ჭერჭერობით არა ვარ სულ გახრიოკებული სულიან-ხორციანად!.. ეპ, რა ზნე გქირს, წუთისოფელო! მდინარეს აღმა შეაბრუნებ? დრო-ყამს თეთრი თუ შავი ცხენითი ლობზე მიაბამ? ვერ მიაბამ! დრო-ყამი არც არავის ემორჩილება, არც არავის უტდება ყურს. ტრიალებს და ტრიალებს თავის ნებაზე წუთისოფლის ბორბალი, მე კი მისი გაჩერება მოვიინდომე. მეგონა, ასე გადავარჩენდი სიკეთეს. ეპ, მიდის და მიდის ცხოვრება შეუჩერებლად თავისი გზით. დალუპვისკენ რომ მიდიოდეს, მაინც ვერ შეაჩერებ. ახლა კი, ღმერთმა თუ ეშმაკმა უწყის, საით მიდის. შენ რომ ღმერთი გწამდა, ბერდია, ის აღარ სწამს ახალი ცხოვრების ხალხს, სხვა რალაც იწამა. პო, შენი ღმერთი არ სწამს ამ ხალხს და, მეგონი, შენც შეგიწყია რწმენა, რაკი თვალნათლივ დანახე, ვილაცებს რომ აღარა სწამთ ის შენი უხილავი ღმერთი!.. ეეპ, ეეპ! — ლამის გულიც ამოაყოლოს ოხვრას. — ვინძლო, ის ხალხია მართალი, ღმერთი მართლაც არსადაა, არც ცარგვალში, არც მიწაზე, არც სააქაოს, არც საიჭიოს, მე კი ადამიანი შევწირე ღმერთს, ეგება არარსებულ ღმერთსაც... ნუთუ სულ ამოდ გავეწირე ადამიანი? ნუთუ სულ ამოდ გავეწირე ადამიანი? მართო ის ადამიანი კი არა და მართო მე კი არა, ეგება საერთოდაც ასევე ამოა ღმერთისთვის შეწირული ყოველგვარი მსხვერპლი? ღმერთო, თუ სადმე ხარ, ნუ მიწყენ ამ ფიქრს, ეს ფიქრიც ხომ შენი გაჩენილია!...“

— ეჰ, ბერდია, ბერდია, დღეს ფიქრობ ასე, თორემ მაშინ... — ფიქრითვე გაეპასუხა მეორე ბერდია, — ხატის ტყის მეთვალყურეს ღვთის კაცს გეძახდნენ. ჯამაგირსა თუ სხვა გასამარჯელოს ამისთვის არავის სთხოვდი. მაგრამ ცოდვა გამხელილი სჯობს, იმ მუხნარს იმიტომ დარაჯობდი ისე ფხიზელი გულითადობით, ტყის ფერხთით, ფერდობის ძირას მამაპაპური, მკვიდრად ნაგები ქვიტყირის სახლი გედგა და კარის ყანა-ვენახი გქონდა. გლუხური გუმანით იცოდი, ფერდობზე ტყე თუ გაიჩხებოდა, ან ნიაღვარი წაგლეკავდა, ან კლდეებიდან მომწყდარი ქვა-ლოდი ჩაგქოლავდა. აი, რატომ ეთაყვანებოდი ღმერთს და ხატის ტყესაც თვალს არ აშორებდი. იროდიონის ეკლესიის გუმბათიდან გადმოვდებას ვითომ მარტო-ოდენ მრევლის სულის გადასარჩენად ნატრობდი, ჰო, ასე ამართლებდი ადამიანის ზვარაკად გაწირვას, თითქოს ეს მსხვერპლი მხოლოდ მრევლის ღვთიური რწმუნის შესანარჩუნებლად იყო საჭირო. ფარისევლობდი. მე ხომ ვიცი, სულის ფსკერზე სულ სხვა ფიქრი გეფინა: ღმერთის რწმუნის გადარჩენით და მრევლის სულის გადარჩენითაც, გადარჩება ხატის ტყე და ტყესთან ერთად ჩემი კარ-მიდამოცო. მარტო უფლის და ხატის ტყის ჯავრი კი არ გქონდა, თავ-კერძული, შენი სასარგებლო ფიქრი უფრო გადარდებდა, გაწუხებდა და გაფორიანებდა. ეგება ახლა მაინც გამოტყდე, ღმერთი მარტო შენთვის რომ გიყვარდა და ის კაციც მხოლოდ შენი კარ-მიდამოს გადასარჩენად რომ გაიმეტე. ადამიანი კი არაფრისთვის არ უნდა გაწირო, არაფრისთვის არ უნდა გაწირო, მით უმეტეს, ღმერთისთვის, რომელიც ჭეშმარიტად არც იცი, არსებობს თუ არა. კაცმა კაცი იმისთვის არ უნდა გაიმეტოს მოსაკლავად, რომ ყველაფერზე ჩემსავით არ ფიქრობსო. თავისი შუაგონება რატომ აქვსო.

ის იყო და ის, ამიერიდან ბერდია ყველასგან ფარულად ყოველ-დღე ეკითხებოდა საკუთარ თავს, იროდიონს

რომ არ მივეშველე იმ ღამეს, მართალი ვიყავი თუ მტყუანიო? ეს გულის გაყოფა, ზნეობრივი გაორება, ტანჯვა მებად ექცა. კაცი ათასნაირად წონიდა იმღამინდელ საქციელს.

ვერ გადაარჩინა ხატის ტყე იროდიონის გაწირვამ, მხოლოდ დროებით შეაკრთო ხალხი. მალე დაივიწყა სოფელმა „ღვთისგან უმოწყალოდ გაწირული ხატილეწია ცოდვილი კაცი“. იროდიონი ხომ ერთი არ იყო, ვინ მოთვლის, რამდენი თანამოაზრე და მხარდამჭერი ჰყავდა სოფელ-ქვეყანაში, ჰოდა, ცალკე ერთი ადამიანის სიყვდილი როგორ შეაჩერებდა იმ ზვავსა თუ დიდ მდინარეს, დრო-ჟამის სულს რომ მოჰქონდა. რისთვის, რისთვის გავწირე ადამიანი, თუ ცხოვრება მაინც ასე წამოვიდოდა, მათი გზით? ხომ შემეძლო, წყენა დამევიწყებია, ავგზავნებოდი და იმ ღამესაც ისევე გადაამრჩინა, როგორც უმარჯილკაცობისას გამოვტაცე გიჟურას ტალღებს? აი, მაშინ, მაშინ რომ დამხრჩვალყო, ეგება... თუმცა, ეგება არც ის იყო სიკეთე, უმეტელ დახრჩობას რომ გადავარჩინე? რისთვის გადავარჩინე? მერმე რომ ეკლესიის ზარი და ჯვარი მახვილივით ესროლა ჩემთვის? ხალხისთვის ღმერთის რწმენა მოეკლა და თითქოს ჭევენის წინაშე დიდი ვალი მოეხადოს, მერმე დამხრჩვალყო? ანდა — ნუთუ ერთხელ დახრჩობას იმიტომ გადავარჩინე, მეორედ დასახრჩობად რომ გამემეტებინა? მე ხომ სერივით ვუყურე მის გადავარდნას? არხეინად მიეყევი კვალდაკვალ, ნატვრითაც კი, გადავარდეს-მეთქი. ხომ შემეძლო, მივეშველებოდი? რომ არ მივეშველე, ჩემი მოკლულია, აბა, რა თუ კაცის დაღუპვას თვალნათლივ ხედავ, მიხმარება შეგიძლია და არ ეშველები, ეგებ მკვლელობაზე უარესიცაა? ო, რა ზნე გჯირს, წუთისოფელო! თუ ვერც ღმერთს შევინარჩუნებდით, ვერც ხატის ტყეს, რატომღა გავიმეტე, რატომღა? მსხვერპლი რომ ამო გამოდგა; ახლა მეც ხომ კაცის მკვლეელი გამოვდივარ? რისთვის ჩავიდინე ეს, მისი ცო-

დღა ხომ ახლა მეც მაწევს კისერზე და არ მასვენებს? მაგრამ ღმერთი თუ არ არის, ვინ მომიტოხავს? იქნებ ის უხილავი ღმერთი თვითონ ჩემში ზის? დიახ, რაღაც ღმერთი ალბათ არის, არის. აბა, ახლა ფიქრით ვის ველაპარაკები? ღმერთი არის, არის, ეკლესიაც საჭირო იყო... ღმერთისთვის კი არა, ადამიანისთვის. ღმერთს იქნებ ასეთი ტაძარი მართლაც არ სჭირდება, განა მთელი სამყარო მისი ტაძარი არაა?! ჩვენ გვჭირდებოდა ეს ეკლესიაც და ღმერთის რწმენაც. მაგრამ მსხვერპლი? მსხვერპლი რა საჭირო იყო ღმერთისთვის? ღმერთო, გამაგებინე!..

— ქალო, ერთი შენს გახარებას, ღვინო დამისხი!

— აღარ გინდა შენ დღეს ღვინო, ისედაც არეული ხარ.

— მინდა, ქალო, მინდა! არეული რომ ვარ, მიტომ მინდა. ღვინო ჭკუას დამილაგებს.

— ისეც რა გითხრა შენ... კაი, კაი, დავისხამ! — არიანდა ცხვირისსკარტა, ფუჩეჩით პირდაცობილ დოქს დასწვდა, ფუჩეჩი მოაძრო, ღვინო წელში გამოყვანილ ჭიქაში ჩაასხა და მწოლიარეს მიაწოდა.

ბერდიას ზელი აუცახცახდა. თითქოს შესანდობარსა სვამს და ჭიქას თავს ექცევს, ღვინო ზეწარზე გადასხხადიდი წითელი ლაქა დააჩნდა მიტკალს.

— ქალო, რატომ გიყვარს ჭიქის ასე გაიპინება? — საყვედურით კი არა, უფრო თავის გასამართლებლად ჩაილაპარაკა ბერდიამ. — თუმცა, რა უშავს, ალბათ, ვილაციის სულმა მოგვთხოვა ეს ღვინო!.. ვილაციამ კი არა! ეპ, რა უბედურება მოხდა შარშან, რა უბედურება!.. ვითომ მართო ბედისწერა იყო?

— არ გინდა იმ ამბის მოგონება, არ გინდა, კაცო!

— ჰო, კაი, ყველას შესანდობარი იყოს, ვინც იმ ქვეყნად გველოდება! — ბერდიამ სვენებ-სვენებით დალია, ჭიქა ცოლს მიაწოდა და ჭერს მიამტერდა.

გიეტრამ ზარი შორს წაიღო. თუ ჩაყლაპვისთანავე ფსკერზე ქვეშით დამარხა, ძეხორციელს არ გაუგდა, მისი ამოღება არავის უცდია.

ხრიც ფერდობს დიდი ხანია მუხების ნაფხვარი არსად ამჩნევია, ზოგი ხომლეთელი წინანდებურად მიინც ხატის ტყეს ეძახის. დიდ ფერდობს ძველი სახელილა შერჩა. ახლა ისიც კი აღარ ეტყობა, მის ფერხთით თუ ვინმე ესახლა. ზუსტად ბერდიას ნასახლართან სამანქანო გზა გაჭრეს და ყველაფრის კვალი წაშალეს.

შარშან კი, შარშან, ეპ, სწორედ იმ მიდამოში ისეთი ამბავი მოხდა, მტრისას!

გორმალას ქედზე წამოყურებულ შავ კლდეს უშველებელი ლოდი მოსწყდა, ფერდობი, სადაც დაბურული ხატის ტყე იწონებდა წინათ თავს, თავისუფალი ჯახა-ჯუხით ჩაირბინა, გზაზე მიმავალ საბარგო ავტომანქანას დაეჯახა, ხრამში გადაავლო და თვითონაც ზედ დაეხეთქა. დაიღუპა შოფერიც და მარაზე მყოფი ყველა მგზავრიც, სათიბავად მთაში მიმავალი შვიდი ვეჯაკი. ადამიანთა სხეულის სისხლიანი ნაფლეთები და მანქანის ნამსხვრევები ერთმანეთში აიზილა. მთელი კვირა ქრისტეს ტირილი იყო ხომლეთში. ძაძით შეიმოსა იროდიონის დანატოვარი ოჯახიც და ბერდიას ჯალაბიც. შოფერი იროდიონის უფროსი ვაჟი იყო, უკვე დაცოლ-შვილებული ზალიყო, ბაბუას სეხნია, სათიბავად მიმავალ მგზავრებში კი ბერდიას უმცროსი ვაჟიც ერია, გოდერძი, ისიც ცოლ-შვილიანი.

ხალხმა გორმალადად ლოდის მოწყვეტა ზუსტად მაშინ, გზაზე მანქანას რომ უნდა გაეგლო. ბედისწერას დააბრალო. რას ვიზამთ, ასეა: ყოველგვარ ფათერაქს ადამიანი ბედისწერას მიაწერს. რაგორმე თავი რომ ინუგეშოს — ზიფათი გარდაუქალი იყო, აღრვევ ნავარაუდევია, და უნდა შეგუროგდეთო.

ბერდიას ბედისწერა დიახაც სწამდა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაგრამ ამ უცარმა უბედურებამ სხვა-
ნაირადაც ჩააფიქრა:

— ვითომ მარტო ბედისწერის ამბავი
იყო ეს? უფრო სავარაუდოა, რომ ის
ხალხი დიდი ხნის წინათ დაღუპულმა
კაცმა დაღუპა. იმ კაცის სულმა დააგო-
რა ის შავი ლოდი და... ერთდროულად
იმსხვერპლა თავისი შვილიც და ჩემი
ვაჟიც. ვინმეს რომ გავუმხილო ეს, ვი-
ცი, მეტყვის: უცნაურობა გჭირსო. ზოგი
ჩემს ფიქრს ბოღვადაც მონათლავს. არა-
და, იროდის ეკლესიიდან ჯვარი რომ არ
გაღმოვადო, ხატის ტყის ფერდობიც არ
გახრიოკდებოდა და ვერც ლოდი და-
გორდებოდა აქ ასე ვერაგულად. ეტყო-
ბა, მე ხატის ტყის ფერდობის გახრიო-
კების შიში თავიდანვე სწორედ ამიტო-
მაც მაწუხებდა, წინასწარმეტყველური
ამბით, ამ უბედურებას მოველოდი სულ
და, ა, ამიცხადდა წინათგანძობა. ნამდ-
ვილად იროდემ დაღუპა ეს უდანაშაულო
ხალხი, თავისი სისხლ-ხორციც და სხვაც.
მკვლელია. იროდი, მარტო ღმერთის კი
არა, ამ ხალხის მკვლელიც, ჰოდა, მე
მართალი ვიყავი იმ ღმერს, რომ არ გა-
დავარჩინე, დასახრჩობად იოლად რომ
გავიმეტე. ის არ იყო სიცოცხლის ღირ-
სი, კიდევ რომ ეცოცხლა, ალბათ უფ-
რო მეტ ბოროტებას ჩაიდინდა. მე ღმერ-
თის სიკვდილის მსურველი კაცი გავი-
მეტე სასიკვდილოდ! არა ვარ მე ცოდ-
ვილი, არა ვარ მე ცოდვილი, არა ვარ
მე ცოდვილი ხელი არ მიკრავს, უბრა-
ლოდ არ მივეშველე ცოდვილს!..

მერმე კი, მერმე, კვლავ შეუტრიალ-
დებოდა ხოლმე ფიქრი:

— რატომ ვადანაშაულებ იროდის,
რატომ? ახლა დაღუპული ხალხის სიკ-
ვდილს რატომ ვაბრალებ მხოლოდ დი-
დი ხნის წინათ დაღუპულ კაცს? ეგება
ჩემი იმდამინდელი საქციელის გასამარ-
თლებლად? ო, რა ზნე გჭირს წუთისო-
ფელი! ალბათ, ვინც ადამიანს სასიკვ-
დილოდ იმეტებს, ყოველთვის უძებნის
თავის საქციელს გამართლებას. ამიტო-
მაც არ ილევა ცოდვა დედამიწაზე! ცო-
დვა, ცოდვა!.. ვინ იცის ჭეშმარიტად,
რა არის ცოდვა და რა არის მადლი?..

ღმერთო, ღმერთო, თუ სადმე ხარ, გა-
მარკვიე!..

შვილის დაღუპვის შემდეგ სალ-სალა-
მათი ბერდია მალე მოტყდა, დაჩაჩანა-
და და ჩავარდა ლოგინად.

დაძინებისთანავე ესმოდა ზარის რე-
კვა. ხატის ტყეში და ეკლესიის სამრე-
კლოზე რომ ეკიდა, იმ ზართა კი არა,
სხვა, უფრო შორეულის. სადღაც რეკ-
და ზარი, ხან ცაში, ხან მიწაზე. მისი გუ-
გუნ-ქორიალი მეხისტეხასავით აშინებ-
და და მუდამ დამფრთხალი იღვიძებდა.
ირგვლივ სამარისებული სიჩუმე სუ-
ფევდა, ბერიკაცს კი გული ამოვარდნაზე
ჰქონდა. ხშირად ეს სამარისებური სი-
ჩუმეც აშინებდა და აღარ იცოდა, რო-
გორ გაქცეოდა. ზოგჯერ ფიქრი და სი-
ნამდვილე, სიზმარი და ცხადი ერთმა-
ნეთში ერეოდა და ველარ იგებდა, რა
ხდებოდა მის ირგვლივ. ყოველ დღე
სამ-ოთხჯერ ელანდებოდა: ხატის ტყის
მუხები მლოცველებივით იჩოქებდნენ
და მკლავებატოტებულნი რალაცას ემუ-
დარებოდნენ ხან ცას, ხანაც თვითონ
ბერდიას. უხმო იყო მათი ვედრება. ბე-
რდიას არ ესმოდა, რას ევედრებოდნენ
მლოცველებივით დაჩოქილი ხეები. მა-
თი ვედრება, ალბათ, არც ცას ესმოდა.

ერთ ვარსკვლავიან ღამეს კი ბერ-
დიას ღმერთი გამოეცხადა, აი, ისეთი,
ხომლეთის ეკლესიის კედელზე რომ
ესაბა. ოღონდ ბერიკაცმა ვერ გაიგო,
ღმერთის გამოცხადება ესინზრა თუ
ცხადად ნახა. ისიც ცოდვა-მადლზე შე-
ედავა, იმ ღამინდელი ამბავი შეახსენა.

— რატომ გაწირე ის ადამიანი?

— შენი მოკვლა ეწადა, მამაზეციე-
რო.

— თუ შენ ვერ შემელოდი, ასე
ვთქვამთ, თუ ბოლომდე მტკიცედ შეი-
ნახავდი ჩემს რწმენას, ვერავინ ვერ
მომკლავდა. ასე რომ, ყველა ძეხორცი-
ელს შეუძლია ჩემი გადარჩენა, თანაც
ისე, კაცი არ მოკლას. თუნდაც შენსა-
ვით, სასიკვდილოდ არ გაიმეტოს... მი-
ეშველოს ადამიანს, როცა უჭირს, როცა

საფრთხეშია. აი, ესა ვარ მე — ღმერთი. გაიგე? გაიგე? გაიგე? რამ დაგადღემა? — გაიგე, მგონი. ეჰ, ახლა რაღა დროსია!..

* * *

ტახტი დღეს მეორე ფანჯარასთანაა მიდგმული. ბერდია მლოცველივით დაჩოქილა, ხელები ნიკაპქვეშ ამოუღვია, იდაყვები ფანჯრის რაფაზე დაუბჯენია და შორეთს გაპყურებს, ეტყობა, ჩამავალ მზეს უცქერს. წელსქვემოთ ზეწარი ახურავს, პერანგის ამარაა. თხელი და თეთრი თმა ვაბურძგვნიან, ოდესღაც ბრგე კაცი დაჩაივებულა, ბეჭის ძღლები ამოყრია, თვალბადაა ქცეული. პირისახე გასანთლისფერებია, თითებიც სანთლებს მიუგავს.

— ეჰ, წუთისოფელო, რა ზნე გჭირს! — ამოიოხრა მწარედ.

— რა ოხვრა აგიტყდა, კაცო? შენ ასე რომ არ იცოდი? — გაეპასუხა არიანდა. — რას მიშტერებინარ?

დღემილი.

— არიანდა, ხომ ხარ შენ ჩემი ცოლი?

— შენ არ მოუყვდი შენს ცოლს, წუთისოფელი უღლად გამოვიარეთ და ახლა შეკითხვები, ცოლი თუ ხარო? სულ ხომ არ გამოჩურჩულდი, ადამიანო? ჰო, მივხვდი, მივხვდი, რაღაცა სათხოვარი გაგიჩნდებოდა. ღვინო გინდა კიდევ თუ?..

— ღვინო? არა, არ მინდა. ერთი ძველი ამბავი უნდა გაგიმხილო.

— ჩემ გარდა სხვაც გიყვარდა ვინმე, ხო?

— კი, მიყვარდა... ღმერთი.

— ჩემი და ღმერთის სიყვარული არც აღრე უშლიდა ერთმანეთს ხელს, არც — ახლა. როგორმე მე და ღმერთი მოერიგდებით. სულ ეგ არის შენი საიდუმლო?

— ერთი რამე მინდა გკითხო, არიანდა.

— ათასი შეკითხე, შენი ჭირიმე, მაგის ჯაერი გაქ. რაც ვიცო, არ დაგამადლო.

— შენი ვარაუდით, ბოლოს და ბოლოს, ღმერთი ჭეშმარიტად არის თუ არ არის?

გეგზლიყოთქანა

— მე მგონია, მე მგონია... — ოდნავ დააყოვნა პასუხი არიანდამ, — ზოგისთვის არის და ზოგისთვის არა. ჰო, ასეა, დასტურ. ვისაც ჭეშმარიტად სწამს, მისთვის არის, ვისაც არ სწამს, მისთვის არც ღმერთია, არც სხვა რამე. შარშან ექიმთან რო ვიყავი, იცი, რა მითხრა? წამალი თუ არ იწამე, არ მოგიხდებო. აღბათ, ღმერთიც წამალივით არის. ასეა თუ ისე, მე მინდა, რომ იყოს. წუთისოფელგამოვლილ ადამიანს ერთადერთ ნუგეშად საიჭიოლა დამჩა, იქაც ვიცხოვრებ-მეტეი, და ამ ნუგეშს რატომ შეველიო, ახლა ხომ არ დავივიწყებ ღმერთს?! ისე, ყველას თავისი ჭკუა და გზა აქვს. არ არის ასე, ჩემო კაცო?

— ჰო, შეიძლება აგრე იყოს. გვეცოტაგება წუთისოფელი, გვეცოტაგება და... გვინდა, მზიანეთში არ გავვითავდეს.

ისევე დღემილი, უფრო ხანგრძლივი.

— არიანდა, მომიახლოვდი.

— სულ შენთან არა ვარ? მეტი რა მოახლოება გინდა?

— წინა დღეს მე რომ ჩემი ფიქრი ჩურჩულით წამომცდა და შენც რომ გაიგონე, გულის ფიქრი იყო ის, მართალი ფიქრი, სააღსარებო ფიქრი... იმ წუთში ვერ გაგიმხილე, ახლა გეტყვი.

— რომელ ფიქრზე მეარაგები?

— მე არ მომიკლავს ის.

— გადამრევს ეს კაცი?! ვინ არ მოგიკლავს?!

— იროდი, კლდისუბნელი ზალიკოს შვილი.

— უცნაურს იტყვი ხოლმე. მერმედა, შენ ვინ რა დაგაბრალა, ადამიანო? ჭკვეყანამ იცის, იროდიონი ვიღაცა მეტივეებმა მოკლეს. ან — მთვრალი თავისით ვადავარდა წყალში და დაიხრჩო. შენ იროდიონი კი არ მოკალი, გადაარჩინე. აგერია ყველაფერი? რამ მოგავონა ახლა შენ ის ძველი ამბები, სოფელში თითქმის აღარავის არ ახსოვს.

— არაფერიც არ ამრევია. მეტივეებს მისი ცოდვა ტყუილ-უბრალოდ აკიდეს. ვინმეს დაღუპვა არც დასიზმრებიათ. რაც იროდის დაემართა, ჭეშმარიტად მხოლოდ მე ვიცი. ხეორში გადავარდა.

— ასე დაბეჭდილად ვინ ჩამოგიკაჯალა?

— ჩემი თვალით ვნახე, როგორც ახლა შენ გიყურებ.

— მერმე მაშინვე რატომ არ გაამხილე?

— არ დამიჭერებდნენ.

— ვითომ რატომ არ დამიჭერებდნენ?! თვითონაც ხომ ივარაუდეს, გადავარდნილიაო?

— იმას არ დამიჭერებდნენ, მე რომ არ გადავადგდე. სოფელ-ქვეყანამ იცოდა, ეკლესიის ეზოში რომ ვიჩხებეთ და ერთმანეთს გადავემტერეთ... ხალხის თვალთ რომ შემეხედა, ეგება მეც არ დამეჭერებინა. იყე კი, იმ ღამეს მე წამოვეწიე გზაზე მთვრალ იროდის. ჩემი ხუთი თითივით ვიციოდი. ფათურაქს ვერ გადაურჩებოდა. კბოღებზე ან წანწალა ხიღზე უეჭველად გადავარდებოდა. მიშველება შემეძლო და... არ მივეშველე: ხატის ტყესა და ბევრ სხვა რამესაც აუ გადავარჩენ-მეთქი. ვერ გადავარჩინე და ია კაცოც ტყუილ-უბრალოდ გავიმეტე... ეჰ. ასე რომ მკოდნოდა... ღმერთმანი, არ გავწირავდი. მთელი ჩემი დღე და მოსწრება დარდად მაწვა ეს გულზე. არავისთვის გამომხელია, დღეს შენლა განდობ აღსარებასავით. არ მინდოდა ამ ხეაშიადის თან წაღება, ამ დარდის იქაც თრევა... ეგება ამას დარდიც არ ჰქვია. ლოდია. რომელიც გულზე გაწევა და ვერავინ ხედავს... ეს დაუნახაობა კიდევ უარესია... ლოდიცაა და მაქლაქუნაც—გტორავს. აულსა და გულს გიკაწრავს. გჰამს... გჰამს და ვერავინ ხედავს ამ მკამელას... აი. ახალა მომშორდა ეს უხილავი ლოდი თუ მაქლაქუნა... მადლობა შენ. მადლობა შენ, რო მომისმინე ბოლომდე და ჩემი ხეაშიადი გაიზიარე!.. ჩვენ ხომ ერთი უღელე გვედგა მუდამ, ერთი უღელი... შენ იყავი ჩემი უპირველესი მანუგაშებე-

ლი ღმერთი!.. ანგელოზიც შენ იყავი... ჩემი სულის ზიარებაც შენა ხარ ახლა.

— ჰო, ცაში გაფრენალა შენც კი და შენ. დაწუნარდი, დაწუნარდი...

იმ ღამეს ბერდიამ ცაზე მიდგმული თეთრი კიბე დაინახა, ჰავშვივით გაეხარდა და მისკენ ისე გაიქცა, თითქოს ქარზე ზისო. ყარგა ხანა მიაბიჯებდა ცის თეთრ კიბეზე, მალლა და მალლა. ერთი თვალბრღლეილა კენტი ვარსკვლავი ამოირჩია თავის ბედის ვარსკვლავად და თვალს არ აშორებდა — მისკენ მიდიოდა და მიდიოდა. კენტი ვარსკვლავი ცაზე ისე ქანაობდა, თითქოს დიდი კიციანთელა ღამეს ღამბავსო. ახალა მიხვდა, ეს მარტოსული ვარსკვლავი იმ ფარნის შორეულ შუქსაც ჰგავდა, ღრუბლიან ღამით წინ რომ მიუძღოდა ბერდიას ქანავ-ქანავით.

აი, მიუახლოვდა. ხელის ერთი აწევაც და მისწვდება... მისწვდება და ეს ვარსკვლავი სამტდამოდ მისი იქნება. წამი, ერთი წამია საკვირო კიდევ... ეს წამი კი დაიკარგა უსაზღვრო ცაში... ასე რამ დაუძღმულა ხელი. ძლივს ასწია, უმწეოდ, უნიათოდ. თითები დაშლილი ტივივით გაფარჩხა, წაეპოტინა ვარსკვლავს და... ის ვარსკვლავი წამისწამ გაქრა, თითქოს უკადეგანო წყვილიაში გადავარდაო. ამ დროს ხრიოკი ფერდობის თხემიდან კი არა, უსასრულო ცარგვალის სიღრმიდან დაგორდა ხმაწართმეული თუ ხმადაკარგული ზარი. ცაზე მიდგმულ თეთრ კიბეზე მოქანავე კაცმა მხოლოდ იმის გაფიქრება მოასწრო, ამ კურთხეულ ზარს ხმა ვინ წაართვა, დაუყარგა თუ მოუკლაო. — დამუნჯებულ დაყრუებულ ზარი ზედ გულზე დაეხალა...

ვარსკვლავია დასაკერად აშვერილი მელავი ბერდიას მოწყვეტით ჩამოუყარდა ძირს და თვითონაც მდინარეში ჩაყარდნილი ხმაწართმეული ზარივით დაღუპდა სამტდამოდ.

გრიგოლ ჯულუსიძე

დედაჩემს დღემდე ვერ მოვეყვარე

დედაჩემს დღემდე
ვერ იქნა და
ვერ მოვეყვარე,
ჭალარა თმები ვერ გავუთბე
ერთხელ ამბორით...

როცა ჩავდივარ,
წამოსვლისთვის
აღერსს ვიტოვებ,
როდესაც ვტოვებ.

კვლავ შეხვედრის
მზრება იმედი.
გადამწერს პირჯვარს,
დედაჩემი
ხელის კანკალით,
და დღემდე.
ჩემგან დაუკოცნელ
ცრემლიან თვალებს
სოფლის ბოლომდე
ლოცვასავით გამომაყოლებს.

სიცოცხლის რეაბილიტაცია

მეხუთე დღეა
რეანიმაციოში ვწევარ, —
ცისკენ მივყევარ,
მონატრებულ
ძმებს და მეგობრებს:

მურმან ქოიავას,
ყარამან კიკვიძეს,
შალვა ჩიტიშვილს...
მივდივარ ცისკენ,
განწმენდილი
და ბედნიერი.

მაგრამ,
მიწიდან

მესმის მოთქმა
ჩემი შეილების —
ისინი დგანან
რეანიმაციის დაბნულ კარებთან
და ჩიუტად ითხოვენ
ჩემი სიცოცხლის რეაბილიტაციას...
მე ჩემს მეგობრებს
ბოდიშს ვუბდი,
და მეგობრები
კი არ ბრაზობენ —
ორაზროვნად მსაყვედურობენ:
— შეილები ჩვენც გყავს!

გიყვარს ლექსი?



გიყვარს ლექსი? —
 სატრფო ლექსის
 სადღეგრძელო შესვი!
 ქართულ მზეში ოქროდ ბრწყინავს
 ლექსი,
 ლექსი,
 ლექსი...

ფეთქავს ქვაში,
 გალობს ცაში
 და შრიალში ლერწმის...
 ლექსი ცეცხლის,
 დარდის,
 ვარდის,
 შენების და
 ლეწვის.
 იბრძვის ლექსი, —

ადნობს ყველა
 სიგელსა და ვექსილს,
 უკვდავება მოაქვს სიტყვას,
 უკვდავების ლექსით.

ლექსი ცრემლის,
 კვამლის,
 ხვამლის,
 კრძალებისა და რიდის...
 საუკუნე მოდის ლექსით
 და ლექსებით მიდის.

გიყვარს ლექსი? —
 სატრფო ლექსის
 სადღეგრძელო შესვი!
 ქართულ მზეში
 ოქროდ ბრწყინავს
 ლექსი,
 ლექსი,
 ლექსი!

სალამი ზღაპრებს

დღითიდღე
 ვკარგავ
 ბედნიერებას,
 რომელიც
 გზადაგზა გამოვიგონე...
 სალამი ოცნებებს!
 ლეგენდებს!
 ზღაპრებს!
 სინამდვილეში

ცოტა რამ ხდება,
 ცოტა რამ ხდება...
 ზღაპარი რომ არ ყოფილიყო,
 არ იქნებოდა მზეჭაბუკი
 და დღემდე
 ეყოლებოდათ
 დატყვევებულ
 ცხრათავიან დევებს
 მზეთუნახავი



ორი თვალი

რომანი

ნაწილი პირველი

„...დაეწერო წიგნი, როგორც ოცნებობდა ფლობერი, „წიგნი არაფერზე“, საცა რაიმე თანმიმდევრული ამბავი კი არ იქნება მოთხრობილი, იქნება განფენალი სული ჩემი, ცხოვრება ჩემი, ის, რაც დაეინახე, რაც ვიგრძენი, გავიფიქრე, შევიყვარე და შევიძულე“.

ივანე ბუნინი

„რაც უფრო შევდივარ ხანში, მით უფრო ვუახლოვდები წარსულს... თითქოს ხელით ვეხები. უფრო აშკარად ვხედავ იმას, რაც ცუდი იყო და რაც კარგი იყო ჩემში. და იღვიძებს დიდი სურვილი — დაეწერო, უსათუოდ მოეასწრო და დაეწერო ჩემი დიდიხანის ნაფაქრი წიგნი ჩემი დროის შესახებ და ჩემს შესახებ — ეს უნდა იყოს არც რომანი, არც მემუარები — რაღაც საშუალო“.

გიორგი შატბერაშვილი

ს ს შ ი

თუთუნის ფარდულის წინ მეზობელი კაცი დგას, სახელი არ მახსოვს, არც კი მიცდია ოდესმე მისი სახელი მომეგონებინა, — თხილის სახრე უკავია ხელში; ურემს ხარები უბია, ორი ერთფერი და თითქმის ერთნაირი ხარი, ერთნაირი ცხოვრება ჰქონდათ, დამგვანებოდნენ ერთმანეთს; იღგნენ მშვიდად და იცოხნებოდნენ. ხანდახან გაიწეგდა რომელიმე მათგანი, მაგრამ მეორე რაკილა ფეხებს არ იცვლიდა, აღარ ჭიუტობდა მაინცდამაინც. იღგნენ ასე, მშვიდად, ლაპარაკი ესმოდათ ჩვენი და გველოდებოდნენ. ყველაზე ადრე დედაჩემი ავიდა ურემზე; მერე დედაჩემს ჩემი უმცროსი დაია ჩაუსვა ბაგი ბიძია კალთაში და მე მომიბრუნდა: აბა, მიხა ბაბაია, შენ იცი აწი, დიდი ბიჭი

ხარო! — ამიყვანა, მაკოცა და დამსვა ურემზე. კარგად კი არ მახსოვს, კაცმა რომ თქვას, ახლა, ბაგი ბიძიამ დამსვა თუ მე თვითონ ავედი ურემზე. ასეთი საორჩანით რამ ბევრი ყოფილა ჩემს ბავშვობაში. ხანდახან რომ მგონია, აი, იმ კაცლის ჩრდილში მაშინ მეც ვიდექიმეთქი, უცებ სხვაგვარად მომეჩვენება, და კარგად ვიცი, რომ მე იქ არ ვმდგარვარ. ან კიდევ, აი, ჭრაქი რომ მივიანათ გვიანობაზე შემოსულ მეზობელს — უცებ სხვაგვარად მომეჩვენება და კარგად ვიცი, რომ ჭრაქი მაშინ მე კი არ მეჭირა ხელში, არამედ ჩემს ბიძაშვილს — ბოჩო თუთარიას. ბოჩო ჩემზე უფროსია და ჭრაქს კი დაიჭერდა მაშინ, ან ბოჩოს რატომ უნდა დაეჭირა, კაცმა რომ თქვას, მაინცდამაინც, იმ ღამეს

ჩვენთან ან ძაგუ თუთარია იქნებოდა, ან სხვა ვინმე, და ის მიანათებდა ჭრაქს სახლის კიბეზე ამომავალ მებზობელს, ანდა თუ კი მებზობელი იყო და თანაც კარის მებზობელი იქნებოდა ის, ჭრაქი სულაც არ დასჭირდებოდა, ალბათ...

სალამო ხანია და წალამდე ათი-თხუთმეტი ვერსია. წალში მეურმე უკან გაბრუნდება, ჩვენ კი გამგლეღ მანქანას უნდა დავეუცადოთ. ურემზე ჩვენი ბარგი-ბარხანა დევს. „რაც მთავარია, ეს მომაქვსო“, ამბობს დედაჩემი და ხელს ადებს, თითქოს ხელს კი არ ადებს, ეფერებათ მონიკელებულ რკინის საწოლებს...

ბაგი ბიძია დიდხანს გვემშვიდობება: მიღის ურემი, მიხრივინებს, ქვებზე მიხრივინებს, ტალახში მისრიალებს; საით მიდიხარ? რას ჰქვია წალი, ან ყუმი? რატომ მიდიხარ იქ? იქ ვინ დაგხვდება? იმ სახლში, შენ რომ დატოვე, ამაღამ ვინ იქნება? სახლი მარტო იქნება? ჭრაქი არ ენთება იქ?

გვრძნობდი — რალაც ახალი იწყებოდა ჩემს ცხოვრებაში. თუმცა რას ვეძახი მე ცხოვრებას? იმ ნაწყვეტ-ნაწყვეტ მოგონებებს, ერთად რომ შეჰკრიბო — ერთი დღე-ღამეც რომ არ გამოვა? მაგრამ ეს მაინც ცხოვრება იყო. რალაც დამთავრდა. რალაც იწყება. ურემი მიღის. ოქუმ-წყალთან, კოფოდან ჩამოხტება მეურმე კაცი, ხარებს შუა ჩადგება. ზურგით მიეყრდნობა უღელს, „ხიი, მოო“, დაიბუბუნებს და მშვიდობით გადაგვიყვანს წყალზე. ოქუმ-წყალმა უეცარი მოდიდება იცის. ეს დედაჩემისაგან გავიგე. დედას გაუფიქრებია მაშინ. „წყალი არ მოდიდდესო“, და მე შემთხვევით. ათი-თორმეტი წლის მერე, როცა დედა უყვებოდა ახლობლებს ოქუმიდან წამოსვლის ამბავს, მაშინ გავიგე. ოქუმი წყნარად მიედიდება, ჩვენ გადავდივართ მდინარეზე და ხელმარგენივ მივეყვებით გზას. ერთხანს კიდევ გვესმის ოქუმის ნელი შრიალი და მერე სიწყნარეა. სოფლებში ჭრაქებს ანთებენ. აინთო ერთი, მეორე, მესამე; ინთება ჭრაქი, ეზოს ჰიშვარი ჭრიალებს

გზად, ქობის კარი მოლიავებულისა, ჭრაქის სინათლეზე ლანდივით იქნენ უქმე მცხოვრებნი და იქიდან ნელს შავსი მისი. ვილაცა მკაფიოდ იძახის: „კატა-ლაა-ვოო!..“ რატომ წამოვედით გვიან? „ხვალ გაემგზავრეთო“, თქვა ბაგი ბიძიამ. დედამ თქვა: „არა, ბაგი, დღესვე წავალო“. ბაგი ბიძია არ შეპასუხებია. ეს იყო და ეს.

ყუმი—იმხანად ჩემთვის ჰგავდა უამრავ უცნაურ სიტყვას. მაგალითად: ჩვენ ვზივართ ჩვენი პატარა ფიცრული ოდის წინ, საღამური სიწყნარეა, ტბილად საუბრობს ჩვენი ოდის კიბეზე ჩამომჯდარი ხუტუ თუთარია, და ყველა უსმენს მას, უცებ ამ დროს ანაზღუდული კვილი გაისმის. „რა მოხდაო?“ კითხულობს ყველა უბზოდ, უჩუმრად, თავის გულს ეკითხება. ხუტუ ჩვენგან მოშორებით სახლობს, და ის უფრო აღელვებულისა, ვიდრე სხვები; სხვები, რომლებიც აქ სხედან, კარის მებზობლები არიან: აგერ, ხელის გაწვდაზე მათი სახლები; ჩვენ კი შინა ვართ და იმდენად რა უნდა გვენაღვლებოდეს, მაგრამ ხუტუ თუთარიას კი ეცვალა ფერი. რა გაიფიქრა მან იმ წუთას, სად იყო გული მისი; ნაადრევი ივლისი იდგა, ვინ იყო და ვინ — არა, არ მახსოვს, მაგრამ ვილაცამ დაიძახა: „დამხრჩვალაო“. რა გავიგე მე? რას ნიშნავდა ჩემთვის ის სიტყვა მაშინ? სიზმარეული ნისლი ახლდა იმ სიტყვას ჩემთვის; ასეთივე იყო ჩემთვის ყუმიც. ჩვენი გზა ყუმს მიდიოდა, ოქუმი კი გვრჩებოდა უკან, გვრჩებოდა სოფელი, ერთადერთი ადგილი, რომელსაც მე ვიცნობდი. მე ხომ სხვაგან არსად ვყოფილვარ. ვიყავი ერთხელ ჩუმურში, თუთარიებისას, ჩვენი შორეული ნათესაებისას, მაგრამ რა შემრჩა იმ ხსოვნიდან, ან რა გამომყვა? პაწია ტბილისკვერი და ჩიფჩიფა დედაბრის სახე, რომელიც წამდაუწუმ მეფერებოდა? მოვიდოდა ის დედაბერი ჩემთან, მომიახლოვდებოდა, წრიულად მომიტარებდა ხელს თავსზე-ით და ჩიფჩიფებდა. მლოცავდა თურმე. მერე კი დაჭდებოდა და რალაცა-

ირი, მახვეწებელი თვალებით მიყურებდა. რას მევედრებოდა, ნეტა? ამგვარად ხატს შესცქეროდა ხოლმე. აი, პაწია სარკის ზევით, კედლიდან მზირველ დედა-შვილის ხატს, რომელიც დედაჩემს დაჰქონდა ყველგან. ის ხატი ოქტომბრის გვექონდა და ყუმშიც გვაქვს. ჩუმად დადის ჩვენთან ერთად. ხატი გვაქვსო შინ, არასდროს თქმულა ოჯახში, არასდროს მოუმართავს დედას ჩვენთვის, არც მამულასთვის, არც ჯამუსთვის, აიღე და აქეთ გადმოდგო ის ხატი; ან სხვა რამ. არაფერი არ ითქმოდა ჩვენთან იმ ხატზე, ჩუმად დაგვეყვებოდა თან, როგორც ნაწილი თავისი დაყვება ადამიანს, ყველგან და ყოველთვის. აი, სწორედ იმ ხატს მომავონებს ბებრუხანას ჩიფჩიფი. ტბილისკვერი მაგიდაზე დევს. ოდნავ გაზინთულ, საფენგადაფარებულ მაგიდის შუაგულში; ჯერ დაგრაგნილი იყო ის ტბილისკვერი, მერე გაიშალა, გაიფინა, ვილაცამ გაშალა, ვილაცის ხელმა აიღო და გახსნა ის ტბილისკვერი. ესეც უხმაურად მოხდა, უჩუმრად. კარგად არ მახსოვს, ვინ შეეხო პირველად მას. უხმაურად რომ მოხდა, იმიტომაც არ მაგონდება, ვინმეს ეთქვას, აჰა, შენ ტბილისკვერიო, კი მომავონდებოდა, მაგრამ არავის არ უთქვამს არაფერი. ოთახში სიწყნარე იყო და ტბილისკვერი იღო საფენგადაფარებელ მაგიდაზე. ოდის კარი ღია იყო (ცალი კარი ჰქონდა იმ ოდას), საიდანაც ეზოს ჰიშკარიც ჩანდა. ჰიშკარიდან რომ შემოეხედა კაცს, ბუნდოვნად თუ გამოჩნდებოდა შინ მყოფი ვინმე, ხოლო ოდის თვალისაგან ჰიშკარი კარგად ჩანდა; მეზობლის, მტრისა თუ მოყვრის დანახვა ოდიდან ადვილი იყო. ადვილი იყო ეზოში შემომავალი სტუმრის დანახვა, ხოლო სანამ სტუმარი ოდის კიბეზე ამოვიდოდა, კი მოასწრებდა დედაბერი, მაგიდაზე დაედო ტბილისკვერი. ან კიდევ, თუკი სტუმარი მამაკაცი იქნებოდა. — ერთი ბოთლი „ქაქა“ და პაწია არყის ჰიქა, ძველებური და მაინც კოკობზიკური. სუსტ ფეხზე მდგარი და სინათ-

ლე გამავალი, თხელი და სიფრთხანა ჰიქა; იმ ჰიქასა და იმ ბოთლს, ეტყობა, სხვადასხვა ქარხანა ამზადებდა, ერთმანეთს არა ჰგავდნენ, მაგრამ ერთმანეთს მაინც ეგუებოდნენ, შეჩვეოდნენ ერთმანეთს, შეთანხმებულყვენ. აკი კიდევაც აუღიოდნენ ერთმანეთს; ხანდახან კი ის პაწია ჰიქა ჯაბნიდა მაინც იმ ვეებერთელა ბოთლს. ბოთლი დაიწრიტებოდა, ჰიქა კი ისევე ძველებური ჰიქა იყო, ყოველ წამს შეეძლო თავისი მოვალეობა შეესრულებინა; ბოთლი და ჰიქა მაშინ არ იღო მაგიდაზე. მაშინ მხოლოდ ტბილისკვერი იღო და მე ეს მახსოვს. მერე ოდის თვლიდან რომ დავინახე, ის ქალი მეჭდა გვერდით, იმ დედაბერს რომ ნათესავად ერგებოდა. ჩვენც გვერგებოდა ის ქალი ნათესავად, მამაჩემისიანი იყო, როგორც იტყვიან აქ. „მიდიხართ, აბა?“ ამბობდა ის ქალი. გამბდარი იყო და სუსტი. შავები ეცვა დედაჩემივით, ოღონდ მისი სამოსი უფრო გაცრეცილი იყო, დედაჩემისა კი უფრო ახალი. „მივდივართ“, თქვა დედამ. და განა მარტო ამას ამბობდა, განა მარტო ეს თქვა, ბევრ ხანს საუბრობდნენ კიდევ. კიდევ წუხდნენ და ნანობდნენ, კიდევ ტიროდნენ, ნამდვილად ტიროდნენ, ჩუმ-ჩუმად არც გამოუდიოდათ, არც უნდოდათ თითქოს ტიროლი, ან უნდოდათ და მე მიმაღვდნენ, მაგრამ მაინც ვერ მიმაღვდნენ. ცრემლის წვეთი რომ მოადგებოდათ, გრძელი, შავი თავსაფრის ბოლოებს იღებდნენ და თვალებს იფარავდნენ. მაშინ მეც ვერ ვხედავდი და მეტი რაღა უნდოდათ, მაშინ უფრო ტიროდნენ; „გადი, შვილო, გარეთ“. ეს უნდა ეთქვა დედაჩემს, მაგრამ არ მეუბნებოდა. თითქოს უნდოდა კიდევაც, იქ ვეჭდარიყავი, ან ვმდგარიყავი, ეს სულერთია, ოღონდ იქ ვყოლოდი, გვერდით, ყოველ წამს ვყოლოდი იქ. გვერდით, ისინი კი მე შემომხედავდნენ და ცოდვითაც დაიწვებოდნენ, ხშირ-ხშირად შემომხედავდნენ და ხშირ-ხშირად გაიზიარებდნენ დედის ქირ-ვარამს. — დედას წასვლა უნდოდა ოქტომიდან. ის დედა-

ბერი და ის ქალი, მამაჩემის ნათესავე-
ბი იყვნენ, დედა მათ ემშვიდობებოდა,
ვინ იცის, იქნებ სამარადეამოდაც, და
ხომ უნდა შეეცოდებინა თავი ჩვენი,
ხომ უნდა დაერწმუნებინა, რომ თვითონ
სწორად იქცეოდა, რომ მეტი საშველი
არ ჰქონდა. ტკბილისკვერი აქეთობისას
ჭიბეში მედო. ხელს რომ მოვკიდებდი,
მეწებებოდა ხელი, ლელვის ტკბილის-
კვერი იყო, გემრიელი, ოქუშამადე მომ-
ყვა ის ტკბილისკვერი.

წალში რომ ჩავედით — ბნელოდა.
მთავარი, მოხრეშილი ქუჩა, ქალაქს
რომ შუაზე ჰყოფს — ყუმს მიდის, მე-
ურმე რომ გაბრუნდა (რატომ გაბრუნ-
და ის მეურმე, რატომ ყუმში არ ჩაგ-
ვიყვანა, ახლაც არ ვიცი), დაერჩით
ჩვენ სამნი. დედა, მავალა და მე. ჯა-
მუ მაშინ დაბადებული არ იყო, მაგრამ,
დედას თქმით, ოქუშიდან ჩვენ ოთხნი
წამოვედით. „რა მექანაო“, ამბობდა დე-
და (გვიან, როცა დრომ გაიარა და
ოქუმს იგონებდა, იგონებდა ჩვენს გა-
მომგზავრებას და სიბნელეს, წალში რომ
მოგვისწრო, ყოველთვის ასე ამბობდა),
რა მექანა სამი ბარტყის შემყურეს, ჩე-
მიანი იქ არ მეგულებოდა და მიტომ
წამოვედით, ან თავს იმართლებდა სუ-
ლაც, როცა რომელიმე ჩვენგანს ოქუში
და მამისიანები მოენატრებოდა და ჩა-
ფიქრდებოდა; ახალგაზრდა იყო დედა-
ჩემი მეტად, ოცდაოთხი-ოცდახუთი
წლისა, დრო წინა ჰქონდა. უკან რომ
მოიხედავდა, პაწია, მწვანე მოლი ჩან-
და, წინ რომ გაიხედავდა, მინდორი ჩა-
ნდა; დღეები ემატებოდა და ხანი არ
აკლებოდა, თან ყველანი ეუბნებოდ-
ნენ, ეჩიჩინებოდნენ ნიადაგ, ახალგაზრ-
და ხარო, ლამაზი ხარო, — ეტყოდა
ნინა დეიდა, დაუჭდებოდა წინ შავებით
მოსილ დედაჩემს და პირში ეტყოდა,
ლამაზი ხარო. ერთხელ კი არ ეტყოდა
მხოლოდ, თავსაც კი მოაწყენდა, ან სუ-
ლაც გააზარებდა, დაიჩინებდა და თავი-
სას მიაღწევდა მაინც, თუთარიები კი
რას იტყოდნენ? მათ თავიანთი თავის
მოწონება დაუტუშავდა პირს. არაფერს
არ ათქმევინებდა. „ჩვენმა რძალმა თვი-

თონ უნდა იცოდეს, რა ეგება და რა —
არა, ეს ჩვენს რძალს არ უნდა იცოდეს,
ბოდესო, — ფიქრდებდნენ და იტყოდნენ,
ფიქრდებდნენ და არას იტყოდნენ, ამა-
ზე სიტყვასაც არ დასძრავდნენ, არც
გაიჩუჩუნებდნენ, არც შეიჩინევდნენ,
ისე ისხდებოდნენ ოდის წინ ზმაგაკმენ-
დილნი და უჩუმარნი, მაგრამ ოდნავ
ფერშეცვლილნი და დაშიშებულინი, იმ-
გვარად, როგორც სასამართლოს წინ,
სასამართლო პროცესის მონაწილენი,
რომელთაც ეს-ესაა განაჩენი უნდა გა-
მოუტანონ, და იმ საღამოს გადაწყდე-
ბოდა მათი ბედი. მათი გვარისა და კა-
ციობის ამბავიც. ერთ მხარეს სათუთა-
რიო იყო და მეორე მხარეს მათი ახალ-
გაზრდა რძალი. რომელი გადასწონიდა?
სოფელი თუ ქალი? ან იქნებ არც იყო
იმგვარად საქმე, იქნებ სხვა რამე იყო
მთავარი? სათუთარიო თუ დედულეთი?
დედულეთი და სათუთარიო?

„პალტარატონკას“ ეძახდნენ იმ მან-
ქანას, რომლითაც ყუმში ჩავედით. მან-
ქანაზე ასვლა მახსოვს; ციოდა, მახსოვს;
დედის კალთაზე თავმიდებულს რომ
მძინებია და დიდი გზა რომ გაგვივლია,
არ მახსოვს. აღარც ჩასვლა მახსოვს,
აღარც ბებია მახსოვს, აღარც ბაბუა,
აღარც არავინ. მე ძილიდან ოდნავი გა-
მოფხიზლების მერე ისევე შევსულვარ
ძილში; უკვე ყუმში, ბაბუაჩემისას გა-
მომიხელია თვალი, „მოვიდნენო“, მო-
მესმა თითქოს, რაღაცნაირი ნაღვლიანი
ხმა იყო, სიხარულისა და წუხილის ერ-
თად დამტევი, — ის ხმა მახსოვს; ღამეა
ბნელი და „მოვიდნენო“, ამბობს ვილა-
ცა. მერე ისევე მძინავს, სძინავს ჩემს
დაიას; ღამეა ბნელი, იქ, ჯარგვალში
ცეცხლი ანთია და ბაასი ისმის.

• • •

აქ ყველაფერი უჩვეულოა და ახალი,
აქ მზეც სხვა მხრიდან ამოდის და სხვა
მხარეს ჩადის, სხვანაირი ეზოა და სხვა-
ნაირი სახლი. ოდიდან რომ გასცქერი
— წინ მინდორია გადაშლილი, ჯერ ოდის
წინა მინდორი, მთავარ ტიშკარამდე, მე-
რე ტიშკარს იქითა მინდორი, თვალსა-
წიერამდე. და იქით, მინდვრის იქით,

თვალსაწიერთან. მზეა მოძვეალი, მზის აქეთ ნახირი ძოვს; ნელა მოძრაობს საქონელი, ნელა იცვლის ადგილს და თუ კარგად არ დააკვირდები, ვერც იტყვი, შეიცვალა თუ არა რომელიმე მათგანმა ადგილი, „მიხა, ბაბუია, თუ ჩანს ჩვენი ძროხა“, — მკითხავს სვიმო ბაბუა, ან ოდის კიბეზე ვზივარ, ან ჯარგვლის წინ ვდგავარ და იქიდან გავეკვირე ჭიშკარს იქითა მინდორს, თუ კი ჩანს, ხომ ვიტყვი, ჩანს-მეთქი, თუ არა და გავიწევი კიდევ ცოტას, ჭიშკარისკენ წავალ, მიუხაზლოვდები მთავარ ჭიშკარს და იქიდან გავხედავ მინდორს. იმ ჭიშკარს მიღმა კი ჯერ ფეხიც არ დამიდგამს. ჭიშკარს მიღმა სხვა ქვეყანა იყო, სხვა სამყარო და სხვა ცხოვრება. ეს რომ მაგონდება, ლობეები მიდგება თვალწინ. პატარა და დიდი ლობეები, დაბალი და მაღალი ლობეები, თხილის ლობეები, წერილი თხილის წყნელით ჩახლართული — სიფრიფანა ლობეები, ბებიაჩემის ბოსტანს რომ ჰქონდა შემოვლებული, თხმელის ლობეები, ყანასა და ვენახს რომ ჰყოფდნენ, ტრიფოლიატის ლობეები, ეზოსა და გარე სოფელს რომ ედგა შუა; ყოველ ალაგს, ყოველ ადლსა და მისხალს თავისი სამანი ედო, ყოველი ალაგი საგულდაგულოდ იყო მოლობილი; გაცვდებოდა ლობე, დაღებოდა და დაეარდებოდა, და ახალი ლობე იმართებოდა იმავე ალაგას. მხოლოდ ტრიფოლიატი და ხერგილი იყო უცვლელად, გამოვლებოდა რომელიმე მორგევი, უხსოვარი დროიდან რომ იდო იქ, და ერთადერთ მორგეს გამოსცვლიდა სვიმო ბაბუა; გამოთხრიდა ტრიფოლიატის ძირს მეზობლის ძალი (თუ კი შემოდგომა იდგა), ან მეზობლის ღორი (თუ კი ხეხილი მწიფდა) და ისევე მიყრდიდა ბაბუა სვიმო თიხას იმ ალაგას. სხვაგვარ ლობეებს კი გამოთლება სჭირდებოდა ყოველ წელიწადს, ყოველ ახალ გაზაფხულს, ლობით იყო გამოყოფილი ქათამი და ღორი, ცხენი და ძროხა, ვენახი და ბამბუკი, კამა და სიმინდი, ბაბუა სვიმო და გერა დარანდია, გერა დარანდია და ლევარსა დარანდია, მდი-

ნარე და თხილნარი, ეზო და გარესოფელი; იმ მთავარი ჭიშკარის მდებარეობა გავიდოდი, აქ იმდენი ჩამხურჩისა მხურჩურესო და ახალი, გარეთ გახედვა არც მინდოდა; რომც მდომებოდა და გამეწია, ვინ გამიშვებდა. იქ რა იყო, ის მე არ მეკითხებოდა და თავის გასართობს აქაც ეპოულობდი.

აი, ეს ხელის სიფართე ბილიკი თხილის ლობეებს შუა რომ მიდის, თავლას მიადგება, თავლის კარი ღიაა და გარედან შესული სინათლე ოდნავად ანათებს მას. კედლის გასწვრივ, ასე ორ ალაბზე, ღარია მიწნული კოხტად და იმ ღარში ჩალა-ფუჩჩი ყრია. დაწვდება ჩალას ჩვენი ჭკვიანი მალია და იღებს კბილებით. მე რომ დამინახავს, შეკრთება ოდნავ (ათასჯერ რომ დამინახოს დღეში, ათასჯერ შეკრთება), თავს ჩემსკენ მოაბრუნებს და დამაკვირდება. მალიამ 'კბენა იცისო, ამბობს ბაბუა სვიმო და ახლოს ვერ მივდივარ, ვბრუნდები და უკან ვიხედები, ხომ არ მომდევს მალია-მეთქი, მეშინია; ყოველ დღე მივყვები იმ პაწია ბილიკს თავლისაკენ, ვნახავ მალიას და ვბრუნდები უკან, ოღონდაც, რაც დრო გადის, სულ უფრო ახლოს მივდივარ ცხენთან, უფრო ნაკლებად მეშინია და ნაკლებად ეუფრთხი. ცხენმა თუ გაიგო, რომ გეშინია, უფრთხილდო, ამბობს ბაბუა სვიმო, ეს ვიცი და კიდევ ვიცი სხვა რალაცა, ყველასაგან მალულად. ერთ მშვენიერ დღეს ავიღე პაწია კველა, ჯარგვლის წინ რომ გვედგა და თავლისაკენ წავედი. მერე დიდხანს ვეცადე, იმ კველაზე შევმღგარიყავი და ისე შევსკუპებულოყავი მალიაზე, მაგრამ ეს არ გამომვიდა, ან კი რა ვიციოდი, რომ მალია თავლაში არავის დისკამდა ზურგზე, ან რამდენისა ვიყავი, რომ ეს მცოდნოდა და გარეთ გამომეყვანა ჩვენი მალია, გამომეყვანა და ხერგილთან გამეჩერებინა, იქიდან ერთი ალაბიც კი არ იქნებოდა მიზნამდე, ხომ ვიციოდი ეს მაშინაც, მაგრამ არ გამახსენდა, ხოლო როცა ეს გამახსენდა — სად იყო მალია. ან სვიმო ბაბუა იქდა მასზე, ან

კიდევ მისი უმცროსი ვაჟი, ამიღო. სვიმომ ბაბუა მეორე ქმარი იყო ბებიაჩემისა, და დედაჩემი წინა ქმრისაგან ჰყოლია ბებიაჩემს. დედაჩემი და კიდევ ერთი ვაჟი, რომელიც მკვიდრ ბიძად მერგებოდა, ომში იყო კარგა ხანია და მე არც მენახა. ეს ბიჭი კი ცხენზე რომ დაჰდებოდა, საღამომდე არ გამოჩნდებოდა ხოლმე, სვიმომ ბაბუა რომ იჭდა, მაშინ ის შინ იყო და შინ ყურყუტებდა, ან დედაჩემს ესაუბრებოდა წყნარად რაღაცას, ერთი თვალი სვიმომ ბაბუასკენ ჰქონდა, ან კიდევ ბებიაჩემისაკენ, და ისე ესაუბრებოდა, ძმაც ხომ ჰყავდა კიდევ, მაგრამ ის უფროსი ძმა სხვანაირი იყო და ასე მეგონა, ნამდვილ ბიძად მერგებოდა, თუმცა ისიც სვიმომ ბაბუას ალალი ვაჟი იყო. კიდევ რომ ჰყავდათ ძმა, ის აქ არ იყო, ომში იყო და ყველაზე კარგი სიტუაციებიც მას ეკუთვნოდა. იმას და ჩემს მკვიდრ ბიძას ერთად იფიქვებდნენ. ის ბიჭიც იფიქვებოდა, თაფლიანი ენა ჰქონდა; მე მეფერებოდა და ბაბუა სვიმოს თვალწინ — მალაზე შემსვამდა, ამიყვანდა ხელში და შემასკუტებდა უბელო ცხენზე.

ლობეებზე ანაზღად კი არ დამცდენია სიტყვა, ჩვენს შორის მართლა იდგა თითქოს ლობე, ის ლობე არ ჩანდა, და არც იდგა თითქოს, მაგრამ რამდენი რამ არა ჩანს და მაინც არის, მაინც იქნება და ყოფილა უჩვენოდ. ჩვენი სურვილისა და ნდომის გარეშე. ამგვარი ლობე იყო ჩემთვის — ეზოს მთავარი ლობეც, საიდანაც მარტოოდენ გახედვა შემეძლო და მეტი არაფერი. ერთი რამეა კიდევ: წელიწადის იმ დროს სოფლად ზამთარი დგებოდა, ხეებს ფურცელი დასცივოდა, პატარ-პატარა შინა ლობეები მოიშლებოდა, დადაბლდებოდა და სივრცე შორიელდებოდა — ზამთარს არ უჭვარდა ლობე, მორღვეულ მესერსა და ხის მორგვებს ცეცხლს ვუმატებდით, ხელებს ვითბობდით, მაგრამ რაც საოცარი იყო და მე მაკვირვებდა — ეს იყო: კაცი უფრო იყო დაბმული შინ. ხვარბიელი თოვლი იდო ცისქვეშეთში, ხანდახან იმხელა თოვლი იყო, ყუმის წისკ-

ვილიც კი ჩერდებოდა, ხელის წისკვილებს მართავდნენ სოფლებიდან ხარკს შავდნენ სიმიდს და ასე უმდიდრესნი მთარი. თან სულ თოვდა. აი, ის თოვლი მახსენდება, და ის თოვლის ლობე; ჩვენ ოდა-სახლში გვინთია ცეცხლი; შეშა ჯერ კიდევ ვაკვებს, ბუხარზე მოყვითალო მანდარინი დევს, და ჩვენ ვზივართ ბუხართან. მანდარინი სხვანაირ დროსა და ამბებს მოგვაგონებს, მისი ფერი განსხვავებულია ამჯერად დანარჩენი ყველა ფერისაგან და საკუთარი ისტორია აქვს. ცეცხლი კი ბზინავს, სიმიდნი იხარშება და ორთქლი ასდის ქებას, ფიჭრის მომგვრელი. მარჯვნივ რომ გაიხედავ, პაწია საჩემელია, საიდანაც ჩანს, თუ როგორ ცვივა წვრილი, და ოდნავ ირიბი თოვლი, — ვაითუ, სულაც არ შეწყდეს თოვა? აი, ასე და ამრიგად, სულ რომ ითოვოს და ითოვოს და ითოვოს, დღითა და ღამით, რა იქნება, ნეტა? რა მოხდება მაშინ? მახსოვს, თუ როგორ მიჩუმდა ჩვენი სახლელის ხმა, როგორ დაიწია იმ დიდთოვლობისას ოჯახის წევრების ხმამ; მერეც რომ ითოვა და ითოვა, და არ გადაიღო არაფრისდიდებით, სახლიდანაც ვერ გამოვდიოდით, მაგრამ მაინც ვდგებოდით ყველანი, ვდგებოდით ყოველ დღით, ჩავიცვამდით თავიდან ფეხებამდე და გეგონებოდათ, თითქოს წაასვლელად ემზადებინათ სადმე, გაჩუმებულნი ჩამოვხდებოდით საწოლის კიდებზე.

ჯამე რომ გაუჩნდა, დედაჩემი სოფლიდან ქალაქში გადავიდა საცხოვრებლად. ომის მიწურული იდგა, ამბობდნენ, საცაა დამთავრდებათ ომი. მაგრამ დღითიღღ, ისევ და ისევ მრავლდებოდა ოდა-სახლის აივანზე გამოკიდებული ნიშანი, ომში წასულის სიკვდილს რომ იუწყებოდა. „მარადის დაუვიწყარ საშას“, „დაუტირებელ შვილს“, „კაკო დარანდიას მშობლებისაგან“, ამგვარი იყო წარწერა იმ ნიშნებზე. შინმოუსვლელის ოთახში, მის საძინებელში, ხის საწოლზე იდო ტანსაცმელი დალუპულია. — ესეც ნიშანი. ხანდახან ამგვა-

რი ნიშანი იყო დუმილიც. არაფერს არ იტყოდნენ შინმოუსვლელის გამო, არც კარგსა და არც ცუდს, სულაც არ მოიხსენიებდნენ, და ეს იყო ნიშანი. არც დაიფიცებდნენ, არც მოიგონებდნენ, გაბრაზებული ყოფილიყვნენ თითქოს, მოგონებით კი მოიგონებდნენ ოჯახის წევრები. ან რა დაავიწყებდათ, მაგრამ მის სახელს არ იტყოდნენ, შიშობდნენ, მათ სიტყვას არ ევენო ოპში წასულისათვის. ასე იყო ოპის დამთავრებამდე, მერე კი იგონებდნენ, მერე კი სევამდნენ მათ სადღეგრძელოს, მერე კი იხსენებდნენ ჩვენს დიდ სახლში კოჩიასა და გუტას, ერთი მათგანი ზომ ჩემი ალალი ბიძა იყო, მეორე არა, მაგრამ ორივეს თანაბრად იგონებდნენ, თანაბარი მოწიწებითა და სიყვარულით ლოცავდნენ, ერთნაირი ჭიქით სევამდნენ მათ სადღეგრძელოს.

ომი დამთავრებული არ იყო, დედაჩემი რომ უქირში დაესახლა; პაწია, ერთოთახიანი ბინა ჰქონდა იქ და მალაზიაში მუშაობდა ნოქრად. ანგარიში იცოდა და ნოქარი იყო. უქირში დედაჩემი ხელმეორედ გათხოვდა. სოფლიდან ქალაქში საშოვარზე ჩამოსულ კაცს, კევა სანაიას გაჰყვა ცოლად. ის კაცი ხურო იყო. ამასობაში ომიც დამთავრდა. ხალხი წელში იმართებოდა. ეზო-კარს უქირკიტებდა. პაწია ჯამუ ტუტუს მოსტლერიდან დედაჩემს სხვისას გაუბარებია, ერთი ცოლ-ქმარი ყოფილა უშვილო და ქონებეირი, გვარად ჯანაშიები; მცირე ხანმა რომ გაიარა და ამიღო ბიძია უფრო ჰკვიანი გამხდარა, ჩემი ამბავიც გადაწყვეტილა მალე. უთათბირიან და ლამე გაუტეხიან, ამდგარა მაშინ ამიღო ბიძია და სანთელი ჩაუქრია, ორივეს ხმა გაუქმედია, ორივე გაჩუმებულა და ასე გაუთევიანთ ლამე. მეორე დღეს კი მე წავუყვანივართ დედასა და ბებიას და იმ ქალისას მივუყვანივართ, რომელთანაც შემდგომ ვიზრდებოდი, მაგრამ ორიოდვე წლის მერე მე ისევ ყუშში ვარ. როგორც ჩანს, ვერ მოუთმინა დედაჩემს გულმა, ორივე ვაჟი-

შვილი რომ სხვისას ჰყავდა გაბარებულნი...

მამინაცვალს არ უნდოდა, ჩემი ყუშში გაშვება, ეს კარგად ვიცი, დედას რაც უნდოდა, ესეც ვიცი. დარჩენენ უქირში დედა, მამინაცვალი და მყავლა დაია, ჯამუ ხომ სხვისას იყო მაინც და მე კი ისევ ყუშში ვარ. დრო ხომ მიდის, ამიღო ბიძიას ხანი მოემატა და ქალაქში გადავიდა; როგორც ამბობდნენ, მოანგარიშე უნდა გამხდარიყო, ხოლო ზოგი იმასაც ამბობდა, მოანგარიშებულალტერი გახდებოდა ამიღო. ის კი ვიცი, სამოანგარიშო სკოლა ორწლიანი იყო. მთელი ორი წელიწადი ამიღო ბიძია ქალაქში იქნებოდა.

სვიმო ბაბუა, ყოველთვის, ერთსა და იმავე დროს დგებოდა. ჩვენს ადგომამდე დაივილიდა ეზო-კარს, აგვარაში შეიხედავდა, სასიმიინდის კარს გამოალებდა. იმხანად მზიანი დღეები იდგა, სიმიინდი ლამით ნესტს იღებდა, ტენიანი ხდებოდა, ხოლო მოღებული კარიდან კი მზე ეფრქვეოდა, სასიმიინდისაკენ რომ გაიხედავდი, თითქოსდა, მზის გზაც კი ჩანდა; სიმიინდი ხომ სველი იყო ოდნავ, ოდნავ ნაშიანი ლამისაგან და ნელო, სიფრიფანა ბოლი ასდიოდა. ბოლი თეთრი იყო და რაკილა სასიმიინდის კარი უნდა გამოეველო, კარი კი სხვა ფერისა იყო — მიტომაც ჩანდა; ჩანდა მზეგარეული თეთრი კვამლი — თეთრი სული — სუნთქავდა სასიმიინდე; სასიმიინდეს კარს გამოალებდა ბაბუა სვიმო, მარანში შეიხედავდა, — სვიმო ბაბუა ყოველ დილით მიდიოდა მარანში, ყოველ დილით აავსებდა არყის პაწია ჭიქას, კასრის თავზე რომ იდგა მუდამ, და გადახუხავდა, — ისე არ წავიდოდა ყანაში, თოხს ხელს არ მოჰკიდებდა, არც ნაჯახს, არც ცულს, არც გუთანს, არც კალათს მოწნავდა, და არც ვენახს შეწამლავდა, არც დაბარავდა და არც ხერხალს შეუყენებდა ლობიოს, — გადმოიღებდა მოწნულ კალათს, გადმოსვამდა თითქო კასრის თავზე იმ კარაჩხას, რალაცნაირი გუნება ექნებოდა მაშინ,

ტბილი და მწყაზარი, ნელი და უცნაუ-
რი, თანაც სასიამოვნო, მარჯვენა ხე-
ლით ბოთლს გადმოსწევდა, მარცხენა
ხელით კი ჭიქას შეუყენებდა, ჭიქა მი-
დიოდა ბოთლთან, თუ ბოთლი ჭიქას-
თან — ვერ იტყოდით, იმგვარად იყო
ის მოძრაობა გაზომილი, იმდენად იყო
შეთანხმებული ხელი — ხელთან, ჭი-
ქა — ბოთლთან, ბოთლი — ჭიქასთან,
ოდნავ დაირაკრაკებდა ბოთლი, წვეთი
რა არი, წვეთი არ დაეცემოდა მიწაზე,
წვეთი არ მოხვდებოდა მოწულ კა-
ლათს, აივსებოდა ის თლილი ჭიქა, კო-
კობზიკური ფეხი რომ ჰქონდა, და სვი-
მო ბაბუა არაყს გადაჰკრავდა. მერე
ისევ მიუჩენდა ყველაფერს თავის ად-
გილს, ისევ დაუცობდა იმ ბოთლს თავს,
ისევ მოარგებდა ნაჭურჩალს, ისევ
ჩამოდგამდა თავის ალაგას, ჭიქას კი
კასრზე დატოვებდა, სადაც იდგა, და
სანამ ახალი დილა არ მოაწევდა—ისე-
ვე შორით უცქეროდნენ ერთმანეთს ის
ჭიქა და ის ბოთლი. ჭიქა უცქეროდა, ბო-
თლი უყურებდა; ასე მეგონა; მარნიდან
რომ გამოვიდოდა, სვიმო ბაბუა ნაჭახს
პირავდა, ან ცელს ლესავდა; ხმას რომ
გავიგონებდით, ჩვენც გვეღვიძებოდა,
ან თვითონ სვიმო ბაბუა გვაღვიძებდა:
„ამფარა, ბოში, გაკეთდა ქვეყანა და
გინდა ადექი და გინდა არა, აწი“, მიკ-
ვირდა; ვასაკვირი არ იყო, განა? სად
უნდა დამგვიანებოდა, რა უნდა მეკე-
თებინა დილა-ადრიანად, რას ვერ მი-
ვუსწარი? რატომ ბუბუნებდა ბაბუა
სვიმო, არ მესმოდა; ჩვენ რომ ავდგე-
ბოდით, აგვარიდან საქონელი გამოშვე-
ბული იყო, ოდის წინა მოლზე ნამი
შრებოდა, სვიმო ბაბუა ჭიშკრიდან გა-
დიოდა, ან თოხი ეკიდა მხარზე, ან ნა-
ჯახი გაეჭარა ილლიაში, ან ლაგამი მიჰ-
ქონდა თან, მაგრამ ხელი თავისუფალი
აროდეს არ ჰქონდა, შინაც ცარიელი არ
მობრუნდებოდა; მალია ველად დარჩე-
ბოდა, მეორე დილით კი სვიმო ბაბუას
მალია უნდა მოენახა, ნახევარი საათიც
არ გავიდოდა და სვიმო ბაბუა ჭიშკარს
მიღმა მინდვრიდან ბრუნდებოდა, მო-
დიოდა და მოჰყავდა ბურთოვით მრგვალი

მალია. ლამეული თავისუფლება ახალი-
სებდა ცხენს. მახსოვს მისი წყნარობა
და კმაყოფილი თვალები, — შენ კი არა
შემეძლო ლამე ვარეთ დარჩენა, ლამე
კი არა, მეზობლისა რომ შემავგვიანდებ-
ოდა, იმაზედაც კი მიწყურებოდნენ. თა-
ნაც ბებიას ათასი მიზეზი ჰქონდა, ათას-
ნაირ რაღაცას ამბობდა: ხან ტყაშ-მა-
ფას ახსენებდა, ხან ლამის თვალი მოხ-
ვდებოდა, და იმას შიშობდა, თურქის
გულივით ბნელი ლამეებიო, მახსოვს
ბაბუასაგან, თუთარჩელა ლამე არიო,
ამბობდა, ამ დროს ბალნები შინ უნდა
იყვნენო; მე ამ სიტყვებისა მაშინ არა-
ფერი გამეგებოდა და არც ვცდილობდი
გამეგო მათი მნიშვნელობა. ან რა უნდა
გამეგო, ნეტა? მე კი არა, აღარც ბებიას
ესმოდა, ალბათ, მათი მნიშვნელობა,
არც მან იცოდა, ისეთი რიდიოთა და მო-
წიწებით ამბობდა ბებიანემი იმ სიტყ-
ვებს; „მომეცი ის საცერი მე, გოლუა-
ფირი“. საცერი არ ჰკიდა იქ, საითკე-
ნაც იშვერს ხელს ბებიანემი; „აქ არ
ჰკიდა საცერი, ბებია“. „ამ წუთას
რომ ეკიდა იქ, რა აეფარაო, ჭიმააჯამი“,
— ამბობს ბებია. მერე სულაც მია-
ვიწყდება ის საცერი, წყალია მოსატა-
ნი ჰქონდა. და სწორედ ამიტომაც მია-
ვიწყდება საცერი დროებით, მერე კი
გაიხედავს და მართლაც კი ჰკიდა ის
საცერი იქ. ან მე მეტყვეის მომაწოდეო,
ან თვითონ ჩამოხსნის ჯარველის კედ-
ლიდან, კედელზე ლურსმანი და ლურ-
სმანზე — საცერი. ყველაფერი თავის
ალაგასაა ისევ. არაფერი არაა მოსამე-
ბნი. ხელს საქმე თავისთავად მოჰყვება.
ესაა ჰარმონული შერწყმა ბუნებასთან,
როცა შენი სხეულის ყოველი ნაწილი
ფხიზელია და ყველაფერს ხედავს, ბუ-
ნებრივად ხდება ყველაფერი, მკაფიოდ
იცი, რა გინდა, რა — არა, დოქი გი-
კავია ხელში და ჭისაკენ მიდიხარ.

მაშინ ჩვენთან სტუმრები იყვნენ. მე-
ზობლის პატარა ცირას, ციცუ დარან-
დაის, თხოვეს წყალი მოგვიტანეო, რო-
მელიდაც სტუმარმა ისურვა წყალი, გა-
დაშუადლებული იყო, ციცუ დარანდა
გამოვიდა ჯარველიდან, გამოიტანა ორ-

კოლი, ანუ პაწია დოქი, და ოდის აივ-
ნისაკენ წამოვიდა, შეუშვირა სტუმარ-
მა კაცმა ჰქია, გადმოსწია ციცი დაარან-
დამ ორკოლი და, გაქვავდა ადგილზე,
„დიდუო“ თქვა, მარცხენა ხელის თითი
იტაცა პირში და გაბრუნდა, გაიქცა
ქისაკენ. რა დაავიწყდა ციცი დაარანდას,
სტუმარს რომ წყალი სწყუროდა, თუ ჰა
დაავიწყდა, არ ვიცი, მაგრამ რალაც კი და-
ავიწყდა, ნამდვილად. დაირღვა ჰარმონი-
ა. ხელი არ მისდევს ფეხს, ფეხი —
ხელს, ხელი — აზრს, აზრი — ხელს;
კი იცოდა ციცი დაარანდამ, რომ სტუ-
მარს წყალი სწყუროდა, ორკოლი რომ
ეკავა ხელში — ესეც კი იცოდა, რაზე
გააგზავნეს — იცოდა, ორკოლში რომ
წყალი მდგარიყო, ოდნავ ხომ მაინც
დაიჭყოლინებდა, ოდნავ ხომ მაინც
დაიძახებდა, აქა ვარო; სავსე რომ ყო-
ფილიყო, ხომ ემძიმებოდა, ჰა რომ გახ-
სენებოდა — აივანზე ცარიელი ორკო-
ლით ხომ არ ამოვიდოდა, რა წაეფარა
იმ ჰას ნეტა? არავის გაკვირვებია ეს
ამბავი. ზოგმა ჩაიციინა კიდევ, ზოგმა
არაფერი სთქვა, ზოგი ისევე აგრძელე-
ბდა ამბის თხრობას; მხოლოდ სვიმო
ბაბუა იყო ოდნავ შემცბარი. „განზრახ
ხომ არ გააკეთათ ბოლანამ ეს?“ არა და
არა. ეს ყველამ იცოდა, ყველა გრძნო-
ბდა: სვიმო ბაბუასთან არავინ იყო შე-
ხუმრებით. თუ ხუმრობას მოისურვებ-
და, მას თვითონ უნდა ეხუმრა, ისე კი,
ხუმრობის საბაბს ის არ მოგცემდა. ოჯა-
ხი დიდი გექონდა. მძიმე დრო იყო,
ომი კი გათავდა, მაგრამ მაინც ჰქირდა;
რატომ იყო გამწყრალი სვიმო ბაბუა?
ვის ადანაშაულებდა და ვისგან ითხოვ-
და პასუხს? გვიკვირდა სვიმო ბაბუას
დამოკიდებულება ჩვენდამი, მთელი
ოჯახისადმი, თუნდაც იმ ერთადერთი
ხისადმი, ალე ბიძიამ რომ მოსჭრა ჩვენს
თხილნარში; წიფლის ხე იყო. სამი-
თხი მეტრისა თუ იქნებოდა, მეტი არა.
ალე ბიძიამ მოსჭრა ის წიფელი და ზამ-
თრისპირს, შუაღმრთელზე შემოსდო; გა-
მოათრია ის წიფელი თხილნარიდან,
ჭერ იყო და წაიღო სვიმო ბაბუას ალუ-
სილი კვადი, კარგა ხანს ისმოდა კაქუნ

თხილნარიდან, მოჭრა ის წიფელი და
შინ მოათრია; მერე იმ წიფელს: გამო-
რა არ ითქვა, მაგრამ ერთი კი ცხადია:
არაფერიც რომ არ თქმულიყო, მაინც
გათავებული და მორჩენილი იყო საქმე:
სვიმო ბაბუა დაგვემდურა: ხმას არა
გვეცმდა-მეთქი იმას კი არ ვამბობ, ხმას
კი გვეცმდა, მაგრამ რალაც შეიცვალა.
წიფელი შუაღმრთელზე ტაცუნებდა, კი
არ შიშინებდა თხმელსაკვით, არამედ
მკაფიოდ ტაცუნებდა. ჯარგვლის კარი
ღია იყო, სვიმო ბაბუა რომ გავიდოდა,
ტაცანიც თან მიჰყვებოდა, შორს ის-
მოდა. ის წიფელი ერთადერთი იყო
თხილნარში. თხმელა კი ლობესთან ეყა-
რა, უხვად გვექონდა, ალე ბიძია-მაშინ
ჭერ კიდევ უცოლო იყო, ცოლს არ ირ-
თავდა, აგვიანებდა ოჯახის მოკიდებას,
ამიდო ბიძია იომ ქალაქში სწავლობდა,
ომი დამთავრებული იყო, მაგრამ გუტა
ჯარიდან არ ბრუნდებოდა და სვიმო ბა-
ბუას ერთადერთი იმედიც ალე იყო...

* * *

სვიმო ბაბუა ჩემთვის ისეთივე საყ-
ვარელი იყო, როგორც საყუთარი ვაჟი-
სათვის. ეგაა მხოლოდ — მე მუდამ მე-
ტი მოწიწება მქონდა სვიმო ბაბუასად-
მი, ვინემ მის ვაჟიშვილს ან ქალიშვი-
ლებს; მათ მეტი სითამამე ჰქონდათ მა-
მასთან და ასეც უნდა ყოფილიყო. ერ-
თი კია: თვითონ სვიმო ბაბუა არ გვარ-
ჩევდა ერთმანეთისაგან. მარტო მე კი არ
ვფიქრობდი ასე. ასე ფიქრობდა მამა-
ვლა, ჯამუ, მერმინდელი ჩემი და-ძმებიც,
და ასე იყო მუდამ; სვიმო ბაბუას ნათ-
ქვამს წყალი არ გაუვიდოდა. ის ზრუ-
ნავდა ჩვენზე და მისი ხელის შემყურე-
ნი ვიყავით ჩვენ. ზრუნავდა კაცურად,
როგორც ოჯახის ღმერთს შეეფერება.
კი არ გვანებვირებდა, კი არ გვეფერე-
ბოდა (ლუკვს ნუ ეფერებო, ბოში, მი-
თხრა ერთხელ ბაბუა სვიმომ, ლაჩარი
გამოვო), არამედ გვივლიდა და გვატ-
რონობდა. უთქმელი კაცი იყო ბაბუა
სვიმო. დროც ხომ ისეთი იყო. ერთი
საგულისხმოდ ამბავი მახსოვს იმ ომის-
დროინდელი სოფლიდან: არ ამბობდა

სოფელი კაცი, ომია, პირსო, არ ბუზ-
ლენებდა. ომზე ახლა, ამ მშვიდობია-
ნობის ეამს მეტს საუბრობენ, ვიდრე
მაშინ, მაშინ — ომობდნენ; ომში იბრ-
ძოდნენ და შინ შრომობდნენ. შრომობ-
და სვიმო ბაბუაც.

• • •

ჩვენი ჰიშკარის მიღმა მინდორი იდო-
მეთქი, რომ ვამბობდი, იმ მინდორს
დიდხანს არ ეწერა მწვეანედ ბიბინი. გა-
ზაფხული მოაწევდა, ის მინდორი გა-
დამწვეანდებოდა, აიწვევებოდა ხასხასა
ბალახი, ამოიტანდა სიმწვეანეს მიწიდან,
მთელი მინდორი ბალახით იფარებოდა.
მინდორს წელიწადგამოშვებით კოლმე-
ურნეობა ხნავდა; ხნავდა მიწას, ფარც-
ხავდა, თესავდა, თოხნიდა, მკიდა, მაგ-
რამ მოსავალი არ მოდიოდა იქ სახაჭებო,
სხვა ყანა რომ სამკალი და ასაღები იყო,
მაშინ იქ მხოლოდ და მხოლოდ მეორედ
თოხნიდნენ სიმინდს, მეორე პირი გა-
ქონდათ, ანუ მოროდო. ალბათ, მიტო-
მაც ხნავდნენ იმ ყანას, წელგამოშვე-
ბით. გაბიროვნებული რომ არ იყო კა-
ცზე ის მინდორი, მიტომ თუ ხდებოდა
ასე. გადმოვიდოდა იმ მინდორზე გეგა
ღარანდია, სვიმო ბაბუას მოგვარე კაცი
და გვესტუმრებოდა ჩვენ. ან ხელის შე-
საშველებლად გადმოვიდოდა, ან თავისი
საქმე ექნებოდა რამე; დალანდავდა ჩვე-
ნი ჰიშკარისაკენ მომავალ კაცს სვიმო
ბაბუა, კველადან წამოდგებოდა, ფიო-
რია ქუდს დაიხურავდა, ქამარში გაი-
ყოფდა ხელს და ჰიშკარისაკენ გაემართე-
ბოდა; მეც ავედევნებოდი სვიმო ბაბუას,
გულის ფანქვალთა და ცნობისწადი-
ლით, მოვებლავებოდი კალთაზე, და
ასე მივდიოდით ჰიშკარისაკენ; გეგა ღა-
რანდიას ბაბუა სვიმო ხელს არ ჩამო-
ართმევდა, ქუდს მოიხდიდა, გამარჯო-
ბაო, ეტყოდა და უკვე სამნი მოვდიო-
დით ჭარგელისაკენ; ჭარგვალს რომ
მივუახლოვდებოდით, სვიმო ბაბუას
თითქოს რაღაც გაახსენდაო, სტუმარს
ხელს ჩაავლებდა, მკლავში გაუყრიდა
ხელს, გამომყევით ანიშნებდა და მარ-
ნისაკენ იზამდა პირს. ოდას ჩაუვლიდა

ის გზა, მანდარინების ტყვეს გაეწელი-
და და მარანში მიდიოდა; სველაზე
ორ, სხვადასხვაგვარ ღვინურ ჯაშურობებს
და სტუმარს, რომელი მოგწონსო, ჰე-
თხავდა, პასუხს ათქმევინებდა, თითო
ქიქას გამოცილდნენ იქ და მობრუნდე-
ბოდნენ. ტაბაკი ჭარგელის წინა დგას.
ზღვისკენ დახრილი მზე თანდათან ეშ-
ვება დაბლა. გრძელდებიან წოდო-
ლები, საღამოვდება და სტუმარი დგე-
ბა ადგება სვიმო ბაბუაც, აქ კიდევ
ითქმება ერთი-ორი სიტყვა, მაგრამ ტა-
ბაკს მეტად არ დაუბრუნდებიან, გეგა
ღარანდია უკვე ოდის წინა მინდორზე
მიდის, უკან ბაბუა სვიმო მიხყვება, მე-
რე მე მივყვები, გეგა ღარანდია ოდ-
ნავ წინ მიდის, ხოლო სანამ ჰიშკარადე
მივალთ, გავსწორდებით კიდევ ერთ-
მანეთთან, ერთმანეთს ვევერდოდ ვილ-
გებით სამივენი, მაგრამ სტუმარი მინც
წინ იდგება ცოტათი, ის წავა, ჩვენ დარ-
ჩებით ჩვენს მთავარ ჰეშკართან და
ვიყურებთ. იქ, იმ დიდ მინდორში მი-
დის სტუმარი ჩვენი, იმ მინდორის მილ-
მა მოსახლე კაცი, გეგა ღარანდია, ძლი-
ვას მოჩანს, ხოლო გაჩერებული რომ
იყოს ერთ ალაგას, ვერც კი შევაჩინე-
ვდით, ვერც კი დავინახავდით, მაგრამ გე-
გა ღარანდია მიდის, მიდის ნელა, ტა-
ბაკით მიუყვება იმ დიდი მინდორის ბი-
ლიკს და მანამდის დგას სვიმო ბაბუა
ჰიშკართან, სანამ მიმავალი სტუმრის
ლანდი არ მიეფარება თვალს.

• • •

ოდიშელი კაცის სტუმართმოყვარეობა
ცნობილია: აქ ყველაზე კარგი ოთახი
სტუმრისაა, ყველაზე კარგი სკამი —
სტუმრისაა და ყველაზე კარგი ადგი-
ლიც; თუ კი მზის ჩასვლის ხანს გვეწ-
ვეოდა სტუმარი, ბაბუა სვიმო ისე მო-
ახერხებდა, რომ სტუმარს ყველაზე
ღამაში სურათები მოხვედროდა თვალთ,
ასე უფრო გესიამოვნებათო, იტყოდა,
თუკი სტუმარი მაინცდამაინც დაივინე-
ბდა და ერთხელ სადაც მოკალათდა,
იქიდან არ ადგებოდა. — მოახერხებდა
და მაინც შეუნაცვლებდა ადგილს იმ

სტუმარ კაცს ბაბუა სვიმო. სტუმარი ხომ ყველგან დვთისაა, მაგრამ რაც ყუ-
შში მინახავს, აუწყრელი და ენით უთ-
ქმელი მგონია; აი, ჩვენს დიდ ოთახში
ამჯერად სტუმარია, ორი შაოსანი ქალი
და ერთიე ვაჟი, სხედან ის სტუმრები,
ჩვენს გრძელ მაგიდასთან, ის ახალგაზ-
რდა ვაჟი მაგიდის კიდესთან ზის, ცალი
ხელით მაგიდას დაყრდნობია, ცალი კი-
დეე ჩამოღწვია, მარჯვენა მკლავი ჰქო-
ნდა ჩამოშვებული, ასე მახსოვს, ადგება
ბებიაჩემი, ფეხაკრფით გავა იმ დიდი
ოთახიდან. შეუმჩნევლად შემოიტანს
სკამს, ან განზე გასწევს ის ახალგაზრდა
სტუმარი მკლავს, ან ზევით შემართავს,
თან ხომ საუბრობენ და მკლავის გაწე-
ვა კი დასჭირდება, და აი, სწორედ იმ
დროს, ბებიაჩემი, იმ ალაგას, უჩუმრად,
უხმაურად და ყველასათვის შეუმჩნე-
ვლად დადგამს სკამს, მერე ის ახალგაზ-
რდა სტუმარი დაუშვებს აწეულ მკლავს,
და იმ სკამის თავზე ჩამოსიდება და და-
უამდება, დაღლა გადაუვა.

ათასგვარი სტუმარი მოდიოდა ჩვენ-
თან: მოდიოდა გეგა დარანდია, იმ დიდი
მინდვრის მიღმა მოსახლე, მოდიოდა
გახუ დარანდია, ჩვენი კარის მეზობელი
კაცი (სიტყვა „მეზობელს“ ლოზე მოს-
დევს), ის ლოზე, სვიმო ბაბუასა და გა-
ხუ დარანდიას რომ ჰყოფდა, ან კიდევე
ფილიმონ დარანდიასა და სვიმო ბაბუას.
გახუ დარანდიასაც ვიღაცა საზღვრავდა
კიდევე, ფილიმონ დარანდიასაც და იმა-
საც, რა თქმა უნდა, მას რომ საზღვრავ-
და; კი მეზობელი კი ნათესავსაც კი
ერჩივნა სვიმო ბაბუას. მედაჩხირე მე-
ზობელიაო, იტყოდა ბაბუა სვიმო გახუ
დარანდიაზე. ამ „მედაჩხირეს“ ათასნა-
ირი გაგება აქვს ალბათ. დაჩხირი —
ცეცხლია, მედაჩხირე — „მეცეცხლე“
გამოდის, მაგრამ ეს არ ხსენის ამ სიტყ-
ვის სრულ მნიშვნელობას. შეიძლება ეს
გაჭირვების მეზობელს ნიშნავდეს სუ-
ლაც. ან კიდევე: ძალიან შორს რომ გავ-
ყვეთ ფიჭრს, იმ დრომდეე ხომ მი-
ვალთ, როცა სოფელში რამდენიმე კა-
ცი ესახლა მარტო, როცა კაცი გამოქ-
ვაბულიდან კი იყო გამოსული. მაგრამ

კაცისაგან მოშორებით საქმეს თავს ვერ
უბამდა მაინც. აი, იმდროსვე მისი
დაგვარ სამეზობლოში, მასწავლებლის
ბოდა მაშინ, ცხადია და კი დასჭირდებო-
დათა ერთმანეთისაგან ნაკვეთჩხალი.
ჩაუქრებოდა კაცს ცეცხლი და სხვა კა-
ცისაგან, ესე იგი, მეზობლისაგან მოი-
ტანდა ცეცხლს, კი არ მოიტანდა, არა-
მედ ცოცხალივით გადმოიყვანდა თით-
ქო, მერე კი ასე წავიდა ალბათ, ასე და-
კანონდა და უახლოეს მეზობელს, ვის-
განაც შეიძლება ცეცხლის დედის
(ანუ ცეცხლის ნაპერწყლის) წამოღება,
მედაჩხირე დაერქვა კიდეე. დუდიდაჩ-
ხირი კიდევე სხვაა. როგორც თავი —
ღვინო, თავი — წყალი და ასე შემდეგ.

რანაირი სტუმარი არ მოდიოდა ჩვე-
ნთან. ათასში ერთხელ თუ გვესტუმრე-
ბოდა სერაფი დარანდია, დაჯდებოდა
ჩვენი ოდის აივანზე, მოიხდიდა ქულს,
მუხლზე დაიდებდა, ორ ლერ სიტყვას
არ იტყოდა, იჭდა ჩუმად და შემოგა-
რენს გასცქეროდა. მისი სახლიდან არ
ჩანდა ეს და აქედან გასცქეროდა. ღვი-
ნოს არ დალევედა, ჩვენთან არ ჰამდა,
არც წყალს მოისურვებდა, იჭდა გაუნ-
ძრევლად და უხმაურად, არც ყურად-
ღებდას ითხოვდა მასპინძლისას, მაგრამ
ბაბუა სვიმო მაინც გვერდით დაუჯდებო-
და, სტუმარს მარტოკას არ მიიტო-
ვებდა — და მის გვერდით იყო, სანამ
სერაფი დარანდია წასვლას არ ისურვე-
ბდა. მაშინ არა და, ახლა რომ ვაკვირ-
დები, სერაფი დარანდიას სტუმრობა
თეატრს მაგონებს. მოვა მაყურებელივით
სერაფი დარანდია, დაჯდება ჩვენი ოდის
აივანზე, მოიხდის ქულს, ფეხს ფეხზე
გადაიდებს, გაჩუმდება და მიაკვირდებ-
ა ოდის წინ გადაშლილ სურათებს. ეს
იყო და ეს. ან კიდევე მაცნე ვინმე გვეს-
ტუმრებოდა. ის კაცი შორს ესახლებო-
და, შორიდან მოვიდოდა, გამოიკითხავ-
და სვიმო ბაბუა ეინობას, მის ასავალ-
დასავალს გაიკვებდა. კარგზე შეწუხე-
ბულიყავითო აწი, ეტყოდა, გაუმსაპინ-
ლდებოდა და გაისტუმრებდა, ზუსტად
ისევე, როგორც გეგა დარანდიას, რო-
გორც სერაფი დარანდიას, და როგორც

სხვებს. მაქნეს მოსვლას ათასი რამ უკავშირდებოდა. ათასი რამ მოჰყვებოდა, მოულოდნელი და უეცარი. მაქნე რომ თავისას იტყოდა, სვიმონ ბაბუა, ვა-ვაო, ჯიბლურელი. — დაურთავდა; ლუცა ბებია კი მეტი გულსწუხილით ხედებოდა ყვალაფერს, დაიკვილებდა, რამდენიმე წუთში შეკრებდა ჩვენს მეჩხერ სამეზობლოს და მერე წყნარი მოთქმით გაუცხადებდა მათ მომხდარ ამბავს. ისინიც იწუხებდნენ და ივიშივნივნიდნენ, ჭალები ტირილს აუბამდნენ, აუყოლებდნენ ხმას, კაცები გაჩუმებული იდგნენ, ოხრავდნენ ქამიყამ. ხან კი არავინ არ გაიგებდა ჩვენს ოჯახში მაქნის მოსვლას, გარდაცვლილი შორეული მოგვარე იქნებოდა მხოლოდ, და იმაზედ არც იწუხებდნენ ნამეტანს. გაინაკაი ერთნაირი არ იყო ყველა? ერთს რატომ ტიროდნენ გაბმით და მეორეს არა? მერე დიდი სამზადისი გექონდა. გამოიწყობოდა სვიმონ ბაბუა საგარეო ტანსაცმელში, გაიკობტავებდა პირისასხე ლუცა ბებია, სუფთად გაიპარსავდა წვერს ალე ბიძია და სატირალში მიდიოდნენ. მე რომ წამოვიზარდე, მეც მივყავდით, მაგრამ სანამ პატარა ვიყავი და გრძელი გზა ჩემთვის დამლული იყო, შინ მტოვებდნენ; და სულ სხვა სამყარო იშლებოდა ჩემს წინ. მათ შეაგვიანდებოდათ შორი გზით მობრუნება და მე თითქმის კარგა დაღამებამდის მიწევდა შინ მარტო ყოფნა, მარტოს კი არ მტოვებდნენ, პაპუ დარანდიას გააფრთხილებდნენ, ბავშვს მიხედვით, იმას ჩააბარებდნენ ჩემს თავს, გაბუ დარანდიას მეუღლეს, მაგრამ ის მახსოვს, ერთხელ პაპუ დარანდიაც რომ მათთან ერთად იყო, ის მაგონდება. მაშინ ახლო ნათესავს ასაფლავებდნენ და უმეზობლებოდ წასვლა იქ არ იქნებოდა. მარტო ვარ ჩვენს დიდ სახლში, ჩვენს დიდ ეზოში და ველი მათ მობრუნებას. სულაც რომ არ მობრუნდნენ, მაშინ? რას არ ვიფიქრებდი, რას არ ვიგონებდი. მზე მიეფარებოდა ამხვერთილი აკაციების მწყობრს, ჯერ ღამე არ იყო, მაგრამ არც დღე იდგა. ოდის კიბეზე ვზივარ

და ჭიშკრისაკენ ვიჭიკრები. ხან ჭიშკრისაკენ, ხან ცისკენ. ცას ფერად ვხედავ, ბნელი ხშირდება, და მე უფრო უფრო ვკარგავ იმედს, რომ ჩვენები მალე მობრუნდებიან. უცებ ავწიე თავი და დავინახე, რომ სულ მარტო ვარ, და არავინ არაა ჩემს მეტი მთელს ქვეყანაზე, ხელისგულით ვსინჯავ ქვის კიბეს, კიბე ცივია და ვრწმუნდები, რომ ნამდვილად ჩვენი ოდის კიბეზე ვზივარ. საფეხურები დავთვალე. თერთმეტია. ჩვენი ოდის კიბეა. აი, ის ჩვენი მსხალია, ის ჩვენი ჭიშკარია, საცაა ჩვენი ვარსკვლავიც კი გამოჩნდება ციდან. მაგრამ ყველაფერი გარინდებულია და გატრუნული. მოვლენ? „მოვლენ აბა არ იქნება!“ ვფიქრობ და ვდგები ქვის კიბიდან. ცოტათი ადრე რომ ავმდგარიყავი, ოღაშეი შევიდოდი, იმ დიდი ოთახიდან პაწია ოთახში გავიდოდი, ბუხრის თავიდან ჩამოვიღებდი ლამპას, ასანთიც ხომ იქვე დევს და ლამპას ავანთებდი, მაგრამ ოდისკენ რომ გავიხედე, გულში მიკბინა: ოდის კარი მოღებულა და ჩანს ზალაში მდგარი სიბნელი. იქ უფრო ბნელია, ვიდრე აქ, გარეთ. განზრახ ხომ არ ჩააბნელა ის ოთახი ეინემე? გაბუ დარანდიას სახლში ანთეს ლამპა. ერთი სული მაქვს, იქ ვიყო. ერთხანს, დაძახებაც ვცადე, მაგრამ ისევე უცხად გადავიფიქრე: ვაითუ, ოდიდან გამოვარდეს ეინემე, ან წამომეპაროს და უცებ მომიკლოს ხელი. ერთი საფეხურით დაბლა ვჯდები. კი არ ავმდგარვარ, ჩონკით ჩამოვედი მეორე საფეხურზე, იქიდან კიდევ სხვა საფეხურზე და ამრიგად გავეცალე ოდის კიბეს. ახლა რა უნდა ვქნა? ჭიშკრისკენ წავიდე თუ გაბუ ბიძიას ალაგესკენ? სანამდეა უფრო მოკლე გზა? ამასობაში ჩემსკენ მომავალი შუქი დავინახე. გაბუ ბიძია ანთებული ლამპით მოდგომოდა ჩვენს ალაგეს.

* * *

სვიმონ ბაბუა ამხედრებული შემოდის ეზოში. თავისუფლად კი ვერ შემოვა, ფეხებით გაეხახუნება პაწია კარის კი-

დეებს, ორ მთავარ ბოძს, რომელთა შუა ჰყილია ის მომცრო კარი. კარგა ხნის მერე, შესაძლოა სულაც რამდენიმე წლის მერე, მე უბრალოდ შევაძინე იმ ბოძებზე ცხენკაციანად შემოსვლისაგან დარჩენილ კვალს, გახახუნების მერე რომ რჩებოდა იქ.

ის გახეხილი ადგილი მე ჩვენს მაღლიას მომაგონებს, მომაგონებს წარსულ დროსა და ბავშვობის დღეებს, სვიმო ბაბუასა და სტუმრიანობას ჩვენს დიდ ოჯახში. ლხინის დროს (განსაკუთრებით მახსოვს ალე ბიძიას დაქორწინება) იმ კარში მწყრივად შემოდინდნენ მაყრები და მათი მხლებელი ხალხი. ცხენდაცხენ მოვარდებოდნენ იმ კიშკართან, არც შეიხანებდნენ იქ, ისე შემოვიდოდნენ ეზოში, ეხახუნებოდნენ ფეხებით კარის ძგიდეებს, კარის ბოძებს, ავეანდებით, ჩექმებით, რანტიანი ჩექმებითა და წულა-მესტებით, ეხახუნებოდნენ და ჩნდებოდა მათი კვალი, კარი ხომ მთლიანად ღია იყო. მაგრამ მაინც პაწია კარით შემოდინდნენ, იმ კარით ერჩიათ შემოსვლა მოქეიფეებს, უხსოვარი დროიდან შემორჩენილ რიტუალს მაგონებს ეს ამბავი. კაცები, მაყრები და მათი მხლებლები ხომ კარგა შეღწივებულნი იყვნენ, შეზარბოშებულნი, მათ წინ კიდევ ქეიფი ეღოთ, მაგრამ იმ შესულ ღვინოსა და იმ გრძელ გზასაც თავისი გაჰქონდა, ფართო კარებში ყველა შემოვიდოდა, ამას რაღა ვეკაცობა უნდოდა, მთავარი იყო, ოდნავ მაინც შეეგრძნოთ დამხედურებს, მათი სიმკვირცხლე და სიმსუბუქე, თუნდაც მათი აღნაგობა, თუ გნებავთ, იმ პაწია კარში ცხენკაციანად გასვლა, და თანაც იმავე რიტშითა და სიჩქარით, როგორც ისინი ამ გრძელ მინდორზე გადმოვიდოდნენ, ადვილი როდი იყო, თან იმ მინდორზე მომავალთ, სხვანიანი გუნებაც მოეცემოდათ, ჭერ ერთი, ჩვენეული სახლის სიახლოვის გამო, მეორეც თავად იმ მინდორის გამო, მინდვრამდე ხომ ვიწრო შუკით ივლიდნენ, მერე კი აიშვებდა ცხენი და კაცი თავს, კი იგრძნობოდა სივრცესა და თავისუფ-

ლებას, ან მეტი რაღა უნდოდათ, ფეხელებს ყუმელებისათვის, ენდნენ მთაწონებინათ თავი და აწონებდნენ ყინდეს, მაგრამ მარტო ეგ არ იყო, ალბათ, მიზეზი მათი გაფიცებისა, იმ პაწია და ვიწრო კარში შემოვარდნისა, სხვა იყო რაღაც კიდევ, ჩემთვის გაუგებარი და შეუვალი, ძველისძველი და დრო-ქამის ბრუნვით გაცვეთილი.

მაღია რომ შინაა და თან რომ წვიმს გადაუღებლად — მე ბედნიერი ვარ. ამ ღამეს არ მინდა დავიძინო, შხაპუნებს წვიმა, მღერის ცისქვეშეთი, სიმღერასავით ჩამოდის ოდის სახურავიდან წყლის წყრიალა ნაკადი, ჩამოდის თქრიალით და კისკასით; კაპ-კაპ, ეონავს ოდის აივანზე წვიმის წვეთი, რაღაცანირი, სიზმრისეული და ტუბილი ღამეა ქვეყნად. დედაჩემი მაგონდება და ოქუმიდან წამოდებული ღვთისმშობლის ხატი. ხატს შუქი ადგება და ილიმის ღვთისმშობელი: ღმერთო დიდებულო, შენს ჩრდილს შემოვევლე, ნუ გაათენებ ამ ღამინდელ ღამეს, დაილოცოს შენი სახელი! რა არა მთავრდება და იმ ღამესაც დილა ენაცვლება. მაგრამ განა მახსოვს წუხანდელი გუნება, წუხანდელი ლოცვა-ვედრება, დილის მზე მოდის აღმოსავლეთით, წინ სველი და თეთრი ნისლი მოუდის. მოუდის ბოლქვა-ბოლქვად, როგორც ქათქათა ცხვრის ფარა, ოდნავად გაფანტული, და უკან, შორს, ასული მოჰყვება, მოცინარი, მწყემსის პაწია ქალი, მას არც კომპალი უკავია ხელთ და არც კეტი. ყველაფერი თავისით ხდება, ფარა მოდის, ალაგ-ალაგ ჩერდება, ძოვს ბალახს და მოდის, კაპუნობენ ხეებს შემორჩენილი წვიმის წვეთები. ეკეციებენ წვეთები და ცვივიან ნელა. კაპ-კაპ, ტირიან თითქო. სიხარულის ცრემლებით ტირიან წვეთები. ტირის სახლი ცვივა საწვეთელში ნაწყვეტ-ნაწყვეტ წვიმის პაწაწყინტელა წვეთი და ტირის სახლი, თითქო სიხარულის ცრემლებით ტირის. და მიდენის ციკუ დარანდია ქათქათა ბატებს მღინარისაკენ.

ოდა სახლს, ბუხარი ჰქონდა მიშენებული. ბუხარი კირითაა შეთეთრებული და ზედ, შუა ბუხართან მჭდარი კაცის მოპირდაპირედ წარწერაა: „1887 — სვიმონ დარანდია“. ბევრჯერ მიტეხია თავი და ახლაც არ ვიცი, თუ ვინ წააწერა ასე: „1887 — სვიმონ დარანდია“. ბაბუაჩემს ხომ სვიმონს არავინ არ ეძახდა. ის „ნ“ სრულიად ზედმეტი იყო. სვიმონი უკვე სხვა კაცის სახელი იყო და სხვა კაცს ნიშნავდა ჩემთვის. „ვინ იყო, სვიმონ, ის კაცი, ეს ბუხარი რომ მოგვიშენაო“. იკითხავდა ხოლმე ლუცა ბებია: „ჩვესკუთხელი არ იქნებოდა ის“, ვფიქრობდი მე. მებუხრე ხომ ყუშშიც იქნებოდა და ახლაც არის, მაგრამ ბაბუა სვიმონ მაინცდამაინც სხვა კუთხიდან ჩამოსულ კაცს ააგებინა ის ბუხარი. ჩვესკუთხელს რომ აეშენებინა, „სვიმონს“ ხომ არ მიაწერდა. რატომ მოიქცა ასე ბაბუა სვიმონ? განა ჩვენს მებუხრეებს არ ენდობოდა, რა იყო მიზეზი? შეიძლება სვიმონ ბაბუა იმ ხანად მეზობლად მოსახლე მებუხრეს ხმასაც არ სცემდა. ან, შეიძლება, მისი ბუხარი კვამლს არ იწოვდა კარგად, კვამლი არ მიჰქონდა, და სწორედ ეგ იყო მიზეზი, რომ სხვა კუთხიდან ჩამოსულ კაცს მიაშენებინა ბუხარი. მერე კი მიმავიწყდებოდა ის მებუხრე, სხვა რაიმე გამახსენდებოდა, და იმაზე ვიფიქრებდი. მერე ბუხართანაც ვიჯდებოდი, ის წარწერაც იქ იქნებოდა, სადაც იყო, მაგრამ არც დავინახავდი, თავლებს კი მოვავლებდი, მაგრამ არ დამაფიქრებდა.

ბუხარის პირას რომ ვზივარ და ცუცხლი ტყაცუნებს, ამ დროს ზამთარია და სარკმლიდან ჩვენი მეწლე მსხალი ჩანს. იმ მსხალს წყლიანი ნაყოფი აქვს და წელგამომშვებით გამოაქვს პირი: პირი, ანუ ყვავილი; ახლა ქარია და ირხევა მსხლის გამვეტილი რტოები. ფითრია რტოებს შორის ჩაუფუფელი და ქრის ქარი. ვერა და ვერ მოვირგე, ბაბუა სვიმონს რომ მომიტანა ის ჩექმები. „გააინჯეო კიდევ“, — მეუბნება ბაბუა სვიმონ. ვსინჯავ: ალუ ბიბია ზის ჩემს

გვერდით და ერთი სული აქვს, მოვიგო ის ჩექმები როგორმე. „გვერდითაა ბუა? თუკი გიჭერს, არ დამალო, კიდევ მივდივარ ბაზარში კვირას და უფრო დიდს მოგიტანო“, მეუბნება ბაბუა სვიმონ. კვირამდე კი — თუთაშხა, თახაშხა, ჭუმაშხა, ცაშხა, ობიშხა და საბატონია. და კიდევ — მთელი ქაშხა — კვირადღეს რომ წავა ბაბუა სვიმონ ბაზარში, საღამომდე ხომ ვერ მოვა შინ. აღარ მიტერს-მეთქი, ვამბობ: ჩექმები ჩემია... მერე თუ მესამე დღეა, ის ჩექმები მაცვია და უკვე ვიცი, აწი სიმართლევ რომ ვთქვა, სვიმონ ბაბუა იმ ჩექმებს გადასაცვლელად არ წაიღებს. ჯერ ერთი და ოთხშაბათი დღეა, კვირამდე ისე ხომ არ დავიციდი, ის ჩექმები არ ჩავიცვა, კვირამდე კი უფრო გაცვდება ჩექმები და მერე რა დროისაა, გვიანი იქნება მათი გადაცლა. ამიტომაც არ ვამბობ, მიტერს-მეთქი; სკოლიდან რომ დაებრუნდი, ჩვენი თხილნარისაკენ წავედი, თხილნართან პაწაწინა ლელე ჩადის, ის ლელე საზღვრავს ჩვენს ეზოს: ორიოდე წლის უკან — ის ლელე დიდი მდინარე შეგონა. შეგონა ზღვას ერთკოდა ის ლელე, ხომალდები არ დაკურავდნენ იქ, მაგრამ ბაბუა სვიმონს თქმით, პაწია ბაიდა კი იღგა თურმე იმ მღვრიე ნაკადში. დააწეებოდა ჭოკს ბაბუა სვიმონ, გაიწეოდა ბაიდა და მერე ნაპირიც იქვე იყო. მერე იმ ვალაში ჭრიდა ხეს, ორ-სამ საეენ შეშას მოიხაზირებდა საზამთროდ. იქვე დააპობდა, იქვე დააწყობდა შეშას, ურემს ხარებს შეუბამდა, მოვლით მივიდოდა იმ ალაგას, კარგა შორი მანძილი ჰქონდა მოსავლელი, დატვირთავდა ურემს და წამოვიდოდა შინ, ზოლო ის პაწია ბაიდა ხიდის მაგივრობას უწევდა, ჩემსობაში ბაიდა არ იღგა იქ. მახლობელი ტყეები რომ გამეჩხერდნენ, იმ ვიწრო ლელეშიც დაიქლო, უფრო დაიწრიტა, გაილია და ახლა ფეხითაც გადიოდა ბაბუა სვიმონ მერე მხარეს. ოღონდ ზმირწვილობისას იმატებდა ის ლელე ისევ, და მაშინ სერაფი დარანდიას ეზოდან გვიწევდა ყანაში გასვლა. თხილნარში გავიძიე ჩექ-

ქები. გაჭირვებით მოვაცილე ერთმანეთს თითები, კარგა ხანს ვებერე სული, დამიძაღა, გაჭრა ტყვილი და ისევე ჩაკიცვი ჩექმები. არც მიჭერდა თითქოს. რიხიანად წამოვედი შინ და ასევე თამამად გავიხადე ბაბუაჩემის წინ ის ახალი ჩექმები. გაიწეა ის ფეხსაცმელები, გაიწეა და გავეციეთ კიდეც. იმ ზამთრის განმავლობაში ხომ მეცვა და მეცვა, მეორე ზამთარსაც მეცვა ის ჩექმები. იმ დროიდან, დაახლოებით ათი-ოდე წლის შემდეგ, როცა ბაბუაჩემთან ვიყავი, მაშინ ვნახე: ყანის ბოლოს, თხილნარსა და ბამბუკის ტყეს რომ საზღვრავდა, იმ ღობესთან ეგდო ცალი ჩექმა, — აქ ხომ ყველაფერი ნაცნობი და მშობლიური იყო ჩემთვის. იმ ღობეს გამოვცდი, მახსოვს, ალუჩის ხესთან შეეჩერდი, ის ტოტი ვნახე, საიდანაც ჩამოვვარდი ერთხელ; იქიდან მარანში, მარნიდან თავლაში გავწიე, მაღია უკვე აღარ ჰყავდა სვიმო ბაბუას. ოდნავ უფერული მეჩვენებოდა გარემო, ოდნავ გამჭრქალბული, ციკუ დარანდია თხოვდებო, თქვეს მაშინ, ძაბი დარანდია გათხოვდაო. ბაბუა სვიმოც შეეცვლილიყო, ლუცა ბებია გაჭალარაგებულიყო და უკვე აღარ უვლიდა აბრეშუმის ქიას, ალე ბიძია, ხომ ჩემსობაა დაჭორწინდა, ნუნუ ბიცოლა, როგორც სტუმარს, ისე მიმასპინძლდებოდა, მათ უკვე სამი შვილი ჰყავდათ. ამიღო ბიძია ქალაქში ცხოვრობდა. იქ ესახლა და იქ მეშვობდა.

* * *

ის ფარდული მაშინ მე ნანახი არა მქონდა, გრენქარხანას რომ ეძახდნენ სოფლელები. ზის ჩვენი სახლეული ოდის აივანზე, სვიმო ბაბუაა აქ, ლუცა ბებია, ალე ბიძია, მე და ჩვენი კარის მეზობელი ქალი პაჭუ დარანდია, მერე გახუ ბიძიაც გადმოვა პატარა ალაგეზე; ალაგესთან რომ დევს, იმ მორზე გაარქობს ცულს, და წამოვა ჩვენსკენ. ოდის აივანსაყენ (ოდის აივანი იყო სახლეულის მარადი საკრებულო, ჭარგვლის ცეცხლს კი მეტწილად ზამთარობით

უსხდნენ, იქ, იმ აივანზე წყდებოდა ესა თუ ის საჭირბოროტე, თუ საღებინო საქმე და ამბავი). მღ (სეამო) მამოშაქეს ოდიდან, გახუ ბიძია ჯდება და ბუნებრივად გრძელდება საუბარი. მხოლოდ მცირე ხანს დგება სიჩუმე, ვინემ გახუ ბიძია ამოვიდოდეს აივანზე, აცლიან სტუმარს მოკალათებას გუნებისად, და რაც მე მიკვირდა მაშინ და მაოცებდა, ეს იყო: სვიმო ბაბუა, ყოველთვის რაცაცნაირი მოწიწებითა და გულისხმიერებით ხვდებოდა მეზობელს, გახუ ბიძია ხომ ყოველდღე შემოდებოდა თითქმის ჩვენთან, მაგრამ სვიმო ბაბუა მუდამ საქმიანად გამოკითხავდა მეზობელს ამბავს, ასევე იქცეოდა სვიმო ბაბუა შორეულ სტუმართანაც. რა უნდა მომხდარიყო ახალი, კაცმა რომ თქვას? სამსახურიდან მობრუნებული გახუ ბიძია ფუსფუსებდა თავის ეზოში, ცული ეკავა ხელში და ისმოდა ნელი კაცუნნი, ან კიდევ ხმამალა შეუცაცხანებდა ოჯახის რომელიმე წევრს; ასევე გადიოდა ჩვენი ეზოდან სვიმო ბაბუას ხმაც და თუკი რაიმეს სათხოვრად გადმოგზავნიდა გახუ ბიძია ციკუ დარანდიას, თავის პაწია ასულს, მაშინ, რა თქმა უნდა, ბაბუა სვიმო ხელდაკეებული არ იქნებოდა, საქმისაგან მოცლილი იყო და დროც ექნებოდა ბავშვისთვის მოესმინა. „რა დაგაბარა ძაბი, მამაშენმა? კირი მინდაო, ბაბუა სვიმო, კირი მიმაკლდაო“. „კი მიაკლდებოდა ცოტა“, — იტყოდა სვიმო ბაბუა, ამით მეზობელსაც დაახასიათებდა და აუტყებდა პაწია თუნუქის კოლოფს კირით. „გამოიხურე კარები“, — მითხრა გახუ ბიძიამ და ჩამოჭდა სკამზე. საღამოვდებოდა, ღამეს არ უნდა შეეხედა საძილე ოთახებში. ღამე რომ ყოფილიყო და ჭარგვლის კარიც მოღიავებულო, კარს არც მიხურავდნენ, თუ კი არ ციოდა მინცდამაინც და თუკი მაგარი სუსხი არ შედიოდა გარედან; ღამე თუ შეიხედავდა, — ჭარგვალში ბრიალა ცეცხლი ენთო და ღამის ბნელს უპირველესად ცეცხლის თვალი მოხვდებოდა. კარები ხომ მივხურე, აწი

მალე დამითხოვენ-მეტეი და უტუმრად, ბებია გვერდით, პატარა კველაზე ჩამოეჭვი; თუმცა სვიმო ბაბუას რა გამოეპარება, „გაიფერთხე ფეხები და პაბა!“ — მეტყვის ის, მაგრამ ჭერ კიდევ დღის სინათლეა ოდის წინა მინდორში, ჭერ კიდევ არ ამოჩენილა თუთარჩელა ურთის ქედიდან, ჭერ კიდევ არხეინად ვზივარ და ვუსმენ მდორე ბაასს. აპრილის დღეებია; სოფელი ეშაღდება მინდვრებში გასასვლელად, ყანები გადაწმენდილია, ჩალის ლეროები აკრეფილია, იქ, ფილიმონ დარანდიასას შეუნთიათ ცეცხლი მოჭურებული ლეროებისთვის. რაც ხანი გადის, იქით რომ ვიყურები, უფრო და უფრო მკაფიო ხდება იმ ცეცხლის ალი: „რამდენი გრამი გამოგყავს, აბა“. ეკითხება პაჭუ დარანდია ბებიაჩემს. ყველაზე კარგად სვიმო ბაბუამ იცის, რამდენის გამოყვანაა საჭირო და რამდენის არა. ბევრია სამუშაო. ყანაა მოსახნავი, ჩაია დასაბარი, აბრეშუმის კიას დიდი მეცადინეობა და გულისყური უნდა. თუთის ხეებს კი ამ დროს წვრილი, სიფრიფანა ფოთლები ასხია და დილის ხანს ნაქარგივით აჩნია ტატნობს (ოდის აივნიდან რომ იხედები). გახუ ბიძია გაჩუმებულია. ოჯახის თავს ყოველთვის ის ურჩევნია, ქალი თავისუფალი იყოს (მახსენდება პაწია, მაგრამ მნიშვნელოვანი ამბავი, პაჭუ დარანდიას ნათქვამი, თუ რა გულმოდგინედ სვამს ყოველ დილით, სამსახურში წასვლის წინ, გახუ ბიძია ჩაის). „სულაც არ გამოვაყვანილებდი, სვიმო-პატერი, მე რომ მკითხონ, მაგრამ ობლიგაციისა არ იყოს, ნუ გამოიყვან, მაგრამ თუ კი ჭირდება მთავრობას და სახელმწიფოს, მეტი რა გზაა“. და დიდხანს ისმის საუბარი ოდის აივანზე: მე უკვე გამოსტუმრებული ვარ აივნიდან, ჩემს ლოჯინში ვწვივარ და თვალდახუჭული ვუსმენ მათ მუსიკას... ამასობაში, შორი ბეიჩა-ბეიჩა ვარსკვლავებით მოჭიქდება ცარგვალი, თუთარჩელა ამოჩნდება ურთის ქედიდან, სინათლე მოემატება ღამეს. ჩაქრება ფილიმონ დარანდიას ეზოში ბარბანჩია

ცეცხლი, ძალი დაიწყებენ ეხედ-
 მე, სვიმო ბაბუა დიდის ამბავს
 ლებს ალაგმედ მეზობლებსა და
 ხმით დაეთხოვება მათ, თითქოსდა
 შორს მიდიოდნენ სადმე, და ასე დას-
 რულდება ის ერთი საღამოც.

* * *

ამგვარი დროებაა ქვეყნად: ქურდები დადიან ბნელში სოფელ-სოფელ, იპარავენ წვრილფეხა საქონელსა და ფრინველს. იპარავენ ფქვილსა და სიმინდს, ყველსა და ლობიოს. ერთ მზიან დღეს, დილით, როცა გაღვიძებული სვიმო ბაბუა ოდის აივანზე გამოვიდა, დაინახა მწვანე ბალახში გაფანტული ფქვილი. მივდივართ ჭარგვისაყენ, ვათვალიერებთ ყოველ კუნძულს და ვხედავთ: ქურდებს გამოუთხრიათ ჭარგვის ღრიტოებზე მიყრილი თიხა. ჭარგვალი პირდაპირ მიწაზე დგას. ასეა სამეგრელოში ყველგან, და მას იატაკიცი მიწია აქვს. ამას ათასწიერი რამ განაპირობებს ალბათ, ჭერ ერთი დი ფიცარი ბნელი საშოვია, მეორეც: შუა ცეცხლზე ლომი რომ ჰკიდია და ცეცხლი ტეარცალებს, ამ დროს მიწა გრილია და ლეცა ბებია არცა გრძნობს ქვებისა და ცეცხლის სიმბურვალეს (ლომი ყოველდღე კეთდებოდა). თან თუკი ძალიან ცხელა, სოხანე ჭიდან მოტანილი წყლით ირწყვება და იმხანად ჭარგვალში ყოფნა მდინარის პირად ყოფნას ემგავნება. ზამთარში კი გაქვს ზურგი გაციებული, მაგრამ ცეცხლის სითბო, თითქოს, მთელ სხეულს გადის და ბოლო-ბოლო ამას ვერც გრძნობ კაცი. თან ცეცხლს რომ უუფრებ, სულ სხვაა. აქ თვალის ამავიცი იგულისხმება და უფრო მეტი ძალით გათბობს ცეცხლი. მაგრამ ერთი გარემოებაყაა: ზანტი ხდება ცეცხლთან მჯდომარე კაცი, მოშვებული ხარ რადიანაირად და განძრევა გეზარება. აი, თითქმის ბოლომდე შეისრუტა თხმელის შხლორთი შუა-ცეცხლმა, ახლა ახალი შხლორთი უნდა წამოსწიო წინ, და იმ მორჩენილი შხლორთის კედზე დადო, რათა მთლად

არ ჩაქრეს ცეცხლი, მაგრამ გეზარება ადგომა და შხლორთის წამოწევა, მე კი ავღვები და წამოვწევ შხლორთს, ოლონდ სვიმო ბაბუას თუ მოეწონება, — ესაა მთავარი. რომ არ ავღვ და ხელი არ გავანძრო, სვიმო ბაბუა, ვიცი და, მაშინაც არ დამიგვიანებს მისეულ წყრომას, „ამფარა, ბოში, გააცივეო როგორმე ქვეყანა“, არა და თავის ადგილას არ მომივა კარგად, ან ზედმეტად წამოვწევ სულაც და მაშინაც ითქმება: „ამფარა, ბოში, დაწვი მთელი ქვეყანა და ეგაა, შენია და რა გენალვლებო“; მიტომაკ ვზივარ მე გაუნძრევლად და ეუყურებ ცეცხლს. მაინც ის სჯობია, რომ სვიმო ბაბუამ თვითონ წამოუშატოს ცეცხლს. ეს ყველამ იცის, არც ალე ბიძიას ხელიდან გამოსული საქმე არ მოეწონება ბაბუა სვიმოს და არც არავისი. კარგა ხნის მერე, როცა მე თბილისიდან ჩავალ ყუშში, როცა მე და სვიმო ბაბუა ვისხდებით საღამო ხანს ოღის აივანზე, ის მეტყვის: არაა საშველი მიხა ბაბაია. ახლა იმ შუა-ცეცხლს რომ ეუყურებ, ასე მგონია: იმიტომ ეუყარდა ბაბუა სვიმოს თვითონ გაეყეთებინა ყველაფერი, ზედმეტად მიიჩნდა შუამავალი თავის თავსა და დედა-ბუნებას შორის. მას თვითონ უნდა მიეჭრა ხე, თვითონ უნდა გამოეტანა ტყიდან, თვითონ უნდა შემოედო კერაზე და რაც მთავარია, თვითონ უნდა დაეთო ცეცხლი. ყანასა და კაცს შორის ტრაქტორი რომ ჩადგა სვიმო ბაბუას არ მოსწონდა, და სადღაც მის კაცობასაც აკინებდა თითქოს. მას მუდამ ნაჯახი ან თოხი ეკავა ხელში, როგორც ეამბობდი; იმ ნაჯახისა და იმ თოხის ტარი, თავისივე ხელით ჰქონდა გამოჩორკნილი. თავისივე ხელით ჰქონდა კალათი მოწნული და იმ კალათით გამოჰქონდა კენახიდან ყურძენი და ყანიდან სიმინდი. სასიმინდზე მისივე ხელით შეკრული ხის კიბე იყო მიდგმული და კალათიანად აღიოდა სასიმინდში. ფერხთ მაგუია ეცვა, ან კიდევ ხის ოჩოფეხებზე იდგა. ხის ოჩოფეხებს ხომ თვითონვე გამოიჭირდა, მაგუიასაც თვი-

თონვე იყრავდა, თავისივე ხელით გამოზარდილი ღორის ტყავისგან ახალი ცხოვრება კი ეძალდებოდა; რა თქმა უნდა, მაგრამ ძველს ვერ თმობდა. ყანიდან სიმინდის მანქანით გამოტანას ურმით გამოტანა ერჩია, მახსოვს, როგორ ჩაგვეძირა ერთხელ სატვირთო მანქანა ყუმის სანახებში, პაწია ტლაპოში, აი, ზორბა კამეჩი რომ მოშარდავს და გუბე დადგება, იმგვარი ტლაპო იყო, მეტი არა. ფუქად ტრიალებდა მანქანის თვალი და ადგილიდან ვერ ვიძროდით. უყურა სვიმო ბაბუამ ამას, უყურა და ხელი ჩაიქნია. ის მანქანა კი ამოზიდეს ხარ-კამეჩით ტლაპიდან, კი მიიტანეს სოფლის საბჭომდე ის ტვირთი, მაგრამ სვიმო ბაბუას მას მერე ისევ თავისი ურმით დაჰქონდა სიმინდი.

ჯარგვალს ძირი ჰქონდა გამოთხრილი, ასე, საშუალო კაცი რომ შეეტეოდა, იშხელა, მეტი — არა. სვიმო ბაბუამ უთხრა ალე ბიძიას — აბა, შეძვერი, წიე! ეცადა და ვერ შეძერა ალე ბიძია, მივედი მე და შევძვერი იმ გამოხათხარში; „მთლად ბალანა ყოფილაო“, გაიკვირვა სუომ ბაბუამ და გაგვშორდა. ასე, ორიოდ ფუთი სიმინდის ფქვილი და ცოტარდენი სულგენი წაეღო ქურდს. მერე გავიგე, ის ფქვილი, ბალახებს რომ აჩნდა იმ დილით, თურმე, ქურდის კვალის დასაფარავად ყოფილა გაბნეული; კვამლივით გაქრნენ ის ქურდები მიწის პირიდან; მთლად ბალანა ყოფილაო, თქვა სვიმო ბაბუამ, ეს მახსოვს, საბუთადაც ეს დაგვრჩა მარტოოდენ და მეტი არაფერი.

• • •

ლუცა ბებია ღომის წყალს დგამდა შუა-ცეცხლზე, და ამ ღროს, დაბარებულევით მოადგებოდა ჭიშკარს ნატა დაჩანდა, ანუ ნატა დეიდა, როგორც ვეძახდი მე. იშხანად სოფელში ხმაც დადიოდა. ჩუმი და მოგუდული იყო ის ხმა. ასე იყო მთელი დღის განმავლობაში, ღამ-ღამობით კი, ღმერთმა იცის, რა არ მიეწებებოდა იმ ნალაპარაკებს კიდევ. მე შეზობლისას ვიქნებოდი მაშინ და იქიდან თუ დამამახსოვრდებოდა

ეს. ალათიას კი მე არ ვიცნობდი და არც მენახა არასოდეს. იმ ქალს ლუცა ბებია ეძახდა ალათიას, ალათი კი ერქვა, მაგრამ ლუცა ბებია ეძახდა რატომღაც ალათიას. გაბრაზებული იყო იმაზე, რა თქმა უნდა, და ამიტომაც ეძახდა ალათიას, ალათია დინაფლიო, თქვა ერთხელ ლუცა ბებიამ, ალათია დაკარგულიო, ან იქნება დაკარგულს სულაც არ ნიშნავს ეს სიტყვა, დინაფლი — ძალიან რომ ჩაუყვე და გაჩხრიკო — არაფრამდე დაღის, ალათია არაფერიო? ესე იგი, ის. ან ისეთი ვინმეო, ამას თუ გულისხმობდა ლუცა ბებია, რაც მიწას არ აჩნიაო. ერთი რამ კი ვასაკვირი იყო ნამდვილად, როდის უნდა შეხვედროდა სვიმო ბაბუა თავის ალათიას. დღე იგი გაუთავებლად ყანაში ტრიალებდა, ან კიდევ ოჩაიეში, ან კიდევ ვენახში, და სად, როდის უნდა ენახა მას თავისი ალათია? ლამით? მაგრამ ლამითაც რომ შინ იყო მუდამ ბაბუა სვიმო? მოიტანდა ლუცა ბებია ფარფაბა ტაშტს, დაასხამდა ზედ სახელდახელოდ გაცხელბულ წყალს, ჩადგამდა ტაშტში სვიმო ბაბუა ფეხებს, მიუტუტუქდებოდა მე და ეპანდი გულმოდგინედ. პაწია კრაქი დგას სვიმო ბაბუას თავსზეთი, საცა თაროა მიმდარებული და რაღაცნაირ წრიულ სინათლეს გამოსცემს ის კრაქი. მე ტაშტთან ვარ ჩაცუტული, სვიმო ბაბუას მუხლებზე უღევს დუნედ მოშვებული ხელები, სიჩუმეა ქარგვალში და ისმის ხანდისხან წყლის ჩქაფუნე.

თუხთუხებს ღომი. ზის გაუნძრევლად ერთსა და იმავე ადგილას ნატა დარანდია და უცქერს მოფუსფუსე ლუცა ბებიას.

— ვერ გავჩერდები, ლუცა, მე, ღომი მიკიღია შინ. ჩასაზელიც კი იქნება აწი.

მერე მე მომიწევს ქარგვალში შესვლა და მეც ასევე მეტყვის ნატა—დეიდა:

— ვერ გავჩერდები, მახარია, მე, ღომი მიკიღია შინ. ჩასაზელიც კი იქნება აწი.

მერე გაივლის ხანი და ალუ ბიძია შემოვა ქარგვალში.

— წავალ მე, შვილო ალუ, ღომი მიკიღია შინ, ჩასაზელიც კი იქნება აწი. ამასობაში სვიმო ბაბუაც მთვარის სურათს დანმე. შემოვა ქარგვალში, თავის ფიორია ქუდს ჩამოჰკიდებს ლურსმანზე, დახედავს ღომს და გავა მაშინვე გარეთ. მაგრამ ნატა დეიდა მოასწრებს და სვიმო ბაბუასაც ეტყვის:

— წავალ მე, ბატონო, ღომი მიკიღია შინ; ჩასაზელიც კი იქნება აწი.

რა გეჩქარებო, ნატა, ახლა, რა მოხდაო, ისეთი, — იტყვის გაწიწმატებული ლუცა ბებია და თვალს გააყოლებს ქარგვილიდან გამავალ სვიმო ბაბუას. ყოველდღე რომ ჩვენთან იყოს ნატა დეიდა, ყოველდღე განმეორდება ამგვარი სურათი. არაფერი არ შეიცვლება. ჩვენ ყველანი შინ ვიქნებით. ნატა დეიდა იჭდება ჩვენსას და ღომი მისი ლარკზე ეკიდება ჩვეულად. პაწია ქარგვალი ედგა ნატა დეიდას. ნათესავი და მიმხედი მას არ ჰყავდა. მარტოცა ცხოვრობდა იმ ქარგვალში ბეჩავი დედაბერი. გაუთხოვარი იყო. უყვარდა ყმაწვილქალობისას ვილაც ახნაური კაცი თურმე, ის ცხენიდან ჩამოვარდნილა ნამთვრალეზე და ნატა დეიდა ხომ სხვას არაფრისდიდებით არ გაჰყვებოდა! ან იმის საფერი კაცი სადღა მოიტებნებოდა. ამას ამბობდა მთელი სოფელი და ასე იყო კიდევაც ეს. აივსებდა ნატა დეიდა ჭიბეებს ტბილისკვერითა და ჩურჩხელებით, ჩამიჩითა და სხვა ხილუულით და გადმოვიდოდა ჩვენსას. მარტო ცხოვრობდა, მაგრამ მარტოობა არ უყვარდა. ღომი კი რისთვის ედგა შინ, თუკი ყოველთვის ჩვენთან სადილობდა, ეს კი მიკვირდა, მაგრამ რაკილა მერე ყველაფერი გავიგე და სხვაანაირად არც იქნებოდა, როგორ ვიტყვი მე, ნატა დეიდა ცრუობდა—მეთქი. ან რას ჰამდა ის ბეჩავი იმდენს! — ბოლო ჩოგანს, ყველაზე პატარა თიას დაიდებდა წინ, ეს იყოსო ჩემი თია, იტყოდა, თავსაფარს გაისწორებდა თავზე, უფრო მკიდროდ თუ კარგად შემოიხვევდა, ქალარის ღერს არ გამოაჩენდა, თხელი, გალუული და თეთრი ხელით

დაწვდებოდა ღომს და ჭამდა, ყველასაგან გამოჩნებულად. მოციქუნიდა თითებით პაწია ლუკმას, ამოაწობდა კვარწახში, და პირთან მიიტანდა. ხელი რომ პირთან მიჰქონდა, ის პაწია ლუკმა მისივე, გალუული ხელის მტევნით იფარებოდა და არცა სჩანდა, ჭამდა თუ არა იმის. იმ ციკქნა თიასაც ვერ მოგრეოდა, თავისივე ხელით მონახებანს სუფთად ჩამოჭრიდა იმ თიას, ამას ცალკე დადებდა, იმ წმინდა ღომს კი სხვა ღომს მიუმატებდა, ადგებოდა სადილობის მერე, თითებს დაისველებდა, წამოიბანდა თითებს, მობრუნდებოდა და ისევ ჩამოჭდებოდა ჩვენი დიდი მსხლის ძირას, გაიხედავდა მთავარი ჭიშკრისაკენ. შუადღე გადაწეული იყო, სოფლად სიღბო და სიგრილე დგებოდა, ამოისუნთქავდა შვეებით ნატა დარანდია და იკითხავდა, რა რიცხვიად დღეს; რა დღეაო, ამას არ იკითხავდა, ეს მუდამ იცოდა, რიცხვი შევესლებოდა შხოლოდ. „კვირის ბაზარი ძვირი ყოფილა პატენი“, იტყოდა, ეს სიტყვები სვიმო ბაბუას ეკუთვნოდა, სვიმო ბაბუას ის სახელით არ მიმართავდა, სახელს არ ეტყოდა, პატენს კი მის გარდა არავის ეძახდა.

ის წყლიანი მსხალი, რომლის ძირას ჩვენ ვსადილობდით. — მეწლე იყო ერთი წელიწადი ესხა, მეორე — არა. ასე იყო მუდამ. ნაყოფი კი იმდენი ესხა, როცა ესხა, მთელ სოფელს ჰყოფიდა თითქმის.

იმ წყლიან მსხალს იმიტომ ვიხსენებ ხშირად, რომ მთელი ჩვენი სახლელის დღიური ფუსფუსი ასე თუ ისე, იმ მსხალთან იყო დაკავშირებული. იმ მსხლის ძირას ვსადილობდით, იმ მსხლის ძირას ეძინა ბაბუა სვიმოს, ნელი ნიავი ქრის, ყუმის ტაფობიდან მოდის ნიავი, ნაშუადღევია, თვლემს ბაბუა სვიმო, გულისპირი აქვს მოლედილი, ხელი აქვს თავით ამოდებული და ფშვინავს გემრიელად, ასეა, ვინემდის მზე შუადღის კარს არ გაივლის. ამასობაში, სიგრილე მატულობს ციკქვეშეთში. თუთის ფოთლები ნელა იხსნებიან, სიღბო და სინა-

ზე ემატებათ, სული უბრუნდებოდეს თითქოსდა, ფოთოლი რომ დაბნობდებოდა, სვიმო ბაბუაც შეიწმინდებოდა ამინდი დგება, იმგვარი პერი, სვიმო ბაბუას თვალის გახელა არ დაეზარება, წამოდგომა არ დაეზარება, გაახელს თვალებს ბაბუა სვიმო, წამოდგება იმ ხის გრძელი სკამიდან, დასწვდება შემთხვევით ჩამოვარდნილ ფიორია ქულს, ქული მას თავკვეშ ჰქონდა ამოდებული, მაგრამ ძილში ხომ შეინძირეოდა ცოტათი, ის ქულიც ჩამოუცურდებოდა, ბალახში ჩაუვარდებოდა. თხელი იყო ის ფიორია ქული, მაგრამ ცოტათი მაინც შეელოდა, აღბათ; მერე ადგებოდა სვიმო ბაბუა და ჩვეულებისამებრ ყანისაკენ მიეშურებოდა, ან შინ ტრიალებდა, შინ ფუსფუსებდა. მახსოვს იმ მსხლის ძირას მჭდარი მთელი ჩვენი სახლელის, მახსოვს, ჩვენ იქ ვიჯექით და სვიმო ბაბუა კვირის ბაზარში იყო წასული. ან ჩვენც იქა ვართ და რომელიმე მეზობელია ჩვენსას. ან კიდევ რომელიმე ნათესავი, ან უბრალოდ, სრულიად შემთხვევითი ვინმე, ვინმე მაწვიერთაგანი, ეთქვათ, აი, მოვიდა ის კაცი ჩვენთან, დაქდა, მაწვიერს გრძელი გზის გამოვლა უწევს ხანდახან და ისე როგორ გაუშვებენ, ლენო არ დააღვივონ, ან წყალი, ხოლო თუ კი იმ მაწვიერს მაინც დამაინც, ასე მოხდა და, ბევრზე-ბევრი ოჯახი აქვს შემოსავლელი, შეიძლება, სულაც არ დახანდეს ჩვენთან, მოიმიზეზებს რაიმეს და მართალიც იქნება, ვერაინაც ვერ დააკვებს, გზას ვერაინ დაუჭერს, მას დიდი საქმე აბარია და საქმეს ხომ ვერ აღუქვებს გვერდს, წავა ის, როგორც მოვიდა, ისე, დაუხანებლად წავა, და რაა მისთვის ეს ჩვენი წყლიანი მსხალი (თუკი მაშინ ხილი მწიფდა, მსხალს მაინც დაწვდებოდა ის, თუკი სხვას არაფერს ინებებდა), ან მისი ჩრდილი. ჩრდილში ჩვენ დავრჩებოდით ისევე, ის კი მზეში გავიდოდა, თავის გზას დაადგებოდა. გზაზე კი მოინატრებდა იმ მსხლის ჩრდილს და მის გრილოვანში ჩამოჭდომას, ან მოინატრებდა, ან გაიფიქრებდა, დაიღლებოდა გზა-გზა ხე-

ტილით და გაივლებდა უბრალოდ გულში, იქ ჯდომას ახლა არაფერი სჯობიაო, მაგრამ მას თავისი გზა ჰქონდა და ჩვენსას აბა როგორ დარჩებოდა.

— პაქუ დარანდიას ოთხი გრამი აბრეშუმის ქია გამოუყვანია.

— გამოიყვანდა, აბა, რა გასაკვირია ეს. იმდენი თუთა უდგათ მათ.

ალე ბიძია ორივე ხელზე დაყრდნობილი უსმენდა მოსაუბრეებს გაფაციცებით, აჭაოდა, ხედავ, რაებს ლაპარაკობენო, რამდენი რამე იციანო; სინამდვილეში კი რას საუბრობდნენ ისეთს მართლა? კალი სამუშაოა მოხსნესო, — იმ კალი სამუშაოს ალე ბიძია არ იცნობდა და კიდევაც ემჩნეოდა ეს, იხტიბარს კი არ იტყვდა მაინც. ტუნგოს გაშენება საქვეყნო საქმეაო, — რაში ეპიტნავებოდა ალე ბიძიას, კაცმა რომ თქვას, ტუნგოს ბევრს გააშენებდნენ თუ ცოტას? — არაფერში, რა თქმა უნდა, მაგრამ უსმენდა მაინც გაფაციცებით იმ სიტყვებსაც, ხანდახან კი ჩართავდა სიტყვას სხვათა საუბარში ხანდახან კი გაიფიქრებდა რაღაცას, მაგრამ არც სვიმო ბაბუა დაუგვიანებდა: „ამფარა, ბოში, ახლა შენ გაგვიჩიე ქვეყნის ამბავი“, ლამფა ანათებს მაგიდას. აღგება ლუცა ბებია, გაფუცხუნდება სასტუმრო ოთახიდან, ახლა კუთხის ოთახიდან ისმის მისი პუტუნე, ლუცა ბებია შლის ლოგინებს. ტერე ბიძის სტუმრობა ჩემთვის დღესასწაულია. არავინ არ მეუბნება, ადექი და ჰაბა, გაიფერტხე ფეხები და დაიძინეო. შიში კი მაქვს მაინც, აი, ახლა მეტყვიან, ადექი და ახლა, იმ დამეს მე ბოლომდე შემოვრჩები სუფრას, მაგრამ ის ვანწყობა ხომ არასოდეს დამავიწყდება. ხომ უკეთესი იყო თავიდანვე ეთქვათ, ამაღამ შენ ბოლომდე იჯდები მაგიდასთანო. მახსენდება: ჩვენი ოდა-სახლის წინ რამდენიმე კაცი ზის, უცნობი ხალხია ჩემთვის. მსხლის ძირას კი არ სხედან, არამედ ბალახში უდგათ ოდიდან გამოტანილი სასტუმრო სკამები და იმ კრიალა სკამებზე სხედან. მე შემოვკვდი ჩვენი ეზოს მთავარ კიშკარში; იპოვეო?

დამიძახა რომელიღაც სტუმართაგანმა/ მიახლოებისთანავე, და მეც ვეფუქსეხე — კი-მეთქი. მალეა ვიპოვე მთქმა! ყუქს მის ქალაში, და საუბარიც გაწყდა. გაჩუმდნენ. „იქნება მალეა არ იყოო“, თქვა სვიმო ბაბუამ. გაძივივრდა. მალეა ცნობას რა უნდოდა, და განა ბაბუა სვიმომ არ იცოდა ეს? აი, იმ საღამოს მივხვდი მე, რომ ის კი არ უნდა მეთქვა, რაც ვიცოდი, არამედ სვიმო ბაბუას კილოს უნდა ჩავფიქრებოდი, უნდა გამეზარა, თუ რატომ იკითხა სვიმო ბაბუამ, „იქნება მალეა არ იყოო“. და იმ დღიდან მოყოლებული მთელი სექტემბერი არ გვინახავს ჩვენი მალეა. ცხენი კოლმეურნეობამ წაიყვანა, მუშა-საქონელი აკლდათ, და ბრიგადირიც, როგორც მერე გავიგე, ჩვენი ცხენის წასაყვანად ყოფილა მოსული. როგორც მაშინ არ ვიცოდი მე, შემოვრჩებოდი თუ არა სუფრას ბოლომდე, ასევე არ ვიცოდი, რა უნდა მეპასუხა სვიმო ბაბუასთვის. გაუხარდა თუ ეწყინა სვიმო ბაბუას ჩემს მიერ ნათქვამი სიმართლე? რა გაიფიქრა ნეტა, ბავშვი მიმიხვდება და არ გააცხადებსო, გადათქვამსო, თუ რა?

* * *

საკუქნაო ოთახში რომ შეხვალ. — ან ლუცა ბებია შემეგზავნიდა, ან მე ვიგულებდი იქ რაიმე საკბილოს, ლუცა ბებია ამ დროს ოდა სახლში იქნებოდა. ან შეიძლება პაწია სარკის წინ მჯდარიყო სულაც და წარბის საწიწქნი სქეროდა ხელთ. ლუცა ბებია პირს ილამაზებდა. მახსოვს ერთხელ, სხვა სოფელში რომ ვიყავით გასვენებაზე და მკითხა ერთმა უღვაშა ბიძიამ, ის ქალი დედამენიო? ლუცა ბებია ერთიანად შავებში იყო და ლამაზი პირისაზე მოუჩანდა მხოლოდ. და ვინ იცის, თუ რა გაიფიქრა იმ უცხო ბიძიამ. საწყალი ქალიო, ალბათ, ასე გაიფიქრებდა, შავები რატომ უნდა ეცვასო. ან კიდევ რა! ლუცა ბებია კი რას გაიფიქრებდა? იმას მაინც ხომ შეამჩნევდა, თუ არა მეტს, რაც მე შევამჩნიე და დამამახსო-

ვრდა, და რაკი შეამჩნევდა და ჩემზე მეტიც ეცოდინებოდა, სვიმომ ბაბუას როგორ არ შეხედავდა; ის კაცი რომ ჩემთან გაჩერდა და ოდნავ დაიხარა, მაშინ შეხედავდა ბაბუა სვიმოს, სვიმომ ბაბუას კი არაფერი ეცოდინებოდა, არც იცოდა და ისე იდგა იმ კაცების წრეში, როგორც სადმე სხვა სოფელში, ან კიდევ სხვა ქვეყნად, ამ სოფლის ამბებს მოწყვეტილი. და არ იყო მისთვის არსად ლეცა ბებია, ამის გამოისობით კი ისინი თავისუფლად იქნებოდნენ, ის მთავარი თვალი, მათთვის რომ უნდა შეეხებოდა — სხვაგან იქნებოდა და ისინი თავისუფლად იგრძნობდნენ თავს. მაგრამ ლეცა ბებია რას ფიქრობდა, მე ხომ არ ვიცოდი, დროც ხომ ძალზე მცირედი ჰქონდათ, კარგად რომ გაეგოთ ერთმანეთისათვის და ამითვე დამთავრდებოდა ყოველივე;

ულვაშა კაცი ლობჯიანთან მდგარ მომტირლებს შეუერთდა.

* * *

საკუჭნაოში რომ შეხვალ და თვალს რომ ვერ მიატან ვერაფერს, ცხადია სიბნელეა ირგვლივ. თვალთან თითს ვერ მიიტანო, რომ იტყვიან, ისეთი. გარედან შეხვალ, დღიდან შეხვალ, კარიდან ხომ სინათლეს მოგყვება, მაგრამ ის სინათლე თანდათან მკრთალდება, ჰკარგავს ძალას და შიგ მარტოდენ სიბნელეა. ოდა-სახლში კი ჰირიკითაა; ახვალ ოდის კიბეზე, აივანს გაივლი, სასტუმრო ოთახში შეხვალ, ამ დროს მზე გადახრილია, ამ ოთახში არა დგას შუქი. სასტუმროდან კი სხვა ოთახში გახვალ, კარს გამოაღებ და იქ სიწყნარეა. ხედავ, იმ ოთახის პაწია საკმლიდან შემოსულა მზე და ნათელი დაუფენია იქ, სვეტი ნათელი. ის სვეტიც მზისფერია და უცებ კრთები. შენ რომ გამოიარე იმ დიდ ოთახში არ იდგა, იქ სიბნელე იყო და აქ კი, უეცრად, გამოაღებ კარს და ხედავ — მზეს. ეს წუთი საგულისხმოა, როცა ოდა-სახლში არავინაა შენს შუი. იქ სიწყნარეა და შენ შეხვალ, არავის არ ელი და უცებ დაგხვდება ის. ის

სულიერივითაა. აწი შენ მარტო არა ხარ, მაგრამ რაღაცაა უცნაური განწყობა გახლავს... გიგლიყუთქაა

მერე თანდათან სინათლიანდება საკუჭნაო. სიბნელიდან ჩნდებიან საგნები. აი, საცერი გამოვიდა სიბნელიდან, საცერი კი არა, არამედ ფქვილი, ფქვილი ოყაში ყრია, თეთრია და უფრო სწრაფად გამოდის სიბნელიდან. ახლა უკვე საცერსაც ხედავ, ლურსმანზე ჩამოკიდებულ ტომარასაც, ხედავ დერგასა და ქვიჯას, და ბოლოს, სულ ბოლოს, შენ ამჩნევ რომ იქ სიბნელე კი არ იდგა, არამედ სინათლე; ათასგზის შეხვალ საკუჭნაოში და ათასგზის ასე იქნება, იგივე განმეორდება, და იმ წამს რომ შემოვიდეს ვინმე საკუჭნაოში, იმ წამს, ესე იგი, მაშინ, როცა შენ უკვე მოგეცემა თვალის ჩინი, როცა შენ ყველაფერს დაინახავ და ყველაფერი თავის ადგილს დაუბრუნდება, ეს იქნება უცნაური და შემზარავი. შენ დაინახავ მას, უმწყეაა და შინაფულს, სინათლიდან სიბნელეში შემოსულ კაცს, ან ჯალს, რა ბედენაა. ლეცა ბებიასა თუ სვიმომ ბაბუას, სვიმომ ბაბუა გუმანით მიხვდებოდა, თუ ვინ იქნებოდა საკუჭნაოში. ხოლო იმ გასვენების დღეს, ჩვენ რომ მეზობელ სოფელში ვიყავით. სვიმომ ბაბუა ბნელში იდგა; მარტო იმ ერთ დღეზე, მარტო იმ ერთ წამზე, ულვაშა ბიძიამ და ლეცა ბებიამ რომ შეხედეს ერთმანეთს, მარტო იმ გაფიქრებაზე რომ დაიწეროს წიგნი, ის წამი ამოიწერებოდა? ახსნიდა თუ არა ის წიგნი, იმ გაფიქრებას, დააჩუმდებოდა თუ არა მკითხველს — რომ ყოველი იყო ასე და ამრიგად, როგორც იყო! ქვეყნის გაჩენიდან მოდის ის წამი. მოდის ორი სხვადასხვა ფიქრი, აუცილებლად რომ უნდა შეხვდნენ იქ, ის კაცი უნდა მოკვდეს, ამ დღისთვის ჩვენ ყველანი ცოცხალნი უნდა ვიყოთ, იქ უნდა წავიდეთ და დავდგეთ ისე, როგორც ვიდგით, მაშინ, მაგრამ იქამდე მოსასული გზა ხომ არავინ იცის, და როგორ უნდა შეიქმნას ის წამი? და თუკი, ვთქვათ და შეიქმნა ის წამი, განა ყოველი იმ წამს

არ დამორჩილდება, იმ წამში არ ჩაეტყუა? მიტომაც, მე ვამბობ, შეიძლება ლუცა ბებია მთელი სიცოცხლე დალატობდა სვიმო ბაბუას.

მერე მივხვდი, ის შემთხვევა, ის მზერა (ან გათქრება), სამაგიერო იყო. სამაგიეროს გადახდა ალბათ; ლუცა ბებია შურს იძიებდა; ალათია დინაფილიო, ამბობდა ლუცა ბებია, ალათიო, ესე იგი, ალათი კი არა, როგორც უნდა ეთქვა, არამედ ალათია დინაფილიო, მიწას რომ არ აჩნია, ისეთიო, არაფერიო; ესე იგი; ის ახსოვდა ლუცა ბებიას, ან რა დაავიწყებდა, და ამიტომაც შეხედა უღვაშა ბიძიას, ალბათ, ან შეიძლება სულაც ასე გაიფიქრა, ალათი სადმე აქ იქნებო (თუმცა ის სხვა სოფლელი ქალი იყო, მაინც ხომ შეიძლება იქ ყოფილიყო). ხანმა გაიარა და ის ამბავიც მიმავიწყდა; არც ლუცა ბებიას არ ახსოვდა, ალბათ, ის კაცი შეტად, სვიმო ბაბუა ხომ მოტყუებული იყო და მოტყუებულნი. ეს ისედაც ნათელია და ცხადი; მიილია ხსოვნაში ის წამი, მიიწრიტა. მორჩა და გათავდა, და არც არასოდეს არ გამახსენდებოდა, ერთი შემთხვევა რომ არა: ჩვენსას ერთ დღეს ვინმე სტუმარი იყო; გაგანია ზაფხული იდგა. ასე შუახნის კაცი იქნებოდა. მეტი არა; მოვიდა ის კაცი, ჩამოჯდა ჩვენი წყლიანი მსხლის ძირას, ძელსკამი რომ გვედგა, იქ, იმ სკამზე ჩამოჯდა, ქუდი მოიხადა, კობტა უღვაშზე მოისვა ხელი და იკითხა, — სვიმო პატენი მალე მობრძანდებო? ლუცა ბებიათ თქვა: საცაა ამოვაო, აწი; ყანიდან მობრუნდებო, ეს თქვა; ყანა დაბლა გვედო. ყუმის ქალაში, იქიდან ამოვაო; სტუმარმა კაცმა გადაიდო ფეხი ფეხზე და განაგრძო ამრიგად ლოდინი. ნიავი დაუბერავდა ხანდაზან, ქალიდან ამოდენილი, და ჩამოვარდებოდა წყლიანი მსხალი, დაეხეთქებოდა მიწაზე, ადგებოდა ის კაცი, აიღებდა მსხალს, გაწმენდა ხელით, ამოიღებდა ჭაყვას, გახსნიდა, მსხალს მარცხენა ხელში დიაკაებდა, ჭაყვას მარჯვენაში, და თლიდა ამრიგად ნაყოფს. „მსხალი უნდა წავიღო კრასნო-

დარში“. ამბობდა ის. მერე გარიგდნენ/კიდევ და მას უნდა წაეღო ხელი, მაგრამ სვიმო ბაბუამ ურჩია, ვერაფერი უნდა მსხალი, გზაზე გაგიფუჭდებო. სახელსაც ეძახდა იმ კაცს, მაგრამ არ მახსოვს, ასე ურჩევდა და მიუხედავად სტუმარი კაცის გაძლიანებისა, სვიმო ბაბუამ მაინც დაუშალა და არ მიჰყიდა მსხალი. კრასნოდარში ვერ გაატანო, ეუბნებოდა, თუ გინდა უქირის ბაზარში წაიღეო; ვაჭარი ამბობდა, თქვენთვის ხომ სულერთია, თუ სად წაიღებ, ჩვენ ჩვენი ვთქვათ, მოვრიგდეთო, და მერე ჩემი საქმეაო. ან სვიმო ბაბუას მოტყუებას რა უნდოდა მაშინ, რა დიდი ტყუილი იქნებოდა: აელო და ეთქვა იმ სტუმარ კაცს ასე: კაი, პატენი, უქირის ბაზარში წაიღებო ხილს. მაგრამ სტუმარი ამას არ ამბობდა, სვიმო ბაბუა უარზე იყო — კრასნოდარში მსხალს არ ატანდა, და ასე და ამრიგად მორჩა მათი მოლაპარაკებაც. მერე ის კაციც წავიდა. კიდევ შემოვივლითო, ალბათ, იმ კვირას, — ასე დაიბარა, იმედი თუ ჰქონდა, სვიმო ბაბუა რომ მაინც მიჰყიდა მსხალს, მაინც გაატანდა კრასნოდარში და მიტომაც დაიბარა ასე; ის კაცი მერე არ გამოჩენილა. ვაჭრებმა ტყუილი იციანო, ამბობდა სვიმო ბაბუა, თან ისე ამბობდა ამას, ვერ გაიგებდი, რა უფრო უხაროდა, იმ კაცმა რომ პირი გატეხა თუ, საერთოდ სიმართლე რომ თქვა — ვაჭრებმა ტყუილი იციანო. ხოლო სანამ ბაბუა სვიმო იმ დღეს ყანიდან ამოვიდოდა, კარგა ხანმა გაიარა; სტუმარმა წყალი ითხოვა, მე კისკენ გავიქეცი, ამოვიღე ვედროთი წყალი, ავავეს ჩვენი თიხის დოჭი, ანუ ორკოლი, ლუცა ბებია კი, ამასობაში, მახსოვს, ოდა-სახლში შევიდა და იქიდან გამოიტანა თხელი და ლამაზი ჭიქა, პაწია საინზე დადო; მოხატული იყო ის საინი, ორი მრგვალი წრე გასდევდა ნაპირზე, ხოლო იმ ადგილას, სადაც ჭიქა იდგა, ყვავილი ეხატა. აიღო სტუმარმა ჭიქა და გამოჩნდა ყვავილი, წყალი კი ლუცა ბებიათ მიწადა თვითონ, დოჭი

ხომ მე მომქონდა და იმ კიკა-საინსაც, მეგონა, მე დამაქერინებდა ხელთ ლუცა ბებია, როგორც მუდამ, მაგრამ, არა, ლუცა ბებიათ თვითონ გააკეთა ეს. და ყველაფერი ისე გამოუვიდა, გავიფიქრე, ლუცა ბებიას ის კაცი მოაგონა-მე-თქი, ალბათ, ამან, ამ ხილის ვაჭარმა-კაცმა. ახლა რომ ჩვენთან იჯდა: ერთი გავიფიქრე, მეტი არა, და მიმავიწყდა კიდევაც ის გასვენების დღეც, ის ხილის ვაჭარიც. ასე დამამახსოვრდა ის ამბავი, ის შემოხედვა, და ის გაფიქრება, მაშინ რომ რალაც ვიგრძენი და მართალი მეგონა თავი ჩემი.

* * *

ამსობაში ამიღო ბიძიამ სამოანგარი-შო სკოლა დაამთავრა. „ბუნალტერ კაცს“ სოფელში რა უნდა გაეკეთებინა და ამიღო ბიძიაც ქალაქში დარჩა. მე მალე შევიდწლედს დავამთავრებდი, ჩემსობაში შევიდწლედამთავრებული ყმა-წვილები თავს ანებებდნენ საერთოდ სწავლას, და რაიმე საქმეს ჰკიდებდნენ ხელს; ზოგი ხელოსანი ხდებოდა, ზოგი კოლმეურნეობას შერჩებოდა მუდმივად, ზოგიც შოფრის თანაშემწედ მიდიოდა, სვიმომ ბაბუა მუდამ კოლმეურნეობის მინდორში იყო და ცხადია, თვალს ვერ მიმატანდა, ლუცა ბებიას კი რა შეეძლო, ალე ბიძიას უკვე ცოლი ჰყავდა და საცაა, შეილიც უნდა შესტენოდათ. მათ თავიანთი საზრუნავი უბამდა ხელსა და ფეხს; ამრიგად, ვრჩებოდი ჩემი თავის აპარა და უფლება მქონდა, რასაც მოკისურებდი, ის გამეკეთებინა. ყველაფერი ერთმანეთს წაეწყობა ხოლმე, არაფერი არაა წინასწარ მოფიქრებული, გააზრებული, გულშიც კი არ გაგივლია იმაზე არაფერი, რაც უნდა მოხდეს აწი, და ის მაინც მოხდება, აი, როგორც ეს გზაა ახლა: ამ დიდ მინდორს გაივლის, მერე შუქაზე გავა, შუქადან სამანქანო გზაზე, იმ გზიდან კიდევ პაწია კარამდე, ეს გზისპირა ადგილია, იქ სოფლის ცენტრია და იმ პაწია კართან დგას ვილაციის ველოსიპედი. თვითონ ის კაცი სოფლის უნივერსიტეტშია ახლა, რალაცას

ყიდულობს იქ, მე მივდივარ, არადაპირ და ხელს ვადებ იმ ველსიპედს, გამოწმებ თითქო, ვსინჯავს, უნდა ვსინჯე-ვი უბრალოდ, ხომ უნდა მოეჩვენოს ვინმეს, გზად მიმავალს, რომ ის ველოსიპედი ჩემია; აქ მქონდა მიდგმული დროებით, ახლა კი მივდივარ და ვკლები ჩემს ველოსიპედზე, ასე დავუყვები წყარიშიდან უჭირს მიმავალ გზას. ასე მივალ იმ ქუჩაზე, სადაც დედაჩემი ცხოვრობს. ბოკონებზე შემოდგმული სახლიდან გამოვა დედაჩემი, მერე მამინაცვალი გამოვა ჩემი, ისინი ხომ მაშინვე მიხედებიან, რომ ველოსიპედი ჩემი არაა, არც ჩემია და არც მითხოვია ვინმესგან, მიხედებიან, მაგრამ არაფერს არ შეიძინებენ. „რა კარგი ველოსიპედიას!“ — იტყვის ის კაცი, დედაჩემი ჩემად იჯდება, ფიქრიანი იქნება მთელი საღამო, მერე ჩვენ ერთად ვვახშობთ, ჩვენ ოთხნი: დედა, ის კაცი, მე და ჩემი პატარა დაია — მყავალა. იმ დამეს მე უჭირში ვრჩები. ახალმა საწოლმა ახალი სიზმარი იცის. ვაბრუნებ ამ ველოსიპედს, სკოლაში ამ ამბავს არ გააცხადებს მისი პატრონი და ამითვე მორჩება ყველაფერი. მაგრამ სიმართლე სხვაა: მე რომ დამაწვინა, ამდგარა საწყალი დედაჩემი და ვილაციასთან ერთად ყუ-შში ჩასულა წყვარამი ლამით. იქიდან მათ ლუცა ბებია შემომატებიათ და ამრიგად სამივე ერთად მისულან იმ ველოსიპედის მეპატრონესას. მას თავი მოუკლავს, ასე და ასეო, უთქვამს, ცხვირს დავუნაყავო, მმარს, ვადენო, სკოლაში კი არ მივალ, იმ ბოთე დირექტორს ისედაც ვემდური, ველოსიპედს კი არ დავიბრუნებო, ახალი უნდა შევიდოთო; მაგი კარგი ბავშვია, მე ვიციო და ველოსიპედის ღირსი კი არიო, მაგას უყიდეთო ის ველოსიპედი. გამობრუნებულან მაშინვე და წამოსულან. ჭერ ლუცა ბებია მიუყვანიათ შინ, სვიმომ ბაბუას სძინებია და არც კი გაუღვიძებიათ, არც გაუგია სვიმომ ბაბუას ეს ამბავი, მას მერე გამობრუნებულან ორივენი და საცაა, გამთენიას მოსულან შინ. მერე დილით მე და დედაჩემი ფეხით

მივედით წყარიშის სკოლაში, ველოსიპედი კანჯა სადანიას გაატანეს, გაყიდეს, დაუმატეს კიდევ ფული და ჩააბარეს იმ კაცს, წინაღუეს რომ სოფლის კოოპერატივში შევიდა რალაცისთვის. იყიდა თუ არა მან იმ ფულით ახალი ველოსიპედი, — არ ვიცი, არც დაინტერესებულვარ ამით. აშბავი კი გაიფოთლა; იმ დღიდან მოკიდებული, ყველაფერი შეიცვალა. მე უკვე ის პატარა მიხა კი არ ვიყავი, როგორსაც მიცნობდნენ აქამდე, არამედ სრულიად სხვა. თითქოს ხანიც მომშატებოდეს, სხვანაირად მიყურებდნენ და სხვანაირად მეპყრობოდნენ ყველანი. მხოლოდ სვიმ ბაბუას თვალში არ შეცვლილა არაფერი. „ჩქარა მიდიოდით?“ მეკითხება შეუკაში ხინტუ დარანდია, ჩემი სკოლის ამხანაგი. „შემოეთრიე, შინ, თორემ ჩქარას მოგცემ შენ“, — გაისმის დედამისის ხმა და ხინტუ დარანდია შურდულევიით მიპქრის შინ. მხარზე რომ ჩითის ჩანთა მკიდია დაა სკოლაში მივდივარ — ლუცას მოთაათ, მაგიაო, — ამბობენ შეუკაში გამოფენილი სოფლის ქალები. სამეგრელოში ხომ ძველთაგანვე ცხენის ქურდობა იყო განთქმული. დრომ გაიარა და შემოვიდა ახალი ხელობა — ახლად ჩაყრილ ვაზს იპარავდნენ სოფელში. მივიდოდა მითვალთვალებული ქურდი შუალამისას, ამოთხრიდა ქორთა ვაზს და გაანადგურებდა საწყალ კაცს. ერთ ღერ ნერგს აღარ დაუტოვებდა. ზოგს ძალი ება ვენახში, ზოგს კიდევ სანიშნო ზარი ჰქონდა გაყვანილი ოდიდან ვენახამდე, ზოგი სულაც ფხიზლობდა ღამით და დღისით იძინებდა. მაგრამ ქურდებს მაინც თავისი გაჰქონდათ. მოხდა ასე და ჩვენი დიდი მინდვრის მიღმა მოსახლე კაცს, ტრიფო დარანდიას ამოუყარეს ვაზი. ის კაცი კი, თავისი გზით კი არ წავიდა იმ ღამეს, არამედ ის დიდი მინდორი გადმოიარა, ჩვენს ჭიშკარს მოადგა, ჩვენი ეზო გაიარა, და ოდის უკანა ალაგედან გაჰყვა გზას. ეს მე საიდან მეცოდინებოდა, მაგრამ ძალიან კი დამწყუდა გული, ვაი თუ მე დამაბრალეს-მეთქი, ვიფიქრე იმ დი-

ლით, როცა ეს აშბავი გაისმა სამეგრელოში. ახლა ვფიქრობ, ის დალოცვილი ქურდი ჩვენი ეზოდან რომ მანქანისა და ლიუო ღამით, მაინც ჩვენთან მოვიდებოდა, დნენ-მეთქი, ის მეძებარი ძაღლები, ტრიფო დარანდიამ რომ მოიყვანა მეორე დღით. იმდენი ვიფიქრე და ისე არ მინდოდა, ჩემთვის დაემბრალებინათ იმ ვაზის ამოთხრა, მაგრამ მეტი საშველი არ რჩებოდა, ალბათ, და მაინც ჩემზე უნდა აეღოთ ეჭვი. ორი ძაღლი და ორი მილიციელი რომ ჩვენს ეზოში შემოვიდა, სვიმო ბაბუამ, რა თქმა უნდა, ერთი მოსვლა სიკვდილი კი ვაათავა, მაგრამ, როგორც წესი, ამეგრადაც არაფერი შეიძინია. არაფერიც არ მომხდარიყოს თითქოს, მე იქ არ ვიყავი იმ დროს და ამას ყველაფერს ისე ვყვები, მაგრამ მე ხომ ნამდვილად ვიცი, ყველაფერი ასე იქნებოდა, როგორც ვწერ. მე და ხინტუს იმ დღეს, აკალიდან რომ მოვდიოდით, ჩვენი შეუკის თავში დაგვხვდა ტრიფო დარანდია. მე ხომ არაფერი არ ვიცოდი მაშინ, სკოლა შორს გვედო, მე ყუმში ვცხოვრობდი და სკოლა კი წყარიშში მქონდა, ყუმის სასოფლო საბჭოს ეკუთვნოდა სვიმო ბაბუას სახლი, ხოლო გახუ დარანდიას სახლი, ჩვენი ღობის მეზობლისა, წყარიშს ეკუთვნოდა, აქედან მოყოლებული წყარიშის სკოლამდე მთელი შვიდი ვერსია. ყუმშიც კი იყო სკოლა, მაგრამ სოფელღობის თქმით, წყარიში ქალაქთან უფრო ახლოა და მიტომაც, უფრო კარგი სკოლაც იქაა, ხოლო ყუმის ცენტრიდან ქალაქამდე, ესე იგი უქირამდე დაახლოებით 12 ვერსია, წყარიშიდან კი — ოთხი. ქალაქის სკოლასავითააო, იტყოდა გახუ ბიძია, ის არ იყო კოლმეურნეობის წევრი, პაჭუ ბიცოლა კი იყო, მისი მეუღლე და კრეფდა ჩაის ჩვენთან ერთად, ყუმის პლანტაციაში, მაგრამ გახუ ბიძია მოსამსახურე კაცი იყო, ქალაქის ფოსტაში მუშაობდა, დღემდამ ერთიდაიგივე ფორმა ეცვა, ერთნაირი ტანსაცმელი ეცვა-მეთქი, ფოსტის მსახურისა; მახსოვს, რანაირი მოწიწება მქონდა იმ ფორმისადმი, რალაცანი-

რი სინდართლისა თუ სიზუსტის გამოხატველი იყო ის მდებლსფერი და ზოლიანი ტანსაცმელი, მიტომაც იცოდა, ალბათ, გახუ ბიძიამ ყოველთვის, რა დროს იყო, რამდენი გაყვეთილი მქონდა დამთავრებული სკოლიდან რომ მოვდიოდა, ამგვარივე მოწიწებით შესცქეროდნენ მას სხვებიც, ქალი თუ კაცი, ბავშვი თუ მოხუცი, გახუ დარანდია ყველასაგან განსხვავდებოდა. ბახუ ბიძიას, თითქოსდა, მე სხვა ბავშვებისაგან გასორჩეულადაც კი ვუყვარდი. ან ისე შეჩვენებოდა მხოლოდ, მაგრამ ერთი ცხადია, მე ჭალაქელი ვიყავი მისთვის, ქალაქიდან ჩამოსული, ისიც ქალაქში მსახურობდა, და ამროგად გვაკავშირებდა რაღაც უხილავი ძაფი, ნათესაური და მახლობელი. მიტომაც მანებებოდა ის და წანდისან, თავის ველოსიპედზედ დამსვენებდა ზოლზე; ველოსიპედს ხელს არ ვაუწყებდა და თავის ეზოში, მუდამეგამს რომ დაგვილი მქონდა პაქუ ბიციოლას და ბალახი არ ხარობდა — იქ მასეირნებდა. ეს იყო უჩვეულო ზეიმი. ზოლოს ზომ იჭამდეც შივედი, გახუ ბიძიამ სულაც ვაუწყებდა ხელი ველოსიპედს და მე მარტოცა დავუყვები ბილიცს; ჩამოვარდნა ზომ მახსოვს, მსხალს მივეწარცხე, მახსოვს, ლეცა ბებიას წუწუნი მახსოვს, ფეხი რომ გადავიტყავე, ისეც კარგად მახსოვს, მაგრამ, როცა მე ყველას იკვალწინ — იმ ეზოში ველოსიპედს დავაჭროლებდი და ყველანი მე მიყურობდნენ, ცირკის წარმოდგენასავით შემოიჩინა ხსოვნას. აი, ახლა დავეცემი და აი, ახლა, ვფიქრობდი მე, ვუვლიდი ეზოში ჩამწკრივებულ მსხალსა და ხერმის ხეებს გარშემო, ხან კიდევ ძალიან გათამამებული, ხესა და ხეს შუა გავივლიდი, ადგილი ზომ მეტად მცირე იყო, მაგრამ მობრუნებას ვასწრებდი და მაყურობელს შთაბეჭდილება ექმნებოდა, აი, ახლა მიენარცხება ხეს, და აი, ახლა, მაგრამ მე დაუმარცხებლად დავამთავრე იმ საღამოს ჩემი პროგრამა და გახუ ბიძიამ მითხრა, ველოსიპედი გაწმინდეო. მერე ყოველივე ამას რაც მოჰყვა, ხომ კარგად იცით, მაგრამ იმას

ვეკებოდი, იმ დღით, ტრიფო დარანდიას გაჭურღვის ამბავი მე არ ვიცოდით, რადგანაც სკოლა მთრან გვედოდა და სახლიდან ადრე უნდა გამოვსულიყავი; არაფერი ვიცოდი და ისე გამარტება ხელი ტრიფო დარანდიამ. მას მერე მთელი თვეების განმავლობაში ჩამემის ზოლზე ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიტყვები, „ვაზი სად ჩაყარეთო“, ესე იგი სად გადამაღეთო, რა თქმა უნდა — „შენთან ერთად ვინ იყოო, კიდევ“, „რამდენად გაყიდეთო“, და ასე შემდეგ. რაც მთავარია, სვიმონ ბაბუას ეს ამბავი არ გაუგია; არ გაუგია, სკოლიდან მომავალს როგორ დამხვდა გზაზე ტრიფო დარანდია და როგორ მცემა. ტრიფო დარანდია, ალბათ, თვითონაც არ იყო ბოლომდე დარწმუნებული იმაში, რასაც ფიქრობდა და რასაც აკეთებდა, თორემ რატომ დამალავდა. იმ ოხერი ველოსიპედის ამბავი კი მთელმა სოფელმა იცოდა. ასე მეგონა, იცოდა წყარისშმა, ყუმში, უქირმა, აწი ოქუმშიც კი ეცოდინებოდათ ეს, და რაღა პირი მქონდა, ახლა მეთქვა, ტრიფო დარანდია დამხვდა გზაზე და უდანაშაულოდ მცემა-მეთქი. რანაირი სურათი არ მეღანდებოდნენ მას მერე. ვწევარ მე, თვალები ღია მაქვს, უკვე ყველას სძინავს, სვიმონ ბაბუა ხერინავს გემრიელად, ლეცა ბებია კარგა ხანია ჩააქრო ლამპა და დაწვა, ალუ ბიძია თავის ახალმოყვანილ ცოლთან ერთად წევს ჩვენი ოდა-სახლის დიდ ოთახში, დროებით წევანან იქ, რაღაცნაირი მოწიწებაა საქორწინო რიტუალისადმი, თორემ ცოტა ხნის მერე, დაახლოებით ერთი წლის მერე, ისინი ოდის პაწია ოთახში გადაბარგდებიან, მერე კიდევ გაივლის ხანი და ერთხელაც ნუნუ ბიციოლასაგან ამგვარ სიტყვებსაც გავიგონებ, (მე კი არ მეტყვის, რა თქმა უნდა, იმ სიტყვებს, არამედ ალუ ბიძიას ეტყვის და უბრალოდ მოვკრავ ყურს) „გახსოვს ალუ, ამ ოთახში რომ გვედგა საწოლი ჩვენ“, მე ფიქრით გარეთა ვარ, გაქანებული ველოსიპედით მოვჭრივარ წყარისის თემშარაზე, რაც ძალი და ღონე მაქვს ვაწვები და მოვაჭრიალებ

ველოსიპედს. ჩემს წინ, უეცრად, ტრიფო დარანდიას ზურგი დაჩნდება, ზუსტად ისე, თითქოსდა შინ ბრუნდებოდეს კოლმეურნეობიდან, და მე პირდაპირ ვაჯახებ ჩემს ველოსიპედს, მერე ჩემი გონებით დაწვრილებით აღვეწერ შარაზე მომხდარ ავარიას, და ბოლოს და ბოლოს ვხვდები, ეს ლაჩრული საქციელია; თავიდან ვიწყებ: ვიღებ რევოლვერს, ჩერ არის და ვყიდი მსხალს, ან ბამბუქს, მიმაქვს სვიმო ბაბუს თვალიაგან მოფარებით ქალაქში და ვყიდი იქ. ვაგროვებ ფულს. ფულს მაქვს. სად იშვია ახლა რევოლვერს, ვშოთლომ ერთ რევოლვერს, მაგრამ ესეც რომ არ შევლის საქმეს! საჭიროა მეორე რევოლვერი. რა უნდა ვქნა, სად ვიშოვო ტრიფო დარანდიასათვის რევოლვერი. ან რევოლვერიც რომ მქონდეს სკეუნდანტად ვინ დამიდგება. ჩემიანს ვინმეს მე არ ავიყვან, და კანჯა დარანდიას კიდევ ვინ გამოუშვებს: დრო მიდის. მე შოფერი ვარ. ვაჯახებ მანქანას და კვდება ტრიფო დარანდია. და მე ვიშვლები. იმ დროს კაციშვილი არ მოდიოდა გზაზე და არავინ იცის, თუ რა მოხდა, მაგრამ მეორე დილას, გაბუ და რანდია დგება აღრე, და მიდის ფოსტაში თავისი ველოსიპედით. „შენ?“ კი, მე-მეთქი, ვეუბნები გაბუ დარანდიას. ტყუილი არ გამოვა. მინც გაიგებს სიმართლეს, არაფერი გამოძის. მეძინება. მეღვიძება. ვბორგავ. წავალ უჭირში, დედასთან ერთად ვიქნები, ის ყველაფერს გამოიგებს. იქ სხვანაირად ვიცხოვრებ, სულ გამოვიცვლები, ჩემზე არავინ არ აიღებს ეჭვს არასოდეს და ვიქნები, როგორც ყველა ჩემი მეგობარი, ჩემი სკოლის ამხანაგები. მორჩა და გათავდა. გადაწვეტილია.

რატომ გავიტაცე მე ველოსიპედი? მაშინ ყველაფერი ერთ რამემდე დადიოდა, ერთ რამეს უახლოვდებოდა, და მერე, თავისთავად, იქიდან ვრცელდებოდა სხვა მხარეს, იქიდან იშლებოდა, და ყოველთვის ჩანდა დედაჩემი. ხან კიდევ ხინტუ სადანი მაგონდებოდა, ჩემი კბილა ბიჭი. მე ველოსიპედით შევ-

დიოდი იმ ქუჩაში, სადაც ჩემიანები ეახლნენ, სადაც სახლობდა ხინტუ სადანი; ქალაქის ის მხარე, მდინარედიდან სახლობელი, იქ, მარტოოდენ სადანიები სახლობენ თითქმის; სხვა გვარის მოსახლე აქა-იქ თუ გამოერეოდა. ქუჩის ორივე მხარეს, ალვის ხეები ჩამწკრივებული, თან კიდევ თალარია გაქიმული პირდაპირ მესრის გასწვრივ, ვენახის ფოთლითაა დაფარული ქუჩის ბილიკი, იქ ჩრდილია და იმ ჩრდილში რომ ველოსიპედით გაიარო, არც დაგინახავენ, არც გამოჩნდები მკაფიოდ. ესე იგი, ვერავინ იტყვის ზუსტად, ეს შენ მიდიხარ ველოსიპედით, თუ სხვა ვინმე, მიტომაც მე ერთი სული მქონდა იმ ქუჩაში გავლისა, იმ ქუჩის შუა წელიდან არ გავიდოდი, არ გაუხვდები და ისე წავიყვანდი ველოსიპედს, სადამო ხანი იყო და ხინტუ სადანი დამინახავდა მე, მიხასთვის სოფელში ველოსიპედი უყვიდათო, გაივლებდა გულში, ამას გაიფიქრებდა, ეწყინებოდა ალბათ, ან შეიძლება სულაც გახარებოდა; ხომ უხარია ბავშვს, როცა ვილაყის ველოსიპედს უჭიკავებს და მისდევს მას...

ახლა მახსენდება, თუ როგორ შემოვიდა სასადანიოში პირველი მსუბუქი ავტომანქანა. ის „მოსკვიჩი“, ვაჩე სადანიამ შემოიყვანა ჩვენს შუკაში. მახსოვს, როგორ აპაპინებდა ვაჩე სადანი მანქანას, როგორ გააჩერა და გადმოვიდა მანქანიდან. ახლოს კი ვერ ვხედავდით მისვლას, შორიდან ვუყურებდით, გვეშინოდა, მანქანა არ დაძრულიყო უცებ, თავისით. დრო გადიოდა და ჩვენ იმ ფოლადის მხეცს ვუახლოვდებოდით, უფრო და უფრო ახლო მივდიოდით, და მერე, ზუსტად ისე, როგორც ახლა წერენ ხოლმე გაზეთებში, რომელიმე აფრიკელი ტომის გამო, სადაც ეს-ესაა ჩაფრინდა ვერტმფრენი და გააკვირვა იქ მცხოვრებნი, ზუსტად ისე, იმგვარი ტყუილი და პირველყოფილი სიფრთხილითა და შიშით მივიწყდით იმ „მოსკვიჩისაკენ“, მერე იმ მანქანას ჩვენ ხე-

ლიც მოგვიდეთ, მაგრამ ვახე ბიძია ყოველთვის გვიცაცხანებდა: „იციო რა არის ეს!“ მერე ის მანქანას ძრავდა ადგილიდან, მიყვირებდით ჩვენ, მიჭროდა მანქანა და მისდევდა უკან გამოხაზულქვი... ახლა ვიცი, დედაჩემს ნახვა მწყუროდა უბრალოდ, და ეს იყო მიზეზი, ველოსიპედი რომ გავიცაცე. არაფერი კი არ მიფიქრია იმ დროს, ამას იმიტომ ვაკეთებ-მეთქი; ვერასგზით ვიგონებ იმდღევანდელ სკოლას, იმდღევანდელ გაკვეთილებს, არ მახსოვს, რა მკითხა მასწავლებელმა, რა—არა, ერთი მხოლოდ, შაბათი დღე იყო ნამდვილად. შაბათის მერე კვირა მოდიოდა, ჩვენ სკოლაში არ წავიდოდით და რალაცნაირი სივრცე იშლებოდა ჩემს წინ. მაგრამ კვირაზე მეტად მე სწორედ ეს დღე მიყვარდა, ეს შაბათის გაკვეთილები, რალაცა მთავრდებოდა, რალაცა იწყებოდა, — და ისე ბუნებრივად მოხდა ყველაფერი, როგორც ხდება ხოლმე მდინარის პირას (ველოსიპედის გატაცებაზე ვყვები) სადმე, უფში, ან სინწაში რომ იზანავებ და ნაპირზე გამოხვალ, და აუცილებლად დაფერთხავ ტანსაცმელს, იმგვარად...

სადმე გუდუს ტომბაში, თუ ქუთუს ტომბაში, რა ბედნაა, თუ სად ბანაობდი მაშინ, — აქ მთავარია ის პაწია, უმნიშვნელო ამბავი, შენ რომ წყლიდან ამოყვინთავ და მოულოდნელად, რომელიმე შენი მეგობართაგანი, შენთან ერთად იმ ტომბაში მობანავე, დაგადებს თავზე ხელს, არ კი იცი, ვინ, რომელი მათგანი: ხინტუა, თუ ვინ? მაგრამ სასტიკად არ გასამოვნებს ეს. რალაცნაირი უამური გრძობა გიჩნდება. გინდა გაახილო თვალები, ამოისუნთქო, დაიბნეო ფილტვები, გახედო ნაპირს, ან სულაც შენს ტანსაცმელს, შენს ჩითის პერანგსა და აკაპიწებულ შარვალს, შეჭმუჭნილი რომ დევს უფშის პირას, ქვებს შორის, აქ ხომ ყველანი ერთი კბილანი ხართ, ერთ კლასში სწავლობთ, შენა ბარგს ვინ წაიღებს, მაგრამ იმ შენი ტანსაცმლის თვალის შევლდება, მაინც რალაცნაირ სიამოვნებას გგვრის;

ახლა ვფიქრობ, ამას იმიტომ ვაკეთებს წყლიდან ამოსული კაცი სალბათ, რომ ისევე სინამდვილეს დაუბრუნდეს თავისი თავი. საკუთარი ტანსაცმლის ნახვაროგორც ჩანს, ერთგვარ რეალობასაც მიანიშნებს. ესე იგი, წყლიდან ამოყვინთვის მერეც ისევე ის ქვეყანა დაუხვდა მას, რაც წყალში ჩაყვინთვამდე იყო. ხოლო, როცა ეს-ესაა ამოყვინთე და ამოაჩინე თავი წყლიდან და უცებ გადებენ თავზე ხელს, და თან რომ არ იცი, ვინ! — ესაა ბნელში მიბრუნება, მოწყვეტა გარე სამყაროსთან, უფრო სწორად, იმ ბუნებასთან, რაც ეს-ესაა რეალობად უნდა ქცეულიყო, და უბრუნდები რალაცნაირ სიყრუეს, გინდა — საყრუეთს. სადაც ხმა არა აქვს არაფერს, ყველაფერი მოგუდულია და მოშთობილი, იმგვარი, როგორც ხავსი — სადმე ფაქერზე მდებარე, გრილ ქვაზე მიკრული, და სიწყნარეა იქ, უსახლეო და სამარისებური, მირიადი საუკუნეებია მანძილზე განფენილი, უამური სიწყნარე; ბაბუა სვიმო რომ ზის გაქვავებული კველზე სალამო ხანს და ლუცა ბებია ამბობს: გუქამო რამე, თოლივე! — იმგვარი, — ის რომ პასუხს არ გასცემს, თავის ფიქრებში რომაა წასული, და თან გულისამაჩუყებლად საყვარული: თოლივე, გუქამო რამე! — იმგვარი, — კი იჯდება იქ გაუნძრევლად, დალამდება კიდევ, ჯარგვლიდან ოდაში მიდიან ყველანი, მიდის ალე ბიძია, მიდის ლუცა ბებია, ნუნუ ბიცილა, წავიდა კრაქი, ჯარგვლიდან ოდაში, რატომღაც ისევე მობრუნდნენ უკან, ბრუნდება კრაქიც, ივლიან ასე ფეხაკრეფით, ვერაფერს კი ვერ იტყვიან, ხმასაც ვერ ამოიღებენ, ლანდებივით ივლიან ასე, განზრახ გამოიყვანენ ოდიდან კრაქს, განზრახ მიანათებენ ბაბუა სვიმოს, განზრახ ჩაუფლოან მას, მაგრამ ხმას კი ვერ ამოიღებენ, შიშისაგან, რიდისაგან, ლამისაგან, კოლმეურნეობისაგან, ცხოვრებისაგან, — იჯდება ბაბუა სვიმო იქ, რამდენ ხანსაც მოუნდება, იჯდება და უფრო და უფრო დაემგვანება გადაქრილ ხეს, ასე მხრებში მო-

ბრილი, ასე უჩუმიარი, ასე გარინდებუ-
ლი, ვარსკვლავები ამოვლენ ცაზე, ამო-
სინათლდებიან ნელა, თუთარჩელა და-
ხედავს ჭალებს, დახედავს ჩარგვლის
წინ გატრუნულ ბერიკაცს, შეკრთება
თუთარჩელა, ურთისკენ გადაიხრება ნე-
ლა, ძალი გამოჭრება საიდანმე, მიუ-
ახლოვდება ჩარგვლის წინ დამხოზილ
კაცს, შეუყვანს წყვეტილად, ვერ კი შე-
ასმენს ვერაფერს მას, გაეცლება და
წავა. და დამყვინთავს მე ისევ რომე-
ლიმე ჩემი მეგობრის ხელი, — და სიწ-
ყნარეა უკიდევანო, ყოვლისმომცველი.
გადაწყვეტილი მქონდა, მეორე დი-
ლით, ჩვეულებრივად ავდგებოდი, ვისა-
უზმებდი, ავიღებდი ჩანთას და წყარი-
შის სკოლის ნაცვლად უქირში ამოვყო-
ფდი თავს, მაგრამ გაუფრთხილებლად
წასვლა, — გაპარვა გამოდიოდა და
ესეც მათქობდა. რა უნდა მექნა? ბა-
ბუა სვიმოს მე გვერდით ვერ დავეუჭ-
დებოდი და მისი ტოლი ვერ გავხდებო-
დი, ეს შეუძლებელი იყო და საუბარი
ჩვენ არ გამოგვივიდოდა, თუ როგორ
უნდა მეცხოვრა აწი. ეს „აწი“, უცნაურ
რალაცას ემგვანებოდა ჩემთვის. აქეთ
ხომ მზე იყო და მიწდორი, ხილი იდგა
და ვენახი, ჩვენი სახლუელი და სამე-
ზობლო, და კიდევ რამდენი რამ, წყლი-
ანი მსხალი და გრძელი სკამი, ბაბუა
სვიმო რომ იძინებდა შუადღით, ჭრა-
ქით განათებული მაგიდა და ნარდი,
ნელი და წყნარი საღამოები, ისიც კი
გავიფიქრე, ტერე ჭანაია დიდი კაცია
და ყველაფერს მოარიგებს-მეთქი, ან
სულაც მე გავეყვებოდი ყველაფერს
აწი, სკოლაშიც კარგად ვისწავლიდი და
შინაც ვიძუშავებდი, ყველას დავუჭე-
რებდი და სწორედ რომ მისაბაძი ბიჭი
გავხდებოდი, რას არ ვფიქრობდი, რას
— არა, ეს ყველაფერი ამ მხარეს იყო-
მეთქი, იქით კი რა იყო, რა ჩანდა და
რა მომელოდა, არ ვიცო. ის ღამე მახ-
სოვდა, მარტო რომ დამტოვეს შინ, სა-
ტირალში რომ იყვნენ ჩვენები. უარესი
იყო. არაფერიც არა ჩანდა. სიბნელე
იყო და მეტი არაფერი. გულსაწვავი
იყო ის მხარე, „აწი“ რომ ერქვა; აი,

ამ ღამის იქით რომ იდგა ის დღე, დღეს
კი არ გავდა. ღამე იყო სწორედ უმეგ-
რამ ღამეზე საშიში და უარესი, ჩანდა
დღის ადგილას იდგა, დღე უნდა ყო-
ფილიყო და ღამე კი იყო. ის დღე რომ
ღამე იქნებოდა, — ღამეც ხომ თავის-
თავად მოვიდოდა შემდეგი და ორი ღა-
მე გამოდიოდა ერთმანეთს გადაბმული,
და მერე კიდევ ღამე, რა თქმა უნდა,
და ასე შემდეგ, სულაც რომ არ გათენ-
დეს არასოდეს, აი, ეს დღე დაღამდეს
და არასოდეს არ გათენდეს, — იმგვარი
იყო ეს აწი, — ბაბუა სვიმო რომ ჩარ-
გვლის წინ იჯდა.
მეორე დღეა რომ გათენდა, თითქოს-
და ისევ მომეცა იმედი, ყველაფერი კა-
რგად იქნებოდა: სოფელში მარტო ჩვენ
ხომ არ ვცხოვრობდით, ტრიფო და-
რანდიას გადაეწყვიტა ის ამბავი; ხოლო
ბაბუა სვიმო იმიტომაც იყო ჩაფიქრ-
ებული და გაქვავებული იმ საღამოს, მ-
ხომ არ მიგულისხმავ მეზობელმა. მა-
გრამ ამას ვინ შებედავდა და მორჩა და
ჩაიარა ასე ყველაფერმა, და რაც ხანი
გავიდოდა, უფრო მიავიწყდებოდა ის
ამბავი სოფელს, მიავიწყდებოდა გახე-
ბიძიასა და ფილე დარანდიას, მიავიწყ-
დებოდა თვითონ ტრიფო დარანდიასაც,
მიუხედავად იმისა, მისი იყო ის ვაზი
ნამდვილად, მაგრამ სვიმო ბაბუას დიდ-
ხანს ეხსოვებოდა ყოველი. სვიმო ბა-
ბუა ან გულში სულაც არ შეუშვებდ-
აზრს, ან კიდევ, თუკი ასე მოხდებოდა
და რაიმეს გაივლებდა — მკაფიოდ, იმ
აზრს არ მოეშვებოდა, ჭიუტად კი არ იჭ-
დებოდა, როგორც იმ საღამოს, იმ ჩარ-
გვლის წინ, არც შეიმჩნედა სახალხოდ
არაფერს, მაგრამ გული კი ექნებოდ-
ნატყენი. მე რომ ავდექი და აივანზე
გამოვედი, მზე ამოწული იყო აღმო-
სავლეთით, სვიმო ბაბუა კოლმეურნე-
ობის ყანაში იყო წასული, დანარჩენებ
შინ იყვნენ, როგორც ყოველთვის, თნ
ოთხშაბათი დღე იყო, მახსოვს, შუაგე-
ლი კვირა, და მე ვიფიქრე, არაფერი
არ მომხდარა-მეთქი ისეთი, ან სულაც
მოჩვენებას ემგვანებოდა ყველაფერი,
მე როგორ დამაბრალებდნენ რამეს მე

ხომ ძალზე პატარა ვიყავი ბოლოს და ბოლოს და იმ ვაზის ამოთხრას მე ვერც შევძლებდი, რომც მდომოდა, ან რა ჯანდაბად მინდოდა ის ვაზი, ის ნერგები, სულელი ვარ-მეთქი, გავიფიქრე და აიენიდან ჩამოვედი რატომღაც, არკი მახსოვს რატომ, ღობის მიყოლებით ჩვენი ეზოს კიდეზე ჩიტის ლეღვი რომ იდგა, იქამდე მივედი, ერთ წამში მოვექეცი ჩიტის ლეღვს კენწეროზე და აღმოსავლეთისაკენ გავიხედე: კავკასიონზე ბრწყინავდა თოვლი, თვალს მჭრიდა იქიდან მომავალი სინათლე და საყვარელი იყო ყველაფერი. ერთბაშად მომემატა თითქოსდა ღონე. არასოდეს მომშვიებია ისე მაგრად და ისე დანამდვილებით, როგორც იმ დილით, იმ ჩიტის ლეღვიდან რომ გვეცეროდი კავკასიონის ელვარე მთაგზების, ერთბაშად ვიგრძენი გუნების შეცვლა; და ახლა რომ ვყევი ამას, ის პაწია ოდა-სახლი მახსენდება, დედაჩემს რომ ედგა უჭირის განაპირას: აი, იქ პაწია სახლში ვწევართ ყველანი: დედა, მამინაცვალი ჩვენი, მაცვალა დათა და მე. დედაჩემი და ის კაცი ერთ საწოლზე წვანან. ის საწოლი, ის ნიკელის აწოლი ოქუმიდან რომ წამოვიღეთ, წყირე ოთახში დგას, ან სამზარეულოში; მახსოვს, მაცვალა დათა ცოტათი ვადმყოფობდა კიდეც, მგონია, ყელი ტკიოდა მაშინ, რომც არ ტკიებოდა ყელი მაშინ, მაინც იმ საწოლზე დაუგებდნენ ლოგინს მაცვალა დათას, მაგრამ სხვ, რამე მინდოდა მეთქვა — მე პირდაპირ იატაკზე მიწევდა წოლა. ხან კიდევ მაცვალა დათას ფერხით ვიწეკი, ან მაცვალა დათა იწეა ჩემს საფერხეში, მაგრამ მახსოვს, იმ ღამეს მაცვალას ყელი სტკიოდა, და განა მარტო იმ ღამეს, რამდენიმე თვე იყო აუად მაცვალა დათა, და კარგი მოვლა უნდოდა, — ვწევარ მე იატაკზე, მაისის თვეა მგონი, თბილი ღამეებია ქვეყნად, დავწევები ყველანი, პაწია ბალიშს ამოვიდებ თაფით და დავწევები ასე, მარცხენა გვერდზე, ან მარჯვენაზე, რა მნიშვნელობა აქვს და უცებ, დილით, მეღვიძება და

ვეგრძნობ, მთელი ღამე მხარია ან შეშეცვლია, როგორც დავწევი ისე გავეღვიძება, იმავე მხარეზე, და ამოვრთქვალ სიცოცხლეს ვგრძნობ, თითქოსდა ღონე მომმატებოდეს ამ ერთი ღამის მანძილზე, შესამჩნევი ღონე, მტეხავს ტანში, იმაზე მეტი ღონე მომეგრძობს თითქოს, რასაც ჩემი სხეული დაიტევდა, — ამას მახსენებს იმ დილით ჩიტის ლეღვიდან დანახული კავკასიონის მთაგზების, — მას მერე ოდნავად ამოვლდები კიდეც, ესე იგი, იმ ჩიტის ლეღვს კენწეროზე მოექცევი სულაც, მაგრამ იქიდანაც ის ჩანს მხოლოდ, რაც ლეღვის შუა ტანიდან, აწი გინდ იმ წყლიან მსხალზედაც ასულხარ, იქიდანაც ის გამოჩნდება მხოლოდ, რაც იმ ხის შტოდან, და ოდის სახურავზეც რომ ახვიდე, იქიდანაც იგივე გამოჩნდება; კაცი ხშირად ირჩევს და ადგება იმ გრძელ გზას, რისი ბოლოც თავიდანვე ცხადია და დადგენილი, და რამდენიც არ უნდა იაროს იმ გზაზე, არაფერი შეიცვლება. კაცს სინანულით ევსება გული, მას შეიძლება ბოდა მთელი ცხოვრება გაეტარებინა იმ ერთ ალაგას, სადაც ის დაიბადა და წამოიზარდა, და ყველაფერიც იქვე ექნებოდა, სიახლოვეს, ხოლო ის დრო, რასაც იგი მიეზას მოანდომებდა, მას დიახაც გამოადგებოდა. იმ ალაგს ის უფრო მეტად შეისწავლიდა, სადაც იდგა, და გამოიყენებდა კიდეც. ჩვენს სამეზობლოში ცხოვრობდა ერთი გლეხკაცი, გვარად დარანდია, გური, რომელიც მეტად ეტანებოდა სასმელს. სვამდა და სვამდა ის ბეჩავი გაუთავებლად და კიდეცაც ადრე წავიდა იმ სოფლად, როგორც თქვეს მაშინ, მაგრამ საწყალი ქალი მისი, როგორც ამბობდნენ, დღემუდამ ეხვეწებოდა მას, სანამ წავიდოდა, „მოეშვი, გური, მაგ არაყს“, ან კიდევ „მოეშვი, გური, მაგ ცეცხლს“. ეხვეწებოდა და ეჩიჩინებოდა ნიადაგ, ჩაი დალიეთ, წამალივითააო, მაგი. მაგრამ გური დარანდიაა არაყი უყვარდა. ბოლოს და ბოლოს, ცოლის დატინებით საქმე იქამდეც მივიდა, რომ ის არაყს ჩაის ეძახდა, — დამოსხი მაგი ჩაიო,

ეტყოდა ცოლა. წავიდა ის კაცი სოფ-
ლიდან, ორმოც წელს მიწეული იქნე-
ბოდა, მეტი არა, და სწყინდა ყველას,
მაგრამ სანამ წავიდოდა. სიკვდილის
წინ, ერთხელაც მივიდა მასთან მისი
თოლიგე და ჩაი შესთავაზა. გური და-
რანდია დაეთანხმა. მიუბრუნინეს თურ-
მე ჩაი ავადმყოფ კაცს. დალია ბეჩაემ
ჩაი, რა სასოება ყოფილაო, თქვა და
გადაუტევა თურმე სული. გური დარან-
დია რომ მობრუნებულყო და მინდო-
რი გადავლილი არ ჰქონოდა, იმ დღი-
დან ის ჩაის გარდა არაფერსაც არ და-
ლევდა. მაგრამ გვიანი იყო.

სვიმო ბაბუა უქირს იქით არსადაც
არ ყოფილა, და მე ეს მიკვირდა; რას/
გაიფიქრებდა და რას არა სვიმო ბაბუა
ამა თუ იმ საგანზე, ან ნივთზე, ან მოვ-
ლენაზე, მე არ ვიცი, მაგრამ, ერთი რამ
მკაფიოდ მახსოვს. სვიმო ბაბუამ თქვა
— კი არ თქვა, არამედ, ჩვენი ოდის
აივანზე რომ ისხდნენ ტერე ბიძია და
გახუ ბიძია, და თვითონ სვიმო ბაბუა,
აი, სწორედ მაშინ თქვა ის სიტყვები:
„აქედან, ბაბაია, ენგურ-წყალს არ უნდა
გასცდე კაცი და იქიდან კიდევ ხობის-
წყალს“. მაშინ იმაზე ლაპარაკობდნენ,
მაგონდება. — ჩვენმა ქარებმა მაგარი
იარაღი შეიძინესო, ტერე ბიძია ამბობ-
და ამას. ის ხალხში გასული კაცი იყო,
თბილისშიც კი იყო ნამყოფი და ამდენ-
ნად, მას მოწიწებითაც კი უსმენდნენ
იმ სალამოს. იმ ოდის აივანზე, სვიმო

ბაბუას ეს გაგონილი არ ჰქონდა და მე
სწორედ ეს დამამახსოვრდა. არავითარ
რეაგირება არ მოუხდენია მისთვის
ცნობაზე, დიდ ქალაქში რომ იმოგზაუ-
რებ და მერე გაიგებ, დიდი ძეგლის გვე-
რდით რომ ჩავივლია და ის ძეგლი არ
დაგხსომებია, ისე ჩაიარა ამ ამბავმა
სვიმო ბაბუასთან; მასხენდება თუ რო-
გორ ეწყინა ბაბუა სვიმოს ჩვე-
ნი ყუმის ქალაში მოტორიანი ხერხის
ნახვა, ჯერ იყო და ხმა გაიგონა სვიმო
ბაბუამ, ის ხმა კარგა ხანს ისმოდა ყუ-
მის ფერდიდან, მაგრამ, სვიმო ბაბუამ,
— ალბათ, ასე მგონია ახლა, მოტორი-
ლეტისას თუ მიამგვანა ის ხმა მაშინ,
ყურადღება რომ არ მიაქცია, მერე კი
წავიდა სვიმო ბაბუა და თოფამდე რომ
მივიდა საქმე, თოფი ხომ იქ არ ექნე-
ბოდა მაშინ, შინ უნდა მობრუნებულ-
ყო და რაკილა მობრუნდა შინ, ის მხერ-
ხავი კიდევაც გაიპარა. ან უბრალოდ
წავიდა, იფიქრა, ასე აჯობებსო და წა-
ვიდა ჩუმად, მაგრამ მე ასე მეგონა —
ის კაცი გაიპარა იმ დღეს ყუმის ქალი-
დან, რომ არ გაპარულიყო და თავისი
ნებით წასულიყო, აკი მობრუნდებო-
და კიდევაც, თან მას, როგორც გახუ
ბიძია ამბობდა, იმის საბუთიც ექნებო-
და, რასაც აკეთებდა, მაგრამ ის კაცი
მეტად არ გამოჩენილა და არც მისი
მოტორიანი ხერხის ხმა გაგვიგონია მე-
ტად.

არჩილ სულაიაური

შახანდელი აველიან

ჩემი თბილისი

ზემოუბანი,
ქვემოუბანი,
შუაბაზარი,
გარეთუბანი...
უნდა გაგრძელდეს ეს საუბარი,
თავის დიდ გზაზე დადგეს უფალი.

ჩემი ელია და ჩულურეთი,
ლენის აღმართი და ბამბის რიგი;
გაჩენის დღიდან რომ ეყუყურობდი —
მეტეხი — ცისკენ დაბრული ფიქრი.

ერთხელ ხომ კიდევ უნდა მენახა,
ვიდრე ჩემთვისაც დარეცდა ზარი...
მადლობელი ვარ, რომ მომეახლა
ბავშვობისა და სიზმრების მხარე.

ზემოუბანი,
ქვემოუბანი,
შუაბაზარი,
გარეთუბანი...
არ დასრულდება ეს საუბარი,
თავის დიდ გზაზე დადგა უფალი.

რა მიხარია...

სულ მალე მოვა ახალი წელი,
მივეგებები ცისფერ ინფანტას,
რომ ჩემი აახლის მაღალი ჭერი
მისი სხივებით მიმოიფანტოს.

რა მიხარია?
მე მიხარია
ის, რომ ერთი წლით უფრო ვებრძობი,
რომ ჩემს მწვერვალზე თოვლის ქარია
და მე ამ ქარებს არ დავნებდები.

რომ დავინახავ ცისფერ ღიმილში
ჩემი მამულის ახალრთველობას,

ის, რომ თბილიაი არის თბილისი
და საქართველო საქართველოა.

რა მიხარია?
მე მიხარია,
რომ მყავხარ ქვეყნად ერთი ნუგეში
და გულში ახლაც ის გრიგალია —
ამოვარდნილი სიჭაბუკეში.

კარს შემოაღებს ახალი წელი,
მივეგებები ცისფერ ინფანტას,
რომ ჩემი სულის მაღალი ჭერი
მისი ღიმილით მიმოიფანტოს.

ლოდინი წვიმაში



დღესაც უაზროდ მომიწევს მოცდა,
დღესაც ამოდ გავცქერი სარკმელს,
მაინც არ მოდის წყეული ფოსტა,
მაინც ხვალისთვის გადავდე საქმე.

ჩალაგებულა კარტებში თითქოს
წარსულისა და მომავლის ნიში
და სიცოცხლისგან უფრო მეტს ვითხოვ
ფიქრით,
ოცნებით,
წვალებით,
შიშით.

ხვალისთვის...

ოთახს ნაბიჯით ვზომავ
და მერმე, როცა წვიმა გადივლის,
დავიწყებული დღეები მომაქვს
და მაგიდაზე ვშლი ქალაღივით.

შავრამ ამ გულმა არ იცის მოცდა
და სურნელივით სინათლეს აკმევს...
დღესაც არ მოდის წყეული ფოსტა,
დღესაც ხვალისთვის გადავდე საქმე.

ქარაი

იგი დაამხო მან, ვინც აღმართა,
შებიღწა მანვე, ვინც გააღმერთა.

შუალამი

წყნარად.
დამშვიდდი.
უღროო დროა.
ყოველდღიური ცხოვრების მიღმა
ფერად-ფერადი სიზმრების ქროლვა
თავდავიწყებით მეძებს და მიხმობს

ფანჯარას რიღით ვინ აკაქუნებს?
შემზარავია საეჭვო რიდი!

ისეა,
თითქოს დღეს უნდა ახდეს,
რაც კი კოშმარი მინახავს დღემდე.
ვეხები ღამის უფორმო ნაკვთებს,
მივყვები, როგორც შეუვალ კედელს...

როგორც ოდესღაც, მე ახლაც მაკრთობს
ღამის მთრთოლვარე სახე და ფერი.
ვხედავ სიბნელის უფორმო ნაკვთებს
და, ვით განსაცდელს, ვეხები ხელით.

და უცებ იქით,
ფანჯრების მიღმა
პორიზონტს ბზარავს ელვარე ზოლი.
ან უნდა მიძმოს,
ან უნდა მიყმოს
სურვილმა მარად ნათლისკენ
ლტოლვის.

რა უცნაური ბედი მარგუნე,
საუკუნეებს წუთებით ვითვლი.

მორავი



რისთვის მოდიან?
მე არ ვიცი,
რისთვის მოდიან.

რისთვის არიან?
მე არ ვიცი,
რისთვის არიან.

რისთვის მიდიან?
მე არ ვიცი,
რისთვის მიდიან?

წესით და რიგით
უსათუოდ
უნდა ვიცოდე.

როცა მოვედი,
აღრე იყო
და ვერ გავიგე.

როდესაც წავალ,
მიტუმეტეს,
გვიან იქნება.

დღეს კი,
რადგან ვარ,
რადგან ვარსებობ.

ამ უმნიშვნელო კითხვებისთვის
არა მცალია
გადაუღებელ, ყოველდღიურ
საქმეთა გამო.

სიგარის განცდა

როგორ მიტუშვი ყველა სადავე,
ზომალდსაც აფრა ვერ გაუმართე;
ის, რაც დაიწყო,
ვერ მოათავე,
ტაძარი ველარ მოაგუმბათე.



წევხარ და ფიქრობ...
 თამბაქოს ბოლი
 ძველ ბოლმასავეთ გაღრჩობს და გზარავს...
 და მაინც „პო“ თქვი ბოლოსდაბოლოს,
 რაზეც ყოველთვის ამბობდი „არას“.

ლურჯი დაფნები

ფერიებს მიაქვთ ლურჯი დაფნები,
 სცენაზე ელავს მაღალი შუბლი.
 ახლაც უცნაურ სურვილს დაფნებდი
 ჩემ თავს გარშემო ჩრდილივით ვუვლი.

თანდათან ჰკარგავს თავის არსს სული,
 ან ჩვენ ვივიწყებთ სულის თვისებას.
 ველარ ვასხევებთ გრძნობას და სურვილს,
 ველარ ვგრძნობთ, რითი რა შეიცვლება.

და უცხო ფრინველს მხარზე დაფრენილს
 უსიზმრო ძილით ჩაეძინება...
 გოგონებს ისე მიაქვთ დაფნები,
 რაც ხდება, თითქოს ღმერთმა ინება.

უძილობა

მთელი ღამე ხმაურობდა ზღვა,
 ზღვის ხმაური სასთუმალთან მედო.
 უძილობით ახლა უნდა ეზლა,
 ბნელ სიზმრებში რაც ჩაგყარგე ერთ დროს,
 რაც ჩავლექწე, ჩაეფშვენი ღამით
 ნასიზმრალი, ბორცნეული ხმები,
 რასაც შეაცრად უკან ითხოვს ეამი
 და რის გამოც უძილობით ვკვდები.
 ზღვის ტალღებზე მიმსხვრეული ხმა
 ჩემ ძველ სიზმრებს ეშხეფება თითქმის...
 ვიცი,
 ერთხელ რაც მე უნდა ვთქვა,
 სხვა ვერავინ,
 სხვა ვერასდროს იტყვის.

ბივი ჭიჭინაძე

როგორ ასწავლა ჭიანჭველამ საგამდე თვლა ჭიანჭველაჭამიას

შესთხოვს წრიბა ჭიანჭველა
ჭიანჭველაჭამიას:
— მუხლმოყრილი გვეედრები,
ჯერ ნუ შეშვამ, ძამიავ!
სხვა დროს ალბათ შენი ნახვა
არც კი შემაშინებდა,
მაგრამ აბა, რა კვნა ახლა
პური მიმაქვს შვილებთან...
გთხოვ, ამ გზიდან მომეცალე,
შინ რომ სწრაფად გავვარდე.
ვფიცავ, ვიღრე სამს დაითვლი,
აქ გაეჩნდები მანამდე! —
დააკვირდა ჭიანჭველას
ჭიანჭველაჭამია,
და რას ხედავს: ამ ნამცეცას
მართლაც პური არ მიაქვს!
პური, მაგრამ რამოდენა! —
დაცქერის და არ სჯერა...
ეს რა მარჯვე ყოფილაო.
დაელოცოს მარჯვენა!
უთხრა: — კარგი, შენს პატარებს
მიიტანე საჭმელი,
მე კი, როგორც შემითანხმდი,
არსად წავალ, აქ გელი...
ჭიანჭველა შეეფარა
ბუჩქებს ფოთოლნამიანს
— ერთი! — ძლივძლივს ამოღერდა
ჭიანჭველაჭამია.
ერთი კი თქვა, მაგრამ მერე,
მერე რა თქვას, არ იცის:
ერთის შემდეგ მწყრივში რომ დგას
რომელია? რა რიცხვი?

ზის და ისევ გაიძახის:
— ერთი! ერთი! ერთიო! —
ერთი სიტყვით, მიკარნახეთ.
თორემ ისე ვერ ვთვლიო...
ის წრიბა კი, დროულად რომ
გამოვარდა ბუდიდან,
კარგახანი იღვა მის წინ
და განაჩენს უცდიდა.
მეტისმეტეი სიბრაზისგან
ბოლოს ისე აენტო.
შეუძახა: — არ გრცხვენია,
თავს როგორ ჰყოფ ვარეთო?!
ამოდენა აყლაყულამ
თვლა არ იცი სამამდე!
მე მოვედი ჩემს ვაჟაცურ
სიტყვას არ ველაღატი.
შენ კი, თითქოს არაფერი,
ჭიანჭველაჭამიავ,
უსაქმურად მაყურყუტებ
აგერ სამი წამია!
დაითვალე სამამდე და
მორჩი საქმეს საგმიროს.
ხედავ უკვე მზე რომ ჩადის,
ნიაგმა არ დაგგრილოს!
— უპ, რას ამბობ! — ძირს დაეშო
ჭიანჭველაჭამია, —
ვიღრე მართლა გადაგულამავ,
ჭიანჭველავ, ძამიავ,
სამამდე თვლა შემასწავლე,
გვხვეწები ძალიან,
თორემ, მერე ვინ მომხედავს,
ჩემთვის ვინა სცალია!



კიანჭველამ უთხრა — გატყობ,
 მთლად სულელი რომ არ ხარ.
 მაშ, თუ გინდა თელა ისწავლო,
 ყური კარგათ მომაპყარ.
 „ერთი!“ იცი, მაგრამ მაინც,
 რომ არ გადაგავიწყდეს.
 დაიხსომე ჩემი სიტყვა;
 ვიდრე დათვლას დაიწყებ.
 გაიხსენე ზოლმე მუდამ,
 ერთი რა გაქვს კისერზე.
 მიპასუხე რად აცმუკდი,
 აქეთ-იქით ვის ეძებ?
 ჩემო ძმაო, გატყობ პასუხს
 ნაჩვევი ხარ კარნახით.
 კისერზე გაქვს ერთი თავი
 ერთ გროშად რომ არა ღირს!
 კიანჭველაჭამია ბრის;
 თან ხმამალა ქაქანებს:
 — ერთი თავი რომ მქონია,
 არ ვიცოდი აქამდე!
 კიანჭველა კვლავ არიგებს
 თავის შეგირდს გოლიათს:
 — ესეც კარგათ დაიხსომე:
 ერთის შემდეგ ორია!
 აბა, ახლა უკარნახოდ
 თუ მიხვდები? — აქეზებს.
 ორი რა გაქვს მავ გოგრაზე,
 უფრო სწორედ, სახეზე? ?
 — ორი რა მაქვს? —
 ღრმად ჩაფიქრდა
 კიანჭველაჭამია,
 ცხვირი? არა! პირი? არა.

ორი თვალი, ძამიაე!
 — კიდევ, კიდევ? — კიანჭველაჭამია
 არ ეშვება ადვილად. ზიზღიქოთქა
 — ორი ყური!
 — ყოჩაღ! ყოჩაღ!
 დაქვეყნდი ნამდვილად!
 მერე უთხრა: — ამ მცენარეს
 დააკვირდი, ძამიაე.
 შენ ორი გაქვს ყური არა?
 სამყურას კი სამი აქვს.
 — ვაშა! — უცებ ტაში დასცხო.
 კიანჭველაჭამიამ, —
 ეგ არის და სამამდე თვლაც
 უკვე შემისწავლია!
 — ერთი! ორი! — მიაბიჯებს,
 ერთი! ორი! სამიო!
 მჯერა, მალე მეც გავხდები
 ნალდი ხუთოსანიო! —
 უკან წრიპა აედევნა
 და გზადაგზა წრიპინებს:
 — სად მიდიხარ, გოლიათო!
 შეჭმას აღარ მიპირებ? —
 მზის ჩასვლისას მწვანე მოლზე
 ცვარ-ნამს გააქვს ციმციმი.
 კიანჭველაჭამია შინ
 მიხტის სიცილ-სიცილით,
 და პასუხობს კიანჭველას:
 — ეგ მე აღარ შემფერის.
 აბა, როგორ გავიმეტო
 გამრჯე კაცი შენფერი,
 თანაც ჩემი მეგობარი,
 ჩემი მასწავლებელი?!

პლატონი

მ ე ნ ე ქ ს ე ნ ე

წინათმეა

ძველი ათენი უკველ წელაწადს. ბ-7 პიანტა-
სიონს (შეესიტყვისება აწინდელ ოქტომბერს) საგანგებოდ აღნიშნავდა სამშობლოს თავისუფ-
ლებასათვის დაღუპულ გმირთა ხსოვნას. ეს იყო
ერთი უველაზე დიდებული და გულისშემპერტ-
ლი ხანაზობა, საწიგმო-სამკლოვიარო დღესას-
წაულო, სადაც ერთმანეთს ენაცვლებოდა მწუ-
ხარება და სიხარული, ცრემლი და სიცილი.
დღესასწაულს, რომლის დაწესებხასაც ერთი ტრა-
დიცია (პლუტარქე, დიოდორე ლაერტილი) სო-
ლონს მიაწერს, ხოლო მეორე (დიოდორე სი-
ცილიელი, დონისიოს პალიკარნასელი) ბერძენ-
სმარხელთა ომების ეპოქას (500-448 წ. ძვ. წ. ა.)
უკავშირებს, — უფრო ხერო ხასითი ჰქონდა,
ვიდრე რელიგიური, უფრო ეროვნული ხაზა-
უხსა და პატრიოტული გრძობის გადავების
ენშახურებოდა. ვიდრე სულის უკვდავებასა და
საუერო ხიცოცხლის რწმენისას. ბრძოლის ველ-
ზე დაცემული გმირების ნეშტთა დაქრძალების
ჩიტუალს შემდეგნაირად გადმოგვცემს თუკი-
დიდე თავის „ისტორიაში“:

„მაცვალებულთა ძვლებსი ასვენებენ სამი
დღით ადრე აგებულ კარავში: საერთარი ნება-
სურვილით უველა ათენელს თავისი შეხარავი
მოაქვს. ამის შემდეგ ათი ეტლით გამოაქვთ
კამარისის ურნები (უკველი ფილადან — თი-
თო) ამომღებშიაც მიცვალებულთა ძვლები ას-
ვენია, ამის მიხედვით, თუ ვან რომელ ფილტს
ეკოვინოდა. მოაქვთ აგრეთვე ცარბელი სარე-
ცელი. გარეთვინალი ამ დაღუპულთათვის. რო-
მელნიც ბრძოლის ველზე ვერ აპოვებს და ვერ
წამოიღებს. მსუღერლობაში მონაწილეობს უველა
მსურველი. მოქალაქე აქვება თუ უცხოელი. სა-
ფლავითან მოდიან მოხარე ქალებიც და თავიანთ
ახლობლებს დასტარაან. ურნებს ასვენებენ სა-
ხალხო სასაფლაოზე, რომელიც ქალაქის უველა-
ზე ლამაზ უბანშია მდებარეობს. სადაც უკველ-
თავის მარხავენ ბრძოლის ველზე დაცემულთ.

მართონშია დაღუპულთა გარდა, ვინაიდან ამ
უკანასკნელთა უეტრო სიმამაცის აღსანიშნავად
თვით ბრძოლის ველზე დამარბებს ისინი. როცა
ძვლებს მიწას ახარებენ, ქალაქის მიერ არჩე-
ული ჰეიანი, ეთილგონიერი და სამოქალაქო
სიქველთი შემკული კაცი მათ საკდრის სახო-
ტბო სიტყვას წარმოთქვამს, შემდეგ კი აწღე-
ხაან“.⁵

დაქრძალებს ცერემონიალი, რომელიც „თე-
სეიონის“⁶ აგების შემდეგ (488 წ. ძვ. წ. ა.)
თესებხისა და სახელმწიფოს ხხვა ეთილის-
მყოფელთა კულტისადმი მიძღვნილ დღესასწაულს
დაუკავშირდა. პლატონის მოწმობით, მთავრდ-
ბოდა მძღეროსანთა, ცენოსანთა და მუსიკური
ხელოვნების მიშდევართა ასმარეზობით: „რაც
შეებება თვით დაღუპულ გმირებს, ქალაქი არა-
ხოდეს არ ივიწებს მათ და კანონით დაწესებუ-
ლი უკველწილური დღესასწაულით ანთე პატავს
მიაგებს ხეუველას ერთად. რასაც, ჩვეულებიხა-
მებარ, მიაგებენ თავიერულს ცალ-ცალკე: ამას ზედ
ერთვის უკველგვართა მძღეროსური, ცენოსნუ-
რი და მუსიკალური ასმარეზობანი“.⁷ პლატონს
კერეს უკავს ღისიაც: „მოკვდავი იუვანე და
ჩვენც უნდა დავიბაროთ ისინი. როგორც მო-
კვდავნი, მაგრამ უკვდავთა მათი სიქველთ და
ჩვენც უკვდავთა დარად უნდა ვადადებდეთ მათ.
ამიტომაც კრძალავს გმირებს სახელმწიფო და
მათ საპატრიოტებოდ აწესებს ასმარეზობას. რო-
მლის მონაწილენიც ერთმანეთს შეეჭობრებაან
სიძლიერეში, სიბრძნესა თუ სიმდიდრეში. რად-
გან იოვდება, რომ იმში დაღუპულთ უკვდავთა
დარად უნდა ჰქცეზდეთ თავყანს“.⁸

მთელი ცერემონიალის უველაზე არხებოთ და
მნიშვნელოვანი ნაწილი იყო ე. წ. „სამკლოვია-
რო სიტყვა“ („ლოკოს ეტიკაფობს“). რომელ-
საც დაღუპულ მგომართა პატავსაცემად წარმო-
თქვამდა ქალაქის, ეტროდ, სახალხო საათობა-
როს მიერ საგანგებოდ არჩეული ორატორია.⁹

ჩვენ შემოგვჩანს ჩამდენიმე ასეთი სიტყვა (ზოგი მთლიანად, ზოგი ნაწილობრივ, ზოგის შეხატვებს კი მხოლოდ ძუნწვა ცნობამღა მოაღწია ჩვენს დრომდე):

სამგლოვიარო სიტყვა, რომელიც, თუკიდოდეს მოწმობით (11, 85-88), პეტლიპინების იმის პირველ წელს (481-480 წ. ძ. წ. ა.) დაღუპულ მეომართა სადღეღამად წარმოუთქვამს ათენის რესპუბლიკის თავიკაც პერიკლეს (დაახლ. 495-428); ანტიკური სოფისტიკისა და რიტორიკის ერთ-ერთ ფუნდამენტურ გარჯია ლეონტარენოს (დაახ. 500-491) სიტყვა, რომელმაც ჩვენამდე არ მოღწევია (გარჯია ათენის მოქალაქე არ ურფილა და ვარაუდობენ, რომ მას თვითონ ეს სა წარმოუთქვამს თავისი სიტყვა, აჩამედ მხოლოდ შეუთხზავს, როგორც სამგლოვიარო სიტყვის ნიმუში); ცნობილი ბერძენი ორატორის დინოს (დაახლ. 495-480) სიტყვა, მიძღვნილი კორინთის ომში (495-487) დაღუპული ათენელი მეომარების ხსოვნისადმი; ბერძენული ორატორული ხელოვნების დიდიმეტრის დემოსთენეს (851-822) სიტყვა, რომლის ავთენტიკურობაც თიქსის ერთმხად უარყოფილა ახალი დროის სწავლულთა მიერ (სიტყვა, რომელიც მართლაც წარმოუთქვამს დემოსთენეს 827 წ. კერირების ბრძოლაში დაღუპულ მეომართა პატივსაცემად, დაკარგულია); დემოსთენეს უფროსი თანამედროვეი და თანამებრძოლის, სახელგანთქმული ბერძენი შვედრმეტრეველის ჰიპერიდეს (დაახლ. 395-322) სიტყვა (ჩვენამდე მოაღწია საქაოდ ვრცელმა ფრაგმენტმა). წარმოთქმული 323 წ. დამიას ომში დაღუპულ მეომართა ხსოვნის უკავდაყოფად, და ხოლოს, ამათ ჩიყბეს უნდა მივაუთვნოთ „მენექსენეში“ სოკრატეს სამგლოვიარო სიტყვაც, თუმცა სოკრატე პერიკლეს ხაყბას, თავისი მომწესხველი ხელმანით, გამკიახიხიხითა და შვედრმეტრეველებით ცნობილ მიღებულ პეტრას — ახასიას მიაწერს მას, ხოლო თვით სიტყვა, პლატონის შემოქმედების შედეგითა და კომენტატორთა ერთხელთანა აღიარებით, დღე ბერძენი ფილოსოფოსის თანამედროვე ორატორთა მიერ წარმოთქმული სამგლოვიარო სიტყვების ერთგვარ პარადიად უფრო აღიქმება.

„მენექსენეს“ მხოლოდ პირობითად თუ შეიძლება ეწოდოს დიალოგი, ვინაიდან მისი უდიდესი ნაწილი (238 d—249 d) მიწოდებს უკიჩავს ეს გახლავთ შემოხსენებული სამგლოვიარო სიტყვა. რომლის ავტორადაც სოკრატე, როგორც უკვე ითქვა, ახასიას აცხადებს. სოკრატესა და მენექსენეს საუბარი, რომლითაც იწყება (234 a—236 d) და მოაგრდება კიდევ (249 d) პლატონის შემოქმედების პირველი პერიოდის ეს ერთ-ერთი უკანასკნელი ნაწარმოები. — აი, მთელი დიალოგი, რომელშიაც ისე „ხე“ ახასია-სოკრატეს სიტყვა, როგორც ზურათა — ჩაჩხიში. ამ მხრივ, „მენექსენე“ ძირითად განხვავდება პლატონის ადრინდელი

ქმნილებებისაგან, რომელთა შორისაც მან მხოლოდ ერთი პარალელი თუ შეიძლება დავუბნოს — „სოკრატეს აპოლოგია“, სადაც მოქმედების ძირითადი ნაწილი ასევე მიწოდებს მადანეს გახლავთ პარტებელითაში ხრადდადებულ სოკრატეს მიერ სასამართლოში თავის დასაცად წარმოთქმული საქაოდ ვრცელი სიტყვა მაგრამ მოაგრად მიანც ახას, რომ პლატონის ხეერთადრინდელი დიალოგისაგან განხვავებით, ჩვენ შეგვიძლია მიხვლებებითი ხსოვნებით მიანც დავადგინოთ „მენექსენეს“ დაწერის თარიღი: რაკილა დიალოგში მოხსენიებულია სპარსეთის იმპერიასა და სახერძეთის პოლისებს შორის 357 წ. ძვ. წ. ა. დადებული ე. წ. „ანატალიკის ზავი“,10 ხოლო საბერძენეთის ისტორიის შემდომდარინდელ მოვლენებზე სიტყვაც აღიარა თიქვამა, ამიტომ პლატონის შემოქმედების შედეგით ვართა აჩათი (ვილამოვიც-მელენდროფი, მლტრამანი, მოფმანი, ტრენდელენბურგი, სერდიე და სხვ.),11 „მენექსენე“ დაწერილი უნდა იყოს 357-356 წ. ძვ. წ. ა.

სხვევ როგორც „ეთიფრონში“, ორხვევ „პიკიახადეში“, „კრიტონსა“ თუ „ონში“, „მენექსენეში“ ორად ორი მოქმედი პირი მომწილი: ოხს: პლატონის დიალოგების მოაგრად გმირ სოკრატე და ახლავრად ათენელი კაბუკი მენექსენე, დემოკონის ძე, რომელმაც უკვე დიუნმოგრებია „ეთიფროსა“12 და თავისი ოჯახის ძველისძველი ტრადიციისამებრ გადაუწვევითა პოლიტიკურ მოღვაწეობას მოქილდოს ხელი.13 მენექსენე ისტორიული პირია, პლატონი ოჩერკიდევ იხსენიებს მას დიალოგებში „ლიხისი“ და „უფროსი“ (39 ხ), სადაც აგი სოკრატეს სხვა მოვაფეებთან ერთად სულგანახული უხმენს თავისი დიდი მოძღვრის უკანასკნელ საუბარს მისი სიკვდილის დღეს. „უფროსი“ მოაგრად თვის სულის უკვადეხამა, „მენექსენესი“ კი საშობლოს თავისუფლებისათვის დაღუბულ გმირთა უკვადე ხსოვნა, რომელიც თიბთიბიდან თიბებს ვადეცემა და არახოდეს არ სიქრება მადლიერი შთამომავლობის ვულში, მაგრამ ვიძრე უშუალოდ დიალოგის განხილვაზე ვადევიდოდეთ, წინასწარ უნდა ვაუწყოთ შიქიქველს, რომ „თავისი მცერებ მოცულობის მიუხედავად, „მენექსენე“ პლატონის ერთი იმ დიალოგთაგანია, რომლებშიაც ყველაზე მეტე მელანი დერევიანეს სწავლული. მან ახსენიბიხსოვის გამოწვია შივლი ექსეგეტორი ლიტერატურა.“...14 შეიძლება თუ არა პირდაპირი მნიშვნელობით ვეწვიოთ სოკრატეს სიტყვას? იქნებ ის პირწინდო წარმომხატვის ნაყოფია, პარადია, სატირა? ვის წინააღმდეგეა მიმართული ირონია — თუკი აქ მართლაც არის ირონია — სოკრატეს თანეროული ჩიტორიკისა თუ მიმანტი პუბლიკის ინააღმდეგ? ზომ არც ერწმის აქ, ვარკვეული იანაფრადიბით, ბერძენული სახუმაროსი აი, კობვები, რომლებმაც „მენექსენეს“ გარჩევისას ზედაგზა ვაკვეთი პასუხს...

აგორიდან მომავალ მენეჯსებზე შეზღუდვით
 ზედმა სოკრატე და ეკონომები — ხელ უფილ-
 მარო? მენეჯსებზე სახალხო თავყრდობიდან
 ბრუნდება, ხადაც ახლადუნენ საკითხ ამახ შე-
 ნახებ, თუ რომელი რიტორიკისათვის მიენდობ
 სამგლოვიარო სიტყვის წარმოთქმა დაღუპული
 შიშობების დაქრძალავა. ტრადიციული რიტო-
 რიკა, ტრადიციული სიტყვა, მაგრამ მათი სოკ-
 რატეფული აღქმა, რომელსაც აშკარად არონი-
 რული ელფერია დაქრავს, სრულიადაც არ არის
 ტრადიციული. ვინ იცის, მერამდენედ შეიკრი-
 ბებიან ათენელები, რათა ერთხელ კიდევ მოი-
 გონან ბრძოლის ველზე დაცემული გმირების
 დავალი და პატივი მიავონ მათ; ერთხელ კიდევ
 დატბინენ რიტორიკს დახვეწილი ზელოვნებით,
 ერთხელ კიდევ შეეცდებიან აღტაცებით მის მიერ
 წარმოთქმულ სიტყვას, რომელიც მარტო სამ-
 შილოს თავსუფლებებისათვის დაღუპულ შემო-
 ტრეს კი არ ადიდებს, არამედ კუთვნილი მია-
 გებს ცოცხლად დარჩენილთა — მათ სიტყვებზე
 და ხათონებზე, მათ ღირსებას და პატიოსნებას,
 ასე რომ რიტორიკის პარამონიკობით გახრუბული
 ხშირ მიონებსულივით უსმენს მის ენაშტეარო-
 ბს.

თორემ ნუ იტყვით, ამ მხრივ, არც სოკრატე
 კუთვნილი გამოხატვის; რიტორიკა საპოტბო ხა-
 ვთა ახვედ მოწინსხველად მოქმედებს მასზეც:
 „...მათი ქება-დიდება ისე მშვენიერია, რომ ვა-
 სურჩევლად მიაწერენ თვითთულს იმას, რაც შეპ-
 ლურის და რაც არ შეტყვის; თანაც ისეთი ხა-
 ტოვანი სიტყვებით აქობენ საოქმელს, რომ
 მოწინსხველად მოქმედებენ მსმენელთა სულზე;
 თანაირი ხობის ასხამენ ქალაქს, ბრძოლის ვე-
 ლზე დაცემული, ჰვენს წინაბრებს თუ წინამორ-
 ხედო. და ისე ვაკვირებ თვით ჰვენას—ქერ კი-
 დავ ცოცხლებს. რომ შე, მათგან ნაქბნად-
 დებს. უჩვეულო აღტყვის მიუპაროს. მენეჯ-
 სებზე: ურველთვის, როცა მათ ხობას ვისმენ,
 მოქალაქეულივით ვდგავარ, ვაჩინებულები, და
 ასე მგონია, რომ ამ წამს უფრო უკეთესი ვხდე-
 ბი. უფრო ეკთლიშობიანი, უფრო მშვენიერია
 იმაც არ იყოს. მე ხომ ურველთვის უფდაგრ-
 დაშევისან უტბობლები, რომლებიც ჰემთან ერ-
 თად ისინენ ურველივ ამახ, და მაშინ ერთხა-
 შად ვმადლები და უსასი მემარება მათ თვალ-
 ში, რადგან მვერამეტყველთა სიტყვებით გა-
 ხრუბულნი, ეგონებ, ისევე მიუფრებენ, როგორც
 მთელ ქალაქს, რომელიც უფრო ვანსაცუფრებუ-
 ლა ეტყენებათ, ვიდრე უწინ. ამ ღირსებას სამ
 აღღულ მებ ხანს ვინარჩუნებ; მებობის სიტ-
 ვადაც და მისი ხმაც ასე სამომდ მინანავებს უწ-
 რში, რომ მხოლოდ მეთობზე თუ მებუფი დღეს-
 და ვრკვეთი, ცნობას ვებნებ და ვხვედრე, რომ
 კვლადებურად მიწაზე ვდგავარ, მანამდე კი
 ასე უგონა, ნეტარია კუნძულებზე ვიჭურებო-
 მეთქ, აა, რა მარჯვენი არიან ჰვენი რიტო-
 რები [244 c—245 c].

სოკრატეს ამ სიტყვებში აშკარად გამოხატვის

ამა მარტო ირონია, არამედ მათგან სარკაზმიც
 რიტორიკული ზელოვნების მიმართ, რაც შემო-
 ნენველი არა რჩება მის თანამარსებრს [245 c].
 უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ „მენეჯსებზე“ ვარკ-
 რძობით როდი დგას პლატონის დანარჩენი დი-
 ალოგების რიცხვი. რიტორიკული ზელოვნების
 კრიტიკა თავიდან ბოლომდე ვახდებს ფილოსო-
 ფისის თითქმის მთელ შემოქმედებას („შელო-
 ალიზიადე“, 146 c; „სოკრატე აპოლოგია“,
 17a—c; „პარტაგორა“, 225 c—229a; „ეთი-
 დეზე“, 80b b—c. „გორგიას“ დიდი ნაწილი;
 „ფედრუსის“ არა ერთი და ორი პასაჟი; „თე-
მათი კეთილშობილების უპირველესი საფუძველი მათივე წინაპართა წარმომავლობაა, რომელნიც უცხოელები როდი იყვნენ და ამიტომ არც მათი შთამომავალნი დაბადებულან უცხოეთიდან ჩამოთესილლ გადამიტელებად, არამედ ამ მიწის ღვიძლ შვილებად, ჩვენი ქვეყნის მკვიდრ მოსახლებებად და მცხოვრებლებად, რომლებსაც დედინაცვლის ძეძუ კი არ უწყვიდიათ, არამედ დედა სამშობლოსი, სადაც ცხოვრობდნენ და სადაც მალე მიებარებინათ თავიანთი მშობლია, აღზრდელის და მიმრჩმელის წიაღს. ამიტომ მართებული იქნება პატივი მიევაოთ მათ მშობელ დედას, რადგან ამით პატივს მივაგებთ მისი შვილების კეთილშობილებასაც.

ეს ქვეყანა დაიხაე იმსახურებს იმას, რომ არა მარტო ჩვენ, არამედ უაღრესად ყველა სხვა კაციც აქებდეს და აღიდებდეს, მრავალი სხვა მიზეზის, უწინარეს და უმეტეს ყოვლისა კი იმის გამო, რომ ღმერთებს უყვართ იგი. ჩვენს აზრს ადაატურებს ქიშპობა და მსჯავრი ღმერთებისა, რომლებიც ერთმანეთს ედავებოდნენ მისი გულისთვის. და თუ უკვდავნი აღიდებდნენ მას, განა სამართლიანობა არ მოითხოვს, რომ ერთხმად აღიდებდეს ყველა მოკვდავიც? სხვა მხრივაც იმსახურებს იგი ქებას: იმ შორეულ დროს, როდესაც დედამიწა წარმოშობდა და ასაზრდოებდა ათასნაირ სხვადასხვა არსს, ცხოველებსა თუ მცენარეებს, მხოლოდ ეს ჩვენი მხარე იყო უბიწო და ველურ მხეტიატან შეუბილწველი. ცხოველთა შორის მან არჩია და შვა მხოლოდ ადა-

მიანი, გონიერებით ყველა სხვა არსზე ამიღლებული და სიმართლისა და ღმერთების ერთადერთი აღმარებელი. ყოვლად სარწმუნო საბუთი გვიმტკიცებს იმ აზრს, რომ ამ მხარე წარმომავალი ჩვენი დაღუპული გმირებისა და უფრო ჩვენივე წინაპრები. ვინაიდან ყოველივე ის, რაცა შობს, თვითონვე იძლევა თავის ნაშვირთა საზრდოა. სწორედ ამით იცნობა, მართლაც შობა თუ არა ქალმა, რადგან თუ ახალშობილის მასაზრდოებელი წყარო არა აქვს, თუ მასაზრდამე, ყალბად მიუთვლება შობილის სახელი. ეს ჩვენი ქვეყანა და ჩვენი დედა კი დამაჩერებლად გვიმოწმებს, რომ სწორედ ისაა კაცთა მშობელი. ვინაიდან იმ შორეულ დროს ის პირველი და ერთადერთი იძლეოდა კაცთა საზრდოა — პურსა და ქერს, რითაც ყველაზე უკეთ და ყველაზე სრულყოფილად ასაზრდოებს კაცთა მოღვმას და რითაც მტკიცდება, რომ სწორედ ისაა ამ არსთა მშობელი. ამნაირი მტკიცება უფრო მეტად ესადაგება დედამიწას, ვიდრე დედაკაცს. ვინაიდან ორსულობისა და მშობიარობის მხრივ დედამიწა კი არ ბაძავს ქალს. არამედ ქალი — დედამიწას. ხოლო ეს ნაყოფი ჩვენს ქვეყანას ძუნწივით კი არ დაუსაკუთრებია, არამედ უშუალოდ უწილდა იგი სხვებსაც. შემდეგ კი ახალი ნაყოფი უწყალობა თავის ნაშვირთ, — ზეთისხილი, მანგრალთ სიმხნევე. ამნაირად რომ აღზარდა და სრულწლოვანებამდე მოჰყარა იხინი, გამრიგებლად და მოძღვრებლად მოუვლინა მათ ღმერთები, რომელთა სახელებიც არ ითქმის. ჩვენ ვიცით, რომ სწორედ მათ მოგვიწერაოცებს ცხოვრება და ყოველდღიური საპირიკობისათვის ყველაზე უმაღლეს ჩვენ გვაზიარეს სხვადასხვა ხელოვნებას, ხოლო ჩვენი მიწა-წყლას დასაკავად გვასწავლეს იარაღის კეთება და გამოყენება.

ამნაირად შობილმა და აღზრდილმა ჩვენი დაღუპული გმირების წინაპრებმა თვითონვე ჩაუყარეს საფუძველი სახელმწიფოებრივ წყობილებას, რომელიც მოკლედ უნდა მოვიხსენიოთ; ვინაიდან სახელმწიფოებრივი ცხოვრება აყალიბებს ადამიანებს: მოწესრიგებული — ღირსეულთ, მოუწესრიგებელი — უღირსთ. ამრიგად, აუცილებელია ცხადვყოთ, რომ ჩვენი წინაპრები სწორედ მოწესრიგებული სახელმწიფოებრივი ცხოვრების წყალობით ჩამოყალიბდნენ ღირსეულ ადამიანებად, ისევე როგორც ჩვენი თანამედროვენი და მათ შორის ჩვენი დაღუპული გმირებიც, რადგანაც მმართველობა ერთი და იგივე იყო მაშინაც და ახლაც, აერძოდ არისტოკრატიული, რომელსაც ვემორჩილებით ამჟამად და უმეტესწილად ვემორჩილებოდით უწინაც, თითქმის მთელი დროის განმავლობაში. მართალია, ზოგი არისტოკრატიას უწოდებს მას, ზოგი კი — როგორც თვითონ მოეპოვებინება, მაგრამ სინამდვილეში ეს გახლავთ არისტოკრატია, რომელიც ხალხის მხარდაჭერით სარგებლობს. და თუმცა ყოველთვის გვყავდა მეფეები, მაგრამ ზოგიერთი მეგვიდრობითი იყო, ზოგი კი არჩევითი. ხოლო ძალაუფლება სახელმწიფოში უპირატესად ეკუთვნია ხალხს, რომელიც ხელისუფლების სათავეში აყენებს და მხედართმთავრებად ნიშნავს მათ, ვინც ყველა ცალკეულ შემთხვევაში უკეთესნი ჩანან. არც სისუტატე, არც სიღარიბე, არც მდაბიური წარმომავლობა ხელს არ უშლის კაცს იმაში, რომ ეს თანამდებობები დაიკავოს, ისევე როგორც მარტოდენ საპირისპირო თვისებების ფლობა არავის არ ანიჭებს ამ პატივს, როგორც ეს ხდება სხვა სახელმწიფოებში. ჩვენ მხოლოდ ერთი საზომი გვაქვს: ძალაუფლებიანა და მხედართმთავრობის ღირსი ხდება მარტოდენ ის, ვისაც ბრძენ და კეთილშობილ კაცად თვლიან. ხოლო ამნაირი მმართველობის მიზეზი ჩვენში საგვარეულოთა თანასწორობა გახლავთ; ვინაიდან დანარჩენი სახელმწიფოების მოახლოება ათასნაირი სხვადასხვა წარმომავლობისა და არათანასწორუფლებიან მოქალაქეთაგან არის შემდგარი. რაც განაპირობებს მათი მთა-

ეროვნების უსამართლობას, ტირანიასა და ოლიგარქიას. მათი მოქალაქეები ერთმანეთს ისე უყურებენ, როგორც მონები — ბატონებს, ანდა პირადად ერთ-ერთს ზედ და ზეინებურები, ერთი დედის ნაშობი ძმები, ბატონებად და მონებად როდი ვსახავთ ერთიმეორეს, არამედ წარმოვაგლობითი თანასწორობა გვაძლებს ვეძიოთ და, კანონიერების თანახმად, დაავაყაროთ უფლებრივი თანასწორობაც, და არავის არაფერი დაუფთხოთ, გარდა იმისა, ვინც სიბრძნით ან სიჭკვილით აღგვემატება.

აი, რატომაა, რომ კეთილშობილსა და სრული თავისუფლების წიაღში აღზრდილ მათსა თუ ჩვენს წინაპრებს და თვითონ მათაც, კერძო თუ საზოგადო საქმიანობით, ესოდენ დიდი ღვაწლი მიუძღვით კაცთა მთელი მოღვაწის წინაშე, რადგანაც სწამდათ, რომ თავისუფლების გულისთვის ბერძნები ბერძნებსავე უნდა ებრძოდნენ, ხოლო მთელი საბერძნეთის დამოუკიდებლობისათვის — ბარბაროსებს. აქ იმისი დრო არ არის, რომ ღირსეული პატივით მოვიხსენიოთ მათი ბრალთა ეგმოლებს, ამაზონებისა თუ სხვების წინააღმდეგ, რომლებიც კიდევ უფრო ადრე ემუქრებოდნენ ჩვენს ქვეყანას, ანდა ის, თუ როგორ იცავდნენ არგოსელებს — კადმოსელებს; ხოლო ჰერაკლიდებს — არგოსელების თავდასხმისათვის; ეგეც არ იყო, პოეტებმა რახანია უმშვენიერესი ლექსებით უმღერეს და მთელ ქვეყანას მოჰფინეს მათი სიჭკვილის ამბავი. ჩვენ რომ დაგვეპირებინა ლიტონი პროზით შეგვემო ისინი, ალბათ, ჩრდილში მოგვიწევდა დგომა. ამიტომ, მე მგონია, შეიძლება დუმილით ავუაროთ გვერდი მათ ღვაწლს, რაკილა ის უკვე საკმარისადაა განდიდებული. მაგრამ ის, რაც არცერთ პოეტს არ უქცევია თავისი ხოტბის საგნად და ღირსეულთა მატებარს მათივე ღირსი დიდებით არ შეუძვია ისინი, ის, რაც ჭერ კიდევ თავის მეხოტბეს ეძებს, როგორც ქალწული — საქმროს, ჩემის აზრით, ქებით უნდა მოვიხსენიოთ და, ამრიგად, სხვებზე დაფინდოთ, რათა მათ ოდებითა თუ სხვა პოეტური ქმნილებებით განადიდონ და სათანადო პატივი მიაგონ მას. ხოლო ამ თვალსაზრისით პირველად უნდა მოვიგონოთ შემდეგვი: როდესაც აზიის მბრძანებელმა სპარსელებმა ევროპის დამონება განიზრახეს, მათ სწორედ ამ ქვეყნის შვილი — ჩვენი წინაპრები აღუდგნენ წინ. ამიტომ სამართლიანობა მოითხოვს, რომ პირველად სწორედ ისინი ვახსენოთ და ქება შევასხათ მათ სიჭკვილს. მაგრამ ვინაეც სურს ღირსეულად აქოს ისინი, იმ დროს უნდა გადასწვდეს სიტყვით, როცა მთელი აზია უკვე ემორჩილებოდა მესამე მეფეს. პირველმა — კიროსმა თავისი გამჭრიახობის წყალობით გაათავისუფლა თანამემამულე სპარსელები, ამასთანავე დაიმონა მათი მბრძანებელი მიდიელები და თავის გავლენას დაუმორჩილა დანარჩენი აზია ვიდრე ეგვიპტემდე; მისმა ძემ დაიპყრო ეგვიპტე და ლიბია, სანამდისაც ხელი მიუწვდებოდა; ხოლო მესამემ — დარიოსმა სკვითების საზღვრებამდე განავრცო თავისი საბრძანებელი, ხომალდებით კი ზღვასა და კუნძულებს დაეუფლა, ასე რომ, ველარაგინ ბედავდა წინააღმდეგობა გაეწია მისთვის, იმდენად დათრგუნველი იყო ყოველი კაცის სული. ასე და ამრიგად, მრავალი დიდი და მეთაური ხალხი აღმოჩნდა სპარსელთა ბატონობის უღელქვეშ.

ამის შემდეგ დარიოსმა, ბრალად დაგვდო ჩვენ და ერეტრიელებს, თითქოს სარდზე გვეჭირა თვალი. ამ საბაბით, სამას საომარ ხომალდსა თუ გემებზე დასხა ზუთასი ათასი კაცი და ჩვენს წინააღმდეგ საბრძოლველად გამოგზავნა დატრის წინამძღოლობით, რომელიც გააფრთხილა, თუ გინდა თავი მხრებზე შეგარჩეს, აქეთობისას დატყვევებული ათენელები და ერეტრიელები ჩამომგვარეო, ერეტრიაში რომ ჩავიდა, რომლის არცთუ მცირერიცხოვან მცხოვრებთ მაშინდელ საბერძნეთში დიდი სახელი ჰქონდათ მოხვეჭილი, რო-

გორც მოავალნაცად მეომრებს, დატისმა სამ დღეში აიღო იგი და, ხელიდან რომ არავინ დაახლოვდებოდა, შემდეგნაირად გადათელა მთელი ქვეყანა, როდესაც ერეტრიის საზღვარს მიაღწევენ, მისმა მეომრებმა ხელს შეწყვიტეს და ზღვიდან ზღვამდე მწკრივად გადაჭაჭველებმა გადასერეს მთელი ეს მხარე, რათა უფლება ჰქონოდათ ეთქვათ მეფისთვის, ვერავინ წაგვივიდაო. აათევე განზრახვით ჩავიდნენ ისინი ერეტრიიდან მარათონში: ეგონათ ათენელებსაც ადვილად მოვახრევენებთ ქედა და იმავე უღელში წააყოფინებთ კისრება, რომელიც დავადგით ერეტრიელებსაო. ერთი უკვე დაიპყრეს, მეორის დაპყრობას კი აპირებდნენ, მაგრამ ბერძენთაგან არავინ მიშველებია არც ერეტრიელებს და არც ათენელებს. ლაკედემონელთა გარდა, თუმცა ისინიც ბრძოლის დამლევს შემოგვიერთდნენ. აი, მაშინ უნდა გეცხოვრა, რომ საუფთარი თვალთ გეხილა მარათონელთა სიჭკველე და სიმამაცე, მეგრდით რომ აღუდგნენ მომხდურთა ძალმომრეობას, თავგასულობა შეანანეს მთელს აზიას, პირველებმა აღმართეს ბარბაროსთა საფლავზე გამარჯვების მათუწყებელი ძეგლები, უწინამძღვრეს და უჩვენეს ყველას, რომ სპარსელთა ძალა სულაც არ ყოფილა უძლველი, და რომ ყოველგვარი სიმრავლე და ყოველგვარი სიმდიდრე უძლურია სიჭკველესთან ბრძოლაში. ამიტომაც ვამბობ, რომ ჩვენმა წინაპრებმა მარტოოდენ სიციცხლე კი არ მოგვანიჭეს, არამედ თავისუფლებაც. როგორც ჩვენ, ისე მთელს ევროპასაც. რადგან მისაბამ მაგალითად თვალწინ რომ ედგათ მათი გმირობა, შემდგომ გადახდილ ომებში ბერძნები უკვე აღარაფრად აგდებდნენ საფრთხეს და მედგრად იბრძოდნენ თავისუფლებისათვის, როგორც შეშვენის მარათონელთა მოწაფეებს.

ამრიგად, ჩვენი სიტყვის უკეთესი და უპირველესი ნაწილი უნდა მივუძღვინათ სწორედ მარათონის გმირებს, მეორე კი სალამინსა და არტემისიონთან გამართულ საზღვაო ბრძოლებში გამარჯვებულებს. მათზედაც ბევრი რამ შეიძლებაოდა თქმულიყო: როგორ იგერიებდნენ იერიშებს ზღვააა თუ ხმელზე ანდა როგორ იცავდნენ თავს. მაგრამ მე მოვიხსენიებ მხოლოდ იმას, რაც ყველაზე ღირსშესანიშნავად მიმაჩნია მათ გმირობაში და რითაც მათ დაავიჯინეს მარათონელთა მიერ დაწყებული საქმე, და მართლაც, მარათონელებმა მხოლოდ ის უჩვენეს ბერძნებს, რომ ხმელეთზე შეიძლებაოდა ერთი მუქა ხალხით უეფექტურა ბარბაროსთა ურიცხვი სიმრავლე. მაგრამ როგორ წარმართებოდა საზღვაო ბრძოლა? ეს ჯერ ეიდევ არ იცოდა არავინ. თავიანთი სიმრავლის, სიმდიდრის, საომარი ხელოვნებისა და სამხედრო ძლიერების წყალობით სპარსელები უძლველად ითვლებოდნენ ზღვაზე. მით უფრო მეტი ქება ღირსნი არიან მამინდელი საზღვაო ბრძოლის მონაწილენი, რადგანაც სწორედ მათ გააქარწყლეს შიში, რომელსაც შეეპყრო ბერძნები, და დაარწმუნეს ისინი, რომ არც ხომალდთა და არც ზღვაოსანთა სიმრავლე არ იყო მათთვის საშიში. აი, რატომაა, რომ ორივე ბრძოლის მონაწილეებმა — მარათონელმა ჭარისკაცებმაც და სალამინელმა ზღვაოსნებმაც სიმამაცის გაკეთილი გადასცეს დანარჩენ ბერძნებს: ზღვაზეც და ხმელზეც ასწავლეს და შეაჩვიეს იმას, რომ წარბშეუხრელად დახვედროდნენ ბარბაროსებს.

მესამედ, როგორც რჩივთ, ისე სიჭკველის მხარეაც, ელადის თავისუფლებისათვის გადახდილ ბრძოლათა შორის მე ვახსენებ პლატის ბრძოლას, მაგრამ ამ გამარჯვებას უკვე ერთად იზიარებენ ლაკედემონელებიცა და ათენელებიც. ყველა ამ ბრძოლის წყალობით თავიდან აგვედა არნახული და საშიშერი უბედურება. ამიტომაც ვადიდებთ წინაპართა სიჭკველეს და საუფროდ განადიდებენ მას ჩვენი მემკვიდრენიც, თუმცა ამის შემდეგაც ბევრი ბერძნული ქალაქი კვლავ ბარბაროსთა მხარეზე იყო; ამტკიცებდნენ, თვით დიდი მემფე



აპირებს ელადაზე ხელახლა გამოლაშქრებასო. ამიტომ სამართლიანობა შოთხობის, ქებით მოვიხსენიოთ ისინიც, ვინც თავიანთი საგმირო საქმეებით წარმატებით დააკვირვეს წინამორბედთა მიერ დაწვებული ბრძოლა ლევისათვის, განდევნეს ბარბაროსთა ტომები და ამრიგად გაწმინდეს ზღვა. ესენი იყვნენ ევრიმედონთან გამართული საზღვაო ბრძოლისა და კობრისის წინააღმდეგ მიმართული ლაშქრობის მონაწილენი, საომარი ხომალდებით ეგვიპტისა და ბევრი სხვა ქვეყნის დამლაშქერენი. დიახ, მადლობის გაცნობით უნდა მოვიხსენიოთ ისინი, რადგანაც აიძულეს დიდი მეფე საკუთარი ტყავის გადარჩენაზე უფრო ეზრუნა, ვიდრე ელადის განადგურებაზე.

და ასე, მთელმა ჩვენმა ქალაქმა ბოლომდე მიიყვანა ომი, რომელშიაც ის ებრძოდა ბარბაროსებს არა მარტო თავისი, არამედ სხვა ბერძნულენოვანი ტომების თავისუფლებისთვისაც. ხოლო როდესაც მშვიდობა ჩამოვარდა და ჩვენი ქალაქი დიდებით იქნა გარემოსილი, მან თავის თავზე იწვინა ის, რაც, ჩვეულებრივ, თავს ატყდება წარმატებით გალღებულებს: მის წინააღმდეგ აღძრა თავდაპირველად შური, შურის კვალდაკვალ კი — სიძულვილი, და ის იძულებული შეიქნა ბერძნებისავე წინააღმდეგ ჩამხულიყო ომში. რაკი ომი გაჩაღდა, ათენელები ტანაგრასთან შეერკინენ ლაქედემონელებს ბეოტიის თავისუფლებათვის. ბრძოლა გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ ყველაფერი გადაწყვიტა უკანასკნელმა შეტაკებამ. ლაქედემონელებმა უკან დაიხიეს და მიატოვეს ბეოტიელები, რომლებსაც ეხმარებოდნენ, ჩვენებმა კი შეასამე დღეს გამაჩვენება იზეიმეს ონოფიტესთან და სამართლიანად დააბრუნეს უსამართლოდ განდევნილები. სპარსელებთან ომის დამთავრების შემდეგ ისინი პირველი მიეშველნენ თავიანთი თავისუფლებისათვის მებრძოლ ბერძნებს ბერძნებისავე წინააღმდეგ, მამაც მეომრებად და იმათ განმათავიანებლებად მოგვევლინენ, ვინაც ეხმარებოდნენ, და პირველნი განისვენებენ ამ ძეგლის ქვეშ, რომელიც ქალაქმა აუგო მათ!

მას შემდეგ, რაც ომმა მთელი საბერძნეთი მოიცვა და ყველა ელანი აღდგა ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ, რათა დაერბიათ და მადლიერების ნაკვალად დაუმსახურებელი უმადურობა მიეგოთ მისთვის, ჩვენებმა საზღვაო ბრძოლაში დაამარცხეს მტრები და აფაგიაში ტყვედ ჩაიგდეს ლაქედემონელთა მთავარსარდლები, რომლებიც შეეძლოთ დაეხოკათ, მაგრამ დაინდეს და გაათავისუფლეს ისინი, ხოლო შემდეგ ზავიც დადეს, იმ მოსაზრებით, რომ თანამოძმებთან ბრძოლისას მხოლოდ გამარჯვებამდე უნდა მიიყვანო ომი და ერთი სახელმწიფოს ზრახვებს არ უმსხვერპლო მთელი საბერძნეთის კეთილდღეობა, მაშინ როდესაც ბარბაროსებს მათ სრულ განადგურებამდე უნდა ეომო. ამიტომაც ქება-დიდებას ღირსნი არიან ამ ომის მონაწილენი, რომელნიც აქ განისვენებენ, ვინაიდან ექვემოტანლად დაამტკიცეს, რომ ცდებოდნენ ისინი ვისი აზრითაც, ბარბაროსებთან ომის დროს თითქოს სხვები სჯობდნენ ათენელებს. დიახ, ელადის აშლილობისას რომ წარმართავდნენ ომის მსვლელობას და ამარცხებდნენ დანარჩენ ელინთა სარდლებს, მათ დაამტკიცეს, რომ შეეფლოთ საკუთარი ძალებით დაემარცხებინათ ისინი, ვისთან ერთადაც უფრო უმაღ სალიეს ბარბაროსებს.

მესამე ომი ამ ზავის შემდეგ უმაგალითო იყო და საზარელი, რომელშიაც დაეცა და, აი, აქ განისვენებს მრავალი ძალგულოვანი ჰერმარი. ბევრმა მათგანმა გამარჯვების მაუწყებელი ძეგლები აღმართა სიცილიაში, სადაც ლეონტინელთა თავისუფლებისთვის იბრძოდნენ მათ დასახმარებლად ჩასულნი, რათა საქმით განემტკიცებინათ თავიანთი ფიცი. მაგრამ რაკი სამშობლოდან შორს იყვნენ, ჩვენს ქალაქს ძალზე გაუჭირდა ხელი შეეწყოს მათთვის, რის

გამოც მოლაშქრება მხნეობამ უძტყუნათ და მარცხი იწვნია, თუმცა მათ მტრები და მძლეველი თავიანთი ზომიერებისა და სიკვლეოსათვის განაგრძობენ მეტ ქებას იმსახურებენ, ვიდრე ზოგიერთის მეგობრები. მრავალმა ათენელმა ჰელესპონტის საზღვაო ბრძოლისას ერთ დღეში ზელთ იგდო მოწინააღმდეგის ხომალდები და ბევრი სხვა გამარჯვებაც მოიპოვა. ხოლო ეს ომი უმაგალითო და საზარელი იყო-მეტეი, რომ ვამბობ, მე ვგულისხმობ შემდეგს: ჩვენი ქალაქისადმი მეტოქეობის გარძობით აღძრული დანარჩენი ბერძენები იმდენად გაკადნიერდნენ, რომ ელჩები აახლეს ჩვენს მოსისხლე მტერს, სპარსეთის მეფეს, რათა ბერძნების წინააღმდეგ კვლავ მოეხმოთ ეს ბარბაროსი, რომელიც ოდესღაც ჩვენთან ერთად განდევნეს საბერძნეთიდან, და, ამრიგად, ჩვენი ქალაქის წინააღმდეგ საბრძოლველად გაეერთიანებიათ ყველა ბერძენი და ბარბაროსი. მაგრამ სწორედ აქ გამოჩნდა ათენის მთელი სიმტკიცე და სიძლიერე. როცა უკვე განადგურებული ეგონათ, ხოლო მისი ზომალდები მიტილენეში იყვნენ მომწყვდეული, ჩვენებს მაშველად მოევიღნა სამოკი ხომალდი, რომლებზედაც თვითონვე დასხდნენ და, თავიანთი არნახული სიმამაკის წყალობით, რასაც ერთხმად აღიარებს ყველა, დამაარცხეს მტრები და გაათავისუფლეს მეგობრები. მაგრამ უღირსი ხვედრი ზვდათ წილად: არ მოხერხდა დაღუპულთა გვაგები ამოეკრიფათ ზღვის ტალღებიდან, რათა აქ დაეკრძალათ ისინი. ამიტომაც უნდა გვახსოვდნენ და ქება-დიდებათ ვიხსენიებდეთ მათ სახელს, რადგანაც მათი სიმამაკის წყალობით მოვიგეთ არა მარტო მაშინდელი საზღვაო ბრძოლა, არამედ მთელი დანარჩენი ომიც. სწორედ მათი წყალობით მოიხვეჭა ჩვენმა ქალაქმა უძლეველის სახელი და ყველას განუმტკიცა ის აზრი, რომ მას მთელი მსოფლიოც ვერ დაამარცხებს. ხოლო ეს აზრი სწორია, რადგანაც თუ ოდესმე დაეპარცხებულვართ, ჩვენივე შინააშლილობით დაეპარცხებულვართ და არა გარეშე მტრების მიერ. დიახ, გარეშეთაგან თუკით დღემდე უძლეველნი ვართ, მაგრამ ეგ ვია, რომ ჩვენსავე თავსა ვძლევეთ და ჩვენს მიერვე ვართ ძლეულნი.

მას შემდეგ, რაც მშვიდობამ დაისადგურა და გარეშე მტრებს დავუზავდათ, ჩვენში ისეთმა შინააშლილობამ იჩინა თავი, რომ თუ ბედისწერა ამნაირი ხვედრს უმზადებს ადამიანებს, არავინ არ იაურვებდა, რომ მის ქალაქს სხვანაირად მოებადა ეს სენი. პიეროსიდანაც და ქალაქის სხვა უბნებიდანაც როგორც სიხარულითა და ძმური სიყვარულით შეერთდნენ თანამოქალაქენი და, დანარჩენ ელინთა მოლოდინის საპირისპიროდ, რა კეთილგონიერულად შეწყვიტეს ელევასინელებთან ომი?! ხოლო ყოველივე ამის მიზეზი სხვა არ არის რა, თუ არა ნათესაობა, რომელიც სიტყვით კი არა, საქმით ამკვიდრებს მტკიცე მეგობრობასა და ერთაულოვნებას თვისტომთა შორის. უნდა გვახსოვდნენ ამ იმათამკვლელი ომების მსხვერპლნი და ვეცადოთ, შეძლებისდაგვარად, ლოცვითა თუ მსხვერპლშეწირვით შევევედროთ აქ მწოლარეთ, შეუძლონ და შეურიგდნენ ერთიმეორეს, რაკილა ჩვენც შევეურიგდით და დავუზავდით ერთმანეთს. ჩვენ — ცოცხლები — თვითონვე ვიყავით ამ უბედურების მოწმენი და, როგორც მათი თვისტომნი, ერთმანეთს მივეუტევებთ იმას, რაც ჩავიდინეთ და რაც დავითმინეთ.

შემდგომ ამისა საყოველთაო მშვიდობა დამყარდა და ქალაქშიც სიმშვიდემ დაისადგურა. მან მიუტევა ბარბაროსებს, რომლებსაც უფრო მეტი სიმწარე აგებია, ვიდრე თვითონ იწვნია მათგან. მაგრამ კვლავინდებურად მოისხანებდა ბერძნების მიმართ, რადგან ახსოვდა, რანაირი უმადუტრება მიაგეს მადლია სანაცვლოდ, როცა ბარბაროსებთან ერთად, გაანადგურეს მისი ზომალდები, რომლებმაც იხსნეს ისინი, და დაანგრირეს მისი გალავანი, მხოლოდ

მიტომ, რომ ჩვენ არ ვიკადრეთ მათი გალავნების დანგრევა. ამიტომაც ჩვენ-
ნმა ქალაქმა გადაწყვიტა აღარ დაეცვა ბერძნები, სულერთია, თვით ბერძნები
საგან დამტკრებოდნათ დამონების საფრთხე თუ ბარბაროსებისგან. აქედან
თავისთვის. ამის შემყურე ლაკედემონელებმა დამთავრებულად ჩათვალეს ათე-
ნის — თავისუფლების ბურჯისა და მფარველის საქმე, მიზნად დაისახეს ამი-
რიდან დაემონებინათ სხვები და თავიანთი განზრახვის შესრულებას შეუდგ-
ნენ.

რაღა ბევრი გაგვარებოდა? განა ძველი და დიდის ხნის წინათ მომხდარი
ამბების გახსენება მოგვიწევს ამის შემდეგ? თვითონაც კარგად მოგხსენებია,
რომ პირველად შიშით თავზარდაცემული არგოსელები, ბეოტიელები და კო-
რინთელები მოადგნენ ჩვენს ქალაქს შემწეობის სათხოვნად. და რაც ყველაზე
საოცარია, თვით მეფესაც ისე უჭირდა, აღარსაიდან მოელოდა შეგლას, თუ
არა ჩვენი ქალაქისაგან, რომლის განადგურებაც ადრე თვითონვე სურდა. და
თუ ვინმე მოინდომებდა მართალი მსჯავრით განესაჯა ჩვენი ქალაქი, სამართ-
თლიანად მხოლოდ ერთი რამ შეეძლო წამოეყვებინა მისთვის: რომ ის
ყოველთვის მეტისმეტად ლმობიერი იყო და მხარში ედგა სუსტს და უმწე-
ოს. იმხანადაც სწორედ ამიტომ ვერ უერთგულა თავის გადაწყვეტილებას,
ვერ შესძლო არ მიშველებოდა და დამონებისაგან ეხსნა ისინი, რომლებმაც
მის მიმართ სკოდეს, არამედ დაეაბულა მათ თხოვნას და დახმარება გაუ-
წია ბერძნებს, რითაც დამონებისაგან დაიხსნა თანამომენი, ასე რომ, ისინი
თავისუფალნი იყვნენ შანამდე, სანამ თვითონვე არ დაიმონეს თავიანთი
თავი. რაც შეეხება მეფეს, ჩვენმა ქალაქმა, მართონის, სალამინისა და პლატეის
ძლევის ძეგლების რიდით, თავს ვერ მისცა იმის ნება, რომ უშუალოდ დაბ-
მარებოდა მას, მაგრამ ნება დართო განდევნილება და მოხალისეებს, საშვე-
ლად ზღუბოდნენ მეფეს, და, ამრიგად, დალუპეს გადაარჩინა იგი, რასაც ერთ-
სულოვნად აღიარებს ყველა. მას შემდეგ, რაც აღადგინა გალავანი და კვლავ
ააგო ხომალდები, მან მიიღო გამოწვევა, რაკიდა იძულებული შეიქნა ჩაბმუ-
ლიყო ომში და პაროსელების დასაცავად შებრძოლებოდა ლაკედემონელებს.

მაგრამ როდესაც დაინახა, რომ ლაკედემონელები თავს არიდებენ საზ-
ღვაო ბრძოლას, მეფეს შეეშინდა ჩვენი ქალაქის და სცადა ათენელებისათვის
ჩამოეშორებინა მცირეაზიელი ბერძნები, რომლებსაც ადრე უმუხთოლეს ლ-
კედემონელებმა და მეფეს ჩაუგდეს ხელში, ხოლო სანაცვლოდ გვიპრდ-
ბოდა იარაღით დაგვხმარებოდა ჩვენცა და ჩვენს მოკავშირეებსაც, მაგრამ
რაკი მათი თანხმობის იმედი არა ჰქონდა, ფიქრობდა განხეთქილების საბაბად
გამოეყენებინა ეს ვარცხობა. დანარჩენმა მოკავშირეებმა მოლოდინი გაუც-
რეს: ისინი დათანხმდნენ ელაღლათ მცირეაზიელი ბერძნებისათვის: დაიბ-
კორინთელებიც, არგოსელებიც, ბეოტიელებიცა და სხვა მოკავშირეებიც და-
თანხმდნენ და ფიცითაც დაამტკიცეს თავიანთი გამცემლობა, ოღონდაც მეფეს
ფული მიეცა მათთვის. მხოლოდ ჩვენ გავბედეთ არც თანამომენი გავცეცა და
არც დაგვეფიცა. აი, რა კეთილშობილია, თავისუფალი, მტკიცე, საიმედო და
ბარბაროსებისადმი ბუნებით თანდაყოლილი სიძულვილითაა გამსჭვალული
ჩვენი ქალაქი: რადგანაც მისი მცხოვრებნი წმინდა სისხლის ბერძნები არიან,
ბარბაროსებთან შეუტრეველნი. დაიბ, პელოპისის, კადმოსის, ეგვიპტოსის, დანა-
ოსისა და სხვათა და სხვათა — ბუნებით ბარბაროსთა, ხოლო სჯულით ბერ-
ძენტთა შთამომავალნი კი არ არიან ჩვენი თანამცხოვრებნი, არამედ სულით
და ხორციით ბერძნები ვართ ყველანი და ბარბაროსული სისხლის წვეთიც არ
არის ჩვენში. აქედან — ჩვენი ქალაქის მძაფრი სიძულვილი სხვისი ბუნების
მიმართ. მაგრამ რაკი არ ვინდომეთ სამარცხვინო და ღვთის საგმობი საქმის

ჩადენა, რაკი ბარბაროსებს არ მივყიდეთ თანამომხმენი, ამიტომ კვლავ მართლნი დავრჩით, მხოლოდ ეგ კია, რომ იმავე დღეში ჩაცვივნულბმა, რომელშიაც უწინ მარცხს ვერ გადავურჩით, ღვთის შეწყვენით, ამჯერად ვიმარტყვით, ვაქცევთ წარვმართეთ ომი, რაკილა მის დასასრულს ჩვენი გალაგანიც შევიწარჩინეთ ჩვენი ხომალდებიცა და ჩვენი კოლონიებიც, ასე რომ, მტრები თვითონვე გახარებულნი იყვენ ომის დამთავრებით. თუმცა ამ ომშიაც მრავალი ღირსეული კაცი დაეკარგეთ, რომელთაგანაც ზოგი კორინთოს მიუვალი აღდიღმდებოლოების მსხვერპლი შეიქნა, ზოგი კი ლეხეონში ჩადენილი გამცემლობი ა. ლირსეულნი იყვენ ისინიც, რომლებმაც იხსნეს მეფე და ზღვიდან განდევნეს ლაქედემონელები. მე შეგახსენებთ მათ ღვაწლს, თქვენ კი გამართებთ ჩემთან ერთად ქება-დიდება შეასხათ და ღირსეულად შეაშკოთ ჩვენი გმირები.

აი, იმ ვაჟაცოთა ღვაწლი, რომელნიც აქ განისვენებენ; მათ გარდა ბევრი სხვაც დაეცა სამშობლოსათვის. რამდენი მშვენიერი რამ თქმულა მათზე, მაგრამ უფრო მეტი და უფრო მშვენიერი აწია სათქმელი. მრავალი დღე და მრავალი ღამეც არ იკმარებდა ყოველი მათგანის საითათოდ ჩამოსათვლელად. ყველას უნდა ახსოვდეს გმირები და შთამომავლობას საომარ მოწოდებასავით გადასცემდეს მათ ხსოვნას, რათა ისინი წინაპრებივით ფეხმოუძვლელად იბრძოდნენ ერთმანეთის მხარდამხარ და არა მხოლოდ თავდაცვაზე ფიქრობდნენ, სიმბდალით უაქმეულნი. და მეც, ღირსეულთა შვილებო, ახლაც ვადმოგეგმთ ამ მოწოდებას და შემდგომშიც, რაკცა შეგხვდებით, მუდამ ამავე მოგაგონებთ და მოიწოდებთ — ეცადეთ, რაც შეიძლება უკეთესნი იყოთ-მეთქი. ამ წუთას კი მოვალე ვარ გაუწყოთ, რა დაიბარეს მამებმა თქვენთვის ვადმოსაცემად, როგორ უნდა მოიქცეთ განსაცდელში. მე მხოლოდ იმას ვადმოგეგმთ, რაც მათგანვე გამოიგონია, და რასაც, თუ მათი მაშინდელი სიტყვების მიხედვით ვიმარტყვებთ, რომ შესძლებოდათ, აღმათ, თვითონვე გეტყოდნენ დღეს. მაშ, ისე ჩათვალეთ, თითქოს თვით ისინი ღალადებდნენ ჩემი პირით. აი, მათი სიტყვები:

შვილებო, თქვენ რომ ღირსეული მამები გყავდათ, ამას აწინდელი დღესასწაულიც მოწმობს. ჩვენ შეგვეძლო უსახელოდ გვეცხოვრა, მაგრამ ვარჩიეთ სახელოვნად მოვმკვდარიყავით, ვიდრე სირცხვილი გვექმია თქვენთვის და თქვენი მემკვიდრეებისათვის და თავი მოგვეჭრა ჩვენი მამებისა და, საერთოდ, ჩვენი წინაპრებისთვის, რადგანაც გვწამდა, რომ ვინც თავისიანებს არცხვენს, მის სიცოცხლეს სიცოცხლე არ ეთქმის, და რომ არავინ უმეგობრებს მას, არც კაცთა და არც ღმერთთა შორის, არც ამქვეყნად. — მიწაზე და არც სიკვდილის შემდეგ — მიწისქვეშეთში. მაშ, გახსოვდეთ ჩვენი სიტყვები, და რაც უნდა იყოს თქვენი ძალისხმევის საგანი, ღირსეულად მოახმარეთ მას თქვენი ძალა; ვწამდეთ, რომ სიტყვლის გარეშე ყოველგვარი სიმდიდრე და ყოველგვარი საქმიანობა სხვა არა არის რა, თუ არა სირცხვილი და ბიწი. რადგან სიმდიდრე სახელს ვერ მოუხვეჭს ვერავის, ვინც მხდალივით ფლობს მას: ამნაირი კაცთ თავისთვის კი არაა მდიდარი, არამედ სხვისთვის, ზუსტად ასევე, სხეულის სილამაზეც და სიძლიერეც კი არ უხდება მხდალსა და ბოროტს, შესაფერის ღირსებად კი არ გვევლინება, არამედ შეუფერებელთვისებად და უხამსობად, რადგანაც უკეთ წარმოგვიჩინენ მათ მფლობელს და, ამრიგად, გვიმტლავებენ მის სიმბდალეს. და ბოლოს, ყოველგვარი ცოდნა, სამართლიანობისა თუ სხვა სიტყვლეთა გარეშე, სიბრძნე კი არ არის, არამედ გაიძვერობა. ამიტომ ახლაც, შემდეგაც და მთელი თქვენი სიცოცხლის განმავლობაშიც გულმოდგინედ ეცადეთ, დიდებით აღგვემატოთ ჩვენცა და ჩვენს წინამორბედთაც. არა და, იცოდეთ, რომ, თუკი სიტყვლით გაქობებთ, ეს გამარ-

ჩვება სამარცხვინო იქნება ჩვენთვის, და, პირიქით, თუ თქვენ გვაჯობებთ, ბედნიერი ვიქნებით ამ დამარცხებით. ჩვენი დამარცხებისა და თქვენს ჩვეების უკეთესი საშუალება კი ის არის, რომ მზად იყოთ ბოროტად იმარჯობათ წინაპართა დიდება და ქარს არ გაატანოთ იგი; იკოდეთ, რომ კაცისთვის, რომელიც ოდნავ პატივს მიიწავს სცემს საკუთარ თავს, არა არის რა იმაზე უფრო სამარცხვინო, რომ თავისი ღირსებით კი არ ამაყობდეს, არამედ წინაპართა მიერ მოხვეჭილი სახელით. რა თქმა უნდა, მამა-მამათა დიდება შთამომავალთათვის ძვირფასი და ფასდაუდებელი საუნჯე გახლავთ, მაგრამ ამ საუნჯის ფლანგვა იმიტომ, რომ საკუთარი უმწიკობის შედეგად არც სიმდიდრის მოხვეჭა შეგიძლიათ და არც სახელის, დიას, მისი ფლანგვა იმგვარად, რომ შთამომავლობას დაუკარგო იგი, სამარცხვინო და არააკურო საქციელია. თუ ამას არ დაუშვებთ, როცა ბედისწერის გარდუვალობა მოითხოვს, ისე მოხვალთ ჩვენთან, როგორც მეგობრები — მეგობრებთან; და პირიქით, თუ არაფრად ჩაგვაგდებთ და სირცხვილს გვაქმევთ, მეგობრულ დახვედრას ნურავისგან ნულარ მოვლით. აი, რა უნდა ეუწყოს ჩვენს შვილებს.

ხოლო ჩვენს მშობლებს, ვისაც ისინი ჯერ კიდევ ცოცხალნი ჰყვანან, გამუდმებით შეაგონეთ, რაც შეიძლება უდრტინველად აიტანონ თავს დამტყდარი უბედურება, ნაცვლად იმისა, რომ თქვენი ცრემლები შეუერთოთ მათ ცრემლებს, რადგან მათთვის ისედაც საკმარისია საკუთარი უბედურება სავალალოდ და თავში საცემად. პირიქით, ვცადოთ ვანუგეშოთ და შევეუშუბუქოთ მწუხარება, შევასვენოთ, რომ მათი ყველაზე გულმხურვალე ლოცვა-ვედრება ყურად იღეს და შეიწყნარეს ღმერთებმა. მართლაცდა, უკვდავებს ხომ არ ითხოვდნენ თავიანთი შვილებისათვის, არამედ კეთილ სახელსა და დიდებას; ითხოვდნენ და ეზიარნენ კიდევ ამ უდიდეს ბედნიერებას. მაგრამ მოკვდავი კაცისთვის ძალზე ძნელია, რომ ამ ქვეყნად ყველაფერი თავისი სურვილისამებრ ატყდეს. თუ ღირსეულად აიტანენ უბედურებას, როგორც ღირსეულ ძეთა მშობლები, თვითონაც ღირსეულნი და თავიანთი შვილების სადარნი იქნებიან, ხოლო თუ მწუხარებას ვერ გაუძლეს, ექვს აღუძრავენ ყველას, რომ ან ისინი არ არიან ჩვენი მშობლები, ან კიდევ ჩვენი მეზობლები სცდებიან. ღმერთმა ნუ ქნას ნურც ერთი და ნურც მეორე; მაგრამ ჩვენს მშობლებს უფრო შეშვენის, რომ საქმით იყვნენ ჩვენი მეზობლები, და ამრიგად დაამტკიცონ. მართლაც თვითონვე რომ აღზარდეს კაცური კაცნი.

როგორც ჩანს, მართლაც ბრძანებს ძველი ანდაზა — „არაფერი მეტისმეტით“, რადგან ეს მართლაც რომ დიდებულად არის ნათქვამი. კაცი, რომელიც თავის საკუთარ კაცობაზე აფუძნებს ყოველივე იმას, რასაც შეუძლია გვაზიაროს ბედნიერებას თუ არა, იმას მიიწავს, რასაც მიახლოებით შეიძლება ეწოდოს ბედნიერება, და არა სხვებზე, რომელთა წარმატებაცა და ხელმოკარულობაც აუცილებლად შემთხვევით გარემოებათსათამაშოდ აქცევს მის ბედს ამ ქვეყნად ყველაზე უკეთეს ხვედრს უზნადებს საკუთარ თავს. ისაა ბრძენიც, მამაციც და კეთილგონიერიც; სიმდიდრისა თუ შვილების შეძენისას, ანდა, პირიქით, მათი დაკარგვისას, ის ყოველთვის ამ ანდაზის ერთგული რჩება: არც მეტისმეტად ხარობს და არც ნამეტან მწუხარებას ეძლევა, ვინაიდან მხოლოდ საკუთარ თავსაა მიხედობილი. სწორედ ესაგვსურს, სწორედ ამას მოვიტხოვთ ჩვენებისაგან და ამასვე ვაცხადებთ სიტყვით. ასე გიჩვენებთ თავს ამჟამადაც: არც მეტისმეტად ვდრტინავთ და არც გვეშინია, თუნდაც ამ წუთ-
9. „მნათობი“, № 6.

ში გვეწეროს სიკვდილი. გვინდა ვთხოვით ჩვენს დედ-მამას, ამ აზრის თანახმად გაატარონ სიციცხლის დარჩენილი დღენი; დაე, იკონდნენ კომ უნი-მლების ფრქვევითა და მოთქმა-გოდებით როდი მოგვანიჭებენ მშვენიერ-ქით, თუკი მიცვალებულნი რაიმე გარძობაა მაინც ინარჩუნებენ ცოცხლების მიმართ. უმალ ჩვენს უკმაყოფილებას გამოიწვევენ იმით, რომ ვერ უძლებენ მწუხარებას და, ამრიგად, სახელს იტეხენ; ხოლო თუ უდრტვინვილად და დირსეულად აიტანენ უბედურებას, ყველაზე დიდ სიხარულს მოგვანიჭებენ. რადგანაც მაშინ ჩვენი აღსასრული ყველაზე მშვენიერად შეირაცხება ხალხის თვალში, ხოლო ამნაირ აღსასრულს ხოტბის შესხმა უფრო შეშვენია, ვიდრე დატირება. უმჯობესია ჩვენს ცოლ-შვილზე იზრუნონ და არაფერი გაუჭირ-ვონ მათ; ეს იყოს მათი საფიქრალი. ასე უფრო უკეთ დაივიწყებენ უბედუ-რებას, უფრო ლამაზად და წრფელად იცხოვრებენ, რაც უფრო სასიხარულო იქნება ჩვენთვის. საკმარისია ამნაირი ანდერძი დაეუბაროთ ჩვენს ახლო-ბლებს. ქალაქს კი ვთხოვთ, იზრუნოს ჩვენს მშობლებზე და შვილებზე; დირ-სეულად აღზარდოს ეს უკანასკნელნი, და, როგორც ჭერ არს, ლუგმა პუ-რით უზრუნველყოს პირველთა სიბერე, თუმცა ვიცით, რომც არ გვეთხო-ვა, მაინც ჭეროვნად იზრუნებდა მათზე.

დაღუპულთა შვილებო და მშობლებო, აი, რა მოგვანდეს მათ თქვენთვის გადმოსაცემად, და მეც, შეძლებისდაგვარად, მთელი გულმოდგინებით გად-მოგცემთ ამას. ჩემის მხრივ, დაღუპულთა სახელით, აქვე ვთხოვ შვილებს, რომ თავიანთ მამებს მიბაძონ, მშობლებს კი ამნაირი თხოვნით მიემართავ: და-რდი ნუ გაქვთ. არც ჩვენი ქალაქი და არც ჩვენი მოქალაქენი ლუგმა პურსა და მზრუნველობას არ მოგაალებენ სიბერეში, რომელიც განებათ ჩვენგანი სა-დაც უნდა შეხედეს და როცა უნდა შეხედეს თქვენაირ ხალხს. ხოლო რაც შეეხება ქალაქის ზრუნვას თქვენზე, თავადაც მოგეხანებათ, რომ კანონი ომ-ში დაღუპულთა შვილებსა და მშობლებზე ზრუნვას ავალებს მას, უზენაეს ხელისუფლებას კი უწყისებს, დანარჩენ მოქალაქეებზე უფრო უმალ სწორედ დაღუპულთა დედ-მამა დაიცვას უსამართლობისაგან. მთელი ქალაქი ერთადა ზრდის მათ შვილებს და ცდილობს რაც შეიძლება ნაკლებად აგარძობინოს იბ-ლობა; ამიტომ სიყმაწვილეში მამის მაგივრობას უწყევს მათ, ხოლო უკვე დავა-ტაკებულთა და თხემით-ტერფამდე აღჭურვილთ თავიანთ მამულში აგზავნიან მას შემდეგ, რაც მამების ღვაწლს შეახსენებს და მათ სიკვლეს იარაღად გა-დასცემს შვილებს, ნიშნად იმისა, რომ შეუძლიათ დაუბრუნდნენ მშობლიურ კერას და უფლებამოსილებითა და იარაღით აღჭურვილნი თვითონვე გაუძლ-ვენენ თავიანთ საქმეს. რაც შეეხება თვით დაღუპულ გმირებს, ქალაქი არა-სოდეს არ ივიწყებს მათ, და კანონით დაწესებული ყოველწლიური დღესა-წაულით ისეთ პატივს მიაგებს სუყველას ერთად, რასაც, ჩვეულებისამებრ, მი-აგებენ თვითულს ცალ-ცალკე; ამას ზედ ერთვის ყოველგვარი მძლეოსნური, ცხენოსნური და მუსიკალური ასპარეზობანი. ერთის სიტყვით, ქალაქი დაღუ-პულებს შვილებისა და მემკვიდრეების მაგივრობას უწყევს, შვილებს — მამი-სას, მშობლებს — მეურვისას, და, საერთოდ, ყველაზე ყოველთვის ყოველნა-ირად ზრუნავს. ამაზე ფიქრმა უფრო უდრტვინველად უნდა აგატანინოთ უბე-დურება. ასე უფრო ძვირფასნი იქნებით როგორც მკვდრებისთვის, ისე ცოც-ხლებისთვისაც და უფრო იოლი იქნება ის სამსახური, რასაც თქვენ უწყევთ



სხვებს, ან, პირიქით, თქვენ თვითონ გიწვევენ სხვები. ახლა კი თქვენც და დანარჩენებიც, აღათისამებრ, ერთად რომ დაიტირეთ მკედლები, ღრრან დაიშალა ლოთ^ა. ესეც შენი ასპასია მილეთელის სიტყვა, მენექსენე.

მენექსენე. ვფიცავ ზევსს, სოკრატე, შენ რომ ყური გიგდოს აცმა, ნეტარი ყოფილა ასპასია, თუკი, თავისი ქალობის მიუხედავად, ამნაირ სიტყვებსა თხზავს.

სოკრატე. თუ არა გჯერა, გამომყევი და თვითონვე მოისმინე, როგორ ლაპარაკობს.

მენექსენე. ხშირად შევხვედრივარ ასპასიას, და ვიცი, ვინც არის, სოკრატე.

სოკრატე. მერედა, ნუთუ არ გიკვირს და მაღლობას არა სწირავ დღევანდელი სიტყვის გულისთვის?

მენექსენე. ვწირავ და მერე როგორ მაღლობასა ვწირავ, სოკრატე ამ სიტყვისათვის ასპასიასა თუ იმას, ვინც შენ გადმოგცა იგი. დიახ, უწინარეს ყოვლისა, სწორედ სიტყვის წარმომთქმელისათვის მომიხსენებია მაღლობა.

სოკრატე. კეთილი და პატიოსანი; მაგრამ არ გამცე, თუ გინდა, რომ მისი ბევრი მშვენიერი პოლიტიკური სიტყვაც გაგანდო.

მენექსენე. დარდი ნუ გაქვს. ოღონდ გამანდე.

სოკრატე. ასეც იქნება.

ძველი ბერძნულიდან თარგმნა ბაჩანა ბრეზვაძემ





3560 შადურო

გზვიდობისა და ღინსვლის საფინდარი

რუს და ქართველ ხალხთა მეგობრული ურთიერთობისა და საზოგადოებრივ-ლიტერატურული თანამშრომლობის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ჩვენს სამოციანელებს, თერგდალეულებს, რომელთა უმრავლესობამ სწავლა-განათლება პეტერბურგის უნივერსიტეტში მიიღო და რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიულ იდეებს ეწიარა.

ჩვენ მოკლედ შევიხივებთ მათი ბრწყინვალე პლატის სამი ბუმბერაზის — ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და ნიკო ნიკოლაძის შეხედულებებს. ისინი, ცხადია, დიდად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, თვითნებურ მათგანი თავისი განუწერილებელი ინდივიდუალობით გამოირჩეოდა, მაგრამ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის გაგება-შეფასებაში ერთსულვითაა იყვნენ და ერთნაირ აზრებსა და გრძნობებს გამოხატავდნენ.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ თერგდალეულები მთელი თავიანთი მოღვაწეობის მანძილზე შეუწყობდნენ ინტერესს იჩენდნენ ჩრდილოეთის ამ დიდი სახელმწიფოს მიმართ, რადგან მასთან იყო დაკავშირებული საქართველოს წარსული, აწმყო და მომავალი. „რუსეთის საკითხი“ მათ ინტერესებდათ არა განყენებულად, თავისთავად, საშობლოზაგან დამოუკიდებლად, არამედ „ქართლის ბედთან“ დაკავშირებით.

„მარად და ყველგან, საქართველოც მე ვარ შენთანა...
..ამ გულში მე მაქვს შენი აწმყო,
შენი წარსული,
მეცა ვტანჯულვარ, მე ბედურული, შენი ტანჯვითა!“...

ი. ჭავჭავაძის ეს სიტყვები ყველა მისი თანამებრძოლის აზრსა და გრძნობას გამოხატავდა.

ისინი, როგორც ჭეშმარიტი პატრიოტები, ქართველ უცვლელს, თავის საშობლოზე ფიქრობდნენ და ზრუნავდნენ, საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე და ამ შეტყვე განიხილავდნენ რუსეთთან ურთიერთობის პრობლემათაგანს.

დიდადი მასადა, რომელიც წარმოდგენილია ჩვენი სამოციანელების თხზულებაში, კერძო წერილებსა და ზეპარ გამოხედვებში, სწორად და ღრმად აშუქებს ორი ქვეყნის კავშირუთიერთობას.

„ოც საუკუნეზე მეტია, რაც ჩვენი ხალხი ისტორიულს ასპარეზზედ გამოსულა. ამ ხანგრძლივ დროთა მიმავლობაში ჩვენს ხალხს ერთს ხელში თოფი და ხმალი სჭერია და მეორეში გულიანი და ამ ყოფით და ვით-ვაგლებით გაუტარებია ეს ასარბეღია დრო!“, — ასე წერდა თერგდალეულთა აღიარებულნი ბელადი, ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაური ილია ჭავჭავაძე.

უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ უხასრული და უთანასწორო ომებით მოქანცული, განაწამები და განადგურების გზაზე დამდგარი ქართველობა, — დიდი ილიას სამართლიანი სიტყვით, ძველი დროიდანვე რუსეთს მიმართავდა, რუსი ხალხი მიიჩნედა ერთადერთ მშენებლად და საიმედო მოკავშირედ.

ილია ჭავჭავაძე ხაგანგებოდ აღნიშნავდა, რომ რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობა, რომელიც საუკუნეთა მანძილზე მტკიცდებოდა, მშვიდობისა და პროგრესის გადამწყვეტი ფაქტორი იყო. ილიას მთელი მოღვაწეობა ადასტურებს, რომ მას წარმოუდგენლად მიიჩნედა თავისი საშობლოზის განვითარება რუსეთთან ძმური კავშირის გარეშე. ამ მხრივ გამოირჩევა სტატია „ახი წლის წინათ“ (1889 წ.), რომელშიც იგი მი-

მოიხილავს საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიასა და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას.

ჩვენმა სამშობლომ „შვიდობა მოაპოვა“, — ეკითხულობთ ამ წერილში, — მხოლოდ იმ „ღირსსახსროვარი დიდამ“, როდესაც რუსეთის მფარველობა მიიღო, მხოლოდ მაშინ, დამშვიდდა დიდი ხნის დაუშვიადებელი, დაღაღულე ქვეყანა, დაწუნარა და აღუღისა და ახორცილსაგან, დასცხრა იმისა და ბრძოლისაგან, დადიმდა ეღერა ხმლისა და მახვილისა, მტრის ხელით მოღერებულისა ჩვენზე და ჩვენს ცოდ-შავიდებზე. გაქჭრა ცეცხლი, რომელაც სწავა და მხუჯავდა ჩვენს მამა-პაპთა მიწას, ჩვენს საცხოვრებელს, გათავდა რბევა და აქლდა, მიეცა წარსულს და მარტო საწინდელ და შემაძრწუნებელ სახსოვრად-და დაჯერა, დაუდგა ახალი ხანა, ხანა მოსვენებულის, უშიშარის ცხოვრებისა...”

„ჩვენმა სამშობლომ, — წერდა აკაკი წერეთელი 1872 წელს, — მრავალი საუკუნის განმავლობაში მტრებთან ბრძოლის, სისხლის ღვრის, ტანჯვის და ბევრი უხედურების გამოცდის შემდეგ, თავის დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის, ვადაწყვეტა თავისი ბედი მათ, რომ მოხანს სასურველი პატრონი, რომელსაც შეავდრდა და მიანდო თავისი თავი“.

იმ ახალ პატრონს, უხადია, იმ დროს საქართველოს სიკეთე მსურდა და მიტოვებულ იყო თავის მფარველობაში“.

აკაკი წერეთელი უარცხად დიდ მნიშვნელობას აქლდა იმ ფაქტს, რომ რუსეთმა საქართველო დაღუპას ვადაარჩინა, ბოლო მოუღო ჩვენს მიწა-წყალზე დამპყრობთა ველურ თარეშს და მშვიდობა დაამკვიდრა.

აკაკი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას ეხებოდა არა მარტო თავის პუბლიცისტურ წერილებში, არამედ მხატვრულ კმნილებებშიც.

გვიხსენიოთ, მაგალითად, მისი პოემა „თერთმეტი ენკენისთვე“ (1895). ავეწერს რა ახი წლის წინათ მომხდარ კრწანისის ტრაგედიათ, დიდი მგოსანი მოვავარცხებს უთანასწორო ბრძოლაში დაღუპულ ვმართა სისხლით დაწერილ ანდერძს რუსეთთან კავშირის აუცილებლობის შესახებ.

„კვეშირი ძმური და მეგობრული...
და, ვინც იფიქროს მისი გაწყვეტა,
იყოს წყვეტილ ხეთისგან და კრული...“

პოეტი ხშირად ღაპარაკობდა რუსეთთან ძმური კავშირის აუცილებლობაზე. „როცა ჩვენმა წინაპრებმა თქვენ, რუსებო, მოგიწვიათ, — ამბობდა იგი კ. პალმოვტის საპატივეცემლოდ გამართულ ბანკეტზე 1914 წელს, — მაშინ ჩვენ, შავიდუღობის, ვვიანდებოდეს; არ დავაფიქროვებ სტუმართმოყვარებას, გვიუვარდებს რუსებო, ვიმეგობრით მათთან და განუწყრელად ვიაროთ ერთი გზით“...

აკაკის სიკვდილის წინ დაწერილი პოემა „ოჩი“ (1914) და ზეპარი გამოხულები ზომ მხუჯავანი მგოსნის ერთგვარი ანდერძითა იგი დაწერილებული იყო, რომ „ახლისა და არა ცხრა შინა იქონის ეს ვაჟახუბლა, რომელიც თავისი ცხოველი და თბილი სხივებით ვავაობობსთ არა მარტო თქვენ, არამედ ჩვენც. მე უკველთვის მჯეროდა, რომ მალე მოვა განახლებული, ახალი რუსეთი“.

„გარეშე მტრებისაგან დაცვის ვარდა, რომელიც იყო თავდაპირველი მიწეში ჩვენი სამშობლოს რუსეთთან შეერთებისა, — წერდა ა. წერეთელი, — უთანასწოების მოვადღობა მოითხოვდა შეზღავნება აგრეთვე ჩვენში მოქალაქეობისა და განათლების შეზღავნებას“.

როგორ ასრულებდა რუსეთი ამ მოვალეობას? როგორ დამოკიდებულებას იჩენდა იგი საქართველოსადმი?

ეს შეტად რთულ საკითხს წარმოადგენდა, ილია კავკავადი სამართლიანად მიუთითებდა:

„რუსეთი ერთი იმისთანა სახელმწიფოა, საცა სხვადასხვა ტომისა და ენის ერნი სცხოვრობენ, და მერც ისე, რომ თავიანთ მამაპაულ მიწა-წყალზედ შეჭრულებულნი არიან და არა შიგა და შიგ ვაფანტულნი. ამიტომაც ერთს უდიდესს საბოლქოცო საგანს რუსეთისას შეადგენს ჯერ ეს, რომ სხვადასხვა ტომის ერნი როგორც უნდა მოეწყონ შინაობაში სათითაოდ, და მერც — როგორც უნდა მოთავსდეს სახელმწიფოსთან“.

საქმე ისაა, რომ რუსულ საზოგადოებაში შეხედულებათა სხვადასხვაობა იყო როგორც საქართველოზე, ისე სხვა ერებზე და თვით რუსეთზეც. ცნობილია, რომ „გარდა რეაქციული რუსეთისა ახსენებოდა კიდევ რევოლუციური რუსეთი, რუსეთი რადიკალიზაციაში და ზერინიშეკებისა“ (მ. ა. დღინი).

ჩვენი სამოქალაქეობის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი შესანიშნავად ერკვეოდნენ ამ რთულ საკითხებში. მართალია, მათს ნაწერებში არსად არ გვხვდება გამოთქმა „ოჩი რუსეთი“, „რობი კულტურა“, მაგრამ მთელი მათი მოღვაწეობა და შემოქმედება იმავე შეტყველების, რომ ისინი შევეთრად განასხვავებდნენ დიდ რუს ხალხსა და მის პროგრესულ კულტურას, რევოლუციურ-დემოკრატიულ რუსეთის თვითმპყრობელურ-დესპოტიკურ, ოფიციალური რუსეთისა და მისი ინტერესების გამოშავტევი რეაქციული-მოენისტური „კულტურისაგან“, თერგ-დაღუღობა კარგად იცოდნენ, რომ ეს „შეორე რუსეთი“ ტანჯავდა და დევნდა როგორც რუს, ისე იმერიაში შემაველ სხვა ხალხებს, თენახვდა მათ შორის მტრობასა და შუღლს, მოწინავე რუსეთი კი იბრძოდა სოციალური და ერონული ჩავრა-ექსპლოატაციის წინააღმდეგ, ხალხთა შორის თანასწორობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის დახამყარებლად.

რეაქციული ძალები, „მოხეღობა, — წერდა

ილია ჭავჭავაძე. — რომელიც ხშირად მოკლე-
ბულია არამც თუ საზოგადო დედაზარებს, არ-
ამედ უმეტესად... ამ უღელეს საგანს (ეროვნულ
საკითხს) ისე ექცეოდა, როგორც მისი ჭეჭი
იყო. ეგონა, რომ ეროვნების დედა და ჩავვარ-
თავი და ბოლოა სახელმწიფოდ მოქმედის კა-
ცისა... რადგანაც არსებითი ნიშანი ეროვნებისა,
მისი გული და სული — ენაა, ამიტომ ტლანქი
ზედო უმეტესად მოხელეობისა უველაზე უწინა-
რეს ენას მისწვდა“.

საყოველთაოდ ცნობილია თერგდადეღელთა
შეუარებელი პრძოლა მეფის მოხელეებისა
(„საშეინტელეგის“) და კატაკვის, იანოვსკისა
და მათ მსგავს რეპუბლიკურ-შოვინისტ „მოღვა-
წეთა“ წინააღმდეგ, რომლებიც, — ჭავჭავაძის
სიტყვით, — „ეროვნებას ზახს უკრავენ“ და
„არცხენენ თავის ხალხს სხვის თვალში“.

„ერთი, — წერდა ილია, — როგორც კრებუ-
ლი ახტორიით შედუღებულ ერისულ და ერთ-
ხორც მკვიდროს, უოველ პატრიარქისა და კერა-
თმურყელ ადამიანისაგან უნდა პატივცემულ
იყოს უოველ შემთხვევაში, და მისი ასე თუ ისე
გაუბრალებლობა, ავად ხსენება — დედად სათა-
კილო საქციელია. უოველს ერს თავისი საკუ-
თარი სახე აქვს, თავისი საკუთარი გულთაქ-
ქმა, თავისი წადილება, თავისი სულთაწრაფვა,
თავისი ღირსება. ამავდის შეგინება ერთი იმის-
თანა ხიზარაფვა, რომელიც გონებაგანსილს აღ-
ამიანს არ ეპატიება, არ შეენდობა“.

ილია კმაყოფილების გრძობით აღნიშნავს,
რომ ამ ქანსად და კეთილშობილ აზრს ეროვნულ
საკითხზე იზიარებს თვით „რუსეთის დამუ-
ნარებულთა საზოგადოება“, რომ „ეს აზრი
თანდათან ფებს იდგამს და ფრთხილად მშლის თი-
თონ რუსეთშიაც. ამას გვიმტკიცებს თვითონ
რუსეთის ლიტერატურაც“.

აქ ავტორი, ცხადია, პირველ რიგში, რუს
რევოლუციონერ-დემოკრატებს გულისხმობს, მა-
გრამ, საიდუმლო პირობების გამო, მათ არ ასა-
ხელებს (ილია თითონვე მითითებდა: „ამ წერ-
ილს თირკმლები განვებს ამოვაცადეთ და შუა
წელი გამოვხატოთ, რომ თავისა და ბოლოს მა-
ინც ნება მქონოდა ქვეყანაში გამოხელისა“).

თავის სამშობლოს აწმურისა და მომავალს
თერგდადეღელთა ამ პირობებულ-კულტურულ
რუსეთს უკავშირებდნენ, მასში ხედავდნენ კე-
თილშობილურ და კეთილშობილ ძალას და ამიტომ
უოველთვის ღრმა პატივისცემით დასაჩაყობდ-
ნენ მასზე. „ამედან წარმოიშობება ღრმა მადლი-
ერების გრძობა წარმოადგენს, — ი. ჭავჭავა-
ძის სიტყვით, — იმ დღეებზედ წყაროს, რომ-
ელისაც შეუძლია რუსეთისადმი კეთილგრძნო-
ბათა უღორტები გადაქციის სიციცქლის მწვე-

ნიერ ზედ, რომელიც უველს და უოველივებს
გადაადარებს თავის გაწილდ რტოებს. მაგრამ
ჩვენდა დიდად სამწუხაროდ, ჩვენდა დიდად სა-
უბედუროდ, ამ წყაროს მციცქლებელი ნაშ-
იუნება, უფროად გულმოადგინ ჩინოვნიეთა

მიერ არა სწორად გაგებული გარტების იდეის
დაპარობელი სუნთქვის გაფრქვევას“

მიუხედავად მეფის მოხელეთა ეჭვმიტყუდენ-
ურ და დახატობის საქციელისა, „დედა რუსეთის
გარტებ არ არის ხსნა საქართველოსა და ქართ-
ველებსათვის“, — წერდა ი. ჭავჭავაძე.

ასეთივე აზრისა ი. წერეთელიც. მისი ღრმა
რწმენით, საქართველო რუსეთთან შეკავშირე-
ბული უნდა იყოს „სიუყარულის ოქროს ქა-
ვით და არა ჩინოვნიური გრძილით“.

„ჩვენ დედად ვაყვებოხ, — ამბობდა იგი,
— ძმობა, ერთობას და მეგობრობას რუსეთის
ერთთან. მართალია, რუსთა შორის ისეთებიც
არიან, რომლებსაც ეგაგრებთან ჩვენი ასეთი მჭუ-
რი კავშირი, მაგრამ არის საზაგეროდ ახალგა-
ზრდა რუსეთი, რომელთანაც ჩვენ ვცხურს ხე-
დილმრეკავებელი სიარული არა მარტო ერთ-
ნული, არამედ საკაცობრიო იდეალების განსა-
ხორციელებლად, იმ იდეალებისა, რომელთაც
ეწოდება ძმობა, ერთობა, თანასწორობა“.

რაც შეეხება ნიკო ნიკოლაძეს, მან ქრ კიდ-
ეც 1885 წ. გერციხის „კოლაკოლაში“ აღნიშნა,
რომ თუმცა რუსეთში თვითმშობლებურ-ბიუ-
როკრატული წყობილებაა, მაგრამ საქართვე-
ლო მასთან კავშირში „უფრო მალე მიადწევს
თავისი მდგომარეობის საუკეთესოდ მოწყობ-
ას, ვიდრე მაშინ, როცა მას მოკავშირედ ან მფა-
რველად ეყოლება (აღარაფერს ვამბობ მფლო-
ბელობაზე) ევროპის რომელიმე ერთი, რომ აღ-
არაფერი ვთქვათ ოსმალეთსა და სპარსეთზე,
რომლებსაც საქართველოში არცერთი სიდად
მოაზრდენ ადამიანს მოწადინებულა არ არას“.

უფრო მოკვანებით ნ. ნიკოლაძემ ჩინებუ-
ლად ჩამოკვანია თავისი და ნიკო, ორი რუსეთის
„შესაზედ (წერილში „კავასიის უნივერსიტე-
ტი“), „რუსეთი, — წერდა იგი, — და ხენილ
მოხელეები, რომლებიც მივარდნილ კეთებებ-
ში მისი სახელით იმტყრებთან, ერთი და იგივე
არაა, ოღიციანადა რუსეთის უყარ დღის ნაშ-
დელი რუსეთი, რომელსაც წინააღმდეგ უნარი
შესწევს, რომელსაც შეუძლია განვითარების
გზით ადამიანური წესები დაამყაროს“.

გამოჩენილია ქართველმა პუბლიცისტმა, ჩე-
რნიშველს თაყვანისმცემელმა და მოწაფემ, კა-
რგად იყოფა, რომ „ჩვენი მამულის ზედი და
მომავალი მტკიცედ გადასვენილია რუსეთის
მდგომარეობაზე“ და ღრმად სწამდა, რომ „ჩვე-
ნი მხარის დამინარება დამოცილებულია მთე-
ლი რუსეთის პარტრებსზე, ჩვენ გულწრფე-
ლად გავაპარებს ამ პარტრებს მიერ უოველი
წინ გადადგმული ნაბიჯი და მზურვალედ ვისუ-
რებთ, რომ ჩვენი მხარეც მას შეუდარდეს“.

ჩვენი სამოციანელები კარგად ხედავდნენ,
რომ ორი ძირითადი მიმართულება — ქანსადი
და უაღბო პატრიოტობა — არსებობდა არა მა-
რტო რუსეთში, არამედ საქართველოშიც. იქაც
და აქაც უაქარად ხედავდებოდა როგორც

საერთაო სამშობლოს, ისე სხვა ერებისადმი დამოკიდებულებაში.

როგორც ვიცით, გასული საუკუნის მეორე ნახევარში, განსაკუთრებით „მამათა და შვილთა“ შორის ბრძოლის გამწვავების დროს, ქართულ პრესაში ხშირად იმართებოდა კამათი იმის თაობაზე, თუ ვინ ჩაითვლება ნამდვილი მამულიშვილად. თერგდალეულებს ქართული არქაისტები და კონსერვატორები „ანტიპატრიოტობას“ და „რუსოფილობას“ სწამებდნენ და ამით საერთო უმეცრებასა და ცრუპატრიოტიზმს ამუშავებდნენ.

„ვის ჰქვინა პატრიოტი?“ — სვამდა კითხვას ჩვენი დიდი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი თავის „შინაურ მიმოხილვაში“ 1888 წელს.

„...მეშვერტისას, სუფრიანს და კატაკოს რომ შეეყოთოთ, როგორი უნდა იყოს რუსის პატრიოტი, გიანსუბენენ: იგი უნდა სიაგარკვდეს ყოველ სხვა ტომს, რუსებთან შემოერთებულსა, და გარეთ უნდა ელტოდეს და ნატრულობდეს მთელის ევროპის გაქვლასო“.

„სლავიანოფილებს რომ მკითხოთ, რას უნდა ელტოდეს რუსის პატრიოტი, — განაგრძობს ი. გოგებაშვილი, — გიანსუბენენ: გულით და სულით უნდა ნატრულობდეს ძველს, დიდებურებთან უოფილს წუხილებათა განახლებასო“.

აუჩიტაკებს რა ამ რუს (და — იგულისხმება — შთ მსგავს ქართველ) ფსევდოპატრიოტებს, ი. გოგებაშვილი სპარსულიანად მითითებს, რომ ჭეშმარიტი ქართველი მამულიშვილები „მოღვაწეობენ არა იმ განჯახებით, რომ სხვანი დავითგუნოთ და მათი დამცირებით ჩვენ“ თავი აკამაღლოთ“, ან ძველ, დროშობულ „დაწოხილობათა რესტავრაცია“ მოვადინოთ, არა. შთ „სურთ — არა მკვდრის აღდგენა, არამედ ცოცხლის გამოყვანა უკაობდგან. იგინი ნატრობენ იმასვე, რასაც შოისურვებდნენ, ჩვენს ჭეყანაში რომ ემოქმედნათ, რუსეთის უნაივრესნი მოდასაფიციენი (უპაინიკები): ბელინსკა, დობროლიუბოვი, ავტორები რომანებისა: „ვის სტუფებს“ (გერცენი) და „რა ვქნათ“ (ჩერნიშევსკი), შჩედრინი და სხვანი. ჩვენის პატრიოტების მოქმედება იმ ეროვნულს გზასვე ადგია, რომელიც სხენებულის მეორე რომანის ავტორმა ჩერნიშევსკიმ ვადად დაადო „ურაინდლებს, სახელდობრ-ეროვნულ ენის, ლიტერატურის და მეცნიერების აწვავება“.

ნამდვილ პატრიოტად ჩაითვლება, — ამბობს ი. გოგებაშვილი, — ის „ვისაც საცოცხლის უმთავრეს საგნად ვაუბნია მშობლიურის ქვეყნის პედნიერება, ვინც თავგამოდებულად და შეუპოვრად ებრძვის დაუღალავად უოველს დაბრკოლებას, რომელიც მის სამშობლოს ქვეყანას წარსატების გზაზედ გადალობნია“.

ასეთებია, ავტორის რწმენით, — რუსი რევოლუციურ-დემოკრატიები და ჭეშმარიტი ქართველი მამულიშვილები (იგულისხმებიან, ცხადია, ი-

რველ უოცებსა, ილია ჭავჭავაძე და-მისი თანამოაზრენი).

ეს მრავალმხრივ საურაადლებო წერებოდა მწროად დახასიათო რა დამყავებულ-დაწყუებულ ული ნაციონალიზმი და ჩანახლი პატრიოტიზმი. ი. გოგებაშვილმა განსაკუთრებით ვახანა ქართულ და რუს სამოციანელთა ეროვნული კონსუფციების მსგავსება. აქ საქმე გვაქვს ფრიად ნაინტერესო და სამართლიან ანალიზიანად.

